


644/
1975/3

949333
2024010333

האינט

6

1975



100—ივანე ჯავახიშვილი—100

სსსს

217

გავრცელების მიმდინარეობა წელი

13090

6

ი ვ ნ ი ს ი

1975

თბილისი

საქ. კა. ცა-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუიანალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფრალთა კავშირის (რგანო)

კ: მარქსის სბ. სპ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ღირსეულად შემხვედრებით ღმინელთა ღიად ფო-
რუმს

შენი თანატოლი

5. ცილა არაფრადია. შემხვედრები ახარელ ახალ-
ბაზრდობთან

პროზა, პოეზია

11. გიჟინა მინდამი. ჩემი სიმღერა და სამომავარი.
ლეკი

14. ლალი ჯაფარაშვილი. ლექსები

17. ვახტანგ ძნელაძე. ლექსები

19. ანდროს აბულაშვილი. ლექსები

21. თამაზ გიგინელი. მთავარი შვილი. ნიღბი. მო-
თხრობები

46. ნუგზარ კოპალიძე. ლექსები

47. ვერიკო წიკეთელი. უხილავი მხატვარი. ლექსი

48. ითარ ჯორჯარიანი. მოვლა. მამაკაც რედაქტორი.
ლეკი

49. ლია სვანიძე, ძაბო. ლექსი

ასპუტულას რეპუტი

51. რეპუტაცია ინანოვში. ძალიან კატარა დიდ ქვე-
პანაში

66. ნოდარ შამანაძე. ეპიკურული ხატურიანი კავის
ცხოვრებით

90. ვახტანგ ზალიძე. ძაბოლის ცხოვრების ქრონი-
კები

ძმობის სიმღერა

118. ჯაბიკ ნოვრუზი, ნინოზი-ალე-მღერი, მნა-ბალიუ-
კონიძე, ნატან ჯლოტნიკოვი, ვიქტორ შირკოვი.
ლექსები. თარგმნის ქანს უღ ჩარ გვიანმა, გიგა
ძნელაძე

100 — თომას მანი — 100

122. თომას მანი. წინასწარმეტყველთან. გერმანულ-
დან თარგმნი ელდინგერ ზარბეკი.

100 — ივანე ჯავახიშვილი — 100

127. რიონ მებრძოლი. ბალის სამსახურით შთაბრძო-
ბული სივრცე

80 — კოლაუ ნადირაძე — 80

136. ვლადიმერ ჯიბუტი. ბახმალური ფიქრები

წერილები

138. ლევან სანიძე. წიგნი გოგონის

147. გიორგი იმედაშვილი. ზოგი ბახმალა და ფიქრი
აბაქაძე, ვაჟა, ბალახტიშვი

მთავარი რედაქტორი
ქანს უღ ნატარაძე

სარედაქციო კოლეგია:

ზაზა ამირაჯიბი,

ვალერიან ზაქარაძე,

ვუკან გვარდუნიშვილი,

გივი გვამყარაძე,

რისმაზ გორდუნიანი,

გიორგი გუგულია,

ნოდარ დუშაბაძე,

მერაბ ელიშვილი,

ელდარ მანაშაძე,

თბილ კავთარი,

(გახუთხმული მდივანი),

ნუგზარ წიკეთელი,

ტარიელ ზანტაძე,

რაფი პიშვილი.

ლირსეულად შეხვდებით ლენინელთა დიად ფორუმს

დიდ სამამულო ომში ისტორიული გამარჯვების ოცდაათი წლის-
თავის აღსანიშნავი ზეიმისათვის მზადების დღეებში ჩვენმა პარტიამ,
მთელმა საბჭოთა ხალხმა ახალი სასიხარულო ცნობა მიიღო: სკკპ
ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებით,
1976 წლის 24 თებერვალს გაიმართება ლენინელთა დიდი ფორუ-
მი — კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა.

ჩვენი პარტიის ყრილობები ასახავენ საბჭოთა საზოგადოების
განვითარების, კომუნისტური აღმშენებლობის დიდმნიშვნელოვან
ეტაპებს. სკკპ XXV ყრილობა ახალ შორიზონტებს გადაუშლის პარ-
ტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელ მიღწევებს, მათს ტი-
ტანურ ბრძოლას მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი საქმის გა-
მარჯვებისათვის.

ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები ძაღლონეს არ ზოგავენ, რათა
წარმატებით დაასრულონ ერთი მხრივ 1975 სამეურნეო წელი და,
მეორეს მხრივ, მთლიანად მეცხრე ხუთწლიანი, საქართველოს ოთხ-
გზის ორდენოსანი რესპუბლიკის მშრომელები მუხლჩაუხრელნი
იღვწიან და საერთო-სახალხო ლაშქრობაში მეწინავეთა შორის დგა-
ნან. საქართველოს მშრომელები, საქართველოს კპ ცენტრალური
კომიტეტის ენერგიული და გადამჭრელი ღონისძიებების წყალობით,
უველაფერს აკეთებენ, რათა მათი წვლილი საერთო საქმეში გამოჩე-
ყული იყოს. ამის დასტურია გარდამავალი დროშა, რომელიც რეს-
პუბლიკას გადაეცა, და მისი შენარჩუნების მძაფრი სურვილი, გან-
მტკიცებული თავდაუზოგავი შრომით.

გარდამავალ დროშას, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა დაჯილ-
დოვდა, ქართველი ხალხი თვლის არა მარტო ზვრებსა და პლანტა-
ციებში. ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებზე მოპო-
ვებული შრომითი წარმატებების საზღაურად, არამედ იმ გამარჯვე-
ბათა საზღაურადაც. რაც რესპუბლიკის მშრომელებმა კომუნისტუ-
რი ზნეობის სრულყოფისათვის ბრძოლაში მოიპოვეს. ამ ბრძოლას,
რომელიც თავისი მასშტაბით ზნეობის სფეროში მომხდარ რევო-
ლუციას უტოლდება, უკვე რამდენიმე წელია ეწევიან საქართვე-
ლოს მშრომელები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელ-
მძღვანელობით თბილისის პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ
ცპ ცნობილი დადგენილების შუქზე. საქართველოს მშრომელების
დღევანდელი ცხოვრება — ეს არის უღმომბელი ბრძოლა ყოველივე
დროშაქმულისა და მანკიერის წინააღმდეგ, ჩვენს საზოგადოებაში

ჯერ კიდევ შემორჩენილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, პათიოსანი მშრომელი ხალხის ანტიპოდების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ჩვენი ახალგაზრდობა ცეცხლის წინა ხაზზე დგას.

„ცისკარი“, ჩვენი ახალგაზრდობის უურნალო, მკითხველს სიამოვნებით მოაგონებს საქართველოს ქალიშვილებისა და ქაბუკების ხასიათლო შრომის შთამბეჭდავ მაგალითებს. ისინი აშენებენ ენგურ-პესს, და ბბმ-ზედაც ისეთივე თავდაუზოგავი ჯაფის ფასად გაჰყავთ გზები, როგორც ოდესღაც პავკა კორჩაგინსა და მის დაძმებს გაჰყავდათ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. ჩვენი ახალგაზრდობა მშვიდობის თანატოლია — გამარჯვების ოცდაათწლიანი იუბილეს ზეიმი — ეს ხომ ოცდაათწლიანი მშვიდობის ზეიმი, და ჩვენი ქალიშვილები და ქაბუკები შესაფერის პატივს მიაგებენ მათ, ვისი სისხლისა და სიცოცხლის ფასადაც დამკვიდრდა ეს მშვიდობა. დღეს, როცა ოცდაათი წლის წინათ დაცემულთა უკვდავ არმიან ვფიქრობთ, უნებლიედ გვაგონდება ჩვენი ეპოქის დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონები, ხავსე სინანულით:

სად არიან ისინი?

თუმც, რა საკვირველია,

მას აქეთ უმძაფრესი

ოცდაათი წელია!

ჩვენი ახალგაზრდობა, აღსავსე მადლიერების გრძნობით, შრომობს მათ მაგიერ, ვინც ჩვენს მაგიერ იბრძოდა!

„ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს!“ — წერდა იგივე გალაკტიონი.

საქართველოში ისევ ქრიან ახალი გრიგალები, და უოველი ჩვენგანის ვალია, იდგეს იქ, და მხოლოდ იქ, „სადაც ქარიშხალია“, სადაც ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისთვის ბრძოლის სანგარი, სადაც კომუნისტური სიწმინდისათვის ბრძოლის სანგარი.

მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ, ღირსეულად და პატიოსნად, პირნათელნი და ვალმოხდილნი შევხვდეთ ლენინელთა დიად ფორუმს — მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV კრილობას!



შენი თანატოლი

თილა აკლავალიძე

შეხვედრები ავარულ ახალგაზრდებთან

— მასო ლამაზი სოფელია? — გაიკვირებს ხელუჩაურში, მასოზე ბევრად უფრო ლამაზი სოფლები გვაქვსო, გვარწმუნებდნენ მერე. მე პირადად კი, მასოზე უკეთესი სოფელი თუა: საღმე, არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, ახლა ან მინდა დავიფიქრო გეს.

ჭარბულ კაცს თაფისი გვეყვასი სილამაზე არ უყვარს. შეჩვეულია ამაღს და მინც... წამთარში რომ ასეთია აქაურობა, რა იქნება ნახუღლში!

— აქ საუფლებლად ისე უნდა ჩამოვადგე! — ამბობს მხატვარი თენგიზ მირზაშვილი და მხერად არის მცველი.

უკან მოვიტოვეთ ხელუჩაურის ეკეკლიტების დიდებული სივანი. გადავალახეთ კოროხი და ჩვენს ცილისა-აღმართს შევუყვ. დეკემბრის ბოლოა, მავრამ აქაიქ ყურ კიდეც ვუხვდებამანდარინის დაჟვრგვადი პლანტაციებში.

წილეულს აჭარაში ციტრუსების დიდი მოსავალი ყოფილა. თელწინ მიდგასი თბილისის ქუჩები — ყოველ ფეხის ნაბიჯზე მანდარინით საესე ყუთები. ტარა არ ვეყოფნიდა. თორემ ფედალაქის მცხოვრებთ უფრო მეტს გავუგზავნიდითო, გვიბირებს ხელუჩაურელმა მე-ციტრუსებმა.

ხელუჩაურში... მაგონდება კომკავშირის რაიკომის შესანიშნავ ახალგაზრდებთან საუბარი. კომკავშირის რაიკომის მდივანმა თამაზ ჭობულაძემ, რაიკომის თანამშრომლებმა რუსუდან ჩაღლეიშვილმა, რაფიელ ჭოქოლაძემ სიანსული გამოთქვეს, რომ ხელუჩაურში ღერტყეა მათს რაიონს, მაშინ როდესაც არსებობდა ოდიშთან დამკვიდრებული სახელი — კახაბერის ველი. მართლაც, ვის რაში დასკირდა კახაბერი შეეცალა ამ სახელით...

... სიფელში შევედიოთ თუ არა, თოვს დაიწყო. სულ მალე გადართრდა გარს მოჭარული ქედები.

მასოში ეთერ მალაყშაძის სანახაუდ მივდივართო ეთერი სეიანზეა მოსკოვში. შესაძლოა, ღლეს ან ზგალ ჩამოვიდესო, გვითხრა რეზო მსხალიძემ — კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა. თენგიზ მირზაშვილი და მე ჩავეჭოდეთ ამ ვარაუდს. თენგიზს ეთერის პარტიუტების დახატვა აქვს განზრახული... რეზო მსხალიძე გვანებებს სოფლის სიანებს. სულ ოციოდე კომლი ცხოვრობდა, თურმე, მასოში — ახლა იგი ვინაზრდა უკვე 1400-მდე კომლია — მეტწილად ქედებიდან და შეახევიდან ჩამოსულან მოსახლეები.

მასო ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა ხელუჩაურის რაიონში. გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფოსათვის ნაიხა და ციტრუსების მიყიდვებს გეგმება მაგრამ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს მოსაგვარებელი... ასანერბელია ახალი კლუბი, სასურსათო მაღაზია, ეთილმოსაწყობია გზები. კოლმეურნეობის გამგეობა შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული...

მასოში კომკავშირის მდივანი, აგრეთომი ზურაბ ზაქარაძე და მოწინავე ახალგაზრდა მეჩაიეები: ნუნუ კახიძე და ვარლამ ზაქარაძე გავიცანით. გოგონები საშუალო სკოლადამთავრებულები არიან, ხალისიანნი, ენერგიით სავსენი. გულახდით საუბარში გაირკვა, რომ თანამედროვე მწერლებიდან კარგად იცნობენ პარმენ ლორიას და კიდევ ორიოდე სხვას... მოუტყელობა, რა თქმა უნდა, არ არის იმის მიზეზი, რომ გოგონები ასე ცოტას კითხულობენ. აქ უფრო ღრმად უნდა ვფიქროთ ფესვები. უწინარეს ყოვლისა, დგება სკოლის პრბობლემა, სკოლაში ლიტერატურისა და ხელოვნების სწავლების საკითხი, რაც არაერთხელ ყოფილა წევნი საზოგადოებრიობის მსყელობის საგანი (ჩვენ საშუალება არ გვქონდა დავეთვალიერებინა მასოს საშუალო სკოლისა და სოფლის

ზაბლორთეგები, მაგრამ როგორც ბევრგან, ისინი აქაც არ გამოირჩევიან, ალბათ, წიგნების სიუზებითა და მრავალფეროვნებით. რეზო მსხალაძის მაგილაზე „ცისკრის“ ახალ ნომერს მოგვარი თვალი. იგი პარტიუროს მდივანს ჰქონია გამოწერილი. ეს, ცხადია, ფრიალ საბამოვნო ამბავია, მაგრამ ახალგაზრდული ჟურნალი ბევრი ახალგაზრდისათვის მხოლოდ ყურმოცვრით თუ არის ნაცნობი. „ცისკარი“ გამოცემისი არ გასლავთ. სხვა ქართულ ჟურნალებსაც ასევე ნაკლებად იცნობს სოფლის ახალგაზრდობა).

ლიტერატურა და ხელოვნება ეახსენე და ისტორიის მისწვდა უნებურად ჩემი ფიქრი. საქართველოს სისხლითა და ცრემლით დაწერილ ისტორიას, ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, მის თავგანწირულ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ეამთ სიკვებს და ბედუქუდმართობას ყოველი ახალგაზრდა უნდა იცნობდეს. ვინ ააშენა ეს ღიბებული ხიდელები, ცისე-სიმეგრეები, უტყუ, მაგრამ ცოცხალ მართლად რომ გვხვდება ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ზოგს უტყოფლისაგან თუ გაუგონია მხოლოდ.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია თვით პედაგოგზე, მის პირად მონაღმებაზე, გრუდიციაზე, უნარზე, მაგრამ გვყავს კი ყველგან ასეთი პედაგოგები?...

მასხიდ გოგონებთან საუბარში უამრავ რამეზე ჩამოფიქრა... და სხვათა შორის, ერთი ჯონდოლედი წაენობის ნათქვამი გამახსენდა: რანაჩია მანდარინის ხე ან ჩაის ბუჩქი. სინამდვილეში არ ვიცი, მხოლოდ კიონში მაქვს ისინი ნანახი. ალაზნის ზერები კიონში თუ უნახავთ ამ აქარელ გოგონებსაც!

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობან სოციალისტურ შევიზიბუბაში ჰყავს გამოწვეული სხვადასხვა რესპუბლიკების კოლმეურნეობები. ჩაიდან. ჩამოდიან. ეცნობიან ერთმანეთს. შეარდებია მეგობრული ურთიერთობა. ეს ჩინებულა საქმეა. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ ზომ არ ვიციწყებთ სწორად საკუთარ კუთხეებს? რატომღაც არ მაგონდება, რომ აქარის რომე-ქაშე კოლმეურნეობას ასეთივე ურთიერთობა ჰქონდას. ვოქეთა, კახეთის, ქართლის ან საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის სოფელთან, ანდა პირიქით იყოს...

მანინჯაურში მითხრეს, ექსტერსიას ვაწყობთ... და ჩამოთითალეს საბჭოთა კავშირის უმრავლეს ქალაქი, მაგრამ ბევრ მათგანს თე-ლაგი, მცხეთა, ზუგდიდი თუ სიღნაღი არ ჰქონდა ნანახი.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლია პარტიო-განუხადის და კომკავშირის ამ მიმართულებით... მეორე წელი კომკავშირის კომიტეტის მდი-ნად ზურაბ ზაქარაძე მუშაობს. საქმიანი, ენერ-გიული ახალგაზრდა ჩანს; სამუშაოც უამრავია, მეტის და მეტის გაკეთება მოუწევს მომავალ-



ში სოფლის ახალგაზრდობის სულიერი სა-ზრდოს გასამდიდრებლად, რამეთუ არა მხო-ლოდ პურითა ერთიდა ცხოვრობს ადამიანი. სულიერი საზრდო ის წყაროა, რომელსაც ხარ-ბად უნდა ეწაფებოდეს ახალგაზრდობა. მით უმეტეს რომ, არის ამის სურველი და მოწა-ღინება.

სამწუხაროა, რომ ჩვენი მწერლები, პოეტე-ბი, მხატვრები, კომპოზიტორები და სავრთოდ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციაც იშვე-ათი სტუმარია სოფლებისა. არადა, რაოდენ დიდი საქმის გაკეთება შეუძლია უშუალო, ცო-ცხალ სიტყვას თუ კონტაქტს!

ამ რაიოდელ წლის წინ მახოში ერთი ბროფე-სორი ჩამოსულა თბილისიდან და ლექცია წაუ-კითხავს სოფლის მშრომელებისათვის. მე არ ვიცი ამ ლექციის ჩაბისა. არც იმ ბროფესო-რის გრუდიციაზე შემიძლია რამეს თქმა, მაგ-რამ თავად ის ფაქტი, რომ თბილისიდან სწე-ვით სტუმარი ლექციის წასაკითხად, ხასიათო-ნო მოგონებლად დაბრუნდა მანოელ მშრომე-ლებს.

... რეზო მსხალაძე და ზურაბ ზაქარაძე, მასპინძლობისათვის მოთულდნლად მიგვყე-ნა მალაყმაძეების სახლ-კარს.

ეთერ მალაყმაძეზე უკვე ბევრი რამ ვიცო-დით უნახავდაც. იგი უმაღლეს საბჭოს დბუ-ტატად აურჩევით 1974 წელს. მანამდე კი ვო-დლია რეპორტული და სასოცოლო-საბჭოს დბუ-ტატი, პახოს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, საბრიკადო კომიტეტის მდივანი. წლეულს გეგ-მით გათვალისწინებული 2,5 ტონის ნაცვლად 4 ტონა ჩაის უთოთლი მოუტყუვია. იგი მე-ოთხე ბრიკადის მე-4 რგოლს ზღუდმდენლობს და მისმა რგოლმაც მთლიანად შეასრულა ეკისრი ვალდებულებანი.

ეთერ მალაყმაძეს შეიძი და-ძმა ჰყავს. დედ-

შმა ადრე მოკვდომია და უმამაკაციოდ დარჩენილი ოჯახის ხელმძღვანელობა სიძეს — უფროსი დის ქმარს — შაქრო შარაძეს უყისრია. თავადაც, იქვე, ახლოს იშენებს სახლს.

ხელკაშლილად და გულგაშლილად შემოგვეგებნენ მასპინძლები. სახელდახელო სუფრა გაიშალა. ეთერის დები, სიძე და უმცროსი, ერთადერთი ძმა, მეცხრე კლასელი მურადი თავს დაგვტრიალებენ. იქნება ეთერიც ჩამოვიდეს დღეს, სესია გუშინწინ დამთავრდაო, გვიმედებენ მალაყმაძეები.

თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში, ზუსტად ასევე მეგონა ახალშენში, სურმა-ნიძეების ოჯახში. ახლა, როცა მალაყმაძეებთან ვიმყოფებით, თვალწინ უნებურად ცოცხლდება სოფელი ახალშენი. ისეთივე აკიბულ-დაკიბული გზები, როგორიც მახვია. ჩაისა და მანდარინის ისეთივე პლანტაციები. ულამაზესი ფერდობები, ორსართულიანი სახლები, მოასფალტებული გზები, საესეებით თანამედროვე და კეთილმოწყობილი სოფელი და... სულაც სურმანიძის ოჯახში ასეთივე მოულოდნელი სტუმრობა.

თავსხმა წვიმაში მასპინძლები აჭარული კაციისათვის ჩვეული სიციფითა და სითბოთი შემოგვხედნენ. ოჯახის უფროსი საოცრად მკერძალებული ღმილით და ამავე დროს შეფარული სიამაყით ისმენდა თავის ქალიშვილის — ცილას ქებას.



როცა სოფლის მოწინავე ახალგაზრდებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ახალშენის კოლმეურნეობის მთავარმა ავტონომმა ნოშრევან დუმბაძემ და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დავით ლორთქიფანიძემ ცილა სურმანიძე ერთერთი პირველი დასახელეს.

ქალიშვილი წითლდება და მორცხვად იღიმება, როცა მის წარმადებებზეა ლაპარაკი.

თითქოს ჩვეულებრივი ამბავია გალაპარაკებით ასრულებს გეგმებს? მოწინავე მეჩაივა? ასეთები ბევრია კოლმეურნეობაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაის პლანტაციას მიაშურა? ასე მოიქცა ბევრი ახალგაზრდა. მაგრამ იყო მოწინავეთა შორის მოწინავე — ეს უკვე იოლი საქმე როდია.

სურმანიძეების მთელი ოჯახი, ცოლქმარი, მათი ხეითივე შეილი კეთილსინდისიერად მუშაობს კოლმეურნეობაში და სულაც არ არის საკვირველი, რომ ცილაც ასეთი შრომისმოყვარე, გამრჩე და თავმდაბალი გოგონაა.

თენგიზი ცილას ჩანახატს აკეთებს, ჩვენ კი ვაცხოველებით ესაუბრობთ თითქოს შევეჩვიეთ ამ ტონობით მოკრეფილ ჩაის ფოთლებს. ტონობით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი — ესაა დღე და ღამის გასწორება, თავაულებელი, თავდაუზოგავი შრომა დარსა თუ ავღარში. და ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

ტონობით მოკრეფილი ჩაის ფოთოლი — ესაა სოფლის ზევი და ბარაქა, მისი ორსართულიანი, დიდებული სახლები, გაზი და ტელევიზორი თითქმის ყოველ ოჯახში, გზატკეცილები და კულტურის სასახლები, საშუალო სკოლები და ბავშვბალები და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი სიციფი და სინათლე...

განსაკუთრებით ემადლიერებიან ახალშენლები კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარეს შთა თურმანიძეს. ეტყობა, ახალგაზრდა თავმჯდომარე საქმიანი, გულისხმიერი და ამავე დროს მომთხოვნი ხელმძღვანელია, მაგრამ ახალშენსაც თითქმის იგივე სატყეიარი აქვს ახალგაზრდობის კულტურული მომსახურების მხრივ, რაც მამოს. როგორც ჩანს, საკმარისი არ არის კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, სადაც რეგულარულად უჩვენებენ ახალკინო-სურათებს, საკმარისი არ არის არც მართოდენ მხატვრული თეიმოქმედი გუნდები...

საგულისხმოა, რომ კომკავშირის ხელმძღვანელებს, იმათ, ვისთანაც ჩვენ საუბარი გვქონდა ამის თაობაზე, ღრმად აქვთ შეგნებული და კარგად ესმით ახალგაზრდობის საჭიროებანი, მათი გავრდილი მოთხოვნილებანი. როგორც ხელვაჩაურის, ისე ქობულეთის კომკავშირის რაიკომის მდივნები თამაზ ქობულაძე და თამაზ

ცილა არაბუღლია

შხეშიდრემი აპარელ ახალგაზრდებთან



ჯათარიძე უმარიანი, ეპერკიული, ერდღირებუ-
ლა აბალგარდებო ირიან და ემედია, ჯალამ
არ. დამუშრებენ, რომ მონახონ ედრო ქვედოთი
ხამუღებანი აბალგარდობის სულიერი მოთ-
ხოვნილების დასაქმყოფილებლად, მერის მონ-
დონებოთი მოეცდებიან იმ დიდ, საბასუისმეგე-
ლო საქმეს, რასაც აბალგარდობის აღზარდა,
მათი ხელმწიფანელობა მოითხოვს.

... რეზო მსხალაძემ ეთერ ნალაყმაძის სა-
დღერაძელო ასწია. მე და თენგიზ მარზაშვილი
მოვეშაადეთ მოსასმენად, რადგან ჩვენებური
სადღერაძელო, ზაღალფარდოვნიზნ მონებდა-
ვად, ბაროკენების რაღაც ღერულუბსა და შტრი-
ხებზე ღრუთოდ მიგვიანიშნებს ხოლმე.

ამ დროს თანჯარას მიმდვარმა ეთერეს უმ-
ცროსმა დამ წამოიძახა:

— ეთერი ჩამოვიდა!
წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთს გაღებულენ.

— რაღაც მეტისმეტად ჟურნალისტურ გამოანგონს ჰგავს შეილი ეს ამბავი! — ხშირად გაოგოებული გულში ნათქვამი. ყველას ერთდროულად გაგვიცინა.

ამასობაში ოთახში შემოცქრილად ტანმოკრილი, სანდომიანი სახის გოგონა. თვალები უბრწყინავს სახე უცნის. დაჯდომას ძლივს აცლიან. კიბუხას კიბუხაზე აყრიან. იგი სხარტად, ლაკონურად პასუხობს შეკითხვებს, თან სტუმრებს არ გვითხრობს უფერადლებად. უნებურად ჩუმად ეკვირდები. და რაც მეტს ეუფლებს, მით უფრო და უფრო მომწონს. საოცრად ნათელი სახე აქვს და მართალი, ალალი თვალში.

— მოსკოვეთი შეაბუქდილებანი? აბა რა უნდა გითხრათ? ძალიან კმაყოფილი ვარ. პირველად რომ ეიყავი, ვაზაფხულზე, ბევრი ვერაფერი დავათვალიერე. დრო არ მქონდა. ახლა კარგად დავათვალიერე... მაგზოლუქვში ეიყავი. დარბაზში რომ დევნიდი, სულ ახლოს ებედავდი პარტიისა და შთაფრობის მეთაურებს. მოულოდნელად ეთერმა პარტიუროს მდივანს მიმართა:

— ემირიძე! დასუსტი თუ მოვიდა? რეჟისორს მსახლაქმე მცირეხნის სიჩუმის შემდეგ უპასუხა, არა, არ მოსულაო.

— მაშ, უნდა შეგვცხე მე ჩვენი ხალხის წინაშე? — ფერხი ეცალა ეთერს.

მერე ცხარედ, დაუფარავი გულისტიკივლით ალაპარაკდა. თბილისში თურმე რეგულარულად არ დადის ავტობუსი. ის ერთადერთი ავტობუსი ძველი, დანადგურული, მინეზალური ყოფილა. უქორთ პედაგოგებს. სიფუფუნებაც უფრ მიდიან დროზე ბათუმში.

— წაწის ქედის ძირში მცხოვრებმა ფატიმა დაჯიფქმე როგორღა უნდა იაროს მცირეწლოვანი ბავშვით ხელში სოფლის ცენტრამდე ამ სიცივეში? მერე, რა ქარი იცის ხოლმე აქ ზამთარში...

თბილისის მცხოვრებთ შეუჩივლიათ ამის თაობაზე ეთერისთვის, როგორც დეპუტატისთვის, და დახმარება უთხოველი. ეთერიც, შეპირებული. ბათუმის რადაქციაში მიუწერია წერილი. რედაქციას ავტორტანსპორტის მმართველისთვის გადაუგზავნია საჩივარი. მმართველს პირადად ელაპარაკა თურმე ეთერი. ისიც შეპირებული ახალი ავტობუსის გამოყოფას. მაგრამ შეპირება ჭერჭერობით შეპირებად დარჩენილა. და აი, მოსკოვიდან დაბრუნებულმა დეპუტატმა პირველ რიგში ეს იკითხა. როგორც ჩანს, მოგვეჩვენა არ ახლევდა ეს ამბავი, აწუხებდა.

— თბილისარელებმა უნდა დამძახონ, უბირო ყოფილა, სიტყვა არ შეასრულაო?

თავა შეწყდა. მერე უინფლად დაიწყო. ასეთ ამინდში კარგია შინ ჯდომა. დასვენება. სწორედ ამ დროს ისვენებენ ხოლმე მუჩიები. თორემ ვაზაფხულიდან მოყოლებული გვიან შემოდგომამდე დღე და ღამე გასწორებული აქვთ.

— დილით როდის ედგები? სანდახან ნუთ საათზეც, უქვსზე ხომ აუცილებლად. ამინდი? ამინდს ვინ აქცევს ყურადღებას. ჩაის დუყებმა არ იცის ამინდი. იგი დროზე უნდა დიეტაფოს, თორემ მერე ფსი არა აქვს, წყალში ვადაყრება შრომა. ახლა, როცა რგოლურ სისტემაზე ვართ გადასულები, ყველა ცდილობს, ერთმანეთს არ ჩამორჩეს. დასწრებაზეა ადგომა, ვინ უფრო ადრე გაეა პლანტაციამდე. რა უპირატესობა აქვს რგოლურ სისტემას? მეტია ლინტარესება, მონღოშება. თვითუფლი ბრიგადის თუ რგოლის წევრი მოწადინებულია აუცილებლად შეასრულოს გეგმა, თორემ ერთმანეთს ვერ შეასრულოს გეგმა, საერთოდ რგოლი თუ ბრიგადა ვერ მიიღებს პრემიას.

კი ვაპირებ წყალის გაგვრებას. ბათუმის პერიმეტრულში მინდა ჩავაბარო. ლიტერატურა მიყვარს. ძალიან და ისტორია. სკოლაში ისტორიას კარგი მასწავლებელი გავსწავლიდა, ფრიდონ სიხარულძე. იმან შეგვავყვარა სავანი. მაგრამ ჭერჭერობით სახლის საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. მერე ჩემი და უნდა წავიყვანო თბილისში სამკურნალოდ. ვნახოთ, წლებულს თუ მოვახერხებ ჩაბარება...

სწრაფად ლაპარაკობს, მაგრამ გარკვევით. ასწრებს უმცროს ძმას გამოკითხვას. სკოლის ამბები და თან დის ავადმყოფობის შესახებაც მოგიყვებს. ეს პატარა გოგო თანაბრად იფერებს მსრუნველი ღედისა თუ უფროსი დის როლს...

საუბრის დროს ეთერი ხშირად იშვლელებს თავის პატარა, თეთრ ხელებს.

მეჩაივს ხელებს ხშირად კლავებზე პიანისტის მოთამაშე თითებს ამსვენებენ. არც თუ უსაფუძვლო შედარებაა, ოღონდ მეჩაივს ხელებმა არ იცის, რა არის დაღლა, არ იცის დილა, შუადღე, საღამო. არც დარი იცის ამ ხელებმა და არც დიდარი.

ტანობით ჩაის ფთოლი ამ პატარა ხელზეთ მოკრეფილი — მართლაც რომ გმირობა. მაგრამ... მე მაინც ვნატობ, და ალბათ არც თუ შორსაა ის დრო, როცა ამ ნაშ, პატარა ხელებს ყველგან შეეცვლებიან მანქანები. მაინტერესოებს შრომა...

მაგრამ ჭერჭერობით, ვიღრე საჭიროა, ვიცა, რომ ეს ხელები თავალშეუვლები სისწრაფით იმოძრავენ ჩაის დუყებში... და მიყვება ბუჩქი ბუჩქს, მწერი მიწას. გაივება კალთი-

ციალად არღაშლია
შინამდრები აბარალ ახალგაზრდობთან

ბრ. ერთმანეთის მიყოლებით და საღამოს ბინდ-
ბუნდში, როცა მზე აკრიფავს უკანასკნელ სხი-
ვებს — ნაჯაფარი, დამაშვრალი, მაგრამ შინა-
განად კმაყოფილო გოგონები დაადგებიან ში-
ნისკენ მიმავალ გზასა თუ ბილიკს. მიიწურება
კიდევ ერთი დღე — შრომითი გმირობის დღე.
იგი მოიტანს სულიერ კმაყოფილებას, იმის შე-
გრძნობას, რომ ნაყოფიერი იყო ეს ერთი
დღეც და ბარაქიანი...

შეზინდებული იყო, მაზოდან რომ წამოვე-
დით. წამოვედით ტკბილი და მოსიყვარულე
ოჯახიდან, სადაც ერთმანეთისადმი ზრუნვა და
სიზოთო, აღმზანებისადმი სიყვარული და საქმი-
ნითი ერთგულება და თავდადება ძალსა და
რბილში აქვს გამჭდარი თვითმუცლს. თან მო-
ყვებოდა სოფლის რჩეული გოგონას თვალების
შუქი, მისი პატარა, მაგრამ ღონიერი ხელების
მადლი.

... თებერვალში, სოფლის მოწინავე ადამი-
ანები ეწვევნენ ჩვენს დედაქალაქს, მათ შო-
რის ბევრი იყო აქარელი ახალგაზრდა. ისი-
ნი მთელმა საქართველომ იხილა ტელევიკრანზე.
ერთი მათგანი — ჩაქველი ყუყუნა თავდგირი-
ძე, ტელეობერატორების კამერის წინ გაჩვეულ
კინოგარსკვლავს რომ ჰგავდა, საქართველოს
კომკავშირის 30-ე ყრილობის დელეგატი და
სოციალისტური შრომის გმირის — ემიენ ზა-
ქარაიძის პრიზის მფლობელი გახლავთ.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა ქობულე-
თის კომკავშირის რაიკომმა: დაწესდა სოცია-
ლისტური შრომის გმირების ემიენ ზაქარაიძის,
ქეთევან გოგითიძის, ნათელა ჩელებაძის სახე-
ლობის გარდამავალი პრიზები.

ყუყუნა თავდგირიძე, ავთანდილ გოგითიძე,
თემურ ხაჯიშვილი, პავლე ქანტურიძე და კიდევ
რამდენი ასეთი მოწინავე ახალგაზრდა ჰყავს

აჭარის თვითმუც კოლმეურნეობას, მეურნეო-
ბას, ქარხანასა თუ ფაბრიკას!

როცა ეთერ მაღაყმაძე ლაბარაკობდა თავის
წარმატებებზე, მომავალ გეგმებზე, დიდებით
და პატივით ვარგულოსილ ამ შესანიშნავ გოგონას
რომ ვუყურებდი, მასი სახით ვხედავდი იმა-
თაც, ვინც ახლა ტელევიკრანზე არ ჩანდა, მა-
გრამ თავისი ღირსეული წვლილი ჰქონდა შეტა-
ნილი საერთო წარმატებებში.

... და ახლა, ტელევიკრანს რომ შევცქერო-
დი, თვალწინ მედგა გამთენიისას აჩქარე-
ბული ნაბიჯებით პლანტაციებში მიმავალი გო-
გონები — ჭერაც ლოგინის სიზოთო რომ გამო-
ჰყოლია მათ ხეულს. ისინი არ ეუბნებიან ჭი-
რეულ გაზაფხულს, არ ეუბნებიან ჭერ კიდევ
ძვალსა და რბილში გამტან დილის ნესტიან
სუსს და სულსწრაფად მიეშურებიან პლანტა-
ციებისაკენ, რომ არ ჩამორჩნენ თანატოლებს,
არ დააგვიანონ, დროზე მიუსწრონ ნორჩ დუ-
ყებს.

წლევანდელი წელი ხომ მე-9 ხუთწლედის
გადამწყვეტი წელია.

„ყველანი შრომითს ფრონტზე!“ — საქარ-
თელოს კომკავშირის, ჩვენი ახალგაზრდობის
ამ დღევის ერთსულოვანი ესმაუტებიან აჭა-
რის ახალგაზრდები და დარწმუნებული გარბთ,
ისინი წლევულსაც თავიანთი გმირული შრომით
სახელსა და დიდებას შემამატებენ ჩვენს ქვეყ-
ნას.

... და კვლავ ითქმის კიდით-კიდემდე ქება-
თა-ქება ქალის მადლიანი, გამრჩე და ნაზი ხე-
ლებისა, ქვეყნის დოვლათს და ბარაქას რომ
ქმნის, ქალის პატარა, ნაზი ხელებისა — სი-
კეთის და სინათლის, მშვენიერებისა და სათო-
რების სიმბოლოდ რომ ქცეულა დასაბამიდან
დღემდე.



ჩვენი სიმღერა და სამოქმედო

ტეტეურ ხო-ს და თავადურ დიახ-ს,
იმერულ კი-ს და თავების ქიციანს,
ქარის კვალდაკვალ თანხმობის შრიალს,
ლეთარგიაში ჩაძირულ სინდისს,

ვუპირისპირებ მე სიტყვა არა-ს,
ვაპირისპირებ მუხას და სუროს.
სხვამ მორჩილება ირჩიოს ფარად,
შენ ამ სიტყვამდე ამაღლდი, სულო!

არა — თქვა აბომ. არა — თქვა ცოტნემ.
შეცბა ნოინი და მოედანი.
არა — მერანი მიწას სცემს ტორებს —
მარად იცოცხლებს ჩემი მხედარი.

მე ამ სიტყვაში ყველაფერს გავცვლი.
გინდა მაწამეთ, გინდა მოშალეთ.
წამისვით ზურგზე წებო და თაფლი
და დამახვიეთ ზედ ბუხანკალი.

ისევ ავირჩევ დღეებს უარესს
და ავაშაღებ სიტყვას უმცირესს,
თუგინდ მიმავით ცხენის ძუაზე
და ცხენს მათრახი გადაუჭირეთ.

არადა, ისე მიყვარს სიცოცხლე,
ვით მგალობელ ჩიტს და მუშა ფუტკარს.
თვალი სვამს ატმის პირველ სიმორცხვეს
და ტერფებით ვგრძნობ ბალახის სუნთქვას.

იქნებ ამიტომ მჯერა, რომ შეგძლებ,
ერთხელ მეც ვიტყვი ჩემს სათქმელ — არას,
ისევე, როგორც თქვა ალიენდემ,
პაბლო ნერუდამ და ვიქტორ ხარამ.

იქნებ ამიტომ არა ვხრი თვალებს
და არც ფერს ვიცვლი, როგორც გულაბი.
შორს, მწვეარივით გაწევილ მხარეს,
ზურგში ჩაარტყეს დანა გულამდე.

დამძიმდა ჩემი საზიდი ტვირთი.
გაძნელდა დღეთა რიგის დასტურთი.
შორია ჩილე, ისე ვით მითი,
ახლოა სახლი და სამსახური.

ვის ფანჯარაშიც მზე თმებს ივარცხნის,
ფიქრობს, არაა ქვეყნად ჩრდილები.
ივითკმაყოფილი მიცინის კაცი,
არ მიყვარს მისი თოხა კბილები.

სამაგიეროდ მას უყვარს სარკე,
აქვს საკუთარი წუთისოფელი
და, იქნებ, ამ კაცს არცა აქვს ნაკლი,
ის თანახმაა და მადლობელი.

ტკივილს ვინც ვერ გრძნობს,
ადვილად ითმენს.
შორია მისთვის შრიალი აფრის,
ვით ოკეანის მეორე კიდე,
სად — არა! — ტალღად ესლება ნაპირს,

სად დაუნთია ჯალათს ხანძარი,
სად არა ხრიან ანთებულ თვალებს...
ერთად აშენეს დიდი ტაძარი
და, ალბათ, კარგად, რადგანაც კლავენ.

დღეებს ამოკლებს ტირანის რისხვა,
დღეგრძელი იყო და არის მარად
ათასი წლის, თუ კილომეტრს მიღმა
ერთხელ და მოკლედ ნათქვამი — არა!

ქალაქი დუღდა ღვარძლით და ეჭვით.
მზე ჩრდილს ეძებდა, ისე ცხელოდა
და მოდიოდა ლამაზი ბიჭი —
ემღერებოდა და იმღეროდა.

შეეხებოდა თითები სიმებს
და როცა ხვატი ეძებდა ტალკვესს,
მაღალ ქუსლებზე შემდგარი წვიმა
მოირჩეოდა სიმღერის ტაქტზე.

მოდის მიხედვით ჩამოშლილ თმებში
იკარგებოდნენ გრძელი თითები.
იმღერე ხარა, ჩემთვის და შენთვის,
იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით.

თორემ ამოკლებს გასაგებელ მანძილს
დრო — დაუღლევი მარათონელი...
ქალაქში უკვე დამწიფდა ღვარძლი —
ნაყოფი მწარე და მათრობელი.

შაშინაც, როცა გულში გესვრიან,
დაგეფინება თვალებზე ბინდი,
ვინ დამარწმუნებს, რომ ზედმეტია,
ტელევიზორის ანძაზე ჩიტო.

იმღერე ხარა, ბოლომდე შესვი,
ეს კამიკაძის კუთვნილი საყე,
გაეიწეპირებ სიმღერას შენსას,
ვით კარნავალის დედოფლის სახელს.

მაგრამ სიმღერის რა იცის თოფმა...
ნანადირევად ჰკილია ვაზნებს,
ვით ვიოლინის მაღალი ნოტა
თვითმფრინავების ნაკვალევს ცაზე.

სისხლიანია ჯალათის სელი,
ჯალათის ხელმა არ იცის დაღლა.
განწირულია სიცოცხლის დღენი —
გრანტიტის ჯებირის ესლება ტალღა.

ჯალათის სელი, ტორი თუ თათი,
როგორ გაიგებს, რად არ ტირიან,
ხანამ ცოცხალ ხარ, იმღერე მათთვის,
ვისაც სიკვდილის არ ეშინია.

მე შენ სმას ვიცნობ, ვით გულის ფეტქვას.
მე ესედავ ჯებირს როგორ ესლები...
იმღერე ხარა, ჩემთვის და შენთვის,
რადგან ვერასდროს ვეღარ შეგხვდები.

ასლა კი, გეტყვი უტყუარ ამბავს:
ათას წელს მერე, დარში თუ ქარში,
ქუჩებში შენი გაივლის სამბა
და მთელ ქალაქში შადრევნებს ვაშლის...

დღეს უფრო მეტი ძალით მიწყურია
შენი სამშობლოს მზეცა და ნისლიც...
ეს რანაირი გაზაფხულია —
ადამიანის იღვრება სისხლი.

ადამიანის იღვრება სისხლი
და ბოროტებამ ისევ იბარტყა,
სიკეთის ფასი დღეს უფრო ვიცი
და უფრო მიყვარს, ვიდრე მიყვარდა.

განახლებული შენი ქვეყანა,
ქვეყანა, შენი ყელით ნაქები,
გზები, რომლებიც ასე გიყვარდა,
გადათელილა მძიმე ტანკებით.

შენ რომ აგებდი, ის სანტიგო
გადახნულია, ვით კართაგენი

და სანტიაგოს მართავს იაგო
სხვისი ნებით და სხვისი სახელით.

კენის გენმა ისევ იბარტყა,
კვლავ მოედანი დარჩათ ორპირებს.
და სტადიონი, შენ რომ გიყვარდა,
შენი ციხეა და საპყრობილე.

სტადიონებო მთელი მსოფლიოს,
კაცთა ვნებების დიდო სამარსო,
საგულდაგულოდ მორწყულ-მოვლილო
და შეკრებილო მწვანე ბალახო,

მთელი მსოფლიოს სტადიონებო,
მეც მადღეს თქვენი სარკი და ბაჭი.
აღტაცებების საბადოებო,
სალაროებო სტევენის და ტამის.

... დაფრინავს ბურთი. მწვანეა მთლი.
ბადეა, მახე თუ კაკანათი
და ფიქრი, როდის იქნება გოლი,
ბატონოს, როგორც დროზე საათი.

აღტაცებაში შემართულ ხელებს
ნება, აღვირი, ვეღარ იოკებს.
ბურთზე ფეხი თუ აუცდა პელეს,
ბურთი ეჩრება მბეგრავ იოკებს...

სტადიონებო მთელი მსოფლიოს —
თქვენი სახელის მუსიკით ვსარობ.
იმრავლეთ, რათა ყველამ დადიოს,
თაკისი წილი სიამის წყარო.

შრიალებს თქვენი მწვანე სამოსი,
როგორც ზღაპარში, როგორც არაკში,
სტადიონზე კი სანტიაგოსი —
აღარ იზრდება მწვანე ბალახი.

აღარ იზრდება. მხოლოდ სმა სროლის
ისმის იქ, სადაც დგება ჯალათი.
ნაცვლად ბადეში გაბმული გოლის —
გაბმული ჯერი ცრის ავტომატის.

მე შორს ვარ. მცირე, ვით წვეთი ზღვაში
და არაფერი მაქვს საამაყო.
მიანც, ოცნებავე, რაკი შენ დამრჩი,
ისევ ჩემია მთელი სამყარო.

გარიყულ ბოთლში ჩატენილ წერხლს
ათრთოლებული თითებიტ გაგშლი,
შორს იყო კიდევ თხუთმეტი წელი,
როცა აფრები გაგშალე ქარში...

-ძველი დამრჩა ტკივილი და სევდა.
ოცნებები დამრჩა საყვარელი,
ნებიერი, როგორც დედისურთა,
ცხელი, როგორც ცხენის საფეთქელი.

ამ სიყვარულს ვერაფერი წაშლის
ქარიშხალმა ტყნის ანძის ტანი...
გემი ნელა იძირება ზღვაში,
გემს არ ტოვებს მხოლოდ კაპიტანი.

ქარიშხალი არწივის ფრთებს გაშლის
და კლანჭებით მზე კრავივით მიაქვს.
გემი ნელა იძირება ზღვაში,
იტენება საბოლოო ტყვია.

მოედანი გაესებული ჯარით
მესტერ ტალღად ესეთებება გემბანს.
კედება ჩემი გემის კაპიტანი,
ეს საღვადოთ აღიენდ კედება.

სიკვდილამდე სახეშემკრთალი,
როგორც გმირი, ერთი, მარტოდმარტო,
კედება ჩემი გემის კაპიტანი
და კოლეგა ჩემი საამაყო.

ოცნებაში ერთად ვშლიდით კრავს.
სინამდვილე — მკაცრია და ძნელი:
ცოცხლობს შენი ვაჟკაცური — არა,
ცივი არის შენი საფეთქელი.

სიხარულის ცრემლები სდის ჯალათს.
გაშრობია ცრემლი ცოლს და დედას...
ჩვენშიც ასე „აფასებდნენ“ ამაგს —
ვინ დატოვა წიწამური კენტად...

ვინ შეაბა სვეტიცხოველს მკლავი,
ან რამდენი ძველი ელის გმირებს...
ახლაც ტალღად აზიდულა ხალხი
და ნერუდას ეთხოვება ჩილე.

მზიანი დღე გასგეულა ნისლში.
ზარბაზნის სმა მოთქმას გადაფარავს,
დგას ჯორდანო ბრუნო ცოცხლის წინ,
რეკავს ზარი და პოეტის — არა!

გმირი გმირს ცნობს სმით და გულის

ფეთქვით
და სრულდება პაბლოს ბოლო ნება:
ვიქტორ ხარას, აღიენდეს გვერდით,
ის, ვით ცოტნე დადიანი, დგება.

თქვენ სახელებს ვერაფერი წაშლის.

ვით სიმღერა, თქვენ იცოცხლებთ მარად,
ამაყი, ვით დროშები ქარში,
ლამაზი, ვით ვაჟკაცური — არა,

ჩემი ქვეყნის მე სიმცირეც მიყვარს,
მით უფროა ლელვ გასატანი...
ერთი გვერდის სინდისი და სიტყვა,
ერთი გემი, ერთი კაპიტანი.

... შორეული, ახლობელი მხარე,
სექტემბერი, ვაზი დასეტყვილი...
ტურები გრძნობს ცრემლის მწარე მარტოს
საფეთქელი — დაგუბებულ ტკივილს.

... შორეული, ახლობელი მხარე,
გაფენილი ოკეანის პირას...
ფილტვები მაქვს დატენილი ქარით
და გულს ერთი სატივარი სტივა.

შორეული, ახლობელი მხარე...
ახლობელი, დამემოწმე ქარალო,
ჩვენზე რამდენს გადუგლია ქარებს,
მაგრამ განა, უნდა დავიმარხოთ!

ისევ მჯერა გასაფხულის წვიმის
და ზაფხულის თაყარა მზის მჯერა,
უღრუბლო ცის და უსისხლო მიწის,
ნათელი დღის დაბრუნების ჯერ არს.

ნათელი დღის, მგალობელი ჩიტის,
გამორენას ველი, როგორც წერილს.
მსუბუქია იმედების ტვირთი.
ტარება კი, მძიმეა და ძნელი.

შორეული, ახლობელი მხარეც,
უნდა გვემადეს, რომ დარეკავს ზარი...
დღეს ამ ლექსით გისხნი გულის კარებს —
ეს ლექსია ჩემი სამიძარი.

სამიძარი და სიმღერა ჩემი,
ერთი სიტყვის ლექსი საქებარი,
მცირის, — როგორც მამაცათავის დღენი,
ბასრის, — როგორც სვანის სატევარი.

ზედმეტია ცრემლები და ტაში.
გმირი კედება, რომ ცოცხლობდეს მარად,
ამაყი, ვით დროშებია ქარში,
ლამაზი, ვით ვაჟკაცური — არა,



ჩ ვ ე ნ

ხოდაბუნებში ხარი მოდის რქასანთლიანი,
ჩვენს ჯეჯილებში ოქროლია გაიღიმებებს,
ფიქრი ქედანზე, ცა მაღალი, პური მახობლის —
ახლა ჩვენ უნდა მოვუტანოთ ადამიანებს.

არც ერთი სიტყვა, — რა ძნელია ყანაში სეტყვა,
ნუ გავიხსენებთ, — რა მძიმეა ჭაობის ფერი...
ჩვენს ირმებსა და ქათქათა კრავებს
დაუკოცნიან ნაწვიმარ თვალებს,
აიტატებენ ხელში სათუთად
და იმღერებენ:
— ხოდაბუნებში ხარი მოდის რქასანთლიანი!..
რა მაღალია სიმღერა ცაზე, —
ხვალ ამ სიმღერას ჩვენ მოვუტანთ ადამიანებს.

ა ღ ს ა რ ე ბ ა

იმედს შემოგწირავ, შენ თუ მოისურვებ, შეიღფერო,
ლოდინს, — შვლის ნუკრევით კალთაში ჩაგისვამ, შეიღფერო,
სიმშვიდეს მოგიტან, — დამალონ ხმებმა და ფერებმა, —
იქნებ ჩემი გული, იქნებ ჩემი ფიქრი გენება?

ო, შენ რწმენაც გინდა, ჩემი სიყრმის შვილი, შეიღფერო,
და სხვაც ყველაფერი, ზემოთ ჩამოთვლილი, შეიღფერო...

რწმენას ვერ შეგწირავ,

რწმენა ჩემად მინდა,

ის მე შევიფარე,

ლამის ერთი ციდა;

მიწას არიდებდა

ნაზ და შიშველ ფეხებს,

ის მე სიამაყის

პურიტ გამოგვებზე;

მერე ნათლისწვალი

მივაწოდე პეშვით,

მერე ჩავახანლე

ბალახში და ხეში;

ახლა მაღალია, —

ისე გაიზარდა,

თვითონ მიმაცოლებს

საკურთხეგლის თადთან,

ის შენც შეამჩნიე

შვიდფერო და ცხრაფრთავ,
მიტომ დაივანე
ჩემი სახლის კართან;
ქარი ამტვრევს ისევ
ყვავილებს და რტოებს,
ქარში ვეღარ ვახელ
დაღლილ ქუთუთოებს;
შემინდე, შვიდფერო,
ვეღარ ვახელ თვალებს,
რწმენა უხორცოა,
მე კი დავიღალე;
ადრე დავიღალე,
რადგან მქონდა წამი, —
მშიერ რწმენისათვის
ვიკაწრავდი ნებებს...
და რომ ვერ ვიშოვე
მაშინ ნათლისწყალი, —
ჩვილი საკუთარი
სისხლით გამოვკვებე.

ს ი ზ ე ა რ ი

დამესიზმრა, — სულ უბრალო სურვილები მქონდა:
მცირე ქოხი — ნათლის ბუდე.
სასთუმალთან ანგელოზი.
ცის და მიწის შეძახილი, —
— გამო, სხივი გვაკლიაო!..

გაიგეს და შეიცხადეს, — ნახეთ, ეს რა მოინდომა?
— ქოხი, თანაც ნათლის ბუდე, სასთუმალთან ანგელოზი!
— ხა, ხა, ხა, ხა... ცის და მიწის, — ხი, ხი ხი, ხი...
შეძახილი...

შალაშინით დიდხანს მთაღეს, ყველა კორძი მომაცალეს,
მაკრატლებით დიდხანს მაკრიჭეს აწვერილი ლერწები,
გამლაქეს და მაპრიალეს, მაპრიალეს...
და გულდამშვიდებულებმა მიმატოვეს კუთხეში.

ისე მშვიდად მიმეძინა უფოთლოს და უკორძოს,
არასოდეს არა მქონდა თითქოს ქვეყნად ოცნება...
გავიღვიძე, გავიღვიძე, გლუვი კანი შევიფერე,
ყური ვუგდე რაღაც ბგერებს, მივეფერე მქისე ფერებს...
ერთ დღეს აღარ დამეძინა, მომეჩვენა ჩემი წვიმა,
ჩემი კორძი, კორძზე ლერწი, ლერწზე კვირტი,
კვირტზე ფიქრი...
ჩემი ფიქრი სულ უბრალო: სასთუმალთან ანგელოზი,
ცის და მიწის შეძახილი, — გამო, სხივი გვაკლიაო!..

აგბორგდი და აფორიალდი, —
ვაი, ჩემს თავს აღარ ვგაგდი,
ვიტირე და ვივაგლახე,
დილით... ტანზე... კორძი ვნახე...
კორძი ვნახე სულ პატარა, და ვიპოვე ჩემი თავი!..

შენ რა გგონიოთ, ვაჟო! არცა მგეთა ქალნი ორთ,
კოშკნი ორთ რკინით ნაგებნი, ეკალდამაის კარნი ორთ...
ხალაური

მოდით ზღვის ნაპირას, მზე მოგქონდა თვალებით,
დაპყრობილი ციხეები — ტანკენარი ქალები,
შენს ფერხთა ქვეშ კართაგენის კარებივით ეყარა, —
შენს ბიჭობას შენატროდა ლამის მთელი ქვეყანა.

მოდით, მზესთან ერთად ცაც მოგქონდა ამ დილით,
ერთი კოშკის დარდი გკლავდა, ერთ ქალაის ქადილი...



ჩვენ უდაბურების ვართ ფერიცვალება

ბაიკალ — ამური!
ბაიკალ — ამური!
გვედახის, გვედახის მქუხარე მამული.
საუკუნეების
პირქუში მხლებელი,
მკვდარი დუმილის სატანა ბებერი.

ბაიკალ — ამური,
ბაიკალ — ამური —
შენების გზნება და მუზის აღმური.
უმკაცრეს ტაიგებს
ვინც ფეხქვეშ გაიგებს,
ის მთელ სიდიადეს შრომისას გაიგებს.

შრომის მძლავრ ყიფინა
სამშობლოს იმ ჭერქვეშ
მამაცმა ქართველმა ბიჭებმაც იჭექეს.
რათა ისტორიის
აღსრულდეს ბრძანება, —
ჩვენ უდაბურების ვართ ფერიცვალება.

დღეს ვის არ ახარებს,
დღეს ვინ არ ამაყობს,
რომ ფრთები გაშლია საქმეებს სახალხოს.
დე გრძნობდეს წუთიც კი,
მჩქეფარე მძლუ ზვირთად, —
რომ გვევია სისხლ-ხორცი
იმ ზღაპრულ დევმირთა,

ერთ მცნებად, ერთ დროშად,
ერთ სუნთქვად ანთია:
მშვიდობა, ხუთწლედ, ხალხი და პარტია.
რომელთაც ლენინის
გზით ცხრაას ჩვიდმეტი
სჭედეს და ეპოქად აქციეს იმედი.

გაშკაშმა მომავალ
ქალაქთა, დაბათა,
ჩემს სულში მზიანი ოცნება დაბადა.
მომავლის გზა ისე
როგორ გადიშლება,
თუ არ ავგუგუნდით კეთილ ქარიშხლებად.

მე ვხედავ დოვლათით
დატვირთულ ვაგონებს,
რომელთა ლად ქროლვას ვერარა აყოვნებს.
გული შემართულა,
მკლავი დაძარღვულა;
მამულთ, მზადა ვართ შენდა სამსახურად!

მიდის ეს ტრამვაიც უჩემოდ,
ფიქრები უღექსოდ ვერ ძლებენ.
მეძებენ თბილისის ქუჩები,
დიდი ხნის დაკარგულს მეძებენ

ქარი — მწუხარების ზვარაკი —
მოთქვამს, ჩემი ბედი აგიფებს.
და ელის მშობელი ქალაქი
უცერად შეწყვეტილ ნაბიჯებს.

დელავს ამ ქუჩაზე,
ბორგავს ამ გამზირზე
ზღვა ათას ხუთასი
მზისა და ქარის.
თუ არ დამანახებ,
ღმერთო, დამასიზმრე,
თბილისი, — ისეთი,
როგორიც არის.

ჩვენი პონოლოგი

ლადი ოცნების ვსვი მე მზე
წყურვლით მძაფრზე მძაფრითა,
და ჩემი ჩანგის სიმებზე
დილა პანგივით დაფრინდა.

ღამე? რის ღამე! რა ღამე!
ქროლვა მწადია ქარული.
ასი აღმართი დავღალე
ჩემთა-მერანთა-მარულით.

რადგან ამ გულმა ზღაპრული
ძმობა ტკბილ რწმენას შეჰფიცა,
ვმადლდებით მე და მამული
ტრფივლით ერთმანეთისა.

სახნისი ამიპრიალე,
სიცოცხლე, მარად მქუხარო,
რომ ავაყვავო აპრილი
და კაჭაჭს ძირი ვუთხარო.

მეც იმ მიწის ვარ ნაწილი,
სადაც მზის მეფობს თვალყური;
მიმაფრენს სამი არწივი:
ცოტნე, თორნიკე, ბაკური.

დღე დღევანდელი მიმაფრენს,
ვერ შემაჩერონ ბინდებმა!
მავ გაუმარჯოს იმ აფრებს,
წინსვლად რომ აღიღინდებამ!

თავდავიწყებით ვსვი მე მზე,
ნაპოენი სულის ლამპრითა...
და ჩემს უნაზეს სიმებზე
ჟრჟოლად ნათელი დაფრინდა.

დავით გურამიშვილს — მისსავე კილოზე

გულმა გიგრძნოს ღმრთის ნებით და კვლავ გითხრას: — ადგო,
ქართლის მომთხრელს თუ ნახავ, სული ამოჰხადეო,
სიტყვაც აყვავებულა, შენ რომ შეიღაღ ზარდგო,
ხმელზე ვერ დატეულა, ატყორცნილა ცამდგო.
ხიტყვაა თუ მზის სხივით მოქსოვილი ბადგო,
მომავლისკენ მაგ სიტყვით რა მძლე ხიდი გასდგო.
ძველებურად გულმოკლულს დღეს რად უნდა ჰგავდგო;
ქართლი გიხმობს სხვა დროის, ადგ, გაემზადგო,
სიკვდილის ტყვევ — საფლავით წამოდგომა სცადგო,
...აადგო, ადგო, გულით მაიწადგო“.

ს ი მ ლ ა რ ა

ღირს — შროშანო გამლილო,
შენთვის მართლა ვკვდებოდგე,
სიყვარულის აღმურით
სანთელივით ვდნებოდგე,
ემაგ თმების სურნელით
სიგიჟემდე ვთვრებოდგე.
ცეცხლი ძარღვებს მიწვავდგეს,
ვხელდებოდგე, ვბნდებოდგე,
მაგრამ წყალიც მაპკურო,
ისევ შენვე მშველოდგე,
ა, ეგ სუსხი მყინავდგეს
ემაგ ღამით ვთბებოდგე...

ღირს, ყოველი,
რაც გითხარ,
სწორედ ასე ხდებოდგეს,
მაგრამ ნუ გამიწყრები
თუ გული სხვას რჩებოდგეს,
თუმცა იქნებ ის ტურფა
შენებრ ვერც კი მშვენობდგეს,
მაგრამ ზეცამ ისურვა
გული მისთვის მღეროდგეს,
ვიდრე სული ცოდვილი
მართლა ამომხდებოდგეს.

მომრიალე ნორჩი ალვა
ირხეოდა, ტანად ალვა,
ჩამოსცინა თვალმრიალა
მზიდან ავარდნილმა აღმა.
ვიჯექ, ვნეტარებდი ჩემთვის,
თაფლი მომწვეთავდა გულზე,
მეჯდა მაისის დღე გვერდით —
გულზე — აბიბინებულზე.
გახლდით ორივენი მთვრალი,
ალვის დარწმუნო ჩრდილო,
და წინ მომრიალე ლალის
გვედგა ერთი ჭიჭა ღვინო.

ვერ ვიშოვე რა ლაჟვარდში ქროლით,
ძეხორციელს რომ უღირდეს გროშად, —
გარდა დამჭკნარი იეზის კონის,
რომელსაც მალლა ვეწევი დროშად.

ი- ვაჟე თუ პურის მარცვალი
და ჟამი ჩემიც ასე გავიდა,
დაღველფილ დღეთა თბილი ნაცარი
დამრჩა ბრიალა სიყრმის ალიდან.
მაცდურ მბორკავდა შვიდფერი ხატის
ჰაეროვანი შვიდფერი ხუნდი,
მუხლებზე ვიდექ მარტოდენ ლანდი
და შვიდფერ მესსას გალობდა გუნდი.
ჩემი მდიოდა მოწამის ცრემლი
ჭირთა განმქარვი, —

ტკბილი და მწარე
და ჩემსწილ ცაზე, —
ვით ოქროს კვერი,
ბრუნავდა სოფლის მსუბუქი მთვარე.
სიზმრებში მყინვარს ზემო მეძინა
და საყვარელი, —

თეთრად მცინარი,
სხივი ვარსკვლავის — მკლავზე მეწვინა,
გულზე მეფინა ცისკრის ციალი.
მხარზე ჩიტვითი მეჯდა მაისი
და სულ იმისკენ მეჭირა თვალი.
მართლაც რბილია ღრუბლის ბალიში,
მაგრამ მძიმეა ცის ლურჯი ვალი.
მაცდურ ბურანში ვთვლემდი

და ვფრენდი
და ჟამი ჩემიც ასე გავიდა!
სუფრასთან ვზივარ მაღლობელთ გვერდით,
ღვთიური ნათლით ელავს მაგიდა.
ყველა ვსვამთ, მაგრამ ვეღარ დავლიეთ
ცის ნამით სავეს სულ ერთი ბოთლი.
და ასდის გრძელი მრავალჟამიერ
ჩვენს სუფრას,

როგორც ღუნღულა ორთქლი.
უბერავს ამო სამოთხის ქარი
და არის ხმათა

და ფერთა ფრთონა
და ჩუმად ტირის, ცის ნამით

მთვრალი,

ჩემი დამჭკნარი იეზის კონა.



თემაზ ბიბილუკი

მთვარის შვილი

მ მ ს ტ ა ზ ი

მთვარას აესების ღამეს ბიჭი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. მთელ მის არსებას თითქოს იღუშალი ძალა, სხვა სამყაროდან ჩამოსული სული განაგებდა. ბიჭს ეშინოდა იმ სულისა, მაგრამ ეს იმგვარი შიში იყო, რომელიც სხეტულს საამო ნეტარებით უესებდა. ამგვარ ღამეს ბიჭი ველარასოდეს იგეჟებდა, მაგრამ არც არავის უმხელდა; ყველასაგან განრიდებული მიეცემოდა უსაზღვრო სამყაროსთან შერწყმის ვნებთან ექსტაზს და სახვადილიდაც ელოდა მთვარის ამოსვლას. ბიჭმა არ იცოდა, რომ იგი იმ დროს მთვარის შვილი იყო.

●

მამა პირქუში კაცი იყო. ქვეყნიერება არ უყვარდა. მარტო ბიჭზე ფიქრობდა, რომელიც უკვე ოცი წლისა ხდებოდა. მამას ჟერ ვერაფერი გაეგო მისი. ბიჭი პოეტი იყო. მართალი რომ ითქვას, მერე უნდა გამხდარიყო პოეტი. ჟერ მარტო თავისი გაუგებარი საქციელით აზნევედა უჯიათ მამას, რომელიც არასოდეს მოჰყვებოდა, არასოდეს უთქვამს ტკბილი სიტყვა განდგომილი შვილისათვის.

მამა მიწის კაცი იყო, წლიდან წლამდე გენახში ტრიალებდა. მისი სახლი ხე-

ვის პირას, მთელი უბნისაგან მოშორებით იდგა. მისი გენახიც — სხვა ვენახებზე ცალკე, ძეძვნარით გარშემორტყმული და კაკლიანებით დამთავრებული. დილით რომ ადგებოდა, კაცი პირდაპირ წყაროზე გასწევდა, პირს დაიბანდა და იქიდან გენახში წავიდოდა. მთელ დღეს იქ ატარებდა. იქ მიუტანდა ცოლი სამხარსაც და სადილსაც. საღამოთი, როგორც კი მზე ჩავიდოდა, თითქოს მთელი დღე მარტო მზის ჩასვლას ელოდებოდა, კაცი საქმეზე ხელს აიღებდა და სოფლისკენ წავიდოდა. გზაში ხმას არავის გასცემდა, თუ რამე არ მოეწონებოდა ვადადფრთხებდა და თავისთვის რაღაცას ჩაილაპარაკებდა. შუა სოფელში უსაღმოდ და პირქუშად ჩამოივლიდა და წყაროსთან მივიდოდა.

წყაროსთან შეგროვილი ხალხი ერთ-ბაშად გვერდზე მიდგებოდა. კოკაც რომ ჰქონოდათ შედგმული, კოკასაც გვერდზე გადადგამდნენ და გზას უტევდნენ. ის მაინც ხმას არავის გასცემდა, საბოდიშოდ თავს არ გაიხდიდა, წყალთან მივიდოდა და მუჟას შეუშევრდა. პირს დიდხანს, გულმოდგინედ, ფშვინვით, ხველებ-ხველებით და ლანძღვით იბანდა. ნავში ამურტყებდა. თან შორიახლოს მღვარ თვალგაშტერებულ ხალხს უშვ-

რეტლა და, მართალია, შიში არა ჰქონდა, — ვინმე რამეს შემომბედავსო, მაინც გამომწვევად მიიხედ-მოიხედავდა, სვენებ-სვენებით რამოდენიმე პეშე წყალს დალევდა, რაღაცას ჩაილაპარაკებდა და შინისკენ გასწევდა.

მიდიოდა, მიაცილებდა კაცების დუმილი და დედაკაცების ჩუმი წყევლა.

კაცს ვინმესთვის ხელი არასოდეს გაუმართავს. მარტო ერთხელ ცოლმა, — ახლად ჯვარდაწერილმა პატარძალმა, მეზობლის ქვრივს ერთი ბათმანი ლობიო ასესხა. კაცმა ცოლი საბძელში შეაგდო, ცოტა ხნის მერე ნაცემი და კაბაშემოფლეთილი გამოაგდო ეზოში და ამის მერე, აღარც მეზობლებს უთხოვიათ რამე და აღარც ქალს გაუცია გასაცემი ქმრის უნებურად.

კაცს პირქუშ ოჯახში ბიჭი შორეთიდან მოსულს გავდა. ხალხი ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით გაეგო, ვის დაემსგავსა ბიჭი, რომელი სულეთიდან გამოგზავნეს ამქვეყნად. კაცის მამაც უჯიათი და კერპი ყოფილა, კაცის პაპაც შვილის და შვილიშვილის მინამგვანი. და კვლავ არავინ უწყობდა, ვისი იყო ეს სიფრიფანა, ლილისფერ თოვლზე ენძელასავით ამოსული ბიჭი.

კაცს სოფლის ხათრი არ ჰქონდა, სოფელი არ ჰირდებოდა და არც სოფელს ჰირდებოდა იგი. მაგრამ იყო ამქვეყნად ერთი ვინმე, რომელიც ხელალებით მეფობდა კაცზე. ის მეფე ბიჭი იყო. მაგრამ ეს არავინ იცოდა. ეს არ იცოდა ბიჭმა. ეს არ იცოდა სოფელმა. ეს არ იცოდა ფეოთონ კაცმაც. კაცს ერთი ტკბილი სიტყვაც არ უთქვამს ბიჭისთვის, ერთხელაც არ მიუშვია თავის ნებაზე, ერთხელაც არ გამოურჩევია პატარა დისავან, რომელიც ბიჭის გვერდით იზრდებოდა. მარტო ის იყო, რომ ბიჭი მუდამ თვალქვეშა ჰყავდა, გვერდიდან არ იშორებდა, თავის პირქუშ ჩრდილს აფარებდა და იცავდა. ვინმეს რომ ეთქვა, ეს ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს მთელ შენს საბრძანებელს თავზე დაგამოხობსო, განარისხნებოდა; იმ მთქმელის თვალწინ ბიჭს მორჩილებას ასწავლიდა და თავის თავსაც

არ გამოუტყდებოდა, რომ ის სიმართლე უთხრეს, რასაც თვითონაც გრძნობდა და კარგა ხანია უკვე შიშით ელოდა.

კაცი მშინარა იყო და არც ეს იცოდა სოფელმა. კაცს ეშინოდა ბიჭისა, იმიტომ, რომ ბიჭი უცხო იყო, იზრდებოდა და უფრო და უფრო უცხო ხდებოდა. ყველაფერი, რითაც მამა ცხოვრობდა, შვილისთვის შორეული და გაუგებარი იყო. კაცს კი გულის სიღრმეში ერთი სურვილი ტანჯავდა: ბიჭი თავისად ჰყოლოდა, თავის ორეულად ჰგულებოდა. მაშინ ამ უინტერესო ქვეყნიდან, სადაც მთელი ცხოვრება შიშში გაატარა, კაცი დამშვიდებული წავიდოდა და ყველაფერს, რისთვისაც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ირჯებოდა, ბიჭს — იმ თავის ორეულს დაუტოვებდა. მაგრამ ბიჭი არ იყო ორეული: მამა ამას უფრო და უფრო გრძნობდა და უფრო და უფრო ეშინოდა იმ ბედუქუდმართი დღისა, როცა ბიჭი ბოლოს და ბოლოს გაბედავდა, თვალს თვალში გაუყრიდა და მშვიდად ეტყოდა:

— მე უცხო ვარ...

ეს დღე კი ჯერ თითქმის შორს იყო და მამა ზოგჯერ თავსაც იტყუებდა: იქნებ მეჩვენება, იქნებ სულაც არ დადგეს ის დღე და ბიჭიც ეგრევე მორჩილი დარჩესო, მორჩილი — თავისი მშვიდი, აუმღვრეველი თვალებით, რომლის მსგავსიც კაცს ამქვეყნად სადღაც ენახა. ფიქრობდა, ფიქრობდა და ვერკი გაეხსენებინა.

ნახვით კი მართლა ნახა, დიდი ხნის წინათ, ტყეში, შველი რომ შეხვდა, კაცის პირდაპირ თამამად გაჩერდა და თვალი გაუსწორა. მაშინ შველი ბილიკზე იდგა. კაცს თოფიც არ ჩამოუხსნია მხრიდან და დიდი ხნის მერეც კი, თავის მარცხზე ბრაზი მოსდიოდა, — რამ შემობოროკა ხელები, რად გაეშვი ცოცხალი, ბილიკზე ისე თამამად გადმომდგარი და გაოცებით მზირალიო. ეს გულში სამუდამოდ ჩარჩენილი ბრაზი არავისთვის გაუმხელია და იმ გაოცებულ შველსაც ისე იგონებდა, როგორც შველსა და მეტს არაფერს, რომელიც სხვა ყველა-

გან მარტო იმით განსხვავდებოდა, რომ ბილჩი თამაშად გადმოჰყარა, თვალეზში შეხედვა გაუხედა, კაცმა კი მოკვლა ვერ მოახერხა. კაცი არ იყო სენტიმენტალური და არასოდეს უფიქრია — ბიჭის თვალეზი იმ შველის თვალეზს ჰგავსო. კაცს იმ შველის გახსენებაზე მხოლოდ ნესტოები უთრთოდა და გაავებული ჭიქის ვნება ეუფლებოდა.

ბიჭი მამას ყველფერზე ეთანხმებოდა. რასაც მამა ეტყოდა, უსიტყვოდ შეუსრულებდა და ამიტომ ჩხუბიც არასოდეს მოსდიოდათ. მაგრამ მამას არ ყოფნიდა მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას. მამამ არ იცოდა რაზე ფიქრობდა თვალგაშტერებული ბიჭი, როცა მზის ჩასვლისას იდგა და პორიზონტს უცქერდა (მამინ მამა აუცილებლად გადასძახებდა და რამე სხვა საქმეს მიუჩენდა), ან ტყეში უცებ გაუჩინარდებოდა და ეიღვრე კაცი არ დაუყვირებდა, აღარ გამოჩნდებოდა; ან კაკლის ქვეშ პირალმა გაიმოტებოდა, უცქერდა, როგორ მისდევდნენ ერთმანეთს ღრუბლები და რაღაცაზე ფიქრობდა. კაცს სურდა გაეგო, — რაზე ფიქრობდა ბიჭი, ეშინოდა ამ ფიქრისა და ყოველთვის, როცა ბიჭს ფიქრისა დაინახავდა, ისევ საქმეს გამოუჩენდა — ან რამეზე ვაგზავნიდა, ან თოხსა და წალდს მიაჩენებდა ხელში.

ბიჭს ეცოდებოდა მამა, როგორც ეცოდებათ ხოლმე გზააბნეული, ღატაკი ყარბიბი, თუმცა კაცი არც ღატაკი იყო და არც ყარბიბი. ბიჭმა იცოდა, რომ სოფლის შინში მარტო კაცის გოროზი ბუნებიდან მოდიოდა, რომ კაცი სულაც არ იყო საშაში და თვითონ უფრო ეშინოდა სოფლისა. ამიტომ მამას არასოდეს ეღაგებოდა. მამა-შვილს შორის თავიდანვე გაგლეხულიყო უხილავი ზღვარი და ბიჭი არასოდეს ცდილა იმ ზღვარს იქით გადაბიჯებას. გაღმა სხვა სამყარო იყო, ბიჭისთვის მოსაწყენი და უინტერესო. თვითონ მამა ხშირად ცდილობდა გამოეღმა გადმოხედვას, მაგრამ ბიჭის მუდმივად ღუმელი ყველფერს უხილავსა და გაუგებარს ხდოდა. მამა იმედს არა კარგავდა და ჯიუტად ელოდა იმ ერთ მშვე-

ნიერ დღეს, როცა ბიჭი დავაჟკაცდებოდა და ისეთივე გახდებოდა, როგორებიც სხვა ბიჭები იყვნენ: იმით გაერთობოდა, რითაც სხვები ერთობოდნენ, იმაზე გაიციინებდა, რაზეც სხვები იცინოდნენ, იმაზე გაბრაზდებოდა, რაზეც სხვები ბრაზდებოდნენ. მაგრამ ეს „ერთი მშვენიერი დღე“ უფრო და უფრო იქით და იქით იწევადა, ბიჭი უფრო ჩაკეტილი, კუშტი და შორეული ხდებოდა.

თვითონ ბიჭი კი სწორედ დღეს მიხვდა, რომ დადგა ის „მშვენიერი დღე“, რომ კუნთებში უკვე კაცური ვნება ჩაუდგა, კაცური შეუპოვრობა მოეძალა. დღეს მიხვდა, რომ ღუმელი აღარ შეიძლებოდა. ღუმელი ფარისეველობა იყო. დღეს მამისათვის თვალს უნდა გაესწორებინა და პირდაპირ ეთქვა ის სამი სიტყვა, რაზეც დიდი ხანია ფიქრობდა:

— მე ასეთი ვარ...

ბიჭმა იცოდა, რომ მამა დაიბნეოდა და გაბრაზდებოდა.

მაგრამ ბიჭი კვლავ აუმღვრეველი სიმშვიდით ეტყოდა:

— აღარაფრის შეცვლა არ შეიძლება.

მამა კი ბედ-იღბალს ემდუროდა, რომ ამდენი იწვალა, ამდენი ჯაფა გადაიტანა, ჯილდოდ კი ეს სიფრიფანა ბიჭი მოევიწიო, რომელიც კერასოდეს ვერ იცხოვრებდა, მუდამ ჩრდილში დარჩებოდა, მუდამ სხვები გაჰყრავდნენ მუკლუგუნს და წინ გაუსწრებდნენ. ის კი ამაოდ მოითხოვდა შველას, მაგრამ გარშემო მშველელი არავინ იქნებოდა, რაკილა თავად არავის არ ჰგავდა. ბოლოს კი, ყველასაგან გამონაპირებული, მიეცემოდა მამისთვის ყოვლად გაუგებარ და სხვა სამყაროდან ნაკურთხ ცხოვრებას.



ზაფხული იყო და დღე და ღამეს ვენახში ატარებდნენ. დღისით დედა ამოვიდოდა და სადილს ამოიტანდა. საღამოს წავიდოდა და მამა-შვილი მარტო

თამაზ გიგიშვილი
მთვარის შვილი

რჩებოდა. მამა დაღევდა ერთ ბოთლ ღვინოს და ლაპარაკს მოჰყვებოდა. მერე დაიძინებდა და ღამის იღუმალ ჩქამს უერთდებოდა გამძლარი კაცის ხვრინვა.

მამის ლაპარაკს ბიჭი არ უსმენდა. მაგრამ მამას ვერაფერს გამოაპარებდი, ღროღადრო დაშტერდებოდა და ბიჭიც დანაშაულზე წასწრებულებით დახრიდა თვალებს. ახლა მამა იმაზე ბრაზობდა, — როცა გელაპარაკები თვალი გამისწორე, საით იხედები, იმისთანას რას გეუბნები, რაც ჭკუაში არ უნდა დაგიჯდესო. იმ დროს ბიჭი ნატრობდა — ნეტავი გამარტყას, ან მთელი ქვეყნის გასაგონად დამიყვიროს, მაშინ საბაბი მექნება, გავეცლები და მართო დაერჩებიო. მაგრამ მამა არც არტყამდა, არც უყვიროდა. მართო ლაპარაკობდა — ჩუმად, ტაბით, დაცინვით... ლაპარაკობდა იმდენს, რასაც მთელ სოფელს დილიდან დღამეზამდე არ ეტყოდა, ლაპარაკობდა გაუთავებლად. ბიჭი ათასში ერთხელ თავს დაუქნევდა, დაეთანხმებოდა, გულში კი ზომავდა ტაბით მიმავალ დროს, ნატრობდა შუალამეს, როცა ბოლოს და ბოლოს მამა გამოცლიდა იმ ერთ ბოთლ ღვინოს, ნაბადზე მიწვებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა. ბიჭი ფიქრობდა, რომ მამის ამ ქვეყნად მოსვლას მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა, გაუთავებლად დაერიგებინა შვილი. მაგრამ როცა მამა მართო ღარიგებას აღარ ჯერდებოდა და ჯიქურად ახვევდა საკუთარ სურვილებს, ბიჭში ღვივდებოდა მორჩილებიდან გამოსვლის ძალუმი გრძნობა, მამისადმი სიბრალული მტრობით ეცვლებოდა და ეშინოდა ამგვარი მტრობისა. მან იცოდა, რომ ეს მიუტევებელი მტრობა მალე გაუვლიდა, მაგრამ მაინც გაუბრუნდა ამ დამამცირებელ გრძნობას, რომელსაც ამქვეყნად საკუთარ თავსაც ვერ გაუმხელდა. მაგრამ, გაუთხელდა თუ არ გაუთხელდა, ეს სამარცხვინო გრძნობა მაინც არსებობდა და ბიჭს ეშინოდა ამ გრძნობისა.

— ცხენი გადააბი ბიჭო?

— გადავაბი!

— სიმიდს არ მისწვდეს!

— არ მისწვდება!

— წუხელაც ვერე ამბობდი...

— წუხელ თოკი გაწყვიტა.

— არ აუშვა, თორე მაშინვე დათრას ფაშატთან გაიქცევა, ქვეით წარაფეშში ჰყავ გაშვებულნი.

— ჩვენც გავუშვით!

— არ გაუშვა-მეთქი...

მამამ მეორე ჭიქაც დაცალა და ბიჭს სიხარული დაეუფლა. დაცლილი ჭიქა მაშინვე შეუვსო და მამის გამომცდელ მზერას შეხვდა. მამა ახლაც მიხვდა ყველაფერს, ბიჭის აჩქარება მაშინვე ფხიზლად განსაჯა და გაბრაზდა. ბიჭს სძულდა, როცა მამას მთვრალს ხედავდა. მთვრალი მამა ჩვეულებრივზე უფრო მოლაპარაკე, ყომრალი და მოუერიდებელი იყო. სიმთვრალის დროს ყველაფერი ილუწებოდა და იმსხვრებოდა. მამა ჯიქურ მოითხოვდა პასუხებს, მაგრამ ბიჭი ვერაფერზე პასუხობდა, რადგან იცოდა — ამ წუთში, ამქვეყნად არაფერი იყო ისეთი, რაზეც მამა და თვითონ ერთნაირად იფიქრებდნენ. მაგრამ ბიჭს ამ წუთში მაინც უხაროდა, რომ ღვინის ბოთლი იცლებოდა, ბოლოს და ბოლოს, ბოთლის გამოცლას ნაბდის გაშლა და დაძინება მოჰყვებოდა. მერე არა, რომ მამა ხვრინვას დაიწყებდა! ეხვრინა, რამდენიც უნდოდა! მთავარი ის იყო, რომ ძალად წასული მამა თავის დაცლასაც ვეღარ გაიგებდა. მაშინ ბიჭი მალულად ადგებოდა, ფეხაკრფით გამოვიდოდა ქოხიდან და დაიწყებოდა სხვა ცხოვრება, მამისა და სოფლისა კი არა, ბიჭის საკუთარი ცხოვრება. მაგრამ ბოთლში ჩაჩენილი ღვინო ჯერ ისევ ბრწყინავდა ცეცხლის სუსტ ალზე, ეს იყო უკანასკნელი ჭიქა ღვინო. ესლა რომ ჭიქას გამოსცლიდა მამა, მერე იმ უკანასკნელსა დაისხამდა და ბოთლი საბოლოოდ გამოიცლებოდა. ერთ ბოთლზე მეტს, იქვე ქვევრიც რომ ყოფილიყო მოხდილი, კაცი ბირს აღარ დააკარებდა. მაგრამ ყველაზე უფრო ამ ბოლოსწინა ჭიქის დროს უყვარდა საუბრის გაჭიანურება. უფრო მეტად მაშინ იცოდა დაძალებაც, ბიჭს ერთი-ორჯერ მე-

შტეფდა, დაისხი, ერთი ჭიქა მაინც და-
ლიე, რა კაცი ხარ, თუ ღვინოს არ და-
ლევე, რა ცხოვრების შნო უნდა გქონდეს,
მშვიდის ამოგზიდება სულიო. ბიჭმა კი
იცოდა, რომ ამას მამა გულგარეშე ამ-
ბობდა და ღვინოსაც გულგარეშე სთა-
ვაზობდა, ვითომდა ისე ესვამ, ღამეა,
მარტოკანი ვართ და ესვამთ, თორემ ეგ
ერთი ბოთლი ღვინო არაფერად მიღირ-
სო. მამა — ეხლა ყბედოდ გადაქცეული,
წვერგალუბარსაფი, მზედაკრული, თვა-
ლებგადმოყრილი კაცი, აღარ იყო ის
პირქუში და სიტყვაუთქმელი, როგო-
რადაც სოფელი იცნობდა.

ღამე უკვე წამოსულიყო და ეხლა
ბიჭი ამასლა შიშობდა, უიმისოდ არ
ამოსულიყო მთვარე. იცოდა, რომ დღეს
მთვარე დაირასავით გაბადრული და ბი-
ისფერი იქნებოდა. ერთი ორჯერ მთებს
იქითაც გაიხედა, ვერც ეს გადახედვა გა-
მოაპარა ენად გაკრფილ მამას და კაცმა
იკითხა:

- სად იყურები?
- ცხენმა დაიფრუტუნა.
- იფრუტუნოს. აქ ნადირი არ მოვა.
- საღდა ნადირი... ტყეშიც აღარ არი ნა-
დირი. ქურდისა რო არ მეშინოდეს, მარ-
ტოკა გავუშვებდი და ემოვნა დილაშდ,ე,
წააფებში... მაგრამ აბა ცოტა ხანი
თვალი მაარიდე... მაშინვე ხელსა სტაცე-
ბენ და გაპყიდინ... შენ მე მასწავლი?
აბა თვალი მაარიდე...
- გავუშვათ, გაიაროს, იტანება...
- დაიტანვოს რა... მე არ ვიტან-
ებ?

კაცმა გადააფურთხა და უკანასკნელი
ჭიქა დაისხა.

- ბოთლი გამოიკალა!
- შენ გაგიმარჯოს! — თქვა მამამ.
- გმადლობ — ჩაილაპარაკა ბიჭმა
და წამოდგა.
- სად მიხვალ?
- არსად, მეძინება...
- ხო, დაიძინე. დილაზე ადრე ვართ
ასადგომი. ვიდრე მზე ამოვა, შაბაიშანი
უნდა გავხსნათ... ხვალე მოვრჩებით და
ორი კვირა აღარაფერი ენდომება.
- ხო, ხვალე მოვრჩებით...

— ხო არ შეგცოცა? — იკითხა კაცმა
და ბიჭს ქურტი გადმოუფდო.

— რა დროს სიცივია, — თქვა ბიჭმა.
მამა დაწვა. სასთუმლად უნაგირი
ამოიღო და ბიჭს გადმოსძახა:

- დაწექ, რაღას უყურებ?
- დაცა, ცეცხლი ჩავაქრო.
- დანებე თავი, თვითონ ჩაქრება.
- ბიჭი მამას გვერდით მიუწვა.
- ყველაფერი დედაშენის ბრალია,
- დუღუნებდა მამა, — გვეთი გაგზარ-
და, გოგოსავით მოსავლელი, გოგოსავით
ლაშზი... ერთი დღეც იქნება და აღარ
ვიქნები. მერე? მერე სად მიდიხარ?
ვინ გაცხოვრებს? ეეხ... თქვენი...

ლაპარაკს ფშვინვა მოჰყვა.
მერე გაისმა პირველი ხერინვა.
გახარებულმა ბიჭმა წამოიწია. ერთი
ხანობა უქცირა მამას. მერე გადმოაბრტა
და ქოხიდან გარეთ გამოვიდა.



უცებ ყველაფრისგან გათავისუფლ-
და, თითქოს მხრებიდან მიძიმე ტვირთი
ჩამოიხსნა და ქოხში დატოვა. ეხლა შე-
ეძლო, საითაც სურდა, ოთხივე კუთხით
დასდგომოდა გზას. და ბიჭი გაიქცა
მთვარის შესახვედრად... აღმართის სიბ-
ილით შეუყვია. ბუჩქნარი ლაწა-ლუწით
აირბინა, ბუჩქნარიდან ბილიკზე გავიდა.
ბილიკი ბორცვის წვერისაკენ მიიკლაც-
ნებოდა. ბორცვზე დიდი ლოდი ეგდო.
ბიჭი იმ ლოდზე ჩამოჯდებოდა და იქ
შეხვდებოდა მთვარეს, რომელიც დათქ-
მულ დროზე ქედის თავზე ამოიწვერე-
ბოდა. მაშინვე მთელ გეოს მოეფინებო-
და მთვარის ნათელი, მდინარე, — ველს
რომ შუაზე კვეთდა, — ვერცხლისფრად
აბზინდებოდა და დაიწყებოდა ზაფხუ-
ლის ღამე.

მთვარე ჯერ არა ჩანდა და ბიჭი სოფ-
ლის ხმაურს უსმენდა. ქვემო უბანში ვი-
დაცა ნაგვიანეგ, თონეს ახურებდა. დღი-
სით ვერ მოესწრო. დღისით აღმათ ვე-

თამაჟ გიგილური
მთვარის შვილი

ნახში ტრიალებდა. შუაგულ სოფელში რადიო მუსიკას გადმოსცემდა.

— თებრო! მიწას დაგაყრი! — იძახდა ვიღაც ქალი.

ძახილი დროგამოშვებით მეორდებოდა და ბიჭმა არ იცოდა, რაზე სწყევლიდნენ თებროს, ან თებრო რატომ არ უშვებდა ყურში იმ ალუშფოთებელ წყევლას.

მალე ყველაფერი მიჩუმდა და ბიჭმა ქედისკენ გაიხედა. ქედის წვერს უკვე სიყვითლე მოსდებოდა, მიმქრალი სიყვითლე, ეს დასაწყისი იყო მთვარის ამობრძანებისა. მერე ქედის თავი ნელ-ნელა უფრო ყვითლდებოდა, სიყვითლე ოქროს ფერში გადადიოდა, ბოლოს ოქროს ფერი — ნაღვერდლის ფერში და სისხლოვით წითელი, ცეცხლმოდებული ფარდის წინ მშვიდად გამოდიოდა მთვარე.

— დაეწყით! — ამბობდა მთვარე.

ქვემოთ ცხენი ჭიხინებდა და ბიჭმა იცოდა, რომ ცხენი მას ეძახდა. ბიჭი პასუხს არა სცემდა. მთვარე სცილდებოდა გორის თავს და აქეთ, ვრცლად გაჭიმული ველის მხარეს გადმოდიოდა. ველს ნათელი დაეცემოდა, მაგრამ ეს იყო მთვარისეული, იღუმალეობით სავეს ნათელი. ბიჭმა იცოდა, რომ იქ, მთვარეზე ესლახანს კაცი იყო, მაგრამ მთვარე ამით არც იღუმალეობას კარგავდა და არც მქრალ სილამაზეს. ბიჭი მონუსხულიყო მისი ჭერტით, როგორც მონუსხულია ხოლმე მაყურებელი თეატრისა, რომელმაც კარგად იცის, რომ წყვილიაღში გახვეულ სცენაზე არც ნამდვილი მთვარე ამოდის და არც ნამდვილი ხეები ჰფენენ ზაფხულის ღამის სიზმარეულ ჩრდილებს. იცის და მაინც ელის იმ წყვილიაღში განათებულ სასწაულს. ბიჭისთვისაც აღამინდელი მთვარე არ იყო ნამდვილი მთვარე და არც ხეები — ნამდვილი ხეები, ყველაფერი თითქოს შეთხზული იყო, ნამდვილზე უფრო ლამაზად, შორეულად და მიუწვდომლად.

ცხენი კი კვლავ ჭიხინებდა და იძახდა.

ბიჭი წამოდგა და ქვევით დაეშვა.

ცხენი მოძებნა. ყურებდაცქვეტილი იდგა და ბიჭის ნაბიჯების ჩქამს უსმენდა. ბიჭმა ცხენს თოკი მოხსნა, ზურგზე ხელი გადაუსვა და გაუშვა. ცხენმა მოიხედა და წარაფებისკენ გასწია.

ბიჭი კვლავ მარტო დარჩა. გამხდარი იყო და ცოტა აწოწილი. ზშირი თმა შუბლზე და ყურებზე ჩამოშლიდა. შავყვითელ, ცვილივით სუფთა სახეზე მთვარე მარტო ბრიალა, ნაღვლიან თვალებს და ტუჩებს უნათებდა.

ცხენის ფეხის ხმა მიწყდა. ცხენი წარაფებში გადავიდა; იქ ერთი დაიბიხინა და მიჩუმდა. ბიჭმა მიაყურადა, მაგრამ წარაფიდან ჩქამიც არ ისმოდა. ახლა გორას გახედა და არც იქიდან ისმოდა ჩქამი. ბილიკს გაუყვა და პირდაპირ მდინარისაკენ დაეშვა.

მთვარე ანათებდა მდინარისპირს. ბიჭმა მიხედ-მოიხედა, მაგრამ ხმა არავისი ისმოდა. ახლო-მახლო არავინ ჭაჭუნებდა. სოფელი შორს იყო და შორიდან ისე ციმციმებდა, როგორც უმთვარო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ნამდვილ ცაზე მთვარე იყო, მისი ნათელი მეუფებდა და ვარსკვლავები აღარსად ჩანდნენ. ბიჭი გათამამდა, თავი მარტო დაიგულა, მერე მაინც მიაპყრო ღამეს ყური, და როცა დარწმუნდა, რომ არავინ იყო, ყველაფერი გაიხანდა და ბალახებზე მიყარ-მოყარა. ცოტა ხანს ხეს მიეყარნო და ხელები გაშალა. მერე გაიქცა მდინარისკენ, ნაძირთან აღარ შეჩერებულა, პირდაპირ შევიდა და წყალზე გულაღმა გადაწვა. წყალი ცივი იყო თიბათვის მზეს ჯერ ვერ მოესწრო მდინარის გათბობა. ბიჭს ჯერ კანკალი დაეწყებინა, მერე მიეჩია. მდინარის ზედაპირი მთვარისფრად გამკამებდა და მდინარეში მოჩანდა მრავალი მთვარე. მდინარეში თითქოს სუსხი დაკარგა, ბიჭს მკლავები მოხვია და ღონივრად მიიზიდა. ბიჭს გაეცინა და გაუსხლტა. ესლა ბიჭი მოექცა მდინარეს სემოდან და კვლავ გულაღმა გადაწოლილი, მთვარეს მიაჩერდა. მდინარე ისევ გახელდა. ბიჭს სიღრმისკენ ითრევდა, მაგრამ მბიჭი გრძნობდა, რომ ეს უღონო წადილს იყო

და ისევ იცინოდა, ისევ ზემოდან ექცეოდა მდინარეს. მდინარე მშვიდდებოდა...

ახლაზან მთვარეზე აღამიანი იყო.

მერე რა? იქ აღამიანი იყო და მაინც ბიჭის თვალში მთვარე არ კარგავდა მიუწვდომელი და შორეული ღვთაების სახეს. მთვარე მაინც საოცრება იყო, როგორც თვითონ დედამიწა, რომლის ზურგზეც დააღაჭებდა ბიჭი. მთვარე მაინც არ იყო მკვდარი, უსულო სხეული, რომელიც ცის უდაბნოში ზეტიალობდა. მთვარეს ჰქონდა ღვთაებრივი ნათელი, ასეთი მკრთალი და დახვეწილი, რომელიც მხოლოდ მთვარისა იყო და არა ჰგავდა არც მზის ნათელს და არც ვარსკვლავთა ციმციმს. მთვარის შუქზე იღუშაო ჩრდილებს ზატყდნენ ხეები და ბუჩქები, მთვარის შუქზე მთვარისფერი ანათებდა მდინარე. ეს ის ჩრდილები და ის ნათელი იყო, რომელსაც ბიჭი დღისით ვერასოდეს ნახავდა, რომელიც არასოდეს იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მთვარე. და რასაც ყველაზე უფრო ვლტვოდა ბიჭი, რასაც ვერაფრით ვერ შეეცდებოდა, ეს იყო ფიქრი, მთვარის ფიქრი. რასაც მთვარის შემზღვარე ბიჭი ფიქრობდა, ის არასოდეს უფიქრია სხვადროს, არც მზის ამოსვლისას და არც მზის გულზე. არ უფიქრობ თებერვლის მზეს, როცა გათოშილი, მონატრებული სხეული თრთოლვით ეფიცებდა ძალადამოლეულ მზეს, როცა სისხლი ელოდება გაზაფხულს. მთვარის ფიქრი სულ სხვა იყო, ისეთივე იღუშაო ფერისა, როგორც თვითონ მთვარე, ისეთივე ჩამბინდებული ჩრდილებით, როგორც მთვარის ჩრდილები, ისეთივე გულუბრყვილო და წარმატებით, როგორც მთვარისა, რომელიც ღამე.

ბიჭმა იცოდა, რომ ეს ფიქრები იღუშაობდა და მნიშვნელობას მთვარის ჩასვლასთან ერთად დაკარგავდნენ. დილით ამოვიდოდა მზე, გათბებოდა ქვეყნიერება, გამოიშლებოდნენ აღამიანები და რაც მთვარის ღამეში იფიქრა, აზრსა და მნიშვნელობას დაკარგავდა. მაგრამ აზრსა და მნიშვნელობას დაკარგავდა სხვე-

ბისთვის. სხვებისთვის რომ გაემხრო თავისი ნაფიქარი, ბიჭს მთვარეულად ჩათვლიდნენ, გიჟს დაუძახებდნენ, დაცინებდნენ და შეიცოდებდნენ. მთელი დღის საქმეში გაერთულ ბიჭს თავადაც თითქმის ყველაფერი ავიწყდებოდა, მაგრამ საკმარისი იყო ასეცლოდა ყველას და ყველაფერს და მოუხვეწრობით შეპყრობილი, ცხარე, სურვილით დალოდებოდა მთვარესთან შეხვედრას, რომ ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო, რომ იღუშაოებით დაყურსული ღამე ბიჭის სსოვნაში სამუდამოდ ჩაჩენილიყო.

ეხლა მდინარე კვლავ ცივად ეხუტებოდა ბიჭის სხეულს.

ბიჭს სციაოდა და ცდილობდა სწრაფად გასცილიდა მდინარეს.

უცებ ცხენი დაინახა. ცხენს ფერდობი ჩამოეგდო და ნაპირთან მოსულიყო, — მშვიდი, დამცხარალი, ფიქრიანი. იღუშაო და ბიჭს თვალს არ აშორებდა. ბიჭს გაეხარა. ცხენს დაუძახა და ძაღვისთანაა. ცხენი მორჩილად შევიდა მდინარეში და ბიჭი გაწვა მის ზურგზე. ცივი მდინარის მერე ცხენის ზურგი გახურებული კეცს გავდა. ცხენმა გამოიყვანა ბიჭი და იქვე, ნაპირზე გაჩერდა. აკანკალებული ბიჭი ეკვროდა ცხენის ცხელ ზურგს. ცხენის მხურვალეობა ბიჭში გადმოვიდა და ბიჭი ნელ-ნელა თბებოდა. ეხლა თითქმის მთვარიდანაც სწიბო წამოვიდა და ჩამთბარი ბიჭი მშვიდად ჩამოხტა ცხენიდან, ნელა ჩაიცვა ხამოსელი, იქვე, ბალახებში პირქვე ჩაემხო და მკლავები გაშალა. მიწაც თბილი იყო და ბიჭი დედამიწას ჩაეხუტა. უფრო და უფრო ვადიდო მიწის სათბო. მოთენთილობამ დაუარა. თვლები მოერია.

როცა ვეღვიძა, თავზე ისევ ცხენი უდგა, მთვარეს გახედა და მიხედა — დიდი ხნით არ წაეთვლია. წამოხტა. ცხენზე შეჯდა და ასე აშხადრებულმა ველს გადახედა. ველზე ისევ შუქ-ჩრდილები ეფინა, მთვარის შუქ-ჩრდილები. ცხენს კისერზე გადაუსვა

თამაზ ზიზილური
მთვარის მშვიდი

ხელი და მიაწვდრია, — იარეო! ცხენი გზას დაადგა. გზა ტყისკენ მიდიოდა. ტყისპირს, წარაფში ბულბულები ეძახდნენ ერთმანეთს. ერთი დაიჩივლებდა რაღაცას და მაშინვე გაჩუმდებოდა. მეორე რაღაცის რწმუნებას დაუწყებდა. პირველი სიტყვას აწყვეტინებდა. მაგრამ მეორე არა ჩუმდებოდა. პირველი უსმენდა, უსმენდა და მერე ისევ ყველაფერს თავიდან იწყებდა. ბულბულების ჩივილი ბიჭს სხვა დროსაც მოესმინა, ესლა ბულბულგზე მეტად სხვა რამ იზიდავდა. — შიშის დაძლევა სურდა. შიშით კი ჯერ ისევ ბეგერი რამისა ეშინოდა. სხვას არასოდეს გამოტყდომია, მაგრამ თვითონ. გულში ხომ იცოდა, რომ ეშინოდა! ეშინოდა დამეული ტყისკენ და ზშირად ფიქრობდა იმ დამეზე, როცა პირველად, მარტოდ-მარტო, ტყეს შეივრეოდა. ფეხბაფეხს გაჰყავდა. ზნელში გადარბენილ ხმებს. ყურს მიპყრობდა იქვე, ორ ნაბიჯზე, ბუჩქებს იქით დარხნულ ჩქამს, მოუფიქრებლად გადავიდოდა იმ ბუჩქებს და გზას განაგრძობდა. ბიჭს ეშინოდა დამეული სასაფლაოსი, ბავშვობიდანვე განავრნი ათასგვარი მოთხრობისა მცდელობითა აღდგომასზე. სამაჩიდან წამოსულ კენესაზე, სასაფლაოს ასლენიშხლოს, ბოჩიალს, ლანდებზე და ბიჭს სურდა თავიდან გამოეცალა იმ მოგონილ აჩრდილებთან შეხვედრას, შიშში, დავიწლია ეს შიში, რომ მერე დამეული ტყეც და სასაფლაოც ჩვეულებრივი ტყე და სასაფლაო ყოფილიყო. ბიჭი გრძნობდა, რომ ეს ძლევა უნდა მომხდარიყო სწორედ ამ დამ, ამ მთვარიან ღამეს, როცა ყველა აჩრდილს განსაკუთრებული იდუმალება და შეუტყნობელი ფერი დასდებოდა.

ბულბულები ისევ გალობდნენ. ცხენი ნელა მიდიოდა და ბიჭი ბულბულგზე კი არა, ტყეზე ფიქრობდა. შავად მზირალი ტყე წინ იყო. ცხენმა უფრო შეანელა ფეხი და ბოლოს სულ გაჩერდა. უკან მოიხედა. რაკი

ბიჭმა არაფერი უთხრა, იდგა ასე. მოლოდინად ქცეული. ბიჭი ჩამოხტა, ცხენის წინ დადგა და თვალეზში ჩახედა, მერე ქოჩორზე და ფაფარზე გადაუსვა ხელი, მერე კისერზე მოეხვია და ერთი ხანობა ისე იდგა. ცხენი ღონივრად სუნთქვდა, მაგრამ ბიჭს არც შიში შეუტყვია, არც სიფრთხილე.

— წავიდეთ? — ხმამაღლა იკითხა ბიჭმა და ამ ერთმა ხმამაღლა თქმულმა სიტყვამ უცებ დაარღვია ღამის შიში. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი გახდა: მიდიოდნენ... ტყეში უნდა წასულიყვნენ... ბიჭი ისევ მოაჭდა ცხენს. ცხენს თქმა აღარ დასჭირებია, ტყის ბილიკს დაადგა.

წარაფებს მერე უფრო ჩამოხვდნენ და მერე და მერე უფრო გადაეფარა სიბნელე ბილიკს. მთვარე აღარ ჩანდა. ბილიკის თავზე გადახტეული ტოტები აქა-იქლა უშვებდნენ მთვარის მკრთალ ნათელს და ეს ნათელი ძირს, მაწახე, ფოთლებივით ეყვანდა, მიდიოდნენ... მერე ცხენი შეჩერდა. ბიჭმა ყური დაუგდო. ბუჩქებში რა ჩუხნობდა რაღაცა. მერე ამ რაღაცამ ბილიკი გადაარბინა და ქვევით, ხრამისკენ ჩამოვარდნა. ცხენი დამევირდა. ბიჭმა თავზე ხელი გადაუსვა და გზა განაგრძო... შორს ტურები ივლიდნენ — ჯერ ერთმა დაიწყეს მერე ორი აწყდა ერთად. ტურებმა ქვემოთ სოფლამდეც ჩამოდიდნენ ხალხი. ბიჭს არ ეშინოდა მათი. მაგრამ მაინც არ უყვარდა ეს გამყვანი ჯივბილი. ცხენი ისევ განერდა და ბიჭიც არ გაწყვირობია. იდგნენ და უსმენდნენ, როგორ გადაპკიოდნენ ბნელში ჩამირტულ ტყეს ტურები. ტურები კვირის აღარ წყვეტდნენ და ბიჭი შეეხმინა ცხენს. ცხენმა დაუფერა და ფრთხილად გასაგრძო გზა. ბილიკი უფრო და უფრო გაუვალად სდებოდა და ბიჭს სახეზე წარა-მარა აწნავდნენ სილამა აწეით იქიდან გადმოზრილი იუნები. ცხენი ისევ გაჩერდა და სმენად იქცა. ეხლა ტურებიც ჩაჩუმდნენ. ტყე ღუმლიმა

მოიცვა. ბიჭი კვლავ ხმამაღლა შეეხ-
მიანა, მაგრამ ცხენი ფეხს აღარ იცე-
ლიდა. ბიჭი თავადაც სმენად იქცა, მაგ-
რამ ჩქამიც არსაიდან ისმოდა. ცხენი კი
ისევ გაუძნდრევლად იდგა და ბიჭი
გრძნობდა, როგორ უთრთოდა ფერ-
ღები, როგორ უცემდა გული.

ხევიდან ყმუილი მოისმა...

ბიჭი მიხვდა, მგლის ყმუილი იყო.
ტყეში ყველა გაჩუმდა და სიბნელეს
შოლოდ მგლის ყმუილი დაეუფლა.
ტყე შეშინებული უსმენდა ყმუილს.
ბიჭი ცხენიდან ჩამოვიდა, თოვში ჩა-
ვლო ხელი და ანიშნა, მომყევით.
ცხენი არ გაჰყვა. ბიჭი გაბრაზდა ცხე-
ნზე, მერე შეშმორეულ ტყეზეც გაბ-
რაზდა. მერე ისე, რომ არც დაფიქ-
რებულა, მოაჯდა ცხენს, სოფლისკენ
მოაბრუნა და სიმღერა დაიწყო. სიმ-
ღერა ტყეს ერთბაშად მოედო და
ბიჭს აღარ ესმოდა აღარც ბუნჩებში
ამტყდარი შლიგინი, აღარც მგლის
ყმუილი. ეს იყო შიშის სიმღერა, მე-
რე კი დაჯერებული, თავისუფალი,
ტყის შიშნარევ იდუმალეზაში ხმამა-
ღლა დარბეული სიმღერა. ბიჭი მღე-
როდა და გრძნობდა, როგორ ეხსნე-
ბოდა შიშის მძიმე ტვირთი და მერე
სულ გაქრა. და ბიჭს უხაროდა, ეს
ტვირთი სამუდამოდ მოვიცილე, შიშს
სამუდამოდ ვძლიე და ამიერიდან
სულ ასე, თავისუფლად ვიფრენო.
თავქვეზე დაშვებულმა ცხენმა სწრა-
ფად ჩაიარა ბილიკი, გადაიარა წარა-
ფები და მინდორზე გავიდა. მინდორ-
ზე სიჩუმე იდგა. ქვემოთ სოფელს
ეძინა. ბიჭი კვლავ ჩამოხტა ცხენიდან
და ცხენი ბალახზე მიუშვა.

ხევიდან ნიაგი წამოვიდა. იქვე,
ბაღჩაში ერთი ნაქარი მსხალი ჩამო-
აგდო მერე ორი ჩამოვარდა ზედი-
ზედ. ბიჭს ბევრჯერ ენახა დილაად-
რიანად ბალახზე მოფენილი მსხლები,
მაგრამ არასოდეს მოესმინა როგორ
ცვიოდა ეს მსხლები მიწაზე და რო-
გორ ისმოდა ეს დაფდაფი ღამის სი-
ჩუმეში. კვლავ წამოვიდა ნიაგი და
კვლავ ჩამოცვივდა მსხლები. თითქოს

ვიდაცა დოღზე უკრავდა მონოტო-
ნურ რიტმებს. რიტმი... სიჩუმე... რი-
ტმი... კარგა ხნის სიჩუმე. რიტმი —
ერთი, ორი, სამი... ისევ სიჩუმე... ბო-
ლოს ქარმა ჩაიარა და ყველაფერს
კვლავ დუმილი დაეუფლა. ბიჭი ეცა
ღობის მარგილს და ბაღჩაში გადახტა.
ბალახი მსხლებით იყო მოფენილი.
მსხლები წამოყრია და უბეში ჩაიყა-
რა. ისევ ცხენთან დაბრუნდა. მიწაზე
გულაღმა გადაწვა. ნეტარებით ჭამდა
თიბათვის საადრეო მსხალს.

მთვარე კი უკვე ჩქარობდა, ორიო-
ლე საათიც და მთის თხემს თავზე
მოექცეოდა. მერე გადაცურდებოდა
თხემს იქით და დამთავრდებოდა ღა-
მე. მაგრამ დილის მოსვლამდე მაინც
კარგა დიდი დრო იყო და ბიჭი ისევ
ცხენზე შეჯდა... იცოდა სადაც მიდი-
ოდა... ამდამ იქაც უნდა წასულიყო...

ბიჭმა ახოები გადაიარა.

უცებ შეჩერდა...

პირდაპირ მიწიდან ამოიწვერა ხის
ჯვარი.

წინ სასაფლაო იყო.

— აქ რა გინდა? — დაიჩურჩულა
ვილაყამ.

ბიჭს შეეშინდა.

ნელა მოიხედა.

ზურგიდან ვილაყა წამოსდგომო-
და. ბანჯგვლიანი ქურქი ეცვა. ბონო-
ხა ქუდი ეხურა. იდგა და იცინოდა.

ბიჭი დააცქერდა. იცნო ბებერი
მეღორე იყო.

მეღორემ ქუდი მოიხადა და ისევ
ისე, რომ დიმილი არ მოუშორებდა,
დაიჩურჩულა:

— აქ რა გინდა?

— რა ვიცი...

— არ გეშინია?

— შენ? შენ არ გეშინია? — ჩუ-
რჩულეზა ბიჭიც.

— წადი, მოუსვი აქედან... გეშო-
ნიანო... აღარ მეშინია. წინათ მეშო-
ნოდა. ეხლა აღარაფრისა აღარ მეშო-

თამაზ ბიგილური
მთვარის გვილი

ნია. დადიან ღორები და ღორიქადას ეძებენ. მერე რა რო საფლავია? მა საღ წავიყვანო? ყანაში ხო არ წავიყვან? არაფრისაც არ მეშინიან. თუ მინდა, საფლავსაც გავთხრი და შიგ ჩავწვები. შენ მოდი და მიწა მამაყარე... მიწა არა ის არ გინდა... წადი, მოუსვი აქედან!

— მივდივარ.

მელორემ გაიცინა.

— ვიცო რომ გეშინია, შენოდენა რომ ვიყავი, მეც მეშინოდა.

— ხო, მეშინია... მერე რა?

— არაფერი... რა უნდა იყოს...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— წადი, მეძინება — თქვა მელორემ, — ჩამეძინა და გავიხედე... ცხენის ხმა არ ისმის... წამოვხტი, ყანაში ხო არ გადავიდა-შეთქი...

მელორე იქვე, საფლავის ძირში, ბალახზე მიწვა.

— წადი...

— ხო, მივდივარ...

— აი, უკვე დამეძინა... ყველასა ძინავს და მე რაღა ვარ? აბა უყურე, მთვარე საცაა ჩავა.

მთვარე მართლა საცაა ჩავიდოდა და ბიჭი მაშინვე მოტრიალდა, ცხენზე შეჯდა, მელორეს ჩურჩულით გადასძახა:

— ღამე მშვიდობისა...

— ჩუმად, რა გაყვირებს? — დაიჩურჩულა მელორემ, — ვერა ხედავ, ძმინავს!

— ვხედავ... დაიძინე...

ბიჭი ქვევით დაეშვა, სასაფლაო გადაიარა და მინდორზე გავიდა. შიში ეხლალა მოეძალა და ყველაფერი ცხენს გადააბრალა, ცხენს გაუჯავრდა. იქვე, მინდორის ბოლოში მელორეებისა და მეძროხეების ბინები იდგა. გარეთ არავინ ჩანდა. ყველას ეძინა. ძაღლები გამოენთნენ. ბიჭმა ცხენს დასჯყვავა. მიდოდნენ და ძაღლებიც ყვევით მოსდევდნენ. მერე მოსწყინდათ ტყუილი დევნა და ნელ-ნელა ჩამორჩნენ. ბეჭობზე გადმოშდგნენ იყუდებოდნენ. ყვევაც მოსწყინდათ. ჯერ ერთი გაჩუმდა მერე მეორე. მესამე მაინც იყუდებოდა. ბოლოს

ისიც გაჩუმდა და ჯარშემო ისევ დუმდა. ღამე ჩამოვარდა. ბიჭი იდგა და სიჩუმეს უსმენდა. მიხვდა, რომ თურმე სიჩუმეს მოსმენაც შეიძლებოდა. ეს იყო განთიადისწინარე სიჩუმე და გაახსენდა დიდუდის ნათქვამი: განთიადის წინ ერთი პირობა მდინარესაც ჩაეძინებოდა. ეხლა მდინარეს ეძინა. აღარც ქარი ქროდა და აღარც ნაქარი მსხალი ცვიოდა ხიდან. აღარც ბუბუბულები გალობდნენ, აღარც მიკიოტი კიოდა... და ამ სიჩუმეში ბიჭს უცებ გაუგებარი სიამაყე დაეუფლა. იფიქრა, რომ ეს იყო მხოლოდ მისი საკუთარი ღამე. მერე გაიფიქრა, რომ ეს ღამე დამთავრდებოდა და თან წაიღებდა თავის იღუმალეზასაც. ხვალ ბიჭი ისევ ჩვეულებრივი ბიჭი იქნებოდა, გაუთრჩინდა ვენახს, გააბანებდა ცხენს, ტყიდან ჩამოიტანდა ფიჩხს. ამის გაფიქრებამ კი ისევ ააჩქარა, ისევ დაეუფლა ერთი სურვილი — მთელი არსებით მისცემოდა ექსტაზს ზაფხულის ღამისა. ბიჭმა ჯერ არ იცოდა, მასთან დარჩებოდა ეს ღამე. როგორც დიდი რამ საიდუმლო თუ ხვალვე ვინმეს გაუმხელოდა, ვინმეს დაუხატავდა. იქნებ ეს ღამე უკვე ბევრისგან იყო განცილები, ბევრისთვის ნაცნობი და არც ისე გამოჩენილი, როგორც თვითონ ეჩვენებოდა... მაგრამ ბიჭს ამის გაფიქრებაც კი არ უნდოდა, სურდა ეს ღამე მხოლოდ მისი საკუთარი და ყოფილიყო.

ბიჭის წინ სოფელი გადაშლილიყო. — საბანწათვარებული, ღრმა ძილს მიცემული და მიჩუმებული. იქვე, ცხვირწინ სახლი იყო, სოფლის ბოლო სახლი, კაკლის ჩრდილში შეფარებული და ისიც ძილში წასული.

ამ სახლიდან იწყებოდა სოფელი.

მერე ბავშვის ტირილი მოისმა. ბიჭი მიხვდა, რომ მდინარემ გაიღვიძა, განთიადისწინარე სიჩუმე დამთავრდა. ბავშვი კაკლების ჩრდილში შეფარებულ სახლში ატირდა. ბიჭი იდგა და უსმენდა. ბავშვი უნაღვლოდ, მონოტონურად ტირიოდა. ბიჭი იდგა და ელოდა. იცოდა, ეხლა კაკლების ჩრდილში შეფარებული სახლის სარკმლიდან სინათლე გამოვი-

დოდა. სინათლე მართლა აინთო. განათებულ სარკმელზე ჩრდილმა გადაიარა. ვილაცამ ჩუმი ღიღინი დაიწყო:

— ნანან! ნანან!

ქალის ხმა იყო. ეს ხმაც თითქოს სადღაც შორიდან, საგანთაღო სიჩუმიდან მოდიოდა.

— ნანან! ნანან! — ჩურჩულებდა ქალი.

ბავშვი ისევ ტიროდა.

— ნანან! ნანან!

ბოლოს ბავშვი გაჩუმდა.

ბიჭმა ცხენი მოატრიალა. ამ დროს, მატარებლის ყრუ, შორეული კივილა მოისმა. ქვევით, ველის ბოლოში რკინიგზა მიდიოდა. ცოტა ხნის მერე იმ რკინიგზაზე ჩაივლიდა ღამის მატარებელი. შორიდან ისე გამოჩნდებოდა მატარებლის გავლა, თითქოს ველი უხილავ ძაფზე აკინძულმა ციციანთელებმა გადაკვეთესო. ბიჭის ხსოვნიდან წამით გამოკრთა ეს ნაცნობი სურათი — ჩაბნელებულ ველზე ციციანთელების გადარბენა. მაგრამ ესლა ციციანთელების შორიდან დანახვა აღარ უნდოდა. სხვა რამ მოუნდა — იმ მატარებელთან ახლოს მისვლა, განთიადის წინ რომ ჩაირბენდა ქოთქოთითა და ხმაურით, მერე ნელ-ნელა მიწყდებოდა ხმაური, ბოლოს კი უკანასკნელი მბუქრავი სინათლეც თვალს მიეფარებოდა, გაქრებოდა, როგორც ქრება ხოლმე ყველაზე შორეული ვარსკვლავი. მატარებელი ქალაქისკენ წავიდოდა და ბიჭს დასწყდებოდა გული, რომ იმ მატარებელს თვითონაც არ მიჰყვებოდა. ბიჭის გულში დარჩებოდა სევდა, ჩველილი მატარებლის პატარა სევდა.

ბიჭი აჩქარებდა ცხენს.

მაგრამ ცხენს თქმა აღარ ჭირდებოდა, თავადვე ჩქარობდა.

მატარებლის ხმაური ახლოვდებოდა.

მატარებელი გადაჰქიოდა ველს და ბიჭის წინ ქოთქოთით გარბოდნენ ვაკონები.

ზანზარებდნენ ლიანდაგები.

ზანზარებდნენ ბორბლები.

ზანზარებდა მთვარიანი ღამე.

●

როცა კვლავ სიჩუმე ჩამოდგა, მთვარე უკვე ქედის თავზე იჯდა.

დაღლილი ბიჭი გულადმა გადაწვა ბეჭობზე.

მთვარეც ჩუმად გაუჩინარდა და წავიდა.

სისხლივით წითელი, ცეცხლმოდებული ფარდა დაეშვა.

— ოდესმე მაინც გავფრინდები მთვარეზე, — თქვა ბიჭმა და თვალი მილულა.

●

— აქ რა გინდა, ბიჭო?!

ბიჭმა თვალი გაახილა.

თავზე მამა წამოსდგომოდა.

ბიჭი წამოხტა და იქვე მდგარ ცხენს ამოეფარა.

— რას იმალები?

— არ ვიმალები... — თქვა ბიჭმა.

მამა ახლოს მივიდა და ბიჭს თვალი თვალში გაუყარა.

— გადმოვიხედე და აღარა ხარ... ისევ ცხენმა მაპოვნინა... კიხვინი გავიფრენე. აქეთ წამოველ.

ბიჭმა თავი ჩალუნა.

— ხმას არ ამიიღებ? — მშვიდად იკითხა მამამ — ხმა ამიიღე-მეთქი! — დაიყვირა და სახრე გააწწა.

სხვა დროს არასოდეს გაერთყა ბიჭისათვის.

— სად იყავი!

— არ ვიცი.

— მაშ ვინ იცის?

— არ ვიცი.

— ეგრე უნდა იარო მთვარეულივით?

— არ ვიცი.

— მეშინია, არ შემომაყვდე! — მშვიდად თქვა კაცმა და კიდევ გაართყა.

თამაზ ზივილიშვილი

მთვარის შვილი

ბიჭმა სისხლი მოიწმინდა და მამას
თვალი გაუხსნო.

უცებ ბიჭმა თავი მიუსაფრად იგრძნო. თითქოს იარაღი აართვეს და პატი-
ვი აპყარეს. და ასე, ღირსებაშელახულად,
უკაცრიელ გზაზე გააგდეს. მაშინ ბიჭი
მიბრუნდა და თავქვეზე დაეშვა.

ცხენი ფეხდაფეხ მიჰყვა.

— მოიცა! — დაუძახა კაცმა — მო-
ცა-მეთქი!

ბიჭს უკან არ მოუხედავს.

— არ გესმის? ბიჭო, გიორგი! მო-
იცა-მეთქი!

— მოიცა, თორემ მოგკლავ იცოდე...

— ბიჭო, გიორგი!

— გიორგი!

— გიორგი!

— დაიცადე, სიტყვა მაქ სათქმელი!

ბიჭი მიდიოდა და უკან აღარ
იხედებოდა.

ცხენი მისდევდა.

მამა უცებ ძრწოლამ იტანა, უცებ
თითქოს ერთი მუჟა გახდა და ასე, დაჩი-
აგებული, ლოდზე ჩამოჯდა. იმ წუთში
ქვეყნიერება თვალშეუღვამი, ბნელი ტა-
ძარი გახდა. ცოდვილმა ის ერთად-
ერთი სანთელი ჩააქრო, რომელიც მის
წინ მკრთალად ანათებდა.

ტაძარში წყვდიალი ჩამოდგა.

როგორც უნდოდა, კაცი წამოხ-
ტა, წალღს ხელი სტაცა და ვენახისაკენ
გაიქცა. გარბოდა და თვითონაც არ იცო-
და რა უნდოდა; აღმართი აირბინა, ძე-
ვის ღობეში გაძვრა, ქოხს მიაღდა და
იქაურობას გადახედა. მერე ქოხს ეცა.
ხმსამოუღებლად ჩებავდა ზოძებს,
შლიდა ლასტებს, ფანტავდა თივას. ქო-
ხი მიწაზე დაამხო. ჩამოჯდა და სული
მოითქვა. შუბლზე ოფლი მოიწმინდა.
მერე ისევ წამოხტა, ისევ ნაჯახს დაავლო
ხელი და ვენახში შევარდა. ჯერ ერთი

ვაზი გადაჩეხა, მერე მეორე, აერე მესამე...
მე... მიჰყვებოდა და რასაც მისწვდებო-
და, ძირს აწვევდა.

ამ დროს ქვემოდან ცხენის ჰიხინა
მოისმა. ცხენი ეძახდა ბიჭს და შორიახ-
ლო მისდევდა.

კაცი შეჩერდა. მიიხედ-მოიხედა და
ნაჯახი გადაადგო. ვაზებს შორის ჩაეშო
და ჩაჩუმდა.

კაცი ტიროდა, სოფელი შორს იყო
და კაცს არ ეშინოდა ცრემლებისა.

— ყველაფერი შენთვის მინდოდა...
შენ არაფერი არ გინდა...

გადაჩეხილ ვაზებს და ძირს დამხო-
ბილ ქოხს გადახედა. წამოდგა. ჯერ ნელა
შემოიბერტყა მიწა, მერე ნაჯახი აიღო
და მხარზე გაიღო. ვენახიდან სოფელამდე
გაქიმულ გრძელ გზაზე ქაჭანება არავინ
ჩანდა. გზაზე მარტოცა მიდიოდა ბიჭი,
შორიახლო მიჰყვებოდა ცხენი.

კაცმა თავი მიუსაფრად იგრძნო. დე-
დამიწა გადაიქცა უკაცრიელ, გადამწვარ
პლანეტად, სადაც მარტო ერთი გზა ჩან-
და. გზაზე მიდიოდა ის თავჩაღუნული
ბიჭი და თუ კაცი დროზე არ დაეწყოდა,
სრულიად მარტო დარჩებოდა ამ უკაც-
რიელ პლანეტაზე.

კაცმა წალღი გადაადგო და გაიქცა.
ეხლა მარტო იმასლა ფიქრობდა, —
ბიჭი თვალს არ მიეფაროსო.

— ეხლა რა ვქნათ? — თქვა კაცმა.
— ჯერ ქოხი დავდგათ, — უპასუხა
ბიჭმა.

ისინი ზურგმეტყევით ისხდნენ.
მერე ბიჭი მზის ამოსვლიდან მზის
ჩასვლამდე თავაუღებლივ მუშაობდა.
ბინდისას შინისკენ გასწია. ბეჭობის
თავზე, ლოდთან ჩამოჯდა...
ბიჭი მთვარის ამოსვლას ელოდა...

ნ ი ლ ა ბ ი

„მაგრამ, რაც მთავარია, — ყვებოდა არისტოდემოსი, — სოკრატემ აი-
ძულა თანამოსაუბრენი დასთანხმებოდნენ, რომ ერთსა და იმავე კაცს უნდა
შეეძლოს როგორც კომედიების, ისე ტრაგედიების წერა და დიდი ტრაგი-
კოსი პოეტი ღირსი კომიკოსიც უნდა იყოს უთუოდ“.

ალაბონი: „ნაფიში“.

— წარმოდგენა იწყება! — დაიძახა
თედომ და ფარდის ღრეჭოდან თავი გა-
მოყო. აზნაურდა დოლი. ავივივიდნენ
სალამურები. ცხოვრების გრძელ ბილიკ-
ზე დედაშობილა გამოვარდა ცერო-
დენა თედო. ვილაცამ ხელი სტაცა და
სარცხვენელი დაუფარა. ვილაცამ ჭრელი
პერანგი გადააცვა. ვილაცამ ქული დაჰ-
ხურა ... თედო კაცად იქცა.

●

მე ახლაც მესმის თედოს ქაქანი, ახ-
ლაც ისე ვხედავ, როგორც იცოდა ხოლ-
მე აივანზე გადმოდგომა (აივანი ძველე-
ბურია, ჩუქურთმიანი). ჯუჯა ტანზე შა-
ვი ახლოხი და განიერი შარვალი აცვია,
თამასავით ვიწრო ქამარი პატარა ღიბს
ქვემოთ შემოურტყამს. ვერცხლის აბ-
ზინდა მზეზე ულაპლაპებს. დაეღაფა
ლოყებზე მწითური ულვაშები აუპრე-
ხია, გრძელ ყურებთან, ნაბდის ქუდიდან
გამოჩრილი თმები ეშმაკის პაწაწინტე-
ლა რქებივით ადგას. თვალებიდან ნა-
პერწყლები სცვივა. მთვარესავით გაბად-
რულ სახეზე სატირის ღიმილი გადაჰ-
ფენია.

თედოს შემხედვარე კაცი იფიქრებ-
და, — ეს მოწითალო თმა სხვისი თმა
არისო, ეს მოგრძო ცხვირი — პაჭუა
ცხვირზე დაშენებული ხელოვნური
ცხვირიაო, თველებიც სხვა რამით, რა-
ღაც ეშმაკის მოგონილით უტიმცი-
მებსო. საცაა შვირსხევა აწყა-ბაყყად
მოხატული კომედიის ფარდა, შექმით
სავსე სცენაზე გალიმებული თედო შე-
მოვარდება. ჯერ სიტყვაც არ ექნება ნა-
თქვამი — ხალხი წინასწარ ატეხავს ხარ-
ხარს და ასე ხარხარით გაიღევა ცხოვ-
რება, ვიდრე ის ჭრელა-ჭრულა ფარდა
უქანასკნელად არ დაეშვებაო.

ამას ჩვენ ვიტყვი, დიდი ხნის მე-
რე, თორემ თედომ არც თეატრი იცო-
და რა იყო და არც კომედიის მოხატუ-
ლი ფარდა ენახა ოდესმე. თედოს თავი-
სი თეატრი ჰქონდა, მის აცა-ბაცა გო-
ნებაში საკუთარი სიუჟეტები ითხზე-
ბოდა, დახატული სოფლის ნაცვლად
მის წარმოდგენაში ნამდვილი სოფელი
მონაწილეობდა, მუყაოს ტყის ნაცე-
ლად — ნამდვილი ტყე, ქალაღის
მთვარის ნაცვლად — ნამდვილი მთვა-
რე, ნამდვილი მზის ცხრათვალა შექმ-
თვალის მომჭრელად ელვარებდა პატა-
რა კარ-მიდამო და თავშეყრილმა მაყუ-
რებლებმაც სიცილიც გულიანი იცოდ-
ნენ და ტირილიც.

დილიდან დაღამებამდე თედოს ენა
არ გაჩერდებოდა.

დილიდან დაღამებამდე მისი მუხლი
არ ჩაიხრებოდა.

თვალი სულ იმაზე ეჭირა — რითი
გავირთო თავი და ხალხიც რით გავარ-
თო.

ყველაზე უფრო კვენხა უყვარდა:
ეგრე ნუკი მიყურებთ, — დიდი გვა-
რიშვილი ვარო. ჩვენმა მამა-პაპამ რა-
ღაცაზე გიორგი სააკაძეს აწყენინა, ღი-
დი მოურავის შიშით გვარი გამოიცვა-
ლა და მთას შეაფარა თავიო. მერე ზუ-
რამ ერისთავს უთქვამს, ნუ გეშინიათ,
აქ არა ვარო? სააკაძე რას დავაკლებთ,
პატიება მითქვამსო. პატიება კი მიუღი-
ათ, მაგრამ გვარი ვეღარ დაუბრუნები-
ათო ... ამას დიდის ამბით ჰყვებოდა,
წერილფეხობით გარშემორტყმული და
გაბადრული. ცოლი ამ დროს საჩხიდან
სწყევლიდა, — ამოგიწყდეთ ეგ გვარი,
მაინც ამოწყვეტილები არა ხართო?
ადე, რას ჩამჭდარხარ მაგ ბალებ-



ში, ვერა ხედავ, ქვეყანა გამდიდრდა, ან წყალი მაიტანე, ან ფიჩხზე წადი, საცაა თოვლს ჩამოჰყრის, თონე რიდათი გავახუროო? ...

— ეეზო, — ამოიოხრებდა თედო, — შენ მაგრე გაკაკაა და მეტიც არ გინდაო. ისიც არ გესმის, ბალღებს საღვთო აზრებს რომ ვუნერგავო. უცებ რო ფეხები გავფშოკო, სიმაართე რად უნდა წავიღო საფლავშიო. მერე ვილა ეტყვიო, ტყუილსა და მართალში ვინ გაარკვევო? .. ახლა ცოლი ალაპარაკდებოდა, — ვანა არა, დიდ მოურავს სულ თქვენთვის ეცალოო. საღვთო წერილში ეწერა, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო. რა დიდგვაროვნობას იჩემებ, არ ვიცი, ვინცა ბრძანდებო? .. —

— ვინა ვარო, ზო, თქვი, ვინა ვარო?

— ვინა ხარ და ნაცარქექიას შევითამეილის შევილიო.

— ხალხნო და ჯამათნო, ერთი დაუგდეო ყური! სადა თქმულა? ნაცარქექიას შევილი როდისა ჰყავდა, რაეხსა ჩმახავს ეს დედაცაციო!

თედოს ცოლი უტხო მხრიდან მოუყვანია, — როცა გაბრაზდება შინ ველარ გაიქცევაო. ბაბაღე გამრჩე ქალი გამომდგარა, თედოს მხარეთმოზე გადახრილი ქოხი ფეხზე წამოუყენებია, მარან-გომური გაუმართავს, ძროხა უყიდია, ღობეზე მამალი დაუყივლებია და როცა ბალღებიც დაუჩენია, სოფელს მეტი რაღა დარჩენოდა, თედოს ოჯახიც სათვალავში ჩაუვდია.

ქმრის ძველი ცოდვების გახსენება ბაბაღეს არა ჰყვარებია, მაგრამ თუ ვინმე გაახსენებდა გულს არ იხეტიაოდა. გასახსენებელი კი ბევრი ჰქონიათ. ეს ერთი გოჭი კაცი ნამდვილი მუსუსი ყოფილა. თვალ-ტანადი რომ ყოფილიყო, აღარაეინ იტყოდა, ეს ქალები მაინც რამ გააფიქათ, რა შეაგულეს ამისთანაო. სოფელში კი თედოს სასიყვარულო თავგადასავლებზე საარაკო ამბებს ყვებოდნენ. ამ არაკთა უმრავლესობა ცოტა ზედმეტად გულაზდი ღია და ცოტა გადამლაშებულიც; არც

თედოს სიღარბისლეს მატებს და არც დახვეწილი იუმორით გამოირჩევა. მეც რომ მოვყვე და მოგითხროთ, იცოცხლეთ, გაერთობით, მაგრამ დიდი ვერაფერი შეგემატებათ. ამიტომ მარტო იმას გეტყვით, რომ პირველი მსოფლიო ომიდან (თედომ ორივე მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა) ჯერ დაბრუნებულიც არა ყოფილა, ვილაცა ქალი ჩამოსულა და უთქვამს — თედოს ცოლი ვარო ... აბა დიდის პატივით მიუღიათ, ქართული უსწავლეობათ ... მალე თედოც ჩამოსულა. ჯერ არაფერი ... ორიოდე დღის მერე კი თავი მოუფიქრებია. ქალს უთქვამს, — გოჭი ქმარი რად მინდაო, დაუტრავს ფეხი და გაქცეულა. თედო ისევ დაჰკვიანებულა. ახლა იმაზე დაუყრიათ ხმა, დაღესტანში ერთ კალმით დახატულ ქერისსა ჰყვარობსო, მაგრამ დაღესტნის ამბავი მართალი არ გამომდგარა. სამაგიეროდ, რაც ზოგს ტყუილი ეგონა, ის გამომდგარა მართალი. სიღნაღში თურმე ერთი კედბაწარა ყოფაქცევის ქალი ცხოვრობდა. წელნაღი ისე არ გავიდოდა, არ გათხოვილიყო. წლის ბოლოს ქმარს შარს მოსდებდა და გაექცეოდა. ბოლოს ხმა მისვლია, — ამა და ამ სოფელში ერთი კვიმატი თედო ცხოვრობს. იმისთანა გულმზიარულია, არ მოგაწყენსო. იმ ქალსაც თედო უნახავად გულში ჩავარდნია, წამოსულა სიღნაღიდან, უპოვია და გინდა დაიჯერეთ გინდა არაო, ჰყვება სოფელი, უთქვამს, მე ამ სახლიდან ფეხის მომცლელი აღარა ვარ. შენ ქმარი და მე ცოლიო. მაგრამ თედოს მამა უკვე ბაბაღე ჰყვარებია და ის სიღნაღელი ქალი ვათენებისას სახლიდან გაუვდია.

წელან ომი გახსენე და ვიღრე ისევ ომს დაგუბრუნდებოდე, ამათვითვე უნდა გითხრათ: თედოს ოინებიდან მხოლოდ ნახევარი მინახავს ჩემი თვლით. დანარჩენი სოფლისაგან ვამიგონია. იმ განაგონში ტყუილ-მართალის ვარჩევა ძნელია, მართალიც ზოგჯერ დაუჯერებელი ჩანს და მოგონილიც ზოგჯერ

მართალსა ჰგავს. აი, თუნდაც ომი აი-
ღეთ: ზოგი იმას ამბობს, — რაკი თედო
მხიარული იყო, უშიშარიც გახლდათო.
მაგრამ თავის გამოჩენის სურვილი არა
ჰქონია და სახელიც იმიტომ ვერ გაით-
ქვაო. სხვები ამბობენ, — თედო და
გმირობა? რაც მართალია, მართალია,
პირველ მსოფლიო ომში მოხალისედ
წასულა, ამას ვერ დაუკავრავთო. პოლ-
კის მუსიკა მოსწონებია და უფიქრია,
ომშიც სულ მუსიკით ვივლითო. ორი
წლოწადი კარტოფილი უფცქენია, მე-
რე უთქვამთ, სირცხვილია, ერთხელ მა-
ინც გაისროლე თოფითო. როგორც კი
ბრძოლაში ჩაბმულა, ტყვია მარჯვენა
ხელის საჩვენებელ თითში მოხვედრია,
სწორედ იმ თითში, თოფის სასხლეტს
რომ გამოსდებენ ხოლმეო. აბა, ხეიბა-
რი ომში ვის რაღად უნდოდა და შინ
გამოუსტუმრებიათო.

მეორე მსოფლიო ომში კი ჯერ იმა-
ზე დაუწუნებიათ — დაბალი ხარო, მე-
რე ხეიბრობის გამო უთქვამთ უარი,
მაგრამ როცა ერთხელ, მეზობლის
ქვრივს ჩხუბის დროს წამოუძახებია —
რატომ არ წავიყვანეს, კარტოფილს მა-
ინც დაგაფცქენევინებდნენო, თედოს
გული ჩასწყვეტია. ის დღე ყოფილა და
შინიდან აღარ გამოსულა. მაშ ამათი
სამასხრო უნდა გავხდეთ? — უთქვამს
და ომში წასვლა გადაუწყვეტია წასუ-
ლა... ერთი კვირის მერე ომიც დამთა-
ვრებულა და რაიონში რომ გამარჯვე-
ბულები ეშელონ ჩამომდგარა, ვაგო-
ნის სარკმელში ყველაზე ადრე გაღი-
მებული თედო გამოჩენილა.

რალას არ ამბობდნენ თედოზე.

რა ხმას აღარ დაუყრიდნენ.

რას აღარ დააბრალებდნენ.

როცა გაახსენდებოდათ, ჯერ სიცი-
ლით დაიხიცებოდნენ და მერე ამბავს
მოაყოლებდნენ.

თედო ნაღიკენარი იყო... არა, დია-
კვანი იყო... ნაღიკენარი მერე გახდა.
ღიკვანი ეთქმოდა თორემ, მთელ სო-
ფელში იმაზე ჩამოდღეტილი და გში-
ერ-მწყურვალ კაცი არა ცხოვრობ-

და. რევოლუცია რომ მომხდარა,
სხვებზე პირველად მაინც იმისთვის
უტაციათ ხელი. ჯერ გომურში დაუმ-
წყვდევიათ, მერე ორი მილიციელის თა-
ნსლებით სოფლის ბოლოში გაუყვანი-
ათ და უთქვამთ — სადაც გინდა იქ წა-
დი, აქ აღარ დაგინახოთო.

წასულა!

მაგრამ ერთი კვირის მერე სოფელს
მოუწყენია, ან თედო დაგვიბრუნეთ,
ან არა და ახალ დროებაზე უარს ვიტ-
ყვითო, დაუძახიათ და ძებნა დაუწყ-
ყიათ. თელავში უპოვიათ, თურმე ბა-
ზარში მდგარა და ჩონგურს უკრავდა.
ხელი უტაციათ. საწყალს ჰგონებია,
ისევე მიჰყერნო და ყვირილი დაუწყია.
არავინ მიშველებია. ყველა აქეთ-იქით
გაქცეულა. მაგრამ დაუმშვიდებიათ და
სოფელში სულ ჩონგურის დაკვრით
ჩაუყვანიათ.

ლხინისა და ლიღინის კაცი ყოფილა
თედო, მაგრამ იმის ცხოვრებასაც ჰქო-
ნია ერთი პატარა ხინჯი, იმის მზიან დღე-
საც ედგა თურმე პატარა ჩრდილი. ამ
ხინჯს საგანგებოდ კი დამალავდა, მაგ-
რამ ჰკირი თვითონ არ მალავდა თავსა
და თედოც გულის ჯავრს იმ ჰკირზე კი
არა მთელ სოფელზე იყრიდა, ყველა-
ფერს სოფელს აბრალებდა. საქმე ის
გახლდათ, რომ თედო მეკუბოვე იყო,
კუბოებსა თლიდა. თვითონ „კუბოს“
არასოდეს ასხენებდა, იტყოდა ხოლმე,
— „სასახლე უნდა გავთალო“, ან „სა-
სახლე უნდა ავაგოო“... მეკუბოვეც
ისე უბრალოდ ვანდა, როგორც უბრა-
ლოდ გალია თავისი ცხოვრება. ერთ
დღეს მილიციელი მომკვდარა, სწო-
რედ ის მილიციელი, თედოს რომ
სოფლის ბოლოში პანდური ამოპ-
კრა და გააგდო. კუბოს გამკეთებე-
ლი არავინ ყოფილა თურმე და მიცვა-
ლებული დაუმარხავი რჩებოდა. მაშინ-
და წამომდგარა საწყალი თედო, — მო-
დიო, მე გავაკეთებო. მონდომებით

თამაზ ბიგილაძე
წილავი

უმეშვეია და ისეთი კუბო გაუთლია, სოფელს უთქვამს — მორჩა, ამის მერე მარტო თედოს გაკეთებულ კუბოში ჩავწვებითო.

საწყალ ბაბალეს ყველაფრის მოთმინება შეეძლო. ყველაფრის უხმაუროდ ატანა. მაგრამ ქმრის ხელობას კი ვერა და ვერ შერიგებოდა რა დაეუშავე იმ ღმერთს, რომ ჩემი ეზოდან სულ კუბოები გაჰქონდეთო. სხვა ვერაფერი ხელობა ისწავლა ამ ჩემი ცოდვით საესპო? ან ნაღბანდი გამოსულიყო. ან კალატოზი, ან თერძო. — ჩიოდა ბაბაღე, მაგრამ თედო ყურსაც არ უგდებდა ყურს კი უგდებდა — ცოლის ყველა სიტყვას სიმინდის მარცვლებივით ენჯავდა. მაგრამ პასუხს არა სცემდა. ბოლოს, ცოლი რომ არა და აღარ ნორჩებოდა ლაპარაკს, თედო მივარდებოდა, ახლად გათლილ კუბოში ჩაწვებოდა. ზემოდან საფარებელს გადაიხურავდა და თითქოს სამარიდან იძახდა, — აბა ზმას ნუ ჩაიწყვეტავ, თუ აქედანლა ამოვიდეთ. ახლა ამაზე გადაიროდა ბაბაღე და გადასახებდა, — ნეტა იმას მოვესწრო, სხვის კუბოში კი არა, საკუთარში გნახო მაგრე გაჰიმული და თუ ერთი ცრემლი დავეღვარო, ქვეყანამ ჩამქოლოსო. ამ დროს „ქვეყანაც“ მოგროვდებოდა, ყველას სეირის ცქერა მოუწოდებოდა. თედოს ეძახდნენ, ამოდი, კაცო, ემანდ შიგ არ ამოიხრჩო, ჯერ მამათაგრე, დაუმარხავი არ დაარჩინო ვილადაო. აქეთ ბაბალეს გადასახებდნენ, — საქმროდ რო გამოგეტყვალა, მაშინ არ იცოდი, ვინც იყო? არ იცოდი, რომ კუბოებსა თლიდაო?.. ვინ მითხრაო? — თავს იმართლებდა ბაბაღე — თავი ღურგლად გაგვცნო. ღურგალი ათასნაირია, რას ვიფიქრებდი თუ გვატყუებდაო... ბოლოს ვილადა ტყუილად დაიძახებდა, — პარიქათ, ჭირისუფალი მოდისო! ეხლა კი გადახდიდა თედო კუბოს სახურავს, წამოხტებოდა, სახიდან ოინბაზის ნიღაბს ჩამოიხსნიდა, თვალები დაენისლებოდა, კოპებს შეჰკრავდა, თავს ჩაქინდრავდა და შალაშინს მწუხარე ხმაურით მიჰყვებოდა.

ბოდა. ჭირისუფალი არა ჩანდა, თედო ისევ გამხიარულდებოდა, ენად გაიქრიფებოდა და პირიდან სიტყვები ბურბუშელასავით სცივოდა.

სახელს არავის დაუძახებდა.

თუ იმის კბილა იყო — ნათლიაჩემო, აბა ერთი აქეთ მოიხედეთ, — ეტყოდა. თუ იმაზე პატარა, — ნათლულო, ერთი გადმაირბინე, სიტყვა მაქსათქმელიო.

ხალხის დაპატიყება უყვარდა.

აიგანზე გადმოღვებოდა და პირდაპირ იქიდან იწყებდა...

— ნათლულო, ნათლულო! აბა ერთი მომიცადე, რა განიგანზე დადიხარ, მირონი არა გვაქცხებულო? იი, როდის აქეთ გამიხდი ეგეთი ამპარტავანი, თავჯდომარედ ხო არ დაგნიშნესო? დაიცადე, სად ვარბიხარ, განა სიტყვის ყადრისთვის გეუბნები, მართლა გეპატიყები, ბაბაღემ წუხელ ხინკალი მოახვია, აბა ხო იცი, რა ხინკალიც იცის, ოცდაუთნაოჭიანი, ამ დილას ერბოში გავხუხეთ, იგეთია თითებს შიგ ჩაიკვნეტო. თან ერთი ხელადა წითელი ღვინოცო, შარშანდელია, წარაფებისაო. ეგხ, შენ? ვადიდაციებულხარ, შენც დიდ მარაქაში გარეულხარ, საწყალი კაცისკენ აღარ იხედები, ღმერთმა ხელი მოგიმართოსო!

ნათლული იქიდან გადმოსახებდა:

— სხვა დროს იყოს, თედო, სხვა დროს დაგაფასებ, ეხლა მეჩქარება, კაცი მელოდებო.

ერთს რომ ჩააცილებდა, ახლა მეორე გამოჩნდებოდა და გახარებული თედოც ღობეს მოადგებოდა.

— აბა ნათლი, ხათრი არ გამიტეხო, რა ხანია აქეთ არ ჩამოგივლია, ტკბილი სიტყვა ეუთხრათ ერთმანეთსო.

ის მეორეც რამეს მოიმიზნებდა, გაუცინებდა და გზას გააგრძელებდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ მოპატიყე თედოს არც ბაბალეს მოხვეული ხინკალი ეგულებოდა და წარაფების შარშანდელ საფერავსაც ბაბალეს შიშით ხელს ვერ ახლებდა. მარტო ერთი

— გული ჰქონდა კითხილი და სიტყვა —
ტყბილი. ტყბილი სიტყვით სუფრა ვერ
გაიშლებოდა და თედოს პატიჟნეც
ათასში ერთი, სხვა სოფლიდან გადმო-
სული დაღლილი მგზავრი თუ შეადგ-
და ლილინა ჰიშკარს... მაშინ თედოს
ზეიმი ღვებოდა, ცოლს გასძახებდა,
დედაკაცო, სუფრა გაშალე, სტუმარი
მოდისო. და ბაბაღეც, მეტი რა გზა
ჰქონდა. უცხო კაცთან თავს ხომ არ
შეირცხვენდა, მარნიდან შოთებს და
ყველს გამოითიანდა, ზედაც მწწნილს
მოაყოლებდა, გუშინდელ ლობიოს გა-
იცხელებდა, გადამალულ ღვინოს გამო-
აჩენდა და თედოს მეტიც აღარათფერი
უნდოდა, სახლიდან მრავალჯამიერის
ხმა გამოდიოდა.

თუ ბაბაღეს ღმერთი გაუწყრებოდა
და უცხო სტუმართანაც შეჰბედავდა, —
რისი შემოშტანი ხარ, რისი იმედით
ეპატიეები ხალხსა და ჯამათსო, ნაწ-
ყენი თედო მაშინვე არაფერს ეტყოდა,
დამახსოვრებით კი დამახსოვრებდა
და ჯაფრსაც მალე ამოიყრიდა: როგორც
კი ბაბაღე თონეს გაახურებდა და კოხ-
ტად დაბრაწულ პურს ვარცლზე ამოპ-
ყრიდა, იქვე დარაჯად მდგარი თედოც
მოპატიეედ გადაიქცეოდა, გამვლელ-
გამომვლელს, დიდსა და პატარას ცხელ
შოთზე ეპატიეებოდა, ეხვეწებოდა, ზე-
დაც გუდის ყველი დააყოლებოდა და
აბა, იქვე, თბილ თონესთან, ახალდაბრა-
წულ შოთზე უარს ვინ ეტყოდა? შეიყ-
რებოდნენ მეზობლები, ვიღაცა თავის
მხრივ ხელადა ღვინოსაც მოითიანდა და
იმისთანა სიტყვა-პასუხიანი, ტყბილი
და ლაზათიანი პურობა გაიმართებოდა,
ველარც ბაბაღე დაიჩივლებდა რამეს
და თედოც ხომ გულში ზეიმობდა და
ზეიმობდა.

ცოლზე ჯაფრის ამოყრა სხვაგვარა-
დაც იცოდა

უცებ დაღონდებოდა, სოფელში
მგმუნვარე სახით ჩამოვილიდა

თედო დაღონებულად და რაღა
ჩქმა უნდა. მაშინვე ყველას თვალში
ნოხვდებოდა.

— რა მოგივიდა, როგორა ხარო, —
კითხავდნენ.

— რაღა როგორა ვარ, ბაბაღე მო-
მიკვდაო.

— რამ მოკლა კაციო?

— აბა ხო იცით, ეზოში რო კაკალი
გვიდგაო.

— როგორ არ ვიცითო.

— გუშინ ის კაკალი დაგებრტყეთ,
იმას მისძღომია, კუჭი გაუსკდა და მო-
კვდაო.

— რაღა დროს კაკლის ბერტყვაო,
— იცინოდა ხალხი — დეკემბერი მი-
ილია, საცაა ქრისტეშობის დღეც დად-
გებოა.



ამასობაში მოვიდოდა ახალი წელიც.
წინა დღეს ყველა თედოს ეხვეწებოდა
— რაღა უტოდველი ბაღლი და რაღა
შენ, მეკვლეობა არ დაგვივიწყო, შენი
ფეხი კარგადა გვაქ დაცილიო...

— რა გინდათ, თავი დამანებეთ,
ალილოზე ხო ვიყავი თქვენთან, ყველას
ხო ვერ გაგვუდებით, მე ერთი
ვარ და თქვენ მრავალნიო. — თქმით
კი ასე ეტყოდა, მაგრამ გულს მაინც
არავის დასწყევტდა. იმ დამეს ძილი
გაუკრებოდა, სულ იმის ფიქრში გა-
ათენებდა, ხვალ ვის რა ვუთხრა, ვინ
რით გავახაროო. ჯერ კარგად გათენე-
ბული არ იყო, წამოხტებოდა (ბაბაღე
ამ დროს ღვთისნიერი ქალი იყო, ახა-
ლი წელი დიდათა სწამდა და თედოს
ტყბილეულით სავსე კალათს გაუშა-
დებდა), სათითაოდ ყველა მეზობელს
ჩამოივლიდა, ყველას დააბერებდა,
ყველგან ჯდაჰკრავდა და შუადღისას
უკვე ისე გამოთვრებოდა. ზურგზე შე-
ისვაძდნენ და მიიტანდნენ შინა. პატა-
რა კაცი იყო თედო. მორჩილი ტანისა
და სასმელიც ცოტა ჰყოფნიდა. იმ წე-
ლიწადს კი, თუ ვინმეს უბედობა ეწვე-
ოდა. გაიხსენებდნენ და იტყოდნენ,
განა არა, ამ ახალწელს თედომ რო მეკ-

თავაჲ გიბილური
ნილაბი

ვლეობა ვერ გაგვიწია, ყველაფერი იმის ბრალიაო.

კიაკოკონობა ღამეს კაბას ჩაიცვამდა, ბაბალეს ზანდუჟიდან თემებს ამოიღებდა და თავზე დაიხურავდა, ცოცხის „ცხენზე“ გადაჯდებოდა, ბალღებს დაჟახებდა და უბანში იმისთანა ქივილ-ხიკილი ატყდებოდა, ყველა იმას ამბობდა, ნეტა სულ კიაკოკონობა იყოს და ეს არსაქნელი თედო ეგრე აღმა-დაღმა დარბოდესო.

აღდგომა ღღეს წითელი კვერცხები ეჭირა. დიდ-პატარას ჩამოუვლიდა, ყველას კვერცხებს დაუმტვრევდა და რალა თქმა უნდა, ბოლოსა მიხვდებოდნენ, რომ თედოს ყინაწითელი კვერცხი მართალი კვერცხი კი არა, ხისაგან იყო გამოთლილი. გამოთლა კი, იცოცხლეთ, იცოცხალეთ, მართლა ოსტატის ხელი ჰქონდა. დილიდან საღამომდე ბალღები დასდევდნენ და მანამ არ მოეშვებოდნენ, სანამ ან რქიან ეშმაკს, ან „ყირა-ბიჭოს“ არ გამოათლევინებდნენ. ერთ ქორწილში (ქორწილი ხომ უიმისოდ არ ჩაივლიდა. ერთხელ დავიწყებოდათ თედოს დაპატოვება და რძალი იმისთანა აშარი გამომდგარა, დედამთილ-მამამთილი სულ იმას ამბობდნენ, თედო რომ არ დაეპატოვებოდა იმიტომო, ხო, ერთ ქორწილში. თურმე სახელდახელოდ ბიჭის სარცხენელი გამოთალა და პატარძლის ხელისმომკიდეს მიართვა. სიძის მაყრებმა თურმე ბეგრი იცინეს, პატარძლის მაყრებმა ხუმრობა ვერ გაიგეს და თურმე ხუმარასაც კარგად დახელოდნენ, რომ ვილაცას არ შესცოდებოდა და არ ეთქვა, თავი დაანებეთ, არ იცით მაგის ამბავი, მარტო ჩვენთან ხომ არა ხუმრობს, მაგისათვის ერი და ბერი, მეფე და მღაბიო ერთიაო. თურმე მართლა თავი დაანებეს, ის სარცხენელი ჯიბეში ჩაუდგეს, უთხრეს, შენ ცოლს წაუღეო და ქორწილიდან გამოაგდეს.

სხვა რა უყვარდა?

რა ვიცი, რა აღარა...

გვალვაში გონჯას მოაწყობდა, წერილფხობას წინ გაუძღვებოდა. მი-

სდევდნენ დედაკაცები და კომპლემენტებს წყალს აჭივლებდნენ. ვინ დაიჯერებს. მაგრამ წვიმა იმავე ღღეს თუ არა, მერე მაინც აუცილებლად მოვიდოდა. აგე, თედოსთვის კოკა წყალი რომ გვენახებოდა, ასი იმდენი ციდან გამოგვიგზავნაო, — ამბობდნენ დედაკაციები და თედოს ეხვეწებოდნენ, ერთხელ კიდევ ჩამოუარე და წელს გეყოფა, მეტი აღარ მოუწდება, ყურძენი თვალში შედისო.

ოხოფეხებზე შედგებოდა და სოფელში ჩამოივლიდა.

სწორედ ღლეობა ღღეს, როცა სოფელი სტუმრებით გაივსებოდა, ზედ ყველაწმინდის ეზოში, ვირზე უკუღმა შემჯდარი გამოჩნდებოდა. ხალხი ღრანცელით მოსდევდა, ქალები ეძახდნენ, ეგრე უკუღმა დაბერდი თედო, ღმერთი გაგახარებს, რაც ჩვენ გვაცინეო. თედო კი იჯდა გამტკნარებული სახით, პირზე ერთი ღიმილი არ მოერეოდა, თითქოს ამ წუთში მთელი ქვეყნიერების ჭირვარაზე ფიქრობსო. ადევნებული ბიჭები სახედარს წკირით შეუჩიჩხინებდნენ, სახედარი ტლინკებს შეჰყრიდა და ატროკდებოდა. ბოლოს სახედარი სულ გაცოფდებოდა, თედოს ბურთივით გადმოსევდა და ყროყინითა და კულის ქნევით ფერდობზე დაეშვებოდა. რალა თქმა უნდა, თედოს გარშემო შემოეხვეოდნენ, სავსე ყანწს მიაწოდებდნენ, და საღსალამათი თედოც ყანწს გაღიმებული გამოსცილიდა თუ არა, იქვე თავს ჩაქინდრავდა და ბურანში წავიდოდა. მაშინ ხალხი იტყოდა, „ვირი მაბრუნეთ, ვირიო“. დამშვიდებულ სახედარს მართლა დაიჭერდნენ, თედოს ზედ შესვამდნენ და მორჩილი სახედარიც თვლემამში წასულ ბედნიერ მხედარს შინ მიიტანდა.

თედოს დიდი სიხარული მაშინ იყო, როცა ბალღებს გაახარებდა. მთელი ღღე ხომ ბალღებში ყოფნით გადიოდა! იდგა და ფიცარს აშალავდნენ! ბალღებიც გარშემო შემოხვეოდნენ და სანამ ფიცარი კუბოდ არ იქცეოდა ფეხს არ მოიცვლიდნენ, „სასახლის“ შეკვრას

რომ დაიწყებდა, ბაღებს თვითონვე დაითხოვდა, ეხლა წადით, უკვე ღამდება, ძებნას დაგწყებენო. თუ შინ იყო, ბაღები ღობესთან ელოდებოდნენ, მალე გამოვა და გასართობს გამოგვიტანსო, ან ამბავს გვეტყვის რაიმეს, ან საჭყეტიანოს გამოგვითლისო. ბაღების დღეობა კი მართლა მაშინ იყო, როცა თედო „ბელურებს დააფრენდა“. თედოს სახლის საყვავესთან ნიშებში ბელურებს ედოთ ბინა. ღამით თედო ჩუმად მიეპარებოდა, ბელურებით დიდ, ჭინურა კალათს გაავსებდა, დილაადრიან ბაღებს დასძახებდა, აბა, მოგროვდით, ეს რა გაჩვენოთო, აივანზე გადმოდგებოდა და ბელურებს გააფრენდა. ბელურები ჭივილ-ხივილით მოედებოდნენ კაკალს, ბაღებს აქეთ გაჰქონდათ ჭივილ-ხივილი და რაღა თქმა უნდა, რომ ხალხიც მოგროვდებოდა.

— დააფრინე, თედო?! — დაუძახებდნენ შორიდან.

— ემაგათ ჭკუით დაბერდი, — დასწყევლიდა ცოლი.

თედო არავის უსმენდა.

არც ბაღები უსმენდნენ ვინმეს და იმისთანა ყრბამული გაჰქონდათ, მეზობლები ხელს ჩაიქნევდნენ, ტყუილად ვილლით ენას, ჩვენთვის ვისა სცალია, ჩვენ ვინ გვიყურებსო.

ბაღლებთან თავს კეთილ მეფედ გრძნობდა. ის რომ შუაში ჩაჯდებოდა და გარშემო წვრილფეხობას შემოიკრებდა, რას არ მოიგონებდა და რას არ იტყოდა.

— ვის ვინდათ ულვაშები, ბიჭებო! — დაძახებდა და თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭებიც ერთხმად აპყვებოდნენ:

— ჩვენ გვინდა, ჩვენაო!

— აბა წამოდითო! — იტყოდა და მარანში შეუძღვებოდა (ამ დროს ბაბაღე შინ არ იყო და თედოსაც შიში არაფრისა ჰქონდა).

ქვევრს მოხდიდა. ხაპირით წითელ საფერავს ამოიღებდა, თიხის ჯამს ვაფსებდა და ბიჭებს სათითაოდ ჩამოუ-

რიგებდა, — გამოთ, დაღეთ, ოღონდ იმგვარად, ზედა ტუჩი ჯამში ჩარგეთ და ჯამიც სულმოუთქმელად გადაჰკარითო. ბიჭები ჯამს გადაჰკრავდნენ, საულვაშზე საფერავის წითელი ულვაშები დარჩებოდათ და თედოს მარანიდან იმისთანა სიტყვა-სიმღერით გამოდიოდნენ, როგორც მეფეობის სახლიდან გამოდიან ხოლმე შეზარბოშებულის, ულვაშებშეღინდლილი მაყრები.

ამ ყოფაში მთელი წელიწადი გადიოდა.

2

ქალაქში წასვლა არ უყვარდა.

ქალაქში მისთვის არავის ეცალა. თედო კი ბედნიერი მარტო მაშინ იყო, როცა ხალხში ტრიალებდა, სიტყვას გადაავდებდა და პასუხს დაიბრუნებდა, გაიცინებდა და დაღონდებოდა, ტყუილს მოიგონებდა და მოატყუებდა, მართალს იტყოდა და დააჯრებდა. უკანასკნელად ოციოდე წლის წინ წასულიყო ქალაქში. ტიკით ღვინო წაეღო გასაყიდად. უცებ ბაზრის ბოლოში არღანის დაუკრავთ. თედოს ვიღაც კაცისთვის უთქვამს, — ამ ტიკს მიმიხედო და სადაც არღანს უკრავდნენ, იქით გაქცეულა. როცა დაბრუნებულა, აღარც ტიკი დახვედრია, აღარც ის კაცი.

რადღა დაგვრჩა მოსაგონარი?

წელიწადში ერთხელ მაინც ამოვიდოდა მილიცია, თედოს ხელსა სტაცებდნენ და წაიყვანდნენ. ამა და ამ აღვლილზე ესა და ეს ვითქვამსო. ღმერთი, რჯული, ეგ კი ვთქვი, მაგრამ მაგრე არ ვითქვამსო... მერე გამოუშვებდნენ. სოფელმა იცოდა, რომ გამოუშვებდნენ და თედოს დაჰქრავდნენ და არ ანადგულებდნენ... მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და მოსაგონებლადაც არა ღირს.

ასე მიდიოდა ცხოვრება.

ასე ყოფიდა მამალი ყოველ დილა

თამაზ ბიბილუაძე
ნინუაძე

თედოს ლობეზე. იმ მამალზეც ამბობდა სოფელი, პატრონივით უქუღმართიაო. მაშინ კი არ დაიყვილებს, როცა მთელი სოფლის მამლები ყრვანო. გულს რომ დააჯერებს, მართლა გათენდაო, მაშინდა დაიწყებს ყვირისო.

ასე იწყებდებოდა ყოველ საღამოს შრომით მოღლილი, სახედამკეცარი ბაბაღე, და იგონებდა იმ ავადსახსენებელ დღეს, როცა პირველად დაინახა ეს ლაქლაქა, ხელთუყარი, მოპარტყე, ენდაუყენებელი, ეშმაკის მონაგონი თედო.

ასე უდრტკინველად ისმენდა თედო ცოლის წყევლას, ბოლოს დაემუქრებოდა, გაჩუმდი, თორემ მაინც გული მაქვს შენზე აცრუებული, წავალ და სოფლის თავში რომ შინაბერა თიკო ცხოვრობს, იმას ჩავესიძებიო. თედოს ამ „რომანის“ ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა. ბაბაღემაც იცოდა და ეხლა უფრო გაცეცხლდებოდა, ეხლა უფრო აილესავდა ენას... მაშინ თედო კარს გამოაჯახუნებდა, შარაზე გამოვიდოდა, ჯერ წყაროსთან გაჩერდებოდა და ზალ-ხში ლაქლაქით გულს იჯერებდა, მერე სამკედლოში შევიდოდა და მკედლებს გაართობდა, ბოლოს, სად იყო და სად არა, ის შინაბერა თიკოც გამოჩნდებოდა — კონტად მორთული და მოკაზმული მკედლები თედოს გადახედვდნენ, აგე, შენი საბედო მოდის და აბა შენ იციო. თედოც ნაღვლიანი თვალებით შარაზე გადავიდოდა, შინაბერა თიკოს გზას გადაუჭრიდა და ვითომც უცხოაო, ჰკითხავდა:

— ეს რა სოფელია, გენაცვალეო.

— ღმერთმა რო არ იცის შენი თავი და ტანო.

— აბა ერთი ხმა გამე, ძალღათ მაინც ჩამადგე, მაშ ეგრე კარგუნახავი უნდა დაბერდეო?

თიკო ქოქოლას მიაყრიდა.

ხალხი ხარხარებდა.

ხალისიანი თედო შინსაკენ მიცუბ-ცუხებდა.

●

რა აღარ გითხარით, მართალი თუ ტყუილი, საკუთარი თვალით ნანახი თუ სხვისაგან გაგონილი, თავი და თავი კი ბოლოსთვის დარჩა სათქმელი: მზიარული თედო ხუთი შვილის მამა იყო.

ჯერ ზედიზედ სამი ქალი გასჩენიათ. თედოს უთქვამს, სანამ ბიჭი არ გვეყოლება, გვარის გამგრძელებელი (აბა, გვარით ხომ ძალზე ამაყობდა), თავს არ დავენებებო. მართლაც ახლა ორი ბიჭი გაჩენილა ზედიზედ და თედოც დამცხრალა. ბაბაღე გამრჯე ქალი იყო და შვილებს არაფერი დააკლო. გული მარტო იმაზე ეთანადრებოდა, რომ ხასიათი მაინც ხუთივეს მამისა გამოჰყვა, ხუთივე მამის კვალს ეწია და სოფელს ხომ მეტიც არ უნდოდა. როგორც კი შვილებმა ფრენა ისწავლეს, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ და სახლკარი ისევ თედოს დარჩა, საბერიკაოდ და სალხინოდ.

უფროსი ქალი — მარგალიტა ქალაქშია და რომელიღაც ანსამბლში ჩონგურზე უკრავს.

შუათანა ქალი — ნუცა გასტრონომიულ მაღაზიაში მოღარედ მუშაობს. ორივენი გაუთხოვრები არიან და ელოდებიან, საცაა ცა გაიხსნება და ღმერთი გადმოგვცემდავსო.

უმცროსი — ვერიკო ლანჩხუთში გათხოვდა, შორებლობა მოიმიზეზა და დედულეთში აღარც ჩამოსულა.

ბიჭებიც დაიზარდნენ.

უფროსი ბიჭი გრუზო იმისთანა დავა, კედელს რომ მისწოლოდა გაანგრევდა. თელავში მეხიკელოება დაიწყო, სახლაც აიშენა და მანქანაც იყიდა.

მომდევნო ბიჭი — ტუხო რომელიღაც კინოფილმში ერთხელ გამოჩნდა (წინასწარ ხალხი გააფრთხილა, ამა და ამ კინოში ვიქნები და მნახეთო. მთელი სოფელი კინოში წავიდა, ეძებეს, მაგრამ ტუხო ვერსად დაინახეს), მას მერე აიჩემა, არტისტი ვარო და ვეღარც ისწავლა, ვეღარც საქმეს დაუღო გული. ეხლა ქალაქშია, ნათესავებში დადის და

იხვეწება, იქნებ სადმე ტაქსის შოფრად მომაწყოთ, მეგრე მიყურეთ, რასაც ვიზამო.

მარგალიტა და ნუცა ერთმანეთს არ ელაპარაკებიან.

ტუხო გრუზოს გლენს ეძახის. გრუხო ტუხოზე ამბობს — მაგისგან კაცი არ დაღდება, ერთი ტანადობა მისცა ღმერთმა და თუ ამით მაინც ვინმე მდიდარი ქალი არ შეაციდინა, ოჯახს ვერ მოაწყობსო. ერთმანეთთან დიდი მისვლა მოსვლა არა აქვთ. მარტო ერთხელ, ტუხო თელავში ქმაბიკებით ჩამოსულა, უთქვამს: არტისტები არიანო. კარგად უქეიფიათ, ძმისაგან ორასი მანეთი უსესხია და წასულა და წასულა...

რალა თქმა უნდა, სოფელმა ყველაფერი იცოდა და როცა თედო შარაზე ჩაივლიდა, ხან ერთი გადაუდგებდა სიტყვას, ხან მეორე.

— ბიჭები როდის ჩამოგიდიან თედო, არ ვიქეიფოთ ჩვენებურადაო. თედოსაც უყვარდა შვილებზე სიტყვის ჩამოგდება და ისე, თითქოს სოფელი აინუნშიაც არ არისო, სუმრობაგაშვებით იტყოდა:

— აბა ხო იცით, რა შვილებიც გაზარდო.

● ისე გაიარა წუთისოფელმა, სიბერეზე ერთხელაც არ დაფიქრებულა თედო. სოფლის მეკუბოვე დღეიდანაღ სიკვდილის ახლოს ტრიალებდა, თავად კი არ უფიქრია, ერთ მშვენიერ ღღეს ამგვარ კუბოში მეც ჩავწვები და ქვეყანა მაინც არ დაიქცევა, ეს მზე ისევ ამოვა, იქნებ ამ მამალმაც ისევ დაიფიქროს და ბალებიც ისევ ჟივილ-ნივლით ჩაირბენენ ორლობესო. იმ სოფლის თავში ერთი გიჟი კატო ცხოვრობდა. მთელი ღღე თვალგამტერებული, ხმის ამოუღებლად იჭდა შუა გზოში და თავის თავს უციინდა. გიჟ კატოს ლაპარაკი არ უყვარდა, ასევე რომ გეკითხათ რამე, ერთ პასუხს არ გაგცემდათ. მარტო ეს იცოდა: თუ ჰკით-

ხავდი, რამდენი წლისა ხარო, სახეზე ღიმილს მოიშორებდა, თითქოს დიდი რამ აქვს გადასაწყვეტით, მცირე ხანს ფიქრში წავიდოდა და უცებ წამოისროდა:

— მე და გიჟი თედო ტოლები ვართო.

ის გიჟი კატო ენკენისთვეში მოკვდა. ხალხი თედოს ეხუმრებოდა, შენც ხო კატოს ტოლი ხარ, თვალი ფრთხილად გეჭიროს, იქაც არ მოენატრო და არ წავიყვანოსო.

ენკენისთვე რთვლობაში გაილია. ბაბალეს ვენახში ღვთის თვალი დატრიალდა. ყურძენი წითლად ღვოდა. დიდი რთველი ჰქონდათ: მეზობლებმაც ხელი წაშველეს და ქალაქიდან მარგალიტა და ნუცაც ჩამოვიდნენ. ერთმანეთისათვის ხმა მაინც არ გაუციათ. მაგრამ თავი ისე დაიჭირეს, ვითომც არაფერიო. ორშაბათ ღღეს კი მარგალიტა დილის მატარებულს გაჰყვა ქალაქში, ნუცამ საღამოს მატარებელი აირჩია.

ტუხო რთველში არ ჩამოსულა. შუადღისხანს თელავიდან გრუზომ ჩამოიქროლა და ტუხო რომ ვერსადა ნახა, ესლა თქვა, რა ეჩქარება, ჯერ დაღვინდეს და მეგრე ჩამოვაო. რთველი მშვიდობიანად დამთავრდა. თედომ ციკანი დაკლა, გაატყავა, ცალკე ყურბა გააკეთა, ცალკე ჩახრაკული — პამიდვრით, ხახვითა და წიწკით. ბოლოს კი მამითაღს მწვადებიც მოართვეს. გოდრის აწვევის დრო რომ მოახლოვდა, თედომ თოფი აიღო, ეგრე, წარაფებში გავალ და ქედნებზე ვინადირებ, მალე დაგბრუნდები, საღამოსთვის ნანადირევი გექნებათო. წავიდა და ჩაიყლაპა. ბაბალეს ხათრით მეზობლებმა არაფერი თქვეს, გოდრებიც ასწიეს, ყურძენიც დაწურეს და იმ გაგანია მუშაობაში თედოც დაავიწყდათ.

შემოდგომა მიიწურა.

ჯერ კომშები ისევ დაუკრფავი იყო, თოვლი რომ ჩამოყარა.

თამაზ ბიბილშოვი
წილადი

თედოს სამკედლურში ყოფნა გაუტკბა. იქ ცეცხლიც ღუღუნებდა, სალაპარაკოც არ ილეოდა და მთელი სოფლის ამბებიც მის თვალწინ ზღებოდა. მკედლები შორიდანვე ესალმებოდნენ, ნალბანდები ესტუმრებოდნენ, — აბა ფეხი აგვიწიე, ნალები ხომ არ შამოგაცვდათ. შუადღის ხანს ღორის მწვადებს ინატრებდნენ, ბიჭს საღაღაც გაზავნიდნენ და როცა ბიჭი დაბრუნდებოდა, შუაცეცხლთან მოფუსფუსე თედო მწვადებს ააშიშინებდა.

ორშაბათ დილას აღარ მოვიდა.

ჯერ არავის გახსენებია. მერე მოინაკლისეს და ის იყო ბიჭი უნდა გაეგზავნათ, რომ თედოც გამოჩნდა. სიცვისაგან მობუზულიყო, თავი გაქუცულ ფარაჯში ზღარბივით ჩაეყო, ძლივს მოდიოდა. მკედლები და ნალბანდები ახორხოცდნენ. თედო უსიტყვოდ შემოვიდა, ცეცხლს ხელები მიუშვია, მკედლებს შეხედა და ჩუმად თქვა:

— ბაბაღე მოკვდა.

მკედლებმა და ნალბანდებმა ხარხარი დაიწყეს. პა, გეყოფა, იმ ცრუ ბიჭის არავისა არ იყოს, მართლა რომ მოჰკვდები აღარ დაგიჯერებენო. რამ მოკლა, კაკალი ხო არ დაბერტყა და ნიგოზს ხო არ მიადლა უანგარიშოდ შენი ბაბაღეო.

თედო ჩუმად იყო.

მერე მკედლები და ნალბანდებიც გაჩუმდნენ.

— ცული აუღია... შემასა ჭრიდა... ყუა გამოძვრალა... თავში მოხვედრია... იქვე გათავებულია... ამ დილით, აქეთკენ რო მოვიდოდი... გზიდან მიმბრუნეს... მობრუნდიო, მოკვდაო... მივბრუნდი და აღარ მივედი... ისევ აქეთ წამოველ...

— ეგ რა თქვი, კაცო!..

თედოს ხმა აღარ ამოუღია..

მკედლებმა ხელი მოჰკიდეს და შინ წაიყვანეს.

სოფელი გულჩვილია და საწყალი ბაბაღეს სიკვდილმა, რა თქმა უნდა, გუ-

ლი დასწყვიტა. სამი დღე და ღამე მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ, — რა ღეთსნიერი დედაკაცი მოკვდა, რა მეოჯახე რა ხელის გამმართავიო.

ბაბაღეს დამარხვის დღეს ხალხი იმ სოფლიდან კი არა, ახლო-მახლო სოფლებიდანაც შეიყარა. ხალხს თედო უყვარდა და ამბობდა, ამ ვაჭირგებაში თუ არ დაეფასეთ, ლხინში ისედაც დაფასებულია და დაფასებულიო. უფრო კი სხვა ცნობისწადილი ჰკლავდათ, სოფლის სასაფლაოსკენ სხვა რამ სურვილი ეზიდებოდათ. თედოს ჯალაბის ამბავი ყველამ კარგად იცოდა და ეხლა დიდის ამბით ელოდნენ, — აბა უმძრახი დამკები ერთმანეთს ხმას თუ გასცემენო. რა ხანია თედოს ქალ-ვაჟები ერთად თავმოყრილი აღარ გვიანხავს, ისე როგორ ჩაივლის, ან იმათ, ან თედოს ერთი სასაცილო მაინც არაფერი წამოსცდეთო. და საწყალ ბაბაღეს დამარხვის დღეს ისე ელოდნენ, როგორც სულწასული მყურებელი ელის ხოლმე ფარდის ახლად კომედიის თეატრში.

მაგრამ თედო გაჩუმებული იყო და ხმას არ იღებდა. რა არ უთხრეს, რა არ ჰკითხეს, აბა, კაცი ხარ, გვითხარი, რა ვქნათ, ან დეკეული რამდენი ვიყიდოთ. ან ცხვარიო, მაგრამ გვარაფერი ათქმევინეს. მარტო ათასში ერთხელ, თითქოს გაწყვეტილ საუბარს აგრძელებსო, მიიხედ-მოიხედავდა და ხმამალა იტყოდა:

— ხო, იმისი არ იყოს... სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

ყველაფერი წესითა და რიგით მოხდა. პურიც ისე გამოცხვა და საკლავიც ისე დაიკლა, რომ თედო აღარავის შეუწუხებია. სამივე ქალი ჩუმად იყო და ძაძებში გამოწყობილი, ცხედარს სასთუმალთან უჯდა. გრუზო და ტუზო ქუდმოხდილები იდგნენ კარებთან, მოსამძიმრებელს იღებდნენ და მარტო ათასში ერთხელ, თუ ვინმე დაუძახებდათ, მარანში შედიოდნენ.

დამარხვის დღეც დადგა და პირდაპირულ საფლავთან მაინც რაღა სიცხლის მოლოდინში უნდა ყოფილიყო ხა-

ლხი. მერე იმასაც ამბობდნენ — სამი დღე თედოს ქალები იმიტომ იჯდნენ გვრიტებივით, რომ თავზე თედოს დეილაშვილი, ავ-კარგიანი, კუშტი დედაკაცი ჯავახა ედგათ და პირი იმან აუკრათო. მარტო მესამე დღესლა, კუბოს სამარეში ჩადება რომ დააპირეს და მოკეთებმა ჭირისუფლებს ყურში ჩაუჩურჩულეს, — გეყოფათ, გლოვასაც თავისი ბოლო აქ, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, არც ისე ცოტა იცხოვრა, იმის დარჩენილი დღე თქვენ შეგემოტოთ, ეხლა საფლავშიც ნუ ჩაპყვებითო, თურმე ნუცამ დაიძახა:

— დედი, სად არი ღმერთი, შენი თავი წამართვა და მარგალიტა დედამიწას ამძიმებსო!

მარგალიტამ თურმე ნუცას ნატირალი იქვე აიტაცა და მოძახილივით მიაცილა:

— დედი, ადგე, გააჩუმე თორემ, თმებით ვათრევო!

ხალხმა თურმე ჯერ გადაისისინა, როგორც შემოდგომის ქარი გადაივლის ხოლმე დამპყნარ ბუჩქნარს და მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

— დოლ-გარმონი უყვარდა! — თითქოს საყდრის სიჩუმეში დაიგრუხუნაო, ხმამალა უთქვამს ტუხოს.

ხალხი ისევ ისე აშრილებულა, როგორც შრილებენ ხოლმე შემოდგომის გამხმარი ფოთლები ნიავის წამოქროლვაზე და ისევ ჩამომდგარა მოლოდინის სიჩუმე.

— ხო, სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირიო — უთქვამს თედოს.

სიჩუმე მერე აღარაფერს დაურღვევია.

და ამ სიჩუმეში. უცებ. გრუბო სამარეში გადამხტარა.

ხალხი ეხლა კი აჟრამულებულა უკანანი თურმე წინამდგომებს მოაწყდნენ, კისრები დაიგრძელეს, ყველას მოუნდა დაენახა. რას აპირებდა სამარეში ჩამხტარი გრუბო შავოსანი დედაბრები დამპყნარი ხელებით ამობურკულ მიწას დაეყრდნენ და ჩასძახოდნენ. — აბა, რასა სჩადი, დარდმა ევრე უნდა

გადაგრიოს? ვაჟკაცი არა ხარ, ეხლავე ამოდი ზევით, თორემ მართლა მოგაყრით მიწასო.

— შე უბედურო დედიო! — დაიძახა თურმე მარგალიტამ.

— გრუბო თან მოგდევს. დედიო! — გააგრძელა ნუცამ.

— არ წაიყვანო, არც იქ მოგასვინებს, დედი! — დააბოლოვა თურმე, ტუხომ და თავი ჩაქინდრა.

ისევ სიჩუმე ჩამოდა და ამ სიჩუმეში თურმე გრუბომ ამოიძახა:

— ჩამამაწოდეთ კუბო!

ოთხმა კაცმა ციმციმ ჩააწოდა კუბო.

გრუბო ზემოთ ამოხტა, ნიჩაბი აიღო და მიწის მიყრა დაიწყო. სოფელიც აპყვა და ორიოდ წუთში სამარე მიწით ამოივსო.

— ევრეა, ხო, სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირიო — ისევ ჩაილაპარაკა თედომ და სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგა. მერე აღარც გზაში ამოუღია ხმა და აღარც ქელების დროს უთქვამს რამე. შესანდობარზე თავს ჩაქინდავდა და ფიქრით ისევ სადღაც წავიდოდა. ერთი-ორჯერ უთხრეს, — აბა, თედო, რაც იყო, იყო, ყველანი იქა ვართ წამსვლელები, ცოტა შენებურად გამხიარულდი, ცოტა ღვინოც ჩაიფინე, ფერზე მოხვალ, გულიდან დარდი გადაგეყრებაო მაგრამ თედოს პასუხი არავისთვის გაუცია, არც საშველისთვის უხლია ხელი და არც საამელი დაუღვია. იქდა თურმე და ხალხს იმგვარად შემოსცქეროდა. თითქოს ეს ამოდენა მეზობლობა და მოკეთენი პირველად ნახაო ხალხმაც თავი დაანება. აღარაფერი უთქვამთ. მიცვალებულს სასუფეველის დამკვიდრება უსორვეს და ნელ-ნელა დაიშალნენ.

მეორე დღეს ყველაფერი მოთავდა და შეილებიც წავიდნენ

●

დილაადრიანად ადგა. დილის ძილ უყვარდა და მეზობლებს გაუყვირდათ,

თამაზ ზივილური
ნოღაბი

რა ძილ-ფხიზლობა აუტყდა. ამ უთენია-ზე რამ ააყენაო. მერე ყველას თავისი საქმე გამოუჩნდა და აქეთ აღარავის გადმოუხედია. ძროხა ღმულოდა და ხბოს ეძახდა. ქათმები ბოსტანში გადასული-ყვნენ და დამზრალ კომბოსტოს ფოთ-ლებს კირკინდნენ, ღორი მარანში შე-სულიყო, გობი აეხადა და სიმინდს მის-ძალებოდა. ეზოში უპატრონობის სი-ჩუმე იდგა.

თედომ მარნიდან ორი ფიცარი გა-მოიტანა, საჩეხში გამართა და შალაში-ნი აიღო. საჩეხი ხმელი წიფლის ბუ-ბუშელებით გაივსო. საღამომდე ხელი აღარ გაუჩერებია. თავულებლივ თლი-და და აშალაშინებდა. საღამოს, ვენახი-დან შინ მობრუნებულმა მეზობლებმა თედოს ეზოში გადაიხედეს. საჩეხში თე-თრად ლაპლაპებდა ახლად გამოთლილი კუბო. მეზობლებმა ერთმანეთს ჩურჩუ-ლით კითხეს, — ვინ-მოკვდაო. მაგრამ არავინ იყო მკვდარი. სხვა დროს თე-დოს თავზე დაეცემოდნენ, რას არ ეტ-ყოდნენ, მაგრამ ორიოდ დღის მკაცრ-მა დღეშილმა მეზობლებიც შეაყრთო. მორიდება დაეტყვოთ. ველარაფერი თქვეს და ერთმანეთს ეხვეწებოდნენ — არა შენ მოდი და ჰკითხე, ვისთვის გა-თალა ეს ვავლახი კუბო, არა შენაო.

თედომ კუბო წამოიკიდა. მარანში შეიტანა და კარი გარედან გადაკეტა.

— თავისთვის გათალა, — უთხრა მეზობლებს ჩავახამ.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირი-მე...

მეზობლებს შეეშინდათ და შინ წა-ვიდნენ.

ორიოდე დღის მერე თედომ კუბო-ში სიმინდი ჩაყარა და მეზობლებს ში-შმა გაუთარა — კუბოში უკვე სიმინდი ეყარა და უკვე კუბო კი არა ჩვეულე-ბრივი ამბარი იყო.

მაინც არავინ არაფერი ჰკითხა, თა-ვი დაიანებეთ, გაუვლის და ისევ ის თედო იქნებოა.

იმ საღამოს თედო კოლექტივის კა-ნტორაში წავიდა. გზაზე ბიჭ-ბუჭები მზიარულად მიესალმნენ. მკვლელებმაც

გადმოსძახეს, — აქეთ მოდი, ორი სიტყვა გვითხარი, გული კადაყო-ლო, მაგრამ პასუხი არავის გასცა.

პატრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ისე, რომ არავის გაუგია:

— ნეტა სულ სიცილზე არ გეჭი-როთ თვალი...

კანტორაში ავიდა. კართან დიდხანს იდგა. კიდევ აო გამოვიდნენ და არ უთხრეს. — შემოდი, რა გაგვირვებია, გვითხარიო.

შევიდა.

ჩუმად, თავჩაქინდრული იდგა. მე-რე თავი აიღო და თქვა:

— მეველეთ გამიშვით.

ჯერ პასუხი ვერ გასცეს მერე გა-უბედეს:

— კუბოები ვინღა გათალოსო?

თითქოს არაფერი უკითხავთო, თე-დომ ისევ თავისი თქვა:

— მეველეთ გამიშვით...

დაბეჭითებით მაინც ვერაფერი უპასუხეს.

გამოტრიალდა და შინ წამოვიდა.

გზაზე აღარავის აღარაფერი დაუ-ძახია მოდიოდა და მაინც ბუბუბუბუბუ-და:

— ნეტა სულ სიცილზე არ გეჭი-როთ თვალი...

მეორე დღეს ისევ მივიდა კანტო-რაში და ისევ ის ორი სიტყვა თქვა:

— მეველეთ გამიშვით...

მაინც არც „ხო“ უთხრეს და არც „არა“

იმასაც მეტი არაფერი უთქვამს და შინ წავიდა.

მერე ყოველდღე მოდიოდა. კანტო-რის კარს შეაღებდა და იტყუოდა:

— მეველეთ გამიშვით!

ბოლოს ეგონათ, ხუმრობსო. ბუ-ღალტერი ყველას ეღებოდა. — მა-ვის ამბავი არ იცით. რაღაც ოინს მოი-გონებს. მერე თვითონაც გაიცინებს და ზალხსაც გააცინებსო.

ორი დღის მერე თედო ისევ დი-ლაადრიანად ადგა. ბოღბისხევის ბა-ზარზე წავიდა, იქ ერთი ულაცი ცხენი

იყიდა და საღამოხანზე ცხენით დაბრუნდა.

უნაგორი თავისი ხელით გათალა, ცხენზე შეჯდა და ალაზნისკენ წავიდა.

ის დღე იყო და ის, თედოსთვის სოფელში თვალი აღარავის მოუკრავს. დილაადრიანად ცხენზე შეჯდებოდა და ხან დაბინდებისას დაბრუნდებოდა, ხან იქვე, ბოლოებზე, ალაზნის პირას, ქოხში გაათევდა ღამეს. თუ ვინმეს მოჰკრავდა თვალსა, ტყეს შეეფარებოდა, გამვლელს პირს მოარიდებდა და ტყიდან მაშინა გამოვიდოდა, როცა თავს მარტო დაიგულებდა.

თუ რამეში დასჭირდებოდათ, იდგნენ და ეძახდნენ:

— მეველეე!

მაგრამ ძახილზე პასუხს არ იძლეოდა.

— მეველეე!

გაიგონებდა, მაგრამ პასუხს მაინც არ გაგცემდა. მაშინ ერთხელ კიდე დაუძახებდნენ და თანაც დაატანდნენ, — ერთი აქეთ ამიარე, ყანაში ცხენები გადასულან და ჯეჯილსა სძოვენო... ხმას მაინც არ ამოიღებდა, ცოტა ხნის მერე გამოჩნდებოდა, ცხენებს უსიტყვოდ გადარეკავდა, კაცს ზურგს შეაქცევდა და ისევ ტყეს შეერეოდა.

სოფელს ყველაფერი მალე ავიწყდება და თედოც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, როგორც ივიწყებენ ხოლმე სცენიდან წასულ ბებერ ხუმარას, სიმკვირცხლემ რომ უღალატა და ერთ მშვენიერ ღღეს მაყურებელი ველარ გააცინა.

ალაზანზე გაზაფხული იდგა. მზე ჩადიოდა. ღამდებოდა. თეთრად გადაპენტილიყვნენ ტყემლები, ვარდისფრად ლუოდნენ ატმის ყვავილები.

— მეველეე! — იძახდა ვიღაცა, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

— მეველეე! — ისევ იძახდა ვიღაცა!

— მეველეე! მეველეე! მეველეე!

●

მეორე დღით ალაზნისპირა ვენახებში იპოვეს თედო.

თვალები ღია დარჩენოდა.

ცხენი იქვე იდგა, არსად წასულიყო.

ახლო მისვლა ვერ გაბედეს, შორიდან დაუწყეს ძახილი.

ფიქრობდნენ, აი, ეხლა წამოხტება კვიმატი თედო და გულს გაგვიხე-თქავსო.

არა, ჯერ არ წამოხტება, ეგ ხო ჯადუარისა ჰგავს, ჯერ ან კატასავით დაიკნავლებს, ან ძაღლივით დაიყუფავსო.

მერე შორიახლოს მივიდნენ. წინ ჯავახა მიუძღოდით — ქორივით წამოსული, მიწისფერ თალხში გახვეული ღედაკაცი.

ჯერ ერთმა გაბედა, მერე ყველანი აჰყვნენ:

— თედო, არ გესმის, თედო!

— აბა წამოდექ, კაცო!

— მაშეგრე ოინბაზად უნდა დაბერდე?

— მაშე მასხრობაში უნდა ამოგხდეს სული?

— არ გეყურება, კაცო!

— მიდით, ერთი შააჯანჯლარეთ!

— როგო არც კი ეცინება!

— შვილები გეძებენ, თედო!

— კარგი, ხო, ვიციენთ და გვეყოფა!

— ქვეყანა შენ დასანახად გამოფენილა, თედო!

— კაცო, თედო!

— არ გეყურება, დავიჯეროთ?

— დიდება შენდა ღმერთო!

— თედო!

— თედო!

— ...

ჯავახამ ყველანი გააჩუმა.

— მიმიშვით, თვალები დაეჭუ-

ტო...

როცა მოვკვდები

როცა მოვკვდები —
შემიკაზმეთ ფიცხი ულაყი.
წელშემართული გამაკარით
ცხენის უნაგირს.

ასე ცხენდაცხენ
მიმიყვანეთ სასაფლაომდე,
რომ სული ჩემი დავობდეს და
მიქანაობდეს.

ან ქართლის მზეზე დასწვით
ჩემი მოქნილი ტანი
და ფერფლადქმნილი
გაზაფხულის ქარს გამატანეთ...



ტოტებში ყვითლად დაძენილი —
ალბათ ქარია,
მეორე დღეა არ მოდის ძილი —
ოთახში დადის შენი სურნელი, —
— ბრძოლის სურვილი...
და მიხარია.



უხილავი მსატყვარი!

უხილავ ძაფებით,
უხილავ ხელებით
როგორ ამოჭარგე
სამყაროს ფერები!

არც ფუნჯი გჭირდება,
არც დამხმარებელი,
არც საჭრეთელი და
არც მასწავლებელი.

არც ითხოვ დიდებას,
არც ითხოვ მშვენებას,
ვაშა შენს მიგნებას,
შენს გრძნეულ შენებას!

როგორ დაგილოცო
კურთხეულს მარჯვენა,
რომელმაც მადლი მცხო,
სამყარო მაჩვენა.

სამყაროს მსატყვარო,
ყოვლის შემოქმედო,
ერთი თხოვნა მაქვს და
მიჭირს შემოგებდო! —

მაინც ხომ შენი ვარ,
თუნდ ვიყო ნაცარი,
მაინც ხომ შენით ვართ,
რაც ვართ და რაც არი!

როცა გარდასახვის
ხანა დამიდგება,
სიცოცხლის სანთელი
როცა დამიდნება,

უხილავს გთხოვ — სიოს
ძაფებით დამჭარგო, —
ბალახად მაქციო,
გთხოვ, სულ არ დამკარგო!

მოვა... მაგრამ როდის?..

მშვიდი ზღვა და ზეცა ერთფერ კაბას იცვამს.
ერთობ ლამაზია მთა, ხევი თუ მიწა,
ჩემი საფიცარი მწამს დარჩები მარად,
გელოდეები შენგან ფარატინა ბარათს.
ყელყარყარა ფრთოსანს ფრენით მოაქვს კნებ,
იქნებ მოაქვს სიოს ან ალუბლის ფიფქებს.
ყაყაჩოთა ცეცხლი, აკაციის თოვა,
მოვა, მოვა, მოვა. უსათუოდ მოვა...
გიხაროდეს გულო, გაზაფხული მოდის,
ღმერთო, გევედრები, ნუ მომიშლი ლოდინს,
ისევ მახსენდება —
„მოვა, მაგრამ როდის“.



ქ ა რ ო

ნაცრად და ფერფლად მაქციე —
 ველად გამფანტე, ქარო!
 მტერი რო გვეპარებოდეს,
 თვალეზში შეგვეყარო!
 გინდა ნისლეზად მაქციე, —
 ლამაზ მთებს შეგვეყარო.
 შენი ტყეების ლერწმიდან
 ხალამურები ვთალო!
 სიმღერით გამახარე და
 მზით მალეწვინე კალო!
 ღამით მთოვარეს მაწვიე,
 ცაზე ვარსკვლავი ვთვალო...
 — კვლავ მინდვრის ცეცხლად მაქციე, —
 ყაყაჩოდ ვიბრიალო!
 იქნება, ვინმემ მომწყვიტოს
 და გულთ გაიხაროს!





ჩვენს იმანიშილი

ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში

I

იმ წიგნს მელა წერს, როგორ წერს, რით წერს, საიდუმლოა. ხომ შეიძლება ერთი საიდუმლო მაინც დავიტოვო, როცა ქალაქის სივრცე ამბავი უნდა გიამბოთ?!

დავიწყო იმით, როგორ მოვხვდი დამაინებთან. რით დავამთავრებ, ჯერ თვითონ არ ვიცი.

სანამ ადამიანებთან მოვხვდებოდი, საყუენჭია გორაზე ვცხოვრობდი. ეს გორა მდინარე იორის გადაჭურებს. ხხვა რომლებიც ბევრი მოჩანს აქედან — ქალა, ივრის გადაღმა მთები, იმის იქითა მთები. გვესხნი ვიყავით ერთად — მე, ჩემი ოთხი და-ძმა და დედა. თვალები ახელილი არ გვექონია, რომ მამა დაკარგულა. სხვა მელებმა თქვეს, მოჰკლესო. ვინ მოჰკლავდა, ადამიანების მგერი?!

ჩვენ სოროს წინ ბალახიანი პატარა ფერდობია. შიგ კალიები და ჭიანჭველები დახტიან, პელები დაფარფა-ტებენ. მზეზე თბებიან მუცელაბერი-ლი ხელიები. რცხილის ბუჩქებზე მოდიან შაშვები, ჩხიკები (გაყუდა მაგათი ჭიში და გასავისი), მწყერჩიტები, ჭინჭრაქები. დამდამობით კი, სხვა ფრინველებს რომ სძინავთ, თვალებს ბრიალით დაფრაშფრაშობენ ბუები და ზარანაშობი.

ერთხელ ნაშუადღევზე გამეღვიძა.

დღეა შინ არ იყო. ჩემს და-ძმებს ღრმა ძილით ეძინათ. ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდი, ხან — მეორეზე, მაგრამ ძილი აღარ მომეკარა. ავდექი და სოროს პირში გავედი. ჯერ ფრთხილად გავიხედე გარეთ, პატრი დავყნოსე, სმენადაც ვიქეცი (როგორც დედა გვასწავლიდა). მერე, რომ დავრწმუნდი, საეჭვო სულდგმულის ჭაბუნება არ იყო ახლოს, გარეთაც გავედი და სოროს წინ, მიწაყრილზე დავსკუპდი. ძალიან სახსამოვნო იყო ახე ჯდობა. სოროში ცხელოდა, აქ კი გრილი ნიაფი უბერავდა.

უცებ ხაიდანაც მამალი ჩხიკვი მოფრინდა და ბებერ კუნელზე დაჯდა. მე რომ დამინახა, თავი გვერდზე გადახარა, ხან ერთი თვალი მოხუტა, ხან მეორე, კუდიც გააცხცახა რამდენჯერმე, ბოლოს გასწორდა, ყელი ჩაიწმინდა და მთელი თავ-ტანის ქნევით მომესალმა:

— ჩემს კარგ მეზობელს ვახლავართ! ხომ კარგადა ხარ. ყმაწვილო? ხომ კარგად ბრძანდება თქვენი ღარბა-ისელი დედიკო?

ის ჩხიკვი სხვა დროსაც მყავდა ნახაჩი. კალიები ამბობდნენ, დიდად ზრდილი და განათლებული ფრინველია. მაგან რომ არ იცოდეს, ისეთი არაფერი იქნება ქვეყანაზე. ყველას



თავს უკრავდა, ყველას დიდი ამბით მოიკითხავდა ხოლმე, თან სულ კრელ ურთებზე იყურობოდა, გამოგიტყდებოდა, ადრე მაინცდამაინც არ მსიამოვნებდა მისი დანახვა, მაგრამ, ყმაწვილი რომ მიწოდა, ამით უცებ მოიგო ჩემი გული — ჯერ სამი თვისაც არ ვიყავი!

— დედა კარგად არის, თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით, ბატონო? — მივუხმე, რაც კი შეიძლებოდა, ზრდილობიანად.

— გმადლობთ, ყმაწვილო, გმადლობთ. — უფრო დაბლა დაიხარა და ისევ გასწორდა. — ჩვენ კარგად ვახლავართ, მაგრამ საერთოდ კი დიდი უბედურება დატრიალდა. წყარო მოკვდა.

— წყარო მოკვდა? რომელი წყარო?!

— ჩვენი წყარო, ჩვენ რომ ვსვამდით ხოლმე.

— ხევში?

— ჰო, ხევში, თელბთან.

ვერათფრით ვერ წარმოვიდგინე, წყარო როგორ უნდა მომკვდარიყო. ჩხიკვი ეს შემატყო და უარესად დონალგლიანებულმა მითხრა:

— წამომყევი, შენი თვალით გაჩვენებ.

ფრთა ფრთას შეოპკრა და წინ გამიძღვა ფრენით, თან სულ უკან იხედებოდა. მივდევდი თუ არა. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

მე ყველაფერი მაინტერესებს. გუშინ, მაგალითად, მე და ჩემი პატრონი ტბასთან ვიყავით. ყელზე თასმა მემა, იმ თასმის ბოლო პატრონს ეჭირა და ისე დავსეირნობდით. წყლის ნაპირიდან ბორცვის თავზე თეთრი მატყლის ბლუჯა დავინახე. ამ მატყლის ბლუჯას აქ რა უნდა-მეთქი, წვედი მისკენ. მომყვა პატრონიც. გაიზარდა ის მატყლის ბლუჯა, გაიზარდა და ბოლოს თეთრბოხოხიან მეცხვარედ არ იქცა? იჭდა ბორცვის იქითა გადაქანებაზე, ორლულიანი თოფი კალთაზე ჰქონდა დასვენებული და ცხვრის ფარას სდარაჯობ-

და. გამოვიპარე და მერე როგორ ჩემი პატრონი ხან დამცინოდა, ხან მეფერებოდა.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორი ვიქნებოდი თავისუფლად მყოფი. გული როგორ მომითმენდა, მკვდარი წყაროს სანახავად არ წავსულიყავი!

მივბრბივარ ბალახიან ფერდობზე, მივყვები ჩხიკვს.

ო, რა მწარედ მახსენდება ყველაფერი!

დაბლიდან რაღაც შემომისხმარტალდა. თურმე დიდი მწვანე ხვლიკისთვის დამიდგამს ფეხი. ვახტა ის ხვლიკი და შემომღრინა:

— ხებრევი! გაუთლელი!

ალბათ სხვა ვილაც ვეგონე. რომ მომხედა და მიცნო, მიბრუნდა და გაიქცა თავ-პირის მტკრევით. ჩხიკვი კი მაღლიდან მარიგებდა:

— ნუ, ჩემო კარგო, მაგისთანა არა-რაობებს ნუ მიატყევ ყურადღებას. ვგსაჰმელადაც კი არ უნდა იკადრო. თქვენს გვარში თავგებსაც კი არ კადრულობენ და ხვლიკს ხომ ... ფუჭს ხვლიკი!

დაფუჯერე და ისევ მას გავყევი. გავძვერით ჯაგრცხილებისა და შინდების ბუჩქებში. იქ კიდეც შაშვი მკდარიყო, დამინახა და იმასაც თავზარი დავცა — ჭახჭახით გავარდა მუხნარისაკენ.

მიეუახლოვდით ჩამძვლეულ კბოღეს. მაღალი ბალახებილა მიშლიდნენ, თორემ უკვე უნდა დამენახა კიდეც მკვდარი წყარო. მივდიოდი, იმ ბალახებს აქეთ-იქით ვწევდი ცხვირით და თათებით და უცებ — თითქოს დღამდა. ჩემს მაღლა მოფარფატე ჩხიკვი გაკაპასებული დამაცხრა, ზემოდან გადამეფარა და ნისკარტი დამიშინა. მოვასწარი და თვალები დავხუჭე. კიდეც ისიც მოვასწარი, რომ ზურგზე გადავბრუნდი და ფეხები შევუსვირე. იმან კიდეც უფრო გამწარებით დამკრა და დამკრა ნისკარტი. მე მოვივუნტე, გადავქანდ-გადმოვქანდი და კბოღზე დავგორდი. მივგორდი და ჩხიკვიც მომდევდა — უხმოდ, ბრჭყალებგაშლილი, ნისკარტის

კახეთი ძირს ჩავიკრება არ მაცალა. რომ კიდევ ერთხელ დამაცხრა მაშინ კი ვავიფიქრე, კათავდა-მეთქი ჩემი პატარა სიცოცხლე ვუცდი ნისკარტის დაოტყმას. მაგრამ ივეიანებს. ვუცდი კიდევ. მაინც ივეიანებს. ბოლოს ჩხავილი გავიგონე, ისიც შორეული. თვალების გახელას ვეღარ ვბედავ. და, აი, ვგრძნობ, რომ ვილაყამ ამწია. მალე-მალე მივეყავარ. მაშინ კი გავახილე თვალი და დავინახე, რომ ვბილებდაკრევილ შავ კაცს ვუკავივარ ხელში ხითხითებს ის კაცი, მე შემომიკერის და იძახის:

— მელუკავ! საიდან შენ აქა! აბა, მომხედ, საიდან შენ აქა!

გავშეშდი, გონება დამებინდა შიშისაგან. როდის-როდის ძლივს გავაქნიე ფეხები და ამოვიწმუტუთენი:

— გამიშვი! გამიშვი!

მაგრამ კაცს ჩემი ნათქვამი თითქოს არც გაეგონოს. სულ უფრო მალე მეწეოდა და ახლა ქვემოდან შემომხიბთებდა:

— მართლა, მელუკა ხარ, კაცო?! უი, უი, უი! როგორი კიკები გქონია! — თითი პირთან მიმიტაა და, ვითომ ძალიან მეკბინოს, უცებ ამოიფარა ზურგს უკან.

მე ვტიროდი და მალლიდან ვიხვეწებოდი:

— გამიშვი, რა! გამიშვი!

მაგრამ კაცმა არ გამიშვა. პირიქით, მკერდზე მიმიხუტა, თავზე ხელი დამადო და მოშორებით გაჩერებულ ცხენთან მიმიყვანა!

— შეხედე, — უთხრა ცხენს, — ვინ მოვიყვანე.

ცხენმა მოწყენილი თვალებით შემომხედა. მერე, თითქოს თვალებს არ დავუყვრა, რამდენჯერმე აჩქარებით დაახახახა, მერე მიცნო და ნესტოები დაბერა, ყურები აცქვიტა, გაუკვირდა.

— საიდან?

კაცს არც მისი სიტყვა გაუგონია. ცხენს გვერდიდან წამოუარა. იქ უნაგირზე გადაკიდებული ზურჯინის გაბეჩილი თვალიდან პატარა ბატკანი იქყუ-

რებოდა. კაცმა ამწია და ცხვირი იმ ბატკნის ცხვირზე მიმადებინა. ბატკანი შეშინდა, აფართხალდა და ბლავილს მოჰყვა. კაცმა ისევ მიმადებინა ცხვირი ცხვირზე, თან სულ იციწოდა. არც ახლა გაუგონია ცხენის ბუზღუნი:

— გაიჩინა საქმე! გაუშვი, რას აწვალე!

კაცმა ზურჯინის პირი გამოხსნა, კარგად გასწი-გამოსწია და მეც ბატკნის გვერდით ჩამაბრძანა. ბატკანი გაღაირია. მაგრამ კაცმა ისევ გავეხლართა ბაწრით. ძალიანაც რომ მოგვენდომებინა, ვერ ამოვხტებოდით.

და წარმოდგინეთ აქლა: ვსხედვართ ზურჯინის ერთ თვალში ერთად ბატკანი და მე, მელა, მარტო თავები გვაქვს მალე ამოყოფილი, ბატკანი ბლავის, მე ხან ვწკმუტუთენებ, ხან ვიღორინები, ცხენი მიდის, თავის პატრონზე ბრაზობს:

— იშოვო რა გასართოში!

კაცი კი მიბარგანაობს, მალ-მალ შემოგვხედავს და იცინის.

II

ასე ვიარეთ ჯერ წყაროს ნაპირ-ნაპირ (რა თქმა უნდა, წყარო ჩვეულებრივად მოდიოდა), მერე ჭალაში გავედით. მე ცოტა დავმშვიდდი, ჯერჯერობით მაინც არავინ მცემდა, მოკვლით არავინ მემუქრებოდა. ჩხიკვის ჩანის-კარტებულებიც დამიამდა. მიეუბრუნდი ბატკანს და ვეუბნები: ნუ ბლავი, შენს შეჭმას სულაც არ ვაპირებ-მეთქი. იმ სულელმა კი რა მიპასუხა, იცით?

— საძაგელი სუნი აგდისო.

როგორ გინდა ამ სიტყვების ატანა! შევხედე, კარგად დავაკვირდი და ვუთხარა:

— ახლა ვერ შეგჭამ, მაგრამ ამ სიტყვებისათვის დავიმახსოვრებ, აი, მარცხენა ყური გაჭრილი გაქვს, და მერე, თავისუფალი რომ ვიქნები, მიწაში მოგძებნი და იქ ჩაგახრამუნებ.

კამავო ინანოვხილი

ძალიან პატარა ღიღ ქვეყანაში

ის სულელი უარესად აბლაღვლა.
მაშინ ცხენმა თავი მოაბრუნა და
გამოგვძახა:

— გაჩუმდით, მანდ ერთიც და მე-
ორიც, თორემ გამიწყდა მოთმინების
ძაფი!

არ ვიცი, რას იზამდა ცხენი, მოთ-
მინების ძაფი რომ მართლა ვასწყვე-
ტოდა, მაგრამ რაც თქვა, ისე თქვა.
ორივენი მაშინვე გავჩუმდით.

ვიარეთ ჭალა-ჭალა, ქაცვებს, წო-
რებსა და შრილა ვერხვებს. შორის,
გავედით ქვიან რიყეზე და იქიდან დიდ
წყალს მივადექით. კაცი ჩვენთან მოვი-
და, მეც შემომდიმა და ბატკანსაც, მე
ცხვირზე თითიც ჩამომისვა, — სულ
ცოტას შევაწუხებთო, და ცხენს ზემო-
დან გადალაჯა. მივდიოდით ოთხივენი
ერთად — ცხენი, კაცი, ბატკანი და მე
— თანაც წყალში. ღრმად რომ შევე-
დით, შემეშინდა, ნამდვილად წყალი
წაგვიღებს-მეთქი, და წამუტუნნი მოვ-
რთე. აბლაღვლა ბატკანიც, კაცმაც ყვი-
რილი დაიწყო:

— ჰა, აბა, ჰა, ჯავარიანო!

ცხენმა დაგვიტია:

— გაჩუმდით ყველანი, თავგზა ნუ
ამიბნიეთ!

მე და ბატკანი გავჩუმდით, კაცი
კი ყვირილს განაგრძობდა:

— ტურების სათრევო! ყორნების
საწიწკარო!

ცხენი ბოლმიანად ქშინავდა.

და, აი, აქ მივხვდი, რომ კაცს ცხე-
ნის ნათქვამიდან არაფერი ესმოდა;
ცხენს ესმოდა კაცის ლაპარაკი, ჩვენც
გვესმოდა, მე და ბატკანს, კაცს კი არა-
ფერი გაეგებოდა ჩვენი.

ღაბოღმილმა ცხენმა მაინც მშვი-
დობიანად გავეიყვანა წყალში. მაგრამ
კაცი ძირს აღარ ჩამოსულა. იჯდა ჩვენს
მალა, მიქანაობდა, მიზაყუნებდა, მალ-
მალე მოგვიბრუნდებოდა დაგვძახებდა:

— ტურებო! კოხტებო! ლამაზებო!

ცხენი ახლა ამაზე ბუზღუნებდა:

— იჯექი რა წესიერად, — ეუბნე-
ბოდა კაცს, — ბუზანკალი ხარ თუ რა
ხარ!

მაგრამ, როგორც გითხარი, არაფერი
ეყურებოდა ცხენისა.

ერთხანს ისევ ჭალა-ჭალა ვიარეთ.
მერე ხევებით გადმოხუტულ ხევს ავ-
ყევით და დიდ, დაგვილ-დასუფთავე-
ბულ გზაზე ავედით. მივდივართ ამ
გზაზე, ცხენი ფლოქებს ხმამაღლა მია-
პაკუნებს, და უცებ — მანქანა! მოდის.
გვიახლოვდება ღმუილით. აშკარად
ვხედავ, ოთხი კაცი უზის მუცელში.
მაგრამ არც ჩვენი კაცი იბერტყავს
ყურს, არც ცხენი და, წარმოიდგინეთ,
არც ბატკანი. ავტენე წამუტუნნი და
ფართხალი, — გავიქცეთ-მეთქი! —
ეყვირი. მაინც არავინ მისმენს! მაშინ
ესლა მოვახერხე, რომ თვალები დავ-
ხუჭე და, რაც კი შეიძლებოდა, ხურ-
ჩინში ღრმად ჩაიყუნე.

ჩაიდურტუნა კეთილმა ცხენმა და
მიტხრა:

— ავტომობილისა გეშინია, სულე-
ლო?! ეგ არავის ერჩის. გზაზე თუ არ
დაუდექი, ზედაც არ შემოგხედავს.

სრული სიმართლე ყოფილა, ჩემო
კეთილებო. ტყუილად გეშინებია მან-
ქანა-ავტომობილისა, არც ადამიანებს
ცლბავენ, არც ცხოველებს. პირიქით,
ადამიანები ატარებენ თავის ჭკუაზე.
ჩვენ კიდეც, ტყუარნი, საკმარისია ერ-
თი კულის გაშლაზე გადავიდეთ იმისი
გზიდან, მორჩა, არავითარი საფრთხე
აღარ გველის.

გამოჩნდა სოფელი. ამ სოფელს სა-
ყუნჭია გორიდანაც ვხედავდით ზოლმე.
მაგრამ იქიდან მარტო სახლების სახუ-
რავეები ჩანდა. აქ კი, პირველსავე სახ-
ლთან, წითელი მამალი დავინახე. იღვა
გზის პირას არჩენილად და ამგულ-ჩამ-
ვლელს ათვალიერებდა. მე და ბატკანი
რომ დავვინახა, შეკრთა, ყელთან ბუმ-
ბულეები აეწია, გაშტერებული მოგვ-
ჩერებოდა, უცებ, — კოკ-კოკო, — მიბ-
რუნდა და ელდანაცემი გაიქცა.

ჭინჭრებში თეთრი ღედლებიც ყო-
ფილიყვენ და ისინიც კრიახით გაჰ-
ყვნენ.

ქათმები რომ ეზოს სიღრმისაკენ
მირბოდნენ, იქიდან შავი ქოფაკი გამო-

ვარდა. ჯერ ისე იყევებოდა, სასხვათა-
შორისოდ, მერე მე მიცნო და გადიარია.

— არიქა, მელაო! არიქა, მელაო! —
და სხვა ეზოებიდანაც გამოცვივდნენ
ჭრელი, წითელი, თეთრი და მურა ძაღ-
ლები. ყველა იმას ცდილობდა, ამომ-
ხტარიყო და მე მცემოდა, მაგრამ ჩვე-
ნი ცხენი და კაცი არ შეუშინდნენ, კა-
ცი მაღლიდან დაჰკიოდა და მათარაბით
სცემდა, ცხენმა ერთ-ორს კარგი წიხ-
ლი სდრუხა.

მე აქაც სიცოცხლის დიდი ნაწილი
გავათავე.

ბოლოს ვიღაც სხვა კაციც გამოვიდა
გზაზე, ძაღლები ქვების სროლით გარე-
კა და ჩვენს კაცს მიესალმა. ჩვენმა კაც-
მა უთხრა:

— მელას ლეკვი მომყავს და ეგ
ძაღლები იმიტომ გადიარიენენ ეგრეთ.

ის კაცი ახლოს მოვიდა. გაუკვირდა.
გაეცინა. ხელი ცხვირზე დამკრა, მერე
თითი პირთანაც მომიტანა (უცნაურია
— ყველა ადამიანი ასე იქცევა, რო-
გორც კი მომიახლოვდება). მე კბილები
გაფუკაუენე, ის კი ვითომც ძალიან
შეშინებული გახტა.

გამოჩნდა პატარა გაბრუნჩული ბი-
ჭიკი. პერანგი აეწია და მუცელს იფხან-
და, თვალებს ძლივს ახელდა. თავი გვე-
რღზე გადახარა და ისე დაგვიწყო ყუ-
რება თვალებშიჭუტულმა.

— რა არის, პაპაო.

— მელიკო, შვილო, პატარა მელი.

ბიჭმა არ დაიჯერა, როგორღაც უნ-
დოდ გაიჭყანა, მერე აღვიღს მოსწყდა
და გამოიქცა. იმ ბიჭს სხვა ბიჭმა დაუ-
ძახა, სად მირბიხარო. მელაო. მელა-
ო?! — გამოვარდა ის სხვა ბიჭიც, მე-
რე კიდევ სხვა, მერე გოგოები, მერე
ქალები, და შემოგვეხეივნენ ირგვლივ.
ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული:
ხიდილი, ძაღლების ყეფა, ვაკვირების
ამოძახილები. ჩვენი კაცი ცხენიდან ჩა-
მოვიდა (ცხენი აქ უკვე დინჯად იდგა).
მე ზურგინიდან ამომიყვანა და მაღლა
ამწია. ყველა ხელს იწვილიდა, ყველა
იხეწებოდა, მომეციო, მაგრამ ჩვენმა
კაცმა არავის არ მიმცა. ცალი ხელით

მკერდზე ვყავდი მიხუტებული, ცალი-
თაც თავზე მეფერებოდა. ისე ვიყავი
გადაოგნებული, ველარ ვიგებდი, ან
საით მივდიოდით, ან ვინ რას ამბობდა.
ერთი კი თავიდანვე ვიგრძენი: ადამიან-
ებიდან აშკარად მტრულად არავინ მი-
ყურებდა. პირიქით, როცა ერთი ცხვი-
რპაპუა ბიჭი მოვიდა, თვალებთან
ჯოხივით რაღაც მომიტანა და წყალი
შემომამხაპუნა, იმ ბიჭს გაუწყრნენ,
კინწშიც კი წაჰკრეს და გაავდეს.

III

ვიარეთ, ვიარეთ და ერთ პატარა
მოედანზე გავჩერდით. იქ სხვა ბავშვე-
ბიც შემოგვიერთდნენ, მოვიდნენ სხვა
კაცებიც. იმათაც ძალიან გაუხარდათ
ჩემი დანახვა. იცინოდნენ და ხან ერთი
მხრიდან შემომივლიდნენ, ხან მეორე
მხრიდან. ასე მგონია, ან პირველად ხე-
დავდნენ ნამდვილ მელას, ან არადა, მე
ვეჩვენებოდი რაღაც არაჩვეულებ-
რივად.

— უყურე შენ, კაცო, რა ლამაზია,
რა ყურებდაცქვეტილიო.

ბოლოს ბავშვები გამოარდგია ერთ-
მა თეთრწინსაფარიანმა მთლად დამრ-
გვალეებულმა შავმა კაცმა. მუცელთან,
თეთრ წინსაფარზე, სისხლი პქონდა
მოცხებული, სისხლისა და ზორცის სუ-
ნი ასდიოდა ხელებზეც. არც არაფე-
რი გაჰვირვებია, არც თითი მოუტანია
პირთან. იმ სისხლსა და ზორცის სუნი-
ანი ხელებით დამწვდა, ამიყვანა, მაღ-
ლა ამწია, — მამალიაო, — ერთი ესა
თქვა, მერე ჩემს დამწერს მიუბრუნდა,
— მე გამომყევი, ფშაველოო, — შებ-
რუნდა და წავიდა.

მე ვავშეშდი. ვიფიქრე, ეს გასის-
ხლიანებული კაცი ახლა ჩემი სისხლით
მოისვრის-მეთქი ხელებს. მოგვდედ-
ნენ გოგო-ბიჭებიც, მაგრამ იმ კაცმა
მიიხედა:

— ხომ არ გინდათ დავიღრიალოო.

გოგო-ბიჭებმა შეფიქრიანებულგებმა

რამაზ ინანიშვილი

ძალიან პატარა დიდი მამყანაში

დაიხიეს უკან, მე კი სახლში შემოვიყვანა. იქ, იმ სახლში, რამდენიმე მაგიდა იდგა, ირგვლივ კაცები ისხდნენ, პურსა და ხორცს ჭამდნენ, ღვინოს აყოლებდნენ. მე რომ დამინახეს, ყველანი წამოიშალნენ. ერთმა მალაღმა კაცმა რომელიც მანამდეც ფეხზე იდგა, ღვინით სავსე ჭიქა ასწია და დაიძახა:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

— გაუმარჯოსო, გაუმარჯოსო! — დაიძახეს სხვებმაც.

მერე ყველანი ირგვლივ შემომგზავნიდნენ. მალაღმა კაცმა ჭიქა პირთან მომიტანა და ცხვირი შიგ ჩამაყოფინა. მე ავფრტუხდი. დამრგვალებულმა კაცმა, მე რომ ვეჭირე, ხელი წაჰკრა, ე: გამოსულელებულო! მალაღმა კაცმა ახლა იმას მიუტანა ჭიქა ცხვირთან, უნდოდა იმისათვისაც ჩაეყოფინებინა ცხვირი შიგ, მაგრამ დამრგვალებულმა კაცმა ზურგი შეუბრუნა, სხვებს სთხოვა, — უთხარით რამე, თორემ დავიღრიალვებო, — მეორე ოთახში გამიყვანა, იქ ერთი დიდი ყუთი იდგა, შიგ ჩამსვა და სახურავი გადამაფარა.

დავრჩი იმ ყუთში მარტოდმარტო. ყრუ ხმაურითა მესმოდა გარედან.

როცა მარტო ხარ, ან გძინავს, ან ფიქრობ. არ შეძინებოდა, მაშასადამე, უნდა მეფიქრა, ვიჯექი და ვფიქრობდი:

„ჩხიკვს შერჩეს ჩემი მოტყუება. მე ძირს დავდივარ, ის მალა დაფრინავს, ვერაფერს ვუზამ. ბატკანსაც შერჩეს, საძაგელი სუნი გაქვსო, რომ მითხრა... მაგრამ არა, ფიცი მაქვს მიცემული, მოგნახავ და შეგახრამუნებ-მეთქი. ესე იგი, უნდა მოგნახო და შეგახრამუნო კიდეც. თუ ცოცხალი დავრჩი, რა თქმა უნდა... კაცი კი — რომ დამიჭირა და აქ მომიყვანა... იმავე კაცმა ხომ ჩხიკვის ბრჭყალებიდანაც დამისხნა?!“

ვერ იქნა და ვერ გავერკვიე, მადლიერი უნდა ვყოფილიყავი მისი თუ, პირიქით, მტრად უნდა მოვეიდებოდი. ბოლოს ამაზე ფიქრი სხვა დროისთვის გადავდე და უფრო გადაუდებელ რამეზე დაეფიქრდი:

„მე ახლა საკუთარი თავის ანაბანა

ვარ. მთავარია, არ შევშინდე. მთავარია, თავის დახსნის იმედი არ დავკარგო...“

ამას მასწავლიდა დედა, ამას ამბობდნენ ხოლმე მამაჩემის ამხანაგ ბებერი ბრძენი მეღიები.

ავდექი და გავიარ-გამოვიარე — ჩვენებურად, მელურად: რბილად, წე-ლის მიმოხვნეკით. არაფერი მტკიოდა. კიდეც გავიარე და გამოვიარე, სულ ცოტათი მეწვოდა ჩხიკვის ჩანისკარტებულები. ყუთის კედელზედაც ავტოტყდი, სახურავსაც მივაწექი ცხვირით, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი. სამაგიეროდ, თვითონ აიხალა ცოტა ხნის მერე, დამრგვალებულმა კაცმა გაბრწყინებული თვალებით ჩამოიხედა, ხელიც ჩამოყო, ხორცის ნაჭრები ჩამომიყარა. ხორცს ჯამში ჩასხმული რძეც მოაყოლა — ფრთხილად ჩამოდგა ყუთის შუაგულში. ჯერ კუთხეში მივიკუთხე, ვფიქრობდი, პირი არ დამეკარებინა არაფრისათვის, მაგრამ მერე გამახსენდა — მთავარია, არ შევშინდე, მთავარია, თავის დახსნის იმედი არ დავკარგო, — და ხორცის ჭამა დავიწყე, ხორცი ძალიან მაგარი იყო. მაშინ ჯერ რძე ამოვსვლივ და ხორცს მერე მივუბრუნდი. ვლრღნიდი ერთ ძვალს, ვლრღნიდი და ისევ ჩამძინებოდა, ძვალზე პირმიდებულს.

თვალი რომ გავახილე, ჩემ წინ პატარა თავუნა იჯდა. ხან წინ წამოიწეგდა, ხან უკან დაიწეგდა. მიეყრდნო ყუთის კუთხეს და წრიბინა ხმით მეკითხება:

— ვინა ხარ?

მე თავი ვალდებულად არ ჩავთვა-ლე, პასუხი მიმეცა.

— ძალლი ხარ? — ისევ მეკითხება ის და თან ცოტა წინ მოდის.

არც ამაზე ვუპასუხე არაფერი.

— კურდღელი ხარ? მაშ, მგელე ყოფილხარ! — თქვა და გადაიკისკისა.

აქ კი აღარ მეყო მოთმინება და ვუთხარო:

— მელა ვარ.

— მელა? — ერთი კი შეფიქრინა.

და, მაგრამ მერე ისევ გაიცინა. — მე-
ლა-მაკარონის ყუთში?

ძალიან კარგად ვიყავი დანაყრებუ-
ლი, მაგრამ ჩემი მელობა რომ დამემ-
ტკიცებინა, ვისკუბე და ის წარწეხა
თვალის დახამხამებაში გავაქრე. თანაც
მუტყარი გავიარ-გამოვიარე, ბრჭყალე-
ბიც გავუღსვი ყუთის ძირზე — მისიანები
თუ იყვნენ სადმე ახლოს, ასეთი თავ-
ხელური ლაპარაკი აღარ გაეხდებოდა ჩემ-
თან.

თავვთა სამეფოდან აღარავინ გამო-
მცხადებია. რამდენჯერმე აიხადა ყუ-
თის სახურავი, ხან მარტომ ჩამოახედა
გაპრილებული ცხვირი და გაბრწყინ-
ებული თვალები დამრგვალებულმა
კაცმა, ხან სხვებიც ჰყავდა გვერდით,
მიყურებდნენ, იცინოდნენ, უეკირდათ,
რომ ნამდვილად მელას ლეკვი ვიყავი,
თავებს იქნევდნენ კმაყოფილებით, მი-
ყრიდნენ ხან რას, ხან რას, ცოტა ხანში
იმდენი და იმდენნაირი საქმელი დამიგ-
როვდა, აღარ ვიცოდი, თავი საით მი-
მებრუნებინა. ყველაფერი მეზიზღე-
ბოდა.

„აღბათ გამზრდინა, გამასუქებენ
და მერე მომძებნენ ბოლოს“, — ფიქ-
რობდი როგორაც გულს გარეთ. ჰო,
არ მინდოდა, გულში შეიმეშვა ეს ფიქ-
რი.

IV

კიდევ კარგი, ყუთში დიდხანს არ
ემჯდარვარ. რომ დაღამდა, იმ დამრ-
გვალებულმა კაცმა ფრთხილად ამო-
მიყვანა, კალათში გადამსვა და ზემო-
დან რაღაც ძონძი გადამაჭიმა. კალათი-
დან უკვე ყველაფერს ვხედავდი, რაც
გარეთ ხდებოდა. დამრგვალებულ კაცს
თუთრი წინსაფარი აღარ ეკეთა, ხელე-
ბიც სუფთა ჰქონდა, მაგრამ ქონის სუ-
ნი მაინც ასდიოდა. მაგიდებთან აღარა-
ვინ იჯდა. მათი გაშეშებული ფეხების
ქვეშ ერთი ბალანოთელილი ჭრელი
კატა დადიოდა. ჩემი იქ ყოფნა არც კი
გაუგია, ძვალი იპოვა და იმას მიუტუც-
ქდა.

დამრგვალებულმა კაცმა სინათლე

ჩააქრო, კალათიანად ამიყვანა, კარი
გამოიხსურა, დერეფანში მდგარ სხვა
კაცს რაღაც ჩაუჩურჩულა და გზის აყო-
ლიება წავიდა.

ჩვენ ხომ ღამითაც მშვენიერად
ვხედავთ, მით უფრო, მთვარიან ღამეს.
გზაზე აღარავინ იყო, მარტო ნიავე მო-
დიოდა ჩვენს შესახვედრად. შევყურე-
ბდი გორაზე გადმომდგარ დიდ, გაბრ-
ღვიალებულ მთვარეს და გული მე-
წურებოდა; ამ მთვარეს ხომ დედაჩე-
მიც უყურებს-მეთქი. მომენტრად ღე-
დის თბილ ფერზე თავის მიღება. ჩემს
და-ძმებთან ღლაბუცი, მწვანილ ველში
სირბილი. ამიჩვილდა გული და ამო-
ვიწამეტუნე შეწუხებულმა, ამოვიწყ-
მეტუნე ჩემთვის, ჩუმად, მაგრამ ესეც
საკმარისი ამოჩნდა, ძაღლები აღა-
ღავებულიყვნენ. სადღაც შემფოთებო
დაიყვილა მაშალმაც, ამოიყროყინა ვირ-
მაც. ვიღაც კაცმა სახლის კარი გააღო
და გადმოიძახა:

— ქსი! ქსი! მიდი, არ გაუშვით!

ამან ხომ უფრო გააგულიანა ის ძა-
ღლები. ჩვენკენ გადმოეშვენ, მაგრამ
დამრგვალებული კაცი არც იმ ძაღლე-
ბის ღვდავს აქცევდა ყურადღებას და
არც აივანზე გადმომდგარ კაცს. მიდი-
ოდა აღმართ-აღმართ და მიდიდინებდა
ისეთი დაბალი ხმა ჰქონდა, ვერაფრით
ავხსენი, რა იყო, რომ ყველას ამ ხმით
აშინებდა.

ვიარეთ ასე, სულ აღმართ-აღმართ
და ერთ ხეებით შემოხურულ სახლს
მივადექით. დამრგვალებულმა კაცმა
რაღაც პატარა კარი გააღო და მერე
შეგჩამდგარმა დაიძახა:

— ექიმო!

ამ დამახეზაზე ახლა აქ აღავლავდა
ძაღლი (ეეჰ, ქვეყნად ჩვენ სულ ვცო-
ტავდებით, ძაღლები კი მრავლდებიან
და მრავლდებიან). დაიკრიახეს ხეზე
მსხდარმა ქათმებმაც, სახლიდან კი კაცი
გამოვიდა და იკითხა:

— რომელი ხარ?

რეპაზი ინანიშვილი

ქალბინა პატარა დიდ მკვანაშვილი

— მელქო ვარ, ექიმო.
— რა გაგჭირვებია, მელქო.
— არაფერი, შენი ჭირიმე, ერთი
რამე მოგგვარეთ.
— რა მოგგვარე, კაცო?!
— პატარა მელა.
— რას მელაპარაკები!
— მააშ, ფშავლისგან ვიყიდე
დღეს.

ძალღს ხმა ჩააწყვეტინეს, კიბე ამა-
ტარეს და ელექტრონით გაჩაჩახებულ
ოთახში შემიყვანეს.

დამრგვალებული კაცი ჩამომიცუტ-
ქდა, თან სულ ლაპარაკობდა:

— ერთხელ ბრძანებდით, ეგეთი
რამე მინდაო. დამამახსოვრდა და, აი,
მოგიყვანეთ.

კალათას თავსაფარი გადახსნა, ორი-
ვე ხელი მომღო ფერდებში და ამომი-
ყვანა, ექიმმა უკან დაიხია და ღიმილით
გაეზადრა სახე. მე ცოტა კი გაეაქან-გა-
მოეაქანე ფეხები, ავაკაბუნე კბილებიც,
მაგრამ ისევ მალე გავჩუმდი. რა აზრი
ჰქონდა ფაფხურსა და წკმუტუნს! სჯობ-
და ბედს მივნდობოდი, — რაც მოსახ-
დენი იყო, მაინც ის მოხდებოდა ბო-
ლოს.

— ნამდვილი მელაა, კაცო? — უკ-
ვირდა ექიმს.

— აბა, როგორ, ექიმო!

— დახედე შენ ამას!

დამრგვალებული კაცი ხან ასე შე-
მატრიალებდა, ხან ისე, ჩემს მუცელს
უჩვენებდა ექიმს.

— მერე, ზეადია, უყურეთ!

— მართლა, ხომ იცი.

— ძალიან ყოჩადია, სულ იღრი-
ნება.

მუცელზე მიმიხუტა და ცხვირზე
ხელი დამკრა. მე მართლა შეველრინე.

— ხომ ხედავ?

— რწყილები არ ეყოლებათ?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო.
ძალიან სუფთა მელაა. აი, ნახეთ! —
მუცელზე დამიწყო ბერვა.

— ჩასვი, ჩასვი, ისევ კალათში ჩა-
სვი, კარგი ამხანაგისთვის მინდა მე ეგ.

კალათშივე ჩამსვეს და ძონძიც

ისევ გადამაფარეს ზემოდან. ვიწვენი და
ყურს ვუგდებდი კაცების ლაპარაკს.

— რამდენი უნდა მოგცე, მელქო,
ახლა მე შენ.

— რასა ბრძანებთ, ექიმო. მე მაგა-
ში ფულს როგორ გამოგართმევთ. რაც
თქვენ ჩემზე სიკეთე გაქვთ გაწეული,
რასა ბრძანებთ.

— ისე არ მივიღებ, მელქო.

— რა ბრძანებაა, ექიმო-ჯან, ირემ-
მა ირემს ბალახი გაუწოდა არც შენ
გაკლავ, არც მეო.

— ჰო, ეგეც მართალია. მაინც ჩემ-
ზე იყოს.

— არაფერი. რა ბრძანებაა!
დამრგვალებულმა კაცმა ხელება
შარვლის უკანა უბეზე შეიწმინდა და
კარისაკენ წავიდა.

— ღამე მშვიდობისა და კეთილად
მოგახმაროთ ეგ მელა.

„მოგახმაროთო?“ — მე ყურები
ვცქვრიტე. — რას ნიშნავს ეს „მოგახმა-
როთო?“

მაგრამ ამის შემდეგ ისეთი აღარა-
ფერი უთქვამთ, ამ სიტყვის მნიშვნე-
ლობა გამეგო.

— დიდი მადლობელი, მელქო. ჰო,
მართლა, რა უნდა ვაჭამოთ, კაცო.

— ყველაფერს გეახლებათ, ექიმო.
ხორცს, რძეს, კარაქს, ყველს. ყველა-
ფერს გეახლებათ.

— ჩემზე იყოს, მელქო, ჩემზე.

— რასა ბრძანებთ, ღამე მშვიდო-
ბისა, კარგად ბრძანდებოდეთ.

დამრგვალებული კაცი ოთახიდან
გავიდა, მაგრამ ისევ შემობრუნდა.

— როგორ დამავიწყდა. მოდიეთ.
იცით, რა? კალათიდან ამოვიყვანეთ
და ყუთში ჩავსვით. ეს გაღასაფარებე-
ლი არ დახიოს და არ გაიპაროს. გექ-
ნებათ ყუთი რამე, სახურავიანი?

— მაქვს, როგორც არა მაქვს.

ექიმი სადღაც წავიდა და ყუთი მო-
იტანა. კალათიდან ამომიყვანა და იმ
ყუთში ჩამსვეს. ისეთი პატარა იყო.
ძლივს ვახერხებდი მიბრუნ-მობრუნე-
ბას. თანაც დამპალ ძირზენასავით ცუ-
დი სუნი ჰქონდა. მთელი ღამე მოუსვე-

ნრად მეძინა. მაგრამ მეორე დღესაც ექ
ვიჩქეი, თანაც მშვიდრი. გათენებისას
ვიღაცები მოვიდნენ და ექიმი სადღაც
წაიყვანეს. მე კი ვიდექი და ხან ერთ
კუთხეს მივაჭერდი ცხვირს, ხან მეორე
ს. კუთხეებიდან სინათლის ვიწრო
ხოლგები შემოდიოდა, გარეთ რაღაც
რაღაცებსაც ვარჩევდი: მაგიდის ფე-
ხებს, ცარიელ ქილებს, ვედროს, ცო-
ცხს, ექიმის ჩექმებს. სულდგმული კი
მთელ დღეს არ გაჭაჭანებულა ოთახში,
ბუზებს თუ არ ჩავთვლით, რა თქმა
უნდა, რომელთა ბუზილი ხან საიდან
ისმოდა, ხან საიდან.

ექიმი სადამოს ძლივს დაბრუნდა.
შემოაღო თუ არა კარი, მაშინვე ავიშ-
ვიშდა:

— რა დამემართა ეს, ცუდგრუმე-
ლავ, რა დამემართა, როგორ დაგტოვე
აქამდე უსმელ-უტემელი!

ხან აქედან იქით გარბოდა, ხან იქი-
დან აქეთ გამორბოდა. რაღაცებს აჩხა-
რუნებდა. ბოლოს ყუთის სახურავი
ცოტაზე გადასწია და ჯამით რძე ჩამო-
მიდგა. ერთხელ კიდევ ამეკვიტა ფიქ-
რი, მოდი, სულ აღარაფერს ვახლებ
ბირს, შიშნით მოვიკლავ თავს და მო-
ვისვენებ-მეთქი. მაგრამ იმ საძაგელი
სუნით გაუდენთილ ყუთში რძის სუნმა
რომ დამკრა, ვეღარ მოვითმინე და ენა
ამოვუტყნიე. ექიმმა მოფერებით გადა-
მისვა ხელი ზურგზე, მე კბილები გა-
ვუწკაპუნე. ამაზე იმას გაეცინა და ისევ
სადღაც გაიქცა. ახლა ხორცი მომირ-
ბენინა, დიდი ქათმის მთელი ფრთა.
მოხარშული. უკეთესი იქნებოდა, ის
ფრთა უმი რომ ყოფილიყო, მაგრამ
სულ უარარობას მაინც ეს სჯობდა.

ჩაეკუცქდი და ნელ-ნელა დავიწყე
ღრღნა, ძვლების ტკვერვა.

ექიმი კი სულ დარბოდა, დიდინებ-
და. ტანსაცმელს იხდიდა, სხვებს იც-
ვამდა. ცოტა ხანში ისევ ჩემთან მოვი-
და, ყუთის სახურავი გადასწია, ჩამომ-
ხედა და მკითხა:

— დალიე რძე?

მე არ ვუპასუხე, მაშინ ისევ იმან
მკითხა:

— ხორცი, ხომ მოგეწონა?

ჩემი პასუხისთვის აღარ დაუცდია,
ჩამოყო ხელი, რძიანი ჯამი ამაცალა და
მითხრა:

— ახლა ჩვენ ავტობუსში ჩავსხ-
დებით და ქალაქში წავაღო. ხომ არ
გეშინია ავტობუსისა? ნურაფრისა შე-
გეშინდება. ჩვენ იმ ავტობუსს... ავი-
ლებთ ბილეთს და ხმას ვერავინ გავგ-
ცემს. როცა ბილეთი გაქვს, სენაზე
უნდა დაგიდგეს ყველა.

ყუთის სახურავი დაახურა, ზემოდან
რაღაც გადააკრა, ილიაში ამოგვიდო,
კარი გამოიხურა და შორეულ გზას გა-
გვიყენა ის ყუთიცა და მეც.

V

ავტობუსში რამდენიმე კაცი და ქა-
ლი დაგვხვდა. რომ გაიგეს, ყუთში მე
ვიჩქეი, ერთი ამბავი ატეხეს. შემოე-
ხვივნენ ექიმს და დაუწყეს ხვეწნა: სა-
ხურავი ცოტაზე გადასწიე და გვაჩვენე.
ექიმი უარობდა, მაშინ კიდევ ერთ-
მა ქალმა სთხოვა, წყნარი, სასიამოვნო
ხმით. ექიმმა ამ ქალს კი ევლარ უთხრა
უარი. ყუთიდან ამომიყვანა და ხან ერ-
თის ცხვირწინ გამაჩერა ფეხებგაფარ-
ჩხული, ხან მეორის ცხვირწინ.

კაცებიც და ქალებიც ძალიან გახა-
რებულები იყვნენ.

მერე ამას ის მოჰყვა, რომ ვიღაცამ
ერთმანეთზე გადაბმული ქათმები ამო-
იყვანა და ზედ ცხვირთან დამიწყო.
მხოლოდ თხელი, ძალიან თხელი ფი-
ცარილა გვყოფდა მე და იმ ქათმებს.
მიხვდნენ ადამიანებიც ამ ამბავს და
ატეხეს ხარხარი:

— ვანო! ვანო! მოდი, ყუთში ჩაუ-
სვი ერთი ქათამი! — იძახდა ვიღაცა
უკანოდან.

— ჩაუვსვამ, რატომაც არ ჩაუ-
ვსვამ, — თანახმა იყო ვანო. მაგრამ ექი-
მმა არ დაანება. ეს კი არადა, ყუთიც
მოარიდა ყველას, ფეხებქვეშ ამოიღდა.
აღმუვლდა მანქანა და დაიძრა. მიუ-

რევაჟ ივანოვილი

ძალიან პატარა დიდი მკვლევარი



ხედავდ იმისა, რომ წინააღმდეგ კეთილ-
მა ცხენმა დამარცხა, ავტომობილები
არავის ერჩიანო, მაინც შიშმა ამიტანა.
თავგზაბნეული მივაწყდი ყუთის კედ-
ლებს. მერე და მერე კი, ისეთი რომ
არაფერი მოხდა, დავმშვიდდი. მივედი-
ოდით. მივექანაობდით. კაცები ისევ
ჩემზე ლაპარაკობდნენ. ჩემზე და სხვა
მელოებზე. აი, რა გვიამბო ერთმა არ-
ხენიან, სიტყვების დაგემოვნებით:

— შარშანწინ, შემოდგომაზე, კუ-
კუნის ღელეში მივედიოდი და რასა ვხე-
დავ: მორბის დაფეთებული კურდღე-
ლი და უკან ერთი ხედი მელა მოს-
დევს. მორბის, მოხუხუნებს, კული
მთელ სიგრძეზე აქვს გაკიშული. თოფი
მაქვს. გადმოვიღე. ბეცი კურდღელი
ვერა მხედავს. მოდის პირდაპირ ჩემ-
კენ, მელამ კი იმწამსვე დამინახა და,
ხომ იცით მელას ხასიათი, მაშინვე მი-
წას გაეკრა. ეგონა, ვერ დავინახე. ჩამი-
არა კურდღელმა გვერდზე. არ ვესრო-
ლე. მინდა, მელას გავეუწილო ეშმა-
კობა, გავუშვირე და— ბაც! — იქვე,
მიწაზე დაეკარი დაღურსმულივით.
ტყავი ჰქონდა, აი, ბალანი, ოთხი თითის
დადებდა. დედაკაცს ქათიბი უნდა გაე-
კეთებინა, მაგრამ ერთ ღამეს მოაჯირზე
დარჩენოდა, გადაეთრიათ ძაღლებს და
დაეგლიჯათ.

მოდი და გულმედგრაღ იყავი ამ-
გვარი ლაპარაკის შემდეგ. გულისრე-
ვისავეთ რაღაცა ვიგრძენი. მოვიკუნტე,
კული ცხვირზე დავიფარე, ყურებიც ჩა-
მოვლურსე, რაც შეიძლება ნაკლები
ხმები გამეგონა, და ასე ვიყავი ქალა-
ქამდე.

ქალაქი დიდი სახლებისა და სინათ-
ლების ტყეა. ასეთი ხმა აქვს, თითქოს
მღანარე აღიდებულობს. მოთქრია-
ლებს, მომურმურებს, მოდგანდგარებს

აღარ მშველოდა ცხვირის კულქვეშ
დამალვა და ყურების ჩამოლურსეა.
მთელი სხეული დამიბუჟდა მღელვარე-
ბისაგან. თანაც ავტობუსმა მალ-მალე
დამიწყო გაჩერება, მე — ფიცრის კე-
დელზე მიხლა-მოხლა. რამდენჯერაც
გაჩერდა, იმდენი ვიღაც ჩავიდა. ბო-

ლოს ექიმმაც ამიყვანა, ჩვენც ^{გადავადგინა} ~~გადავადგინა~~
დით მიწაზე. ცოტა ხანს ასე მატარა.
მერე სხვა მანქანაში ჩამსვა. იქ მარტო
ერთი კაცი იჯდა. შევედიოთ თუ არა, იმ
კაცმა მაშინვე ეს წამოიძახა:

— ნადირი რამე ხომ არ მოგყავთ
მაგ ყუთით?

— არ გადამრიოთ! — გაოცდა ექი-
მი. — როგორ მიხვდით?

— ნადირია?

— მელას ლეკვი. როგორ მიხვდი,
კაცო!

— სუნით! სუნით! უჰ, რა სასიამო-
ვნო სუნი დააყენა.

— ვაჰ! — კიდევ უფრო გაუკვირ-
და ექიმს.

მანქანა ჯერ წავიდა, მერე ისევ გა-
ჩერდა და იმ კაცმა ხევეწა დაუწყაო:

— ერთი შემახედეთ, რა! შემახე-
დეთ, თქვენ გენაცვალეთ. მაგათ რომ
ვხედავ, ხუთი წლის სიცოცხლე მიემა-
ტება.

— შენ ოღონდ ერთი წლის სიცო-
ცხლე მაინც მოგემატოს და... — გაე-
ცინა ექიმს. ყუთს სახურავი გადახადა.
კაცმა ჯერ გაბრწყინებული თვალებით
ჩამოიხედა, მერე ხელები ჩამოყო. კან-
კალით, დიდი სიფრთხილით მომკიდა
ფერდებზე, მალა ამწა და ზედ ცხვი-
რზე მაკოცა.

— შენ გენაცვალე რა! ვახ, ხელო,
გულგოროზო!

ამ კაცის საქციელმა ხომ სულ გამა-
ბრუა. აღარ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს
ირგვლებზე, ჩვენ, ნადირთ, ყველას ასე
გვჭერა, დიდსაც და პატარასაც, ადა-
მიანზე დიდი მტერი არავინა გვყავს
ქვეყანაზე. მაშ რაღას ნიშნავდა ამდენი
ალერსი და აღტაცება?!

იქნებ ეს იმის აღტაცებაა... ჰო.
მალ-მალე წამოტივტივდებოდა ხოლმე
ეს აზრიც, — იქნებ ეს იმის აღტაცებაა,
რომ ხელში ჩავეუვარდი და წინასწარ
ზეიმობდნენ ჩემი მოსპობის დღეს?

ამ აზრმა გული შემიჩქროლა და
ამოვიწკნავლე, გავიბრძოლე.

— არა, არა, გენაცვალე, არ გაბრაზდეს!

კაცმა ისევ ფრთხილად ჩამსვა ყუთში.

— ზოოპარკში მიგყავთ? — ჰკითხა ექიმს.

— არა, ამხანაგს უნდა მივუყვანო.

— ხომ... ხომ არ გაყიდით?

— როგორ გეკადრებათ!

— ვაჰ, შენ გენაცვალე.

მანქანა დაიძრა და წავედით. ვიარეთ, ვიარეთ და ისევ გავჩერდით. ექიმმა ძირს ჩამომიყვანა. მანქანაში მჯდარი კაცი მაინც მე მეძახდა:

— ცქვიტო! ეშმაკო! შენ გენაცვალე, შენ!

ექიმმა სახლში შემიყვანა. რაღაცებმა გაიჩხაკუნა და გავფრინდით მალე. გავჩერდით, იმ ოთახიდან გამოვედით და დიდ კარს მივადექით. იქ გარბელებული წკრიალი გაისმა. ცოტა ხანში ხმაურით გაიღო კარი.

— ოო! — ამოიძახა კარიდან გამოსულმა.

— მოვედი და დამხვდი! — შეაგება ექიმმა.

ერთმანეთთან ახლოს მივიდნენ და ვალაუზიერდნენ.

მერე შიგნით შევიდნენ. მეც შემიყვანეს.

— რა არის ეგ, კაცო? — იკითხა მასპინძელმა.

— აბა, რა იქნება, თუ მიხვდები.

— ინდაური?

— აჰ!

— ბატი?

— კაი, კაცო! რაზე მელაპარაკებოდი ამას წინათ?

— როდის?

— ჩემთან რომ იყავი, სოფელში.

— არ გადამრიო! ლეკვია რამე?

— მელასი.

— გადამრევ შენ, ნამდვილად.

— ა, ბატონო!

ექიმმა ყუთს სახურავი ახადა და

მასპინძელმა კიდევ ერთხელ გადაკონა.

— რომ იცოდე, რა ბიჭი ხარ! წავედით ახლავე.

— სად, კაცო.

— ჩემს დასთან.

მასპინძელი დაფაცურდა. რაღაც ჩაიკცა, ყუთი იმან ამოიღო ილღიაში და ისევ გარეთ გამომიყვანეს. აქაც მანქანაში ჩამსვეს. მატარეს ცოტა ხანს. ჩამომსვეს. ისევ გავფრინდით მალე-მალე, კარს მივადექით. აწყრილდა ზარი. გავვიდეს, გამოვიდა კაცი, გაიხარა.

— ოო, მობრძანდით, მობრძანდითო.

— ნუკრი სად არის? — იკითხა ექიმის ამხანაგმა.

— ნუკრი, ნუკრი! — იძახდა ხან ერთი, ხან მეორე.

მოირბინა პატარა ბიჭმა.

— ხომ ჭამ ვაჟკაცურად, — ჰკითხა ექიმის ამხანაგმა.

— ვჭამ, — მიუგო ბიჭმა.

— ხომ აღარ აბრაზებ დედას?

— აღარ ვაბრაზებ.

— ვაჟკაცის სიტყვას ამბობ?

— ვაჟკაცის სიტყვას.

— მაშ, აი, ამ ყუთს სახურავი ახადე.

ყუთი ძირს დადეს. ნელ-ნელა აიხადა სახურავი. ბიჭმა ამოიკივლა:

— ვაი!

კაცებმა ხარხარი ატეხეს. ბიჭმა კი გაუბედავად წამოიღო ხელები ჩემკენ. უცებ დამწვდა, ამიყვანა, პატარა მანძილზე გაიქცა, კედელთან შედგა, მკერდიდან მომიცილა და მკითხა:

— გეშინია?

კაცები იდგნენ და იცინოდნენ.

მე აქეთ-იქით ვიხედებოდი.

არ ვიცოდი მეშინიოდა თუ არა.

რედაქცია

ქალბატონი პატარა დიდი პატარა

კედელზე გალია ეკიდა და შიგ ჭივჭავი იჯდა. პირველად ასე მომეჩვენა, რომ ეძინა, მაგრამ უცებ თვალები დააჭყიტა და ერთი ამბავი ატეხა:

— თქვენ მაგას არ იცნობთ, ეგ მელაა, მე ბებერი ჭივჭავი ვარ და არაფერი მესწავლება. ეგ მელაა, ეგ ყველას შეგვკამს.

ფრთებს აფართხუნებდა, ერთი ქანდარიდან მეორეზე ხტებოდა, იმდენი ივიშიშა და იქოთქოთა, ყველას ყურადღება მიიქცია.

ექიმიმა თქვა:

— უყურე ერთი, ჩიტს როგორ გაუხარდა.

მეორე კაცმა, ბიჭის მამამ, თავი დაუქნია და იმანაც ღიმილით დაუდასტურა:

— რა თქმა უნდა, ეგეც ტყის შვილია და, რა თქმა უნდა, გაუხარდება. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: თხას თხა ურჩევნია ას სულ ცხვარსაო.

პატარა ბიჭმა კი ჯერ კაცებს შეხედდა, მერე ჭივჭავს მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, ფანტქალ, ეს არავის შეგკამს.

— ახლა არა, მაგრამ გაიზრდება და მერე შეგვკამს.

— დაწყნარდი, დაწყნარდი. არც მაშინ შეგკამს არავის.

— მე ბებერი ჭივჭავი ვარ. მე არაფერი მესწავლება.

— ვიცი, ვიცი, მაგრამ მაინც დაწყნარდი.

ჭივჭავი ქოთქოთს განაგრძნობდა და ერთი ქანდარიდან მეორეზე ხტოდა. მაშინ ბიჭმა გალიას ფარდა გადააფარა. ჭივჭავმა ცოტა ხანსაც იჯუჯლუნა და გაჩუმდა.

მე, ვგონებ, უკვე გითხარით, მომბეზრდა ხელიდან ხელში გადასვლა, გულგრილად ვხვდებოდი ყველაფერს, მაგრამ ჭივჭავისა და ბიჭის ლაპარაკი

რომ მოვისმინე, ძალიან გამეფიქრა და ბიჭს ვკითხე:

— ჩვენი ენა გესმის?

ბიჭს გაეღიმა, თითქოს შერცხვა კიდევ.

— ცოტა.

— სხვა ადამინებს რომ სულ არ ესმით?

— ზოგს ესმის. ვინც ისწავლის, გაიგებს კიდევაც.

— მაშ როგორ ისწავლე?

— ეგ გრძელი ამბავია. თანაც, იცი... — ბიჭს სახე დაუნაღვლიანდა და უფროსებს შეხედა.

უფროსები იდგნენ და სულ ჩვენ გვიყურებდნენ.

— აი, ასეა, — თქვა ბიჭის მამამ, — ასე ელაპარაკებოდა ხოლმე ლეკვსაც. თითქოს მაგათი ენა და ნაფიქრალი ესმოდეს.

— ბავშვია, ბატონო, — თქვა ექიმი, — ბავშვებს კი, მოგეხსენებათ, უხარმაზარი ფანტაზიის უნარი აქვთ.

ამ ლაპარაკის დროს ოთახში ქალი შემოვიდა. ის ჯერ კაცებს მიესალმა. ექიმის ამხანაგს აკოცა კიდევ. მერე ბიჭისაკენ მობრუნდა და სახტად დარჩა.

ბიჭი იატაკზე იყო ჩამომჯდარი და მე მეფერებოდა.

— ეს რა არის! — წამოიძახა ქალმა. — შენი ამბავია ეს, არა, სანდრო? რა გინდა, უნდა დაგვიღუპო ბავშვი? ამას კი ველარ აიტანს ზეინაბი.

ექიმის ამხანაგმა გადაიხარხარა.

— პასუხისმგებლები ვართ ორივენი. მეცა და ნუკრიც. ჩვენ ვიცით ჩვენი საქმისა.

ქალმა მაინც თავისი განაგრძო: ცოფიანი რომ იყოსო? თურმე ნუ იტყვიო, ოდესღაც, სადღაც, მინდვრიდან შინ მიმავალ ქალებს სწორედ ჩემოდენა მელას ლეკვი უნახავთ. ერთს დაჟერა მოუნდომებია, ლეკვს ოდნავ გაუჟაფ-

რავს, ქალი გაცოფებულია და მომკვდარა.

ამაზე ექიმმა მიუგო, რომ ცოფს წყლის შიშსაც ეძახიან, თუ ცხოველი წყალს სვამს და საჭმელსაც აუღელვებლად მიირთმევს, არავითარი ცოფი არ არის საექვოო.

მაშინ ქალმა დაიჩემა, რწყილები მაინც ეყოლებათ.

ექიმმა ამაზედაც გამოიღო თავი, რასა ბრძანებთ, ქალბატონო, ძალიან სუფთა ლეკვიართ. მაგრამ აქ კი ამოა გამოდგა მისი თავგამოდება. წამიყვანეს და თბილი წყლით მახანავეს. კიდევ კარგი, რომ ბიჭი თავზე შედგა და მამნევებდა:

— ცოტა მოითმინე, სულ ცოტა მოითმინე და მორჩა! მე ყოველდღე ებანაობ ასე! შენც ცოტა მოითმინე. ეგ კარგია.

მასხეს და მასხეს წყალი. მფხანეს და მფხანეს საფარცხლოთ. ყურს არ უგდებდნენ ჩემს წამუტუნსა და ციკონს. როდის-როდის ამომიყვანეს წყლიდან, ძონძებით გამამშრალეს, მერე სხვა ძონძით გამახვიეს და ბიჭთან დამტოვეს. ბაჟს მკერდზე ვყავდი მიხუტებული, ძონძებიდან მარტო ცხვირი მიჩანდა, დამატარებდა აქეთ-იქით და მელაპარაკებოდა:

— აბა, ხომ არაფერი დაგიშავდა. რა იყო, რა ამბავში იყავი! ნახავ, როგორ მსუბუქად იგრძნობ თავს. ჩვენ ახლა... ჩვენ ახლა შენთვის სახელი უნდა მოვიგონოთ.

მე ვუთხარი, რომ სახელი უკვე მერქვა.

— აი, ჩემი სახელი: ბჰაჰ-ბჰაიჰ-ბიჰ!

— მაგას ჩვენ მეტი ვერაინ გამოთქვამს. მე დაგარქმევ... დაწყნარდი, თორემ კანკალს დაგარქმევ. აბა, რატომ კანკალე? ხომ ხედავ, ცუდს არავინ გიპირებს. პირიქით, დიდებული ცხოვრება მოგელის.

— არავითარი დიდებული ცხოვრება არ მინდა. მე ჯერ სთან და ჩემს დამებთან მირჩენია.

— დედას და და-ძმებსაც ნახავ.

— როდის?

— ჯერ იყავი ჩემთან და, თუ არ მოგეწონება, მერე დედაშენთან და შენს და-ძმებთან დაგაბრუნებ.

ისე სანდოდ მელაპარაკებოდა, ველარაფერი ვთქვი. ძონძიანად დამსვა ძირს და თბილი რძე დამიღვა. ის რძე დავლიე, მერე ყველის მოზრდილი ნაჭერიც შეეჭამე და ფეხის გასაშლელად ცოტა ვავიარ-გამოვიარე.

— ცხოვრებაში მთავარია მშობარა არ იყო, — მეუბნებოდა ბიჭი. თუ მშობარა იქნები, ყველაფერი დამახინჯებულიად მოგეჩვენება, ვერასოდეს ვერ იგრძნობ, როგორი ლამაზია ტყე, როგორი ლამაზია მდინარე, როგორი ლამაზია ვარსკვლავებიანი ზეცა. შენ უშობარო უნდა გაიზარდო. ამიტომ უშობარს დაგარქმევ. უშიშ! უშიშავ! უშიშ!

მომეწონა ეს სახელი, მაგრამ მაინც არ მაგრძნობინებია, რომ კმაყოფილი დავრჩი. ვითომდა მხოლოდ კედლის ძირების სუნვითა და თვალიერებით ვიყავი გართული.

— მაშ, ასე, დღეიდან შენ უშიშა ვერქმევა. მე, ხომ ვიცი, რასაც მეძახიან — ნუკრი. ფიჰ! არ მომწონს ჩემი სახელი, მაგრამ დედას და დეიდას მოსწონთ... დედას და დეიდას კი ყველაფერში უნდა დავემორჩილოთ.

ხსენებაზე ბიჭის დეიდა შემოვიდა და მკაცრად უთხრა:

— დაგავიწყდა, მუსიკა რომ გაქვს სამეცადინო?

— ახლავე, დეიდა, — დაიძახა ბიჭმა, — ყუთში ძონძი ჩამიგო, შიგ ჩამსვა, — დაიძინეო, — მითხრა მოფერებით, ყუთს სახურავი დააფარა და ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხანს ვიდექი, მერე დავწექი, მოვიკუნტე, კუდი ცხვირთან მივიტანე და საძილედ ვავეშხადე. ის იყო ჩამ-

რეკავა ინანიშვილი

ქალბინა პატარა დიდა მამყანაშვილი

თვლიდა კიდევ, რომ სასიამოვნო ხმები მომესმა — თითქოს გახარებული ჩიტები ჭიკჭიკებდნენ მზიან წვიმაში: თითქოს დაერბოდი ჩემს და-ძმებთან ერთად მაღალ ბალახებში. გამახსენდა საყუენჭია გორა, თელები, წყარო, ჩხიკვი. ყრუ ტკივილმა დამიარა მთელ სხეულში. გამგულდა, გამაშეშა ამ ტკივილმა, ჩამეძინა.

არ ვიცი, დიდხანს მეძინა თუ ცოტახანს. როცა გამეღვიძა, ვხედავ, ბიჭს ყუთში ხელები ჩამოუყვია და გვერდებზე მკიდებს. მომიცა რბილად, მოხერხებულად, ამომიყვანა, მიმიხუტა თერთ, თხელ ხალათზე და მიმარბენინა თავის ლოგინთან.

მისი ლოგინი ფანჯარასთან იდგა. ფანჯარაში მთვარე იყურებოდა, ჩვენი მთვარე, საყუენჭია გორის მთვარე. მომინდა დედა, ჩვენი მყუდრო სორო, ამიჩვილდა გული, ამოვიწყმუტუე რამდენჯერმე.

— შენ ნურაფრისა გეშინია. თუ გეძინება, მშვიდად დაიძინე. მე ცოტახანს ვიქნები ასე და მერე მეც დავიძინებ. ამ დროს ყოველთვის მეღვიძება ხოლმე. მერე ვწევარ და ვწვალობ. იცი, უშიშავ, მე ერთი კარგი ძალღი მყავდა.

გავოცდი და ვკითხე:

— განა შეიძლება ძალღი კარგი იყოს?

— როგორ არ შეიძლება, სულელო! ყოველ სულდგმულთა შორის არიან კარგებიც და ცუდებიც. მეტსაც გეტყვი: კარგები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ცუდები, მით უმეტეს — ძაღლები.

— არა, მაგას ვერ დავიჯერებ, — დავიფინე მე.

— კეთილი, ნუ დაიჯერებ. ვთქვათ, მარტო ჩემთვის იყო ის ძალღი კარგი. ხომ შეიძლება ასე?

მე აღარაფერი ვთქვი.

— სულ ერთად ეიყავით მე და ის ძალღი, — განავრძნობდა ბიჭი. — სულ ერთად დავდიოდით. იმან მასწავლა ცხოველებთან ლაპარაკი. მერე ერთ დღეს, ერთ საზიზღარ დღეს... მანქანა დაეჯახა. ჩემკენ რომ გადმოიბოდა,

მაშინ დაეჯახა. ო, რომ იცოდეს, როგორ საშინლად დაივიწყა — მიშველეო მივევარდი, მაგრამ ველარაფერი ვუშველე. რამდენიმე ნაბიჯი წვალებით, ფეხების თრევით გამოიარა, მოდიოდა და გატანჯული, ცრემლიანი თვალებით მიყურებდა. მერე, რომ ნახა, ღონე აღარ შესწევდა, მიბრუნდა და ისევ ქუჩა-ქუჩა წავიდა. და იქ... ველარ მოვასწარა, ახლა სხვა მანქანა დაეჯახა. სულ გხედავდი, როგორ წავიდა წითელი სისხლი კლანთით, როგორ დააღო პირი ხმის ამოსაღებად და ასევე დარჩა, ველარ დაკუმა.

არ ვიცი, ძალღი შემეცოდა თუ ბიჭი — მეც ძალიან შემეწუხდი, ბიჭს ხელები ავულოყე.

მაშინ მან სიმღერასავით რაღაც წამოიწყა:

ტირიან ირმები,

ტირიან შვლები,

ტირიან მელები,

ტირიან მგლები,

ტირიან ტყეები,

ტირიან მთები,

მზეც, მოდი, მოგვხედე...

კარი სწრაფად გაიღო და ოთახში ქალი შემოვიდა. ეს უკვე ბიჭის დედა იყო. კართანვე გაჩერდა და შეწუხებულმა დაიძახა:

— ისიდორ! ისიდორ!

ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ბიჭის საწოლისაკენ. საწოლამდე ველარ მოაწვია, ხელები თავზე შემოიწყო და თითქმის ტირილით თქვა:

— მკლავთ მე თქვენ, მკლავთ და არავის ვეცოდები.

ბიჭმა მიმიხუტა, ლოგინიდან წამოხტა. ყუთიდან მიიღებინა და შიგ ჩამსვა. შემოვიდა კაციც.

— აიღეთ, დამარტყით რამე და ისე მომკალით, ან მამამ, ან შვილმა, რატომ მაწვალებთ?

— რა იყო, რა მოხდა? — იკითხა კაცმა.

— ტირი ჩემი თავისთვის. ლოგინში ეწვა ის ბინძური ცხოველი. მომა-

შორეთ, მოაშორეთ აქაურობას, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!

— მართლა ლოგინში გეწვა, ბიჭო? — ისევ იკითხა კაცმა.

— ხომ გაბანებულია, გასუფთავებული, — გაუხედავად თქვა ბიჭმა.

— გასუფთავებული ჭირი დაგეძგეროს შენ! მაგის ბეწვებიდა აკლია შენს ღვიძლს? მოაშორეთ. მოაშორეთ აქაურობას, თორემ აღარ მინდა სიცოცხლე უკვე!

კაცმა ყუთიანად ამიყვანა.

ბიჭი ლოგინიდან წამოხტა.

— მამა! მამა! ხომ იცი, როგორ მჭირდება...

— გამაგიჟებენ! გამაგიჟებენ! — იძახდა ქალი.

კაცმა კარი გამოიხურა და სადღაც ბნელ კუთხეში მიმიყვანა. ცოტა ხანს კიდევ მესმოდა გაუგებარი ხმები, ბიჭისა და ქალის ტირილი, ზანაც ორივე ერთად. მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

გარეთაც ჩაყუჩებული იყო ყველაფერი.

„რა ხდება, რა ამბავია ჩემს თავს?“

— ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ამ ფიქრში ჩამეძინა.

როცა გამეღვიძა, ყუთი ძალიან ქანაობდა. მეგონა, აიხდებოდა სახურავი და ბიჭს დაეინახავდი. მაგრამ უკვე ქუჩაში მიყვავდი. მაშინ მივხვდი, რომ ბიჭს მართლა მაშორებდნენ. აეტეხე ხტუნვა, ფხატუნი, წკმუტუნი, ტირილი. მე ხომ უამრავი რამე დამრჩა საკითხავი. მე ხომ მხოლოდ მისგან შემეძლო გაგება, რატომღაც, რომ აღამიანები გვხო-

დავენ, მე კი... რა ამბავია ჩემს თავს? რა მომელის, რა უნდა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე...

მაგრამ ჩემი წკმუტუნ-ტირილისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

სადღაც მიმიყვანეს. ვიღაცები ალაპარაკდნენ. ვიღაცამ ყუთზედაც მოაკა-კუნა. ბოლოს სახურავიც გადამახდეს, დავინახე მთლად უცხო, ცხვირწითელა, სათვლიანი კაცი. ეს კაცი არც ილიმე-ბოდა, არც იღრუბლებოდა. დაშტერებული დამყურებდა სათვლით და მართო ეს თქვა:

— გასაგებია.

— რა არის გასაგები? მითხარით, მეც გამაგებინეთ! — წამოვიძახე შეშინებულმა.

სათვლიანმა კაცმა ყუთს სახურავი დააფარა და სხვაგან წავიდა.

გარედან ქალაქის გმინვა და ღვან-ღვარი შემოდიოდა.

უცებ საოცრად აშკარად ღავინაზე საკუთარი თავი — ქალიან პატარა, უა, აღონდგოლებულ ქვეყანაში, თავს მთლად მართო.

და ისევ აეტეხე წკმუტუნი და ტირილი.

.

აქ წყდება ბოლომთხეული ბელნა-წერი, რომელიც ქალაქის განაპირას, ხევში ჩაყრილ ნაგავში ვიპოვე ზამთრის სუესიან დილას, როცა მე და ჩემი მეგობარი, ჩვენს ორ მეძებარ ძალ-თან ერთად, გამგელებულები მივდევ-დით ვიღაცის მიერ ფენში დაჭრილ, ბალანჩამოძენილ კურდღელს.



ნოღარ შაჰანაძე

უპირობო სოციალური კაცის ცხოვრება

1. ბავშვობა და ყრობა

1

ქვეც კი იწვოდა ჩუტუ მისოშვილის საცო-
დობით: დილიდან საღამომდე ბორცვად, წვა-
ლობად, ბაღი კი არა და არ ჩანდა. ზედიზედ
ოთხი მჯობნის-მჯობნი ბეზია-ქალი მოუყვანეს,
მაგრამ ვერც ერთმა ვერ უშველა. ბოლოს
მკითხავთან აღრინეს კაცი.

— ტყუპი ბიჭი იბადება: ერთი მეტისმეტი
ხათრიანია, არ უნდა ძმაზე უმაღლ გამოჩნდეს.
მეორე კი თავს იკლავს, სურს ტყუპისცალს და-
ასწროს, მაგრამ წინ ხათრიანია გაჩხიჩხილი და
გვერდის აქცევას ვერ ახერხებს. — თქვა მარ-
ჩიელმა, მელოვინეს რომ დახედა.

— აბა, რა გვეშველება? — იკითხა მომა-
ვლი ბავშვების მამამ.

— სხვა გზა არაა, მარცოხა, უნდა დაველო-
დოთ. — ამოიოხრა მარჩიელმა.

ხალხი შეჩინჩილდა.

— კი მაგრამ როდემდე მუყუროთ, ქალს
მეტი აღარ შეუძლია და!...

— იქნებ იმ უტყვარაღმა სულაც არ გაუ-
ტყუოს ძმას ხათრი და არ წამოვიდეს!

— ხათრიანობით ამ ქვეყნად ფონს მაინც
ვერ გავა!

— რომ არ დაიხადოს, ურჩენია!

— ფიქრი ნუ გაქვთ, როგორ სოფელშიც
მოვა, ისეთ ქელს დაიხტარეს! — ჩურჩულე-
ბდნენ ქალები და მარჩიელს კომპლემენტური
შეპყურებდნენ.

— ექიმი მოუყვანოთ! — გაახსენდა ერთ
გადახრჩუებულ დედაბერს.

გა კიი მომაგონეთ, ვაჟხარა ოჯახის მამას
და ემითან გაიქცა. უნდა გაიკეთოს, სხვა

მხრივ არაფერი ვშველებათ, დასკვნა გინეო-
ლოგმა. დასთანხმდნენ. მკითხავის წინასწარმე-
ტყულება გამართლდა: ოჯახს ტყუპი ბიჭი მო-
ველინა. ერთს ხიხუნა დაარქვეს, მეორეს კი —
პოქინა. სოფელში კარგა ხანს გაოცებით ლაპა-
რაკობდნენ: ხიხუნა ისე გაჩნდა, არ წამოუტი-
რიაო. ეს კი არა და, ერთი ხნიერი დედაცაი
გულზე ხელის დადებით ირწმუნებოდა, ხიხუ-
ნამ პირველად თვალი რომ გაახილა და იმდენი
უცხო ხალხი დაგვიანხა, შერცხვა, ხათრიანად
მოიბუზა და წინ ხელი დაათარაო.

2

ტყუპების ცხოვრება პირველ დღეებში
გვარსწერლად მიდიოდა: ჩუტუ ძუძუს რიგ-
რიგობით აწოვებდა და ორივენი კალმახებივით
სხმარტალებდნენ. მაგრამ ერთ ღამეს შეცდა,
პოქინას ზედიზედ რამდენჯერმე მოაწოვა, ხი-
ხუნა კი სრულიად უძუძური დატოვა. ხიხუნა
რომ წამოიტყუებდა, მძინარ-მღვიძარი დედა
პოქინას ჩასჩრიდა ხოლმე ძუძუს პირში. შიმ-
შილმა მოაღუნა და ძილად მიავდო ხიხუნა.
ხანდახან თვალს გამოჰყუეტდა, ერთს უღიმლა-
მოდ წამოიტყუესუნებდა და მერე ისევ წაიძი-
ნებდა.

— ეს ერთი მართლაც რა მოხატრებული
და ბუნჯალა ბიჭი მყავს, სულ არ მაწუხებს,
ძინავს და არის თავისთვის დათვის ბელივით
მიყუერებული. — იქადოდა ჩუტუ და „ბუნჯა-
ლა“ ბაღი არ გამიღვიძოსო, უნდოდა თუ არ
უნდოდა, პოქინას უმარცხებდა ძუძუს.

ხიხუნა თანდათან მისუსტდა, მოიჩინარა,



— წამოგრუსუნების თავიც აღარ ჰქონდა. მძინარიც და მღვდლმაც თათქმის ერთნაირი ჩანდა, თვალის გახელა უჭირდა.

— პოქინა რომ ჭყლობინებს და არის ერთ ამბავში, ხიხუნას ხმა რატომ არ ისმის? — იკითხა ეპრაქსია ბეზიამ და შვილიშვილებს თავს დაადგა.

— უი, რაღადა ვარ ცოცხალი, ე ბიჭი ხელიდან წავსვლია და ეს არის! — შეიცხადა ეპრაქსიამ, ხიხუნა რომ აიყვანა და დაუძლურებული ბაღლი მკლავზე ჭიაყელასავით გადაეკილა.

— ნეტა არაფერს მოგიგონებდე! — შემოუძახა ჩუტუმ და ბავშვს არც კი მიხედა, განაგრძო: — ხო ხედავ, ბიჭი ხმას არ იღებს? რამე რომ უჭირდეს, არ იტირებს?!

— ტირილი საღლა შეუძლია, ბაღლი გათვებულა! — ამოიოხრა ეპრაქსიამ და ბიჭი მიაწოდა.

დედამ ძუძუ მიაგება, მაგრამ ხიხუნას კრიკა ჰქონდა შეკრული, პირი ვერ გაღო, მხოლოდ ტუჩები გაიმაცუნა ოდნავ.

— ძუძუსაც არ წოხს?! — იტიცია ლოყაზე ხელი ეპრაქსიამ.

— რძითაა გატყენილი და რას მოწოვს! აგერ ამ წუთში ძლივს მოვიშორე... — უბასუხა ჩუტუმ და ბავშვი მალა ასწია. ხიხუნა კისერს ვეღარ იმაგრებდა და იქით-იქით აქანავებდა ასკილივით.

ზემოთმოთხრობილი ეპიზოდი მერვე საუკუნის მიწურულსა თუ მეცხრე საუკუნის დასაწყისში მოხდა. პერსონაჟი რომანისა გახლავთ ქართლის ერისმთავარი აშოტ პირველი, შემდეგში მეფე ქართველთა, რომელსაც სახელმწიფო მოღვაწეობის მეორე ნახევარში ბიზანტიის კეისარმა კურაპალატობაც უბოძა. ზოგი ასევე მოიხსენიებს კიდევ — აშოტ კურაპალატს უწოდებს. ქართველმა ხალხმა კი მას მალაღი არაოფიციალური ტიტული მიანიჭა — აშოტ დიდი უწოდა.

და რაკი იგი ასეთი მასშტაბის ეროვნული მოღვაწეა, უფრო დაწერილებით მოგვიხდება მასზე ლაპარაკი.

დაივიწყოთ იმით, რომ აშოტ პირველი მოღვაწეობდა მერვე საუკუნის დასასრულსა და მეცხრე საუკუნის დასაწყისში.

ზოგიერთ ისტორიკოსს უფრო ზუსტადაც აქვს განსაზღვრული მისი ზეობის წლები: 786—826. ასე აქვს ეს მოცემული ვახუშტი ბატონიშვილს. ამავე აზრისანი არიან მარი ბროსე, ივანე ჯავახიშვილი და ზოგი სხვა მეცნიერიც.

ჩვენ მოვერიდეთ ამ ტრადიციული განსაზღვრის განმეორებას, რადგან შემდეგი დროის გამოკვლევებში ეს თარიღები საეჭვოდ მიიჩნეის. განსაკუთრებით გარდაცვალების თარიღი. კორნელი კეკელიძე, მაგალითად, ძალიან დამაჯერებლად და ლოგიკურად ასაბუთებს,

შახტანაშ ჰაღლიძე
მარტოლის ცხოვრების მრონიკები



რომ აშოტ პირველის გარდაცვალების თარიღად შეუძლებელია 826 წელი მივიღოთ. ამ მოსაზრებას ზოგი სხვა მკვლევარიც იზიარებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს აშოტის ზეობის წლების განსაზღვრას, მკითხველის ყურადღებას აღარც შევაჩერებდით...

როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, აშოტის წინ ქართლის ერისმთავარი ყოფილა ადარნასე, აშოტის მამა; ადარნასეს წინ — სტეფანოზი; სტეფანოზის წინ — ნერსე, იოანე საბანის ძის ცნობილი მოთხოვნის „აზოს წამების“ ერთ-ერთი პერსონაჟი...

აქ კი შეეჩერდეთ.

ზემოთ ჩვენ ერთგან აღვნიშნეთ, როგორ ელვის სისწრაფით იცვლებოდნენ არაბთა მმართველები ჩვენს ქვეყანაში. იმავე მიზეზების გამო ქართველ მთავრებსაც ძალიან მალ-მალე ცვლიდნენ (ცვლიდნენო, იმიტომ ვამბობთ, რომ ერისმთავრების დანიშვნასა და გადაყენებას, როგორც ჩანს, ხალიფები განაგებდნენ. ეს აშკარად ჩანს იოანე საბანის ძის მოთხოვნიდან) და ალბათ გაგვიძნელებდა კიდევ უფრო ღრმად წასვლა და წინა ერისმთავრების ქრონოლოგიური რივის დადგენა. ეს ამჟამად არც გვჭირდება.

ამჟამად ჩვენ ზემოთ ჩამოთვლილი ქართლის რამდენიმე ერისმთავრის ზეობის დრო და თანამედროვეობა გვიანტერესებს. თვალსაჩინოებისათვის სქემა მოვხაზოთ. ოღონდ ახლა წალ-მა მოგპყვეთ — ნერსე ერისთავი დავაწყეთ, რომელსაც მეტი სიტხლისათვის, პირობით, ნერსე მეორე ვუწოდოთ. სქემა დაახლოებით ასეთი იქნება

ნერსე — სტეფანოზი — ადარნასე — აშოტი

როგორც ვხედავთ, ჩვენი საფარულეგელი თუ მიახლოებითი სქემა, რომელიც სხვადასხვა ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი, ნერსეთი იხსნება და მთავრდება აშოტით.

დროის მიხედვით ეს არის შედარებით პატარა მონაკვეთი უცხოელთა თახსაუკუნოვან ბატონობაში, ისტორიული მნიშვნელობით კი იგი მეტად საგულისხმო და საყურადღებოა. პავლე ინგოროყვა ამ პერიოდს ახასიათებს, როგორც „ახალ ხანას“, „მოსაბრუნ თარიღს“... და რაკი დროის ამ შედარებით მეტიერ მონაკვეთს ასეთი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, ჩვენც უფრო დაწვრილებით ვავეცნოთ.

სქემაზე გამოსახულ ოთხ ერისთავთაგან ჩვენ ორი განაპირა გვიანტერესებს — ნერსე და აშოტი. სწორედ მათა ხედათ წილად განსაკუთრებული როლი ეთამაშათ ერის ცხოვრებაში, ამით დაეკისრათ ისტორიული მისია.

ამასთან, აშოტის სახელმწიფო მოღვაწეობა

წყაროებში უფრო სრულად არის შესწავლული, მისი საქმიანობა უფრო თვალსაჩინო და გამოკვეთილია. ორი მდალი ტიტული აქვს მას — „ქართველთა მეფისა“ და „კურაპალატისა“. მოიხსენიება აგრეთვე, როგორც „აშოტ დიდი“.

იმ ეროვნული დეაწლის მიხედვით, რაც სამშობლოს დსდო, იგი საეგებით იმსახურებს ამ არაოფიციალურ ტიტულს.

ნერსე?

ნერსეზე რისი თქმა შეიძლება?

ისტორია ზოგჯერ უსამართლოა ხოლმე: ერთის დეაწლს უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, მის საქმეებს დიდების შარავანდით შემოსავს, გაციკროვნებს, ხან გააზვიადებს კიდევ, ხანდოხან სხვის დამსახურებასაც კი მიაწერს... (შეგეძნება, რომ აქ აშოტ დიდი არ იგულისხმება), მეორეს კი, ვისაც სწორედ იმ შარავანდადგმული შთამომავლისათვის მოუშვადებია საზოღვაწო ნიადაგი და ერისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო საქმე გაუკეთებია, ჩრდილში მოაქცევს...

ვინც დავიკრებებით გაეცნობა ჩვენი ისტორიის ამ მონაკვეთს, უსათუოდ ის აზრი დაებადება, რომ ნერსე მეორის მოღვაწეობა ჩრდილშია მოქცეული, არა ჩანს, თითქოს საგანგებოდ არავის მოუცეია მისი დეაწლის აღსანუსხავად. სამართლიანობა მოითხოვს გვივანტოს ის ბურუსი, რაშიაც მისი დეაწლი გახვეულია და ღირსეულ მამულიშვილს თავისი ნიჭი დას. ეს იქნება არც ისე ძნელი აღმოჩნდეს. მთავარია სიყვარულით მოეკიდო საქმეს და ისტორიული წყაროების მიერ ძუნწად მოწოდებულ ცნობებში მეტი გაბედულებით ჩაიხედო.

ისტორიულ წყაროებში ნერსე მეორე მართლაც გაკვრით არის მოხსენიებული, სასხვათაშორისოდ, სხვა უფრო მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით.

„მატიანე ქართლისა“, მაგალითად, გვაუწყებს: „რამეთუ მამა მისი ნერსე (ადარნასეს მამა), ძე ვარაზ-ბაკურ ანთიპატრიკისა, და ამის ვარაზ-ბაკურის მამა, სახელით გურამი კურაპალატი, ძე პირველისა სტეფანოზისა და ძმა დემეტრესი, — ესენი გარდაცვალებულ ივნენ“...

და მორჩა, მეტი არაფერი.

მეორე ისტორიული წყარო — სუმბატ დავითის ძის ქრონიკა—სავეე გაკვრით და სასხვათაშორისოდ გვაუწყებს: „და მერმე [ერისთავობდა] ნერსე და ძენი მისნი ფილიპე და სტეფანოზ და ადარნასე და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი“...

და აქაც მეტი არაფერი.

წმინდა საისტორიო წყაროები მეტს არაფერს იტყუებენ.

თუმცა არა. ერთ ძალიან მნიშვნელოვან საისტორიო წყაროშიც არის მოხსენიებული ნერ-

სე ერისთავი. ეს არის „მოქცევა ქართლისაი“. ამ ძეგლის ერთ ვარიანტში ვკითხულობთ: „და მეგრე [ერისთავობა] ნერსე დიდი და ძენი მისნი: ფილიპე და სტეფანოზი, ადარნესე და გუარამ... და ძენივე ადარნესესნი აშოტ და გურგენ...“ (აქ მოკლევლის ყურადღება მინდა შევანერო ნერსეს არაოფიციალურ ტიტულზეც „ნერსე დიდი“).

ერთი სიტყვით, ასეთ ძუნწ ცნობებს გვაწვდიან წმინდა საისტორიო წყაროები.

მაგრამ ნერსე ერისთავი ანუ ნერსე მეორე მოხსენიებულია აგრეთვე ბეღეტრისტიკაში, საყოველთაოდ ცნობილ მოთხრობებში — „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

ოღონდ აქაც სხვა მოვლენებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეს ადგილები ამ მოთხრობებიდან.

„აბოს წამებაში“ ნაწარმოების მთავარი გმირი არაბი ჰაბუკი აბო ბაღდადიდან საქართველოში გამოჰყვება არაბთა ტყვეობაში ნამყოფ ნერსე ერისთავს და აქ ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიღებს, რისთვისაც მამადაიწეობს მას აწამებენ. ამავე მოთხრობაში, ასევე აბოს ამბებთან დაკავშირებით, ნახსენებია, რომ სარკინოზაგან (არაბთაგან) კელავ ათვალწუნებული ერისთავი ნერსე ჯერ ხაზარეთში გადაიხვეწება თავისი მრავალრიცხოვანი მხლებლებითურთ, ხოლო იქიდან მერე დასავლეთ საქართველოში გადავა.

კიდევ უფრო მშვირია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობები. აქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ გრიგოლ ხანძთელი ნერსე ერისთავის ცოლის ძმისწული იყო და იზრდებოდა ნერსეს ოჯახში.

ნერსეს შესახებ სხვა ცნობას ამ ნაწარმოებში ვერა ვხვდებით.

ეს არის და ეს.

ასე კანტი-კუნტადა ვხვდებით ცნობებს ქართლის ერისმთავრის ნერსე მეორის შესახებ. და, როგორც ვნახეთ, ეს ძუნწი ცნობებიც უმთავრესად დაკავშირებულია სხვა მოვლენებთან. საგანგებოდ მასზე დაწერილი არაფერი შემოუნახავს ისტორიას. საერაუდებელი კია, რომ ასეთი ნაწარმოები არსებობდა. ნაწარმოები, რომელშიაც გადმოცემული იქნებოდა ნერსე ერისთავის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. ალბათ იყო ასეთი ნაწარმოები და სხვა მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებთან ერთად, დაიღუპა. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ნერსეს მოღვაწეობის ფართო მასშტაბი და დიდი ეროვნული მნიშვნელობა.

მაგრამ ეს ვარაუდი (ნერსე ერისთავის მოღვაწეობის ამსახველი ნაწარმოების არსებობა) მეტისმეტად ზოგადია და გაბედული, უფრო კონკრეტულ საფუძველს არ ეყარება. ამი-

ტომ დავეხსნათ მას და უფრო სარწმუნო და საფუძველიანი ვარაუდები წამოვაყენოთ.

ჯერ ვცადოთ ამ ოთხი ერისთავის ნათესავური ურთიერთობისა და ზეობის თარიღის განსაზღვრა.

როგორც ვნახეთ, სუბმატ დავითის ძის ცნობით, ნერსეს შვილები არიან სტეფანოზი, ადარნასე და ფილიპე, ხოლო ადარნასეს შვილები — აშოტი და გურგენი.

თითქმის ასეთივე ცნობას გვაწვდის „მოქცევა ქართლისაი“; აქაც ნერსეს ძენი არიან ფილიპე, სტეფანოზი და ადარნასე, და ადარნასეს ძენი — აშოტი და გურგენი.

„მატიანე ქართლისას“ მიხედვითაც, ადარნასეს მამაა ნერსე, ადარნასეს ძმები არიან ფილიპე და სტეფანოზი და ადარნასეს შვილია აშოტი.

ამრიგად, თუ ამ ცნობებს ვირწმუნებთ, გამოდის, რომ ნერსე მამა იყო სტეფანოზისა და ადარნასესიც, და პაპა — აშოტისაც.

მაგრამ იოანე საბანის ძის მიხედვით, ხაზარეთსა და შემდეგ დასავლეთ საქართველოში ლტოლვილი ნერსეს მაგიერად ხალიფა მაჰმად ქართლის ერისთავად დანიშნა ნერსესავე დიხწყული (და არა შვილი) სტეფანოზი.

ეს ცნობა, ზემოთმოყვანილი საისტორიო წყაროების ცნობებს არ უთავსდება.

იქნებ ნერსეს ჰყავდა შვილიც სტეფანოზი და დისწულიც, თავისი შვილის სენიია? იქნებ ორივე სტეფანოზმა იერისმთავრა სხვადასხვა დროს ქართლში, და ეს ქრონოლოგიურად არ უღელია წყაროებში?

ძნელ დასაჯერებელია, რომ თითქმის ერთსადაიმავე პერიოდში ორ სტეფანოზს ემეფოს, ამასთან ერთად შვილი ყოფილიყო ძველი ერისმთავრისა, მეორე — დისწული, და ეს მოვლენა საგანგებოდ არ იყოს აღნიშნული რომელიმე საისტორიო წყაროში. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ ერთ-ერთი წყარო დღედა და ერთმანეთში ურევს შვილსა და დისწვილს. ამასთან, მხოლოდ იოანე საბანის ძე ამბობს, რომ სტეფანოზი დისწული იყო ნერსესი, დანარჩენი წყაროები ამ ვერსიას არ აღსატყუებენ. ამ წყაროებში სტეფანოზი შვილად არის მოხსენიებული.

ალბათ, სწორედ ამ წყაროებს უნდა ვერწმუნოთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იოანე საბანის ძის ცნობა ცალად არის, ხოლო იმ ფაქტს, რომ სტეფანოზი ნერსეს შვილია, რამდენიმე წყარო იმეორებს.

არა, უმთავრესად იმიტომ უნდა ვერწმუნოთ იმ წყაროებს, რომ იქ სწორედ ეს საკითხია მთავარი, საგანგებოდ ამისთვისაა დაწერილი, ავტორები საგანგებოდ შეამოამაჯვლობით

მხატვარმა მამლიძემ
მარტენის ცხონებების ძრონიკაბო



თანამედევრობისა და ქრონოლოგიის ცნობებს
გვაწვდიან, სხვას არაფერს. იოანე საბანის ძის
მოთხრობაში კი წინა პლანზე სულ სხვა სა-
კითხია წამოწეული და ამას მეორეხარისხოვან-
ში მნიშვნელობა ეძლევა. ის კი არაა, სულაც
არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც,
უფრო საგარეუდებელია, სწორედ აქ ვეძიოთ
კალმისმეორი ლაფსუსი, ან ავტორისავე მიერ
დაშვებული, ან შემდეგი დროის გადამწერე-
ბისაგან.

ი. ჯავახიშვილი შენიშნავს, როცა „აბოს
წამებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება-
ში“ მოცემულ ცნობებს ადარებს ერთმანეთს:
„გვირგვინ მერჩულე სცდება მხოლოდ, როდესაც
ამბობს, ვითომც ნერსე უშვილო უოფილიყოს;
მას, როგორც აბო თბილელის მარტვილობი-
დან ჩანს, შეილება ჰყოლია“.

ივანე ჯავახიშვილი აღარ დაინტერესებულა
გაუმეფრა, ვინ უნდა უოფილიყენენ ნერსეს
შვილები. ალბათ იმიტომაც, რომ ეს ძალიან
გარკვევით არის ნათქვამი ზემოთხსენებ სა-
ისტორიო წყაროებში.

ერთი სიტყვით, უზუსტობა ალბათ არა წმი-
ნდა საისტორიო წყაროებში, არამედ მოთხრო-
ბაში უნდა ვეძიოთ.

ახლა იმ ერისმთავართა ზეობის თარიღებ-
საც გადავხედოთ.

როდის გახდა ნერსე ქართლის ერისთავი,
წყაროების მიხედვით ცნობილი არ არის. ჩვენ
მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი ერისთავი ყოფი-
ლა 772 წელს. იოანე საბანის ძის ცნობით,
სწორედ ამ წელს დაიბარა იგი ხალიფამ ბაღ-
დადში.

არ არის ცნობილი არც ის, ვინ ერისმთავ-
რობდა ქართლში იმ სამ წელიწადს, როცა
ნერსე ხალიფის საყვარელი იყო, ბაღდადს.
იქნებ მისი რომელიმე შვილი?

იქნებ სწორედ ის ფილიპე, რომლის ერის-
მთავრობის თარიღი და დრო საერთოდ უცნო-
ბია, ხოლო წყარო კი თითქმის გვაუწყებს მის
ერისმთავრობას („და მერმე [ერისთავებდა] ნე-
რსე და ძენი მისნი ფილიპე“ და ა. შ.). მით
უმეტეს, რომ ნერსეს შვილების (შემდგომში
ერისთავებად მოხსენებულების) ჩამოთვლის
თანამედევრობა სწორედ ასეთია: ფილიპე,
სტეფანოზი, ადარნასე...

ნერსე ხელმეორედ ერისმთავრობის ტი-
ტულს იღებს 775 წელს და მთელს 5-6 წელი-
წადს ერისმთავრობს. 780-781 წელს კი კვლავ
განუთრისხდება.

და ამ დროს, როგორც ვიცით, იგი ჯერ ხა-
ზარეთში გადაიხვეწება, მერე — დასავლეთ სა-
ქართველოში. ხალიფა მაჰდი ერისთავობას
უბოძებს სტეფანოზს.

გამოხდა ამის შემდეგ ხანი და ნერსე კვლავ

შეიწყნარეს, თბილისში დაბრუნების ჯგუფში
ცეს, ოღონდ ერისთავობა აღარ დაუბრუნებიათ.
ერისთავად, ალბათ კვლავ სტეფანოზი რჩება.

რომელ წლამდეა სტეფანოზი ქართლის
ერისმთავარი?

ზემოთაც თქვა, ვახუშტი ბატონიშვილის
მიხედვით, 786 წლიდან ქართლის ერისმთავა-
რია აშოტი 1. თუ ამ ცნობას ვერწმუნეთ, მა-
შინ 780 (781) წლიდან, ნერსეს ქართლიდან გა-
დახვეწის შემდეგ, რამდენიმე წელიწადს
უერისმთავრობა სტეფანოზს. როგორც ჩანს 786
წლამდე.

კორნელი კეკელიძე საეკვოდ მიიჩნევს ამ
თარიღს. თუ 786 წლიდან ერისმთავრობს
(ტრაქიციით) აშოტი, როდის-ღა ერისმთავრობ-
და სტეფანოზი? კითხვობის იგი და ამდენად
საეკვოდ მიიჩნევს, რომ აშოტი 786 წლიდან
ყოფილიყოს ქართლის ერისთავი.

თანაც, სტეფანოზის შემდეგ ერისმთავრად
მოხსენიებულია ადარნასე.

ადარნასეს როდისღა უნდა ეერისმთავრანა?
თითქმის ჩიხში შევდივართ, ამბობს მეცნიე-
რი.

საქმეს ართულებს აქ ადარნასეს ერისმთავ-
რობის საკითხი. სტეფანოზის ზეობის ვადები
სულაც არ იწვევს ეჭვს. მან იერისმთავრა ნერ-
სეს ქართლიდან წასვლის შემდეგ (780 თუ
781 წ.) 786 წლამდე.

იქნებ მისი ერისმთავრობიდან გადაყენების
პიზეზებიც არ იყოს ძნელი დასადგენი

როგორც ცნობილია, 786 წლის 6 იანვარს
არაბი ჰაბუჯი აბო, რომელმაც მაჰმადის რჯუ-
ლი დაჰმეო და ქრისტიანობა მიიღო, აწამეს და
დაწვეს. ეს არ იყო ადამიანის, ჩვეულებრივი
დასჯა. არაბებმა გადაწყვიტეს, სხეულის დასაწი-
ნებლად, სავანებოდ დევსაჯათ რჯულის მო-
ლაღატე არაბი, რათა სხვას აღარ აღძვროდა
ამნაირი სურვილი, სხვას აღარ გაეგონა ლა-
ლატი. თავიანთივე თანამეამულეების დაშინე-
ბაც უნდოდა ამითი და ქართველებისაც. მაგ-
რამ ვერ მოზომეს, ვერ გაითვალისწინეს, რო-
გორი გამოხმაურება ექნებოდა ერთი უბრალო
ჰაბუჯის დასჯას და მოტყუდნენ.

აბოს წამება ფაქტობრივად დიდი პოლიტი-
კური სკანდალი გამოდგა.

თქვენ ალბათ გესმევბათ, რა მოჰყვა ამას.
მთელი ქალაქი ეგნებ დადგა. ხალხის და-
შინება უნდოდათ არაბებს და პირიქით კი გა-
მოუვიდათ: ხალხმა სულაც დაივიწყა შიში,
თითქმის უფრო გამაჰადდა.

იოანე საბანის ძე ავი პირდაპირ წერს:

„მაშინ იწყო სიმრავლე მან ქალაქი-
სამან ქრისტიანეთამან და ვანაგდეს ში-
ში მათ და განვიდოდეს ყოველივე ადგოლ-
სა მას... მოხუცებულნი მირბოდეს კუერთბე-
ბათა თვისითა, მეკობელნი (ხეიბრები) ევლდო

მით (ზტომით, სირბილით), ვითარცა ირფმია, ჰაბუკნი სრბით, ყრმანი ზღომით... ჩბიოდეს ცრმლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკმეველი ხელითა თვისითა“...

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა — მოზუცია, ახალგაზრდა, ქალი, ბავშვები, ხეივანი თუ ჯან-სალი სულ გამოვიდა; ათეული წლებით და-გუბებულმა ბოლმამ ერთბაშად იფეთქა; ნიაღ-ვარივით მომსკდარი ხალხი ვეღარავინ დააჯა-ვა ვეღარავინ გადაუდგა წინ, ქუჩებში ჭგუფ-ჭგუფად დადიოდნენ, თავი მოიყარეს აბოს წა-მების ადგილას, დღევანდელი მეტეხის ტაძრის მდამოებში, შეეფინენ იმ კლდეს და ფერ-დობს და აღარც დაშლილან. საღამოსაც იქ იყვნენ. რამე იქ გაათენეს. არც მომდევნო დღეებში დაშლილან. თავისი მნიშვნელობით ეს ყოველგვარ აჯანყებაზე უფრო საშინო და საგულდისხმო მოვლენა იყო.

აჯანყებას იმ პირობებში შეიძლებაოდა მო-პულოდა, ვთქვათ, ლოკალური მნიშვნელობის სამხედრო გამარჯვება. ისიც იდეალურ შემ-თხვევაშიც ეს კი დიდი პოლიტიკური გამარჯ-ვება იყო, რომლის რეზონანსი გაცდა ვიწრო საზღვრებს და ძალიან შორს გაეარდა.

ამ გამარჯვებას სხვა სიკეთეც ჰქონდა. ქარ-თველ ხალხს, რომელიც არაბთა აღდენი ხნის ბატონობის შემდეგ დაიქანცა, წილში გაწყდა და ლამის გამარჯვების რწმენაც შეერყა, რწმე-ნას უნერგავდა, ამხნეებდა, ახალი ბრძოლე-ბისაკენ მოუწოდებდა. ეს იყო ერთგვარად იდეოლოგიური ნი ადა გის მთ მზა დე ბა, მომავალი დიდი ბრძოლების შესავალი არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის.

ბი არც დაყოვნეს და თითქმის ყველაფე-რი წინასწარვე მოუფიქრებიათ, იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე ღირსეულსა და განათლე-ბულ კაცს ამ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა დაავალეს. მხატვრული აღწერა. უფრო მეტი ემოციური ზემოქმედებისათვის თანაც ხომ ხელადეთ, რა კონკრეტული მოზანდასახლე-ბა აქვს ნაწარმოებს „ნეიტრალური“ ავით-გრაფიული მოთხრობა კი არ არის — მეზნება-რე მანიფესტია, მოწოდება მორალური გან-წმენდისა და გაერთიანებისაკენ.

და გაისმა კიდეც იგი, როგორც დიდი მო-წოდება. როგორც დასაწყისი ძალიან ფართო მასშტაბის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მო-ძრაობისა.

არა, ეს ისეთი მასშტაბის პოლიტიკური აქ-ტი იყო, რომ ვერაფერითი სამხედრო აჯანყება ვერ შეედრებოდა. გულუბრველობა იქნებოდა გეეფიქრა, თითქმის ამას არაბი ხელისუფალი ვერ მიხედნენ.

გაუგონარი რამ მოხდა: რამდენიმე დღეც კი არ გასულა ამ ამბებს შემდეგ და უკვე ლე-გენდალ მოედო მთელს ქვეყანას. აღფრთოვანე-

ბით უამბობდნენ ერთმანეთს, თუ როგორ და-ადგა კაშკაშა ვარსკვლავი იმ ადგილს, სადაც ჰაბუკი დაწვეს, როგორ გამოსცა ნათელი მდი-ნარემ იმ ადგილას, სადაც ჰაბუკის ნეშტი ჩა-ავდეს.

გაისხენეთ, როგორ აღწერს ამას მწერალი:

„...გამოუტყვევდა ბრწყინვალეობასა არა თუ ვითარცა ცეცხლი ესე ქუეყანისაი, არამედ ვი-თარცა საშინელებადი ელვისაი, რომელსა ხელ-ვიდეს ყოველნი მოქალაქენი, მსაფუთიცა იგი და ყოველი ვრი და მკვიდრნი იგი ქრისტიანე-თანი და ყოველნი სარკინოზნი და მწირნი, სხვით მოსრულნი“...

დიდხანს არ დამცხარლა ეს არაბთათვის ყოველად გაუთვალისწინებელი და მოულოდ-ნელი სკანდალი. ექო შორს გაიჭრა და არა მარტო ახლომდებარე კუთხეებს, სხვა დაპყრო-ბილ ქვეყნებსაც მისწვდა, თვით არაბთა ჯარის ნაწილებსაც მოედო...

ზემოთ მოტანილი ციტატის ბოლო ორ სიტ-ყვასაც დააციროდი — „ს ხ ვ ი თ მ ო ს რ უ ლ ნ ი“. ავტორი ჩამოთვლის, ვინ იხილა ის დიდი საკვირველება (იმ ნათლის „ბრწყინვა-ლებადი... ვითარცა საშინელებადი ელვისაი“): მო-ქალაქეებმაც (ე. ი. ქალაქის მცხოვრებლებმა), თვით მსაჯულმაც, ვინც ასეთი მოვცარი განაჩე-ნი გამოუტანა აბოს, ყოველმა ერმა და მკვიდ-რმა (ე. ი. ქართველმა), სარკინოზებმაც (აქ მუდმივად მცხოვრებლებმაც და გარნიზონის ჯარისკაცებმაც) და „მწირნი სხვით მოსრულ-ნი“ — ე. ი. სულ უცხო ხალხიც მოსრულა.

აი, რა მასშტაბი ჰქონია ამ საოცარ მოე-ლენას.

და ეს ყველაფერი მოხდა ქართლში სტეფა-ნოზის ერისმთავრობის დროს, სტეფანოზისავე სასახლეში შეხიზნული ჰაბუკის გამო, რომელსაც, ამის წინ, თვითონ სტეფანოზმა უთავე-დება და მფარველობდა არაბთა ამირისაგან, როცა იგი ამ ჰაბუკის გადაარჩულებას ცდილობ-და. წააქეზებდა კიდეც...

ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ სტე-ფანოზი გადააყენეს ერისმთავრობიდან.

ეს მოხდებოდა სწორედ 786 წელს.

სტეფანოზი ვინდა შესცვლა — აღარანსემ თუ აშოტმა?

ვხუშტი ბატონიშვილს იქნებ ჰქონდა სხვა რამ წყარო (რაც ახლა აღარა ჩანს), რის მი-ხედვითაც ეს თარიღი აშოტის გაერისმთავრე-ბის თარიღად მიიჩნია.

ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ამას ჩვენთ-ვის არა აქვს ისეთი მნიშვნელობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ აშოტი ნერსეს შვილიშვილია (ან ძალიან ახლომდელი) და იზრ-დება ნერსე ერისთვის ოჯახში, ნერსეს ხელმ-

ვახტანგ ბაქიძე

პარტელის ცხრმრმბის ჰრონიკაში

ძღვენელობით, იმ სულისკვეთებითა და განწყობილებით, რაც ამ ოჯახში სუფევდა.

მაინც რა სულისკვეთება სუფევდა ერისმთავარ ნერსეს ოჯახში და სამეფო წარსულზე?

დიდ სიმართლეს ისე ვერ დაადგენ, თუ მოვლენას შორიდან არ შეხედ, თუ მთლიანობაში არ აღიქვით და არ განიხილე, და ამ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტები ერთმანეთთან არ დააკავშირე, თუ ამ ფაქტების ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი შესწავლით დაკმაყოფილდი.

აბა, ისევ მივუბრუნდეთ იმ, ერთი შეხედვით, მწირ ცნობებს, რაც ნერსეს შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ წყაროებს შემოუღწახავთ. გავშალოთ ეს ძუნწი ცნობები, ზოგი რამ ვივარაუდოთ. უფრო ცოცხალი სურათის დახატვა ვცადოთ.

მეორეან ყრუს მრისხანე ლაშქრობის შემდეგ ოცდაათ წელზე მეტმა განვლო ერთიანად აზნაურებული და განადგურებული საქართველო ჯერ კიდევ არ იყო „მოგებული კუალსა თვისსა“, ჯერ ისევ არ გამქრალიყო გულქვა სარდლის მიერ დანთებული ხანძრის ნალექადლი, ირგვლივ შამშილი დათარეშობდა, უსახლკაროდ დარჩენილი ხალხი ჯერ ისევ მოუშუშებელი ჭრილობებისაგან კენესოდა, „ადვილადღელ“ ჯერ ისევ ისმოდა მრისხანე ლაშქრის მიერ დატოვებული ქოლერისაგან გათანგულ ადამიანთა გმინვა. გატანჯული ხალხი ჯერ გონს ვერ მოსულიყო, რომ ახლა ხაზარების გამანადგურებელი შემოსევა განიცადეს.

ამ ლაშქრობის რადიუსი უფრო პატარა იყო, სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოს აღარ მისწვდომია, მაგრამ შიდა ქართლი და მისი ღედაქალაქი კი ერთიანად დაანგრია და ააოხრა, ქრისტიანულშეშებული ხალხი გაეფიქრა...

ნულარ გამოვლდებით იმ ცალკეულ ბრძოლებსა თუ დარბევებს — ზოგჯერ შედარებით პატარა მასშტაბისას, ზოგჯერ საქართველო დასა და გამანადგურებელს — რაც პერიოდულად მუდამ ზდებოდა და იმ წლებშიაც ბევრი განიცადა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებმა...

ქვეყანა თალხით შემოიმა. სიცოცხლე ჩავედა, იმედი გადაიწირა. ირგვლივ ყოველგვარ ჭირზე უფრო საშინელმა ჭირმა — სასოწარკვეთილებამ — დაისადგურა. ერის ცხოვრებაში ისეთი საბედისწერო ეპიზოდი დადგა, რასაც ზოგჯერ სრული გაღაშენება მოჰყვება ხოლმე.

ალბათ სასოწარკვეთილებისა და განწირულების ასეთი ეპიზოდი უძლოდა წინ იმ დიდი ერების საბოლოო გაქრამასა და გაღაშენებას, რომლებიც ერთ დროს თავიანთი დიდი კულტურით, თავიანთი ძლიერებით ბრწყინავდნენ

და მერე კი ერთიანად ჩაქრნენ, გაქრამდნენ, ისტორიის მხოლოდდა წარსული ელვარებით შემორჩენენ...

დიდი ეროვნული პოტენცია და გაუტეხელი სული უნდა ჰქონდეს ხალხს, რომ ამ საშინელ განსაცდელს გაუძლოს. ამ დიდი პოტენციის სხივი ჯერ სადღაც, რომ არ მოეღო, ისეთ ადგილას გაივლებს ზოლზე, როგორც ნიშანი — არ გაემქრალავარო. ისეთ რამეში გამოვლინდება, რასაც არც ელი და ვერც წარმოიდგენ.

და ჩვენი ხალხის იმ საშინელი სასოწარკვეთილებისა და უიმედობის უღანბროში ასეთი ოახისი ნერსეს ოჯახი გამოდგა. აქ აინთო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლაშკარი, აქ ჩაისახა ქვეყნის გაერთიანების იდეა, აქ შემუშავდა და ჩამოყალიბდა ამ დიდი ეროვნული საქმის კონკრეტული ლონისძიებანი.

ეს ისტორიული მისია წილადა ხვდა ნერსეს მეორეს.

მეციურიები აღამიანის თავის ქალის მიხედვით ნაკეთების მოხაზულობას აღადგენენ; მის ფიზიონომიას, გამომეტყველებას, იერს აცოცხლებენ... ისე განვითარდა მეციურიება, რომ ნახატზე აღბეჭდილი სახის ნაკეთების მიხედვით, ახლა უკვე ხმის აღდგენასაც ცდილობენ. ბუნებაში არის კანონზომიერება, რაც განზოგადების საშუალებას იძლევა...

ჩვენ ვცდებით: იმ ზოგიერთი შტრიხით თუ დეტალზე, რაც ნერსეს შესახებ ვიცით, ამ შესანიშნავი აღამიანის ხასიათი მოეხაზოთ ზოგადად.

ნათელი კაცია, გულდია, გულკეთილი, თბილი, გულმოწყალე და თანამგრძნობი, აღამიანებთან ურთიერთობაში თითქმის რბილი და დამთმობი, მაგრამ პრინციპულ საკითხებში უკიდურესად მტკიცე და გაუტეხავი, ტკბილმოუბარი და თავის ქვეყანაზე ლამის ფანატურულ შეყვარებულ, ის ბედნიერი მალდი აქვს, რაც გარეშე აღამიანის გულს ერთბაშად მოიგებს და მისდამი ნდობით განაწყობს; აქვს საოცარი უნარი — თავისი განცდები და განწყობილებანი სხვასაც გადასდოს, და კიდევ ერთი მალდი — თვითონაც ადვილად მიენდობა აღამიანს, და უყვარს ახალგაზრდები. მისი დიდი სიბრძნეც აქედან იწყება — ქვეყნის მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნის და ყველაზე აქტიურად სწორედ მათ უნდა იზრუნოს მომავლისათვის. უღრესად განათლებული და შორსმჭვრეტელი კაცია. ცოლიც განათლებული და სათნო შეხვდა („ყოლიადმსახური“, მერჩულეს სიტყვით რომ ვთქვათ).

ამ მშვენიერმა ოჯახმა თანდათანობით შემოიკრია განათლებული და ქვეყნის ბედით შეწყუბებული აღამიანები. პავლე ინგოროყვას მახვილმა ინტუიციამ ძალიან მარჯვედ შენიშნა

ნა: „ნერსე II-ის „კარი სამეფო“, როგორც ირკვევა, გარს იკრებდა იმდროინდელს ქართულ განათლებულ წრეებს. ასე, ნერსე II-ის წრის მოღვაწეა განთქმული ქართველი მწერალი იოანე საბანის ძე, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ეს უდიდესი ბაიარხტარი ადრეულ საშუალო საუკუნეებში“.

ნერსე იშვილა და აღზარდა მომავალში სახელგანთქმულ ქართველი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, თავისი ცოლის ძმისშვილი. ნერსეს ცოლმა თვითონვე აღზარდა ბავშვი („აღზრდილ იყო ხელითა კეთილადმსახურისა დედოფლისა ნერსეს ცოლისათა“).

რა თქმა უნდა, სხვა აღმზრდელეობაც ჰყავდა სამეფო კარზე. გრიგოლ ხანძთელს ძალიან დიდი და მრავალმხრივი განათლება მიუღია.

ამას მოთხრობის ავტორი გვაუწყებს: „...მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ხმითა სასწავლელი სწავლია საეკლესიოთ, სამოძღვროთ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობაიცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუარათნა. ხოლო სიბრძნეიცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად“...

რამდენიმე ენის მცოდნეა, „საღმრთონი წიგნი“ ხომ კარგად შეისწავლა, რადგან სასულიერო სამსახურისათვის ემზადებოდა, ღრმად და საფუძვლიანად შეუწავლია აგრეთვე სამოქალაქო მეცნიერებანი — „სიბრძნეიცა ამისა სოფლისა ფილოსოფოსთაი“. შეუწავლია მკვერმეტყველებაც („რაჲმას იტყვენ, ბრძნად აღადის პირი თვისი და წესი გაუჩინის ენასა თვისსა“).

იმგვარად გადმოგვცემს ამას მოთხრობის ავტორი, რომ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო მიხვდეს, გრიგოლს რამდენიმე ერუდიტულ და გამოცდილი მასწავლებელი ჰყოლია. უფრო მეტიც — აქ სწავლების მთელი სისტემა იგულისხმება, ერთგვარი სკოლაც ყოფილა სამეფო კარზე.

აქედანვე ძალიან კარგად ჩანს, როგორი სამეფო კარი ჰქონია ნერსეს.

გრიგოლს მეგობრებიცა ჰყავს, რომელთაც ალბათ აქვე მიუღიათ განათლება — თავისივე დედაშვილი (ანუ ნერსეს ცოლის მეორე ღის შვილი) საბა (შემდეგში იშხნის „მეორედ მამაშენელი“ და ეპისკოპოსი), თეოდორე („მეძვისა მამენებელი და მამაი“), ქრისტეფორე („კვირიკეთისა მამენებელი და მამაი“).

დააკვირდით ერთ არცთუ უმნიშვნელო დეტალს:

ოთხივე მეგობარი მოღვაწეობის ასპარეზად სამხრეთ საქართველოს აირჩიეს!..

პირველად ეს ოთხი მეგობარი გაემგზავრება სამხრეთ საქართველოში.

მერე ამით სხვებიც ჩაიკითხავენს მოთხრობაში გადმოცემულია, როგორ ჩაა-

კითხავს ხანძთელს სამხრეთ საქართველოში სამოღვაწეოდ გამზადებული ახალი ჯგუფი, რომელსაც, ეტყობა, უფრო მოგვიანებით დაუმთავრებია ჩვენს მეორე ნაულისხმევი სასწავლებელი.

„მას ეამსა მოვიდეს მამი ეპიფანე და მღვდელი მატრი ქართლით, და დიდი ზენონ სამცხით, — გვიხურობთ მერჩულეს მოთხრობაში, — რამეთუ ეპიფანე და მატრი პირველივე მეგობარ იყვნეს ამის წმიდისა და სახელსა მისსა მოვიდეს ხანძთად“.

როგორც ეხედეთ, ეპიფანე და მატრი თავიდანვე, ძველთაგანვე მეგობრები ყოფილან გრიგოლისა.

მეგობრები, ხაზს უსვამს მოთხრობის ავტორი.

მაინც როდიდან? როდიდან ყოფილან გრიგოლის მეგობრები? სად შეხვდნენ ერთმანეთს? სად დამეგობრდნენ? გრიგოლი ავი ნერსეს ოჯახში იზრდებოდა!

სავსებით შესაძლებელია, და ალბათ ასეც უნდა ვიფიქროთ, ამ ახალგაზრდებმაც იქვე მიიღეს განათლება, ნერსეს სამეფო კარზე.

თავიდანვე იყვნენ გამზადებულები სამოღვაწეოდ.

ალბათ, სხვებიც არიან აქ, სხვა ახალგაზრდებიც...

და მერე ისინი ერთ კუთხეში ამოღვაწეოდ გაემგზავრებიან — სამხრეთ საქართველოში, საიდანაც გარკვეული დროის შემდეგ საქართველოს გაერთიანება დაიწყება!

შემთხვევითია ეს მოვლენა?

ის, რომ მერჩულეს მოთხრობაში არ არის მითითებული, სად მიიღეს ამ ახალგაზრდებმა განათლება, არაფერს ნიშნავს. წიგნი დაწერილია გრიგოლ ხანძთელზე, რომელიც თავისი განათლების, მოწოდებისა და მოღვაწეობის მასშტაბით არა მარტო თავის მეგობრებზე, არამედ საერთოდ თავის თანამედროვეებზე მაღლა დადგა და დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმეების მესვეური შეიქმნა. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, საგანგებოდ გრიგოლ ხანძთელზე დაწერილ მოთხრობაში იმ ახალგაზრდების განათლების წყაროებს რომ არ მიუთითებს ნაწარმოების ავტორი. (სხვათა შორის მერჩულე ერთგან მოუხდომიშვებს ციფრებს მკითხველს: ამათზე დაწერილი იქნებათ არა ეწერ, მეშინია მოთხრობა ძალიან არ გამიგრძელდეს). მათი მეგობრობისა და იდეური თანახმობის ავტორისეული დახასიათება ამას და ბევრ სხვა რამესაც ისედაც მოგვანიშნებს: „ესე ოთხნი (იგულისხმება გრიგოლი, საბა, თეოდორე და ქრისტეფორე — ესე

განჯანგ მშლიმ

მარტოლის ცხოვრების ძრონიკები

იგი, სამხრეთ საქართველოში გამგზავრებული პირველი ჯგუფი, შეიანაწიერა სარწმუნოებაჲმან და სამღრთოჲმან სიუქარულმან, შეაბტყიცა ერთ ხარხვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა ღმტკიცებულნი*.

ამრიგად, ნერსის სამეფო კარზე ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა მღვდმარეობის აღმსარებლებს. აქ ბევრს ფიქრობენ, მსჯელობენ, კამათობენ თავიანთ დღევანდელ ყოფაზე, ზეალინდელ დღეზე, ერის ბედზე, მის მომავალზე.

მაგრამ იქვე ჯამუშებიც მოახერხებდნენ შეპირვის, სავანებოც მივზანდელი ჯამუშები, რომელთაც სისტემატურად უნდა ჩააბარონ ანგარიში ამირასა და ხალიფას მოხელეებს, თუ რა ხდება ქართლის ერისმთავრის კარზე, რა განწყობილებათა, რას ლაპარაკობენ, რა გუნებაზე არიან (აქვე შევნიშნოთ — ქართლის ერისმთავის რეზიდენცია თბილისშივე იყო, ალბათ არაბთა ამირის რეზიდენციიდან არც თუ ძალიან დაშორებით. ივანე ჭავჭავაძის ეს საყუყმანოდ არ მიაჩნია).

და, აჰ, გახშირდა ღმგნებები („შესმენთა ბოროტთა კაცთათა...“) ქართლის ერისმთავარი საეკლად იქცევა. მის ოჯახში მუდამ ხალხმრავლობაა. მუდამ საეკლ რაღაცეებს ლაპარაკობენ. სულ საქართველო და მისი ბედი აქვით პირზე. სულ მონობასა და უცხო შველზე მოსთქვამენ...

ასეთი იქნებოდა ბრალდება, რის გამოც 772 წელს სასტიკი ხალიფა მანსურა ქართლის ერისმთავარ ნერსის ბაღდადში იბარებს.

მათი დიპლომის მიხედვით ადღენა იქნებ არც ისე ძნელი იყოს. ასეთი დიპლოგები ხშირად ქონიათ ქართველ მმართველებს სხვადასხვა ჯურის დამპყრობლებთან. ჩვენ ერთხელ უკვე მოვისმინეთ ასეთი დიპლოგა, როცა სამშეთისა და ალბანელების მმართველებთან ერთად ქართლის მმართველა არშუშა დაბარეს სპარსეთის სამეფო კარზე და მერე იქვე დაიტოვეს „მშველად“, რადგან მისი საუბარი არ მოეწონათ. ეს მეხუთე საუკუნის დასაწყისში მოხდა.

ხალხმა მკაცრად შეახსენებდა — შენ ერისმთავრობა იმიტომ გიწყალობეთ, ხარაჯ დროზე შეგვიკრიბოთ და წესიერად გვაუბავნო, თუ საკრიო დარჩა, ოქვენი მხედრობაც დავაგმარო და იმ ოქვენი მთურჯულდელ ხალხს ურჩიო ქვეინად იყო, სანამ ძალათი არ მოგვირჯულებათა. საეკლ შეკრებები და ააგისუფალი ლაპარაკი რა ოქვენი საქმეთა...

ერისმთავრის მომხიბლავმა ბუნებამ ეტყობა სულაც არ მოხიბლა მრისხანე მმართველი. ბოროქათ, გააბარა და საპყრობილში ჩაავდო.

და ვინ აცის საღამდე იქნებოდა ქართლის

ერისმთავარი საპყრობილში, რომ სამი წლის შემდეგ ხალიფა არ მომკვდარიყო.

ახალმა ხალიფამ — მანსურის შეილა მაჰმადი — ნერსე საპყრობილიდან გამოიყვანა, კვლავ დაუბრუნა ერისმთავრობა და სამშობლოში გამოსტუმრა. თავის მხლებლებთან ერთად, ნერსეს საქართველოში გამოჰყვა ბაღდადში გაერთობილი განათლებული და ღირსეული ჯაბუჟი აბო. მის თანავასაგასს აქ აღარ მოუჰყვებოთ. ეს ყველას კარგად ეხსოვება. მთა უმეტეს, ჩვენც გავიხსენეთ ზემოთ. აქ სხვა რამე უნდა ეთქვათ.

ახოს ქრისტიანად მოქცევა, ანუ, ფაქტურად, გაქრთვებობა, ასე უზრალოდ არ მომხდარა. ასეთი ამბები ასე არა ხდება. აქ აღმსარების მსოფლმხედველობა შეიცვალა, მისი ფსიქიკა, მისი ბუნების მეტამორფოზა მოხდა. აბოჲ გულწრფელად შეიყვარა ქართველი ხალხი, მისი შრომისმოყვარეობა, მისი თავისუფლებისმოყვარეობა, გეგეკტური და რაინდული სული, სიყვით და სათნოება, მისი ცხოვრების წესი და ხასიათი...

ტიმოური ქართველი კაცი. მას თვალწინ ჰყავდა ყოველგვარ პირობებში იხილა ეს კაცი — უცხოეთში ვადახვეწილი და იმედგადაწყვეტილიც, სიყვდილის სამშრომების წინაშე მღგაბრე, საპყრობილში ჩაგდებულ და დამცირებულცი, სამშობლომონატრებულიცა და სამშობლოს სეფდამეოწილიცი, გაბარებულიცა და დღვრემილიც, მზაბრულიც და გაჯავრებულიც... და არასოდეს ამ კაცს საყუბარი ღირსება ამ დაუკარგავს!

და თავად ღირსეულმა უცხოელმა ჯაბუჟმა შეიყვარა იგი. შეიყვარა ის ხალხი, ვისა შეილიც ეს აღმსარება იყო. თბილისში ჩამოსული და ერისთავის სამეფო კარზე მონებრილა თვალეხს არ უჯერებდა, როცა აქ თავმოყვრული ახალგაზრდები გაიცნო. თავისი ტოლებიც უფროსებიც, უმცროსებიც... აქ შეხვედბოდა იგი გრავილ ხანდელს! აქვე გაიცნობდა ამ ახალგაზრდებს, ზემოთ რომ ვახსენეთ და ჩამოეთვალეთ... ვაეკვირვა და ადღვრათვანა ამ ხალხის მრავალმხრივმა ნიქმა, განათლებამ, პატიოსნებამ, ვაეკაცობამ, დიდსულოვნებამ...

ღმფიქრდა ახალგაზრდა კაცი. მისვდა, რომ დამპყრობელი უსამართლოდ და უსანდისოდ ექცეოდა ამ მშრომელსა და ნიქვიერ ხალხს. დაღონდა, სანდისის ქენჯნამ შეაწუხა. ძილი არ უტყდა, მადა დაეკარგა.

და ნამდვილად მოქცევიც ეს იყო. მაჰმადის რჯული რომ დაჰგვმო და ქრისტიანობა მიიღო, ეს სავსებით ფორმალური აქტილია იმ სულთერი ტანჯვისა და სანდისის ქენჯნის შემდეგ რაც დაეკარგა.

და ეს ყველაფერი მოხდა ნერსეს ოჯახში. ნერსემ შეაყვარა მას უცხო ქვეყანა და უცხო ხალხი. ნერსემ მოხიბლა იგი. ნერსემ აღზარდა,

• ნერსესე გაზაფხენა. ნერსესე ამზადებდა მას კონკრეტული მიზანდასახულებით...

ერთი სიტყვით, არც ამის მოქცევა და წამება, მთელი თავისი შედეგებით, ყოფილა შემთხვევითი. ასეთი რამ შემთხვევით არა ხდება.

სამწლიანი ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგაც ნერსესე თბაში, ქართლის ერისთავის სამეფო კარზე, ცხოვრება კვლავ ძველებურად წარიმართა. კვლავ იკრიბებიან, კვლავ ფიქრობს, მსჯელობს, კამათი, წუხილი... კვლავ გაცხოველებული მზადება ახალგაზრდობისა...

ნერსესე უკვე ხანშიშესული კაცია. შვილიშვილები, ჰყავს და ჩვენ უკვე ვიცით, რა სულისკეთებითაა ზრდის იგი შვილიშვილებს. ახალგაზრდების აღზრდა სამეფო კარზე, ისეთ ვითარებაში და ისეთი აღმზიანის ხელში, როგორიც ნერსესე იყო, ჩვენ შეგვიძლია კონკრეტული მიმართულებით წარმოვიდგინოთ, კონკრეტული მიზანდასახულებით.

მაინც რა მიზანდასახულებით?

ისე მოიკიდეს საეროებზე ფეხი მთელს მსოფლიოში, ყველგან ისე მტკიცედ დაფუძნდნენ, რომ მათი დამმარცხებელი ძალა ჯერ არაა სჩანდა. მეორე დიდი სახელმწიფო ბიზანტია თვითონვე იდგა მათგან დაპყრობის საშიშროების წინაშე და, ამრიგად, სხეებისთვის, კერძოდ საქართველოსა და სომხეთისთვის ისეთი დახმარების აღმოჩენა, რომ დამპყრობელთა გაძევებაში მიშველებოდა, იმხანად მოსალოდნელი არ იყო.

სხვა სერიოზული მიზეზებიც ჰქონდა ჩვენს ხალხს, ბიზანტიას არ დაეყრდნობოდა და მისთვის სრული ნდობა არ გამოეცხადებინა. გარდა მისა, რომ მას ესტორიულად ისეთივე დამპყრობლური ზრახვები ჰქონდა საქართველოს მიმართ, როგორც სარკინოზებსა და ყველა სხვა დამპყრობს, მისი იმპერატორები ახლაც ძალიან უპიროდ და საეჭვოდ იქცეოდნენ, სიტყვას ძალიან ადვილად ტყუდნენ, გულმავიწყობა დისჩემდა — შეპირებული დახმარება ყოველთვის აგვიანებდა, და როცა თავის მოკავშირესა და „მეგობარს“ შევლა დასჭირდებოდა, სულ მოუცდელი იყო...

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდა პატარა ქვეყნებს. ზემოთაც ითქვამს, საქართველო პატარა-პატარა სამთავროებად დაქუცმაცდა; მტერი ყოველნაირად ხელს უწყობდა ქვეყნის ამგვარ დაქუცმაცებას და მთავრებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა. ბუნებრივია, რომ პატარა მთავრების ინტერესებიც ასეთივე პატარა და შეზღუდული იყო, ეს ინტერესებიც მათივე ყოველდღიურ კეთილდღეობას არა სცილდებოდა და რაც დრო გადიოდა, ეროვნული შეგნება სულ უფრო და უფრო ქვეითდებოდა, დაღდა ს-

შიშროება ეროვნული მეომბის წაშლისა, უცხოელეში აღრევისა (აღდგომიენით ერსა უცხოთა შჭულითა“, კეთხულობთ ითანე საბანის ძის მოთხრობაში).

აღარაფერს გამბობთ იმ სამხელე ტერორზე, რაც სულ უფრო და უფრო მძიმეზარდებოდა და რაც მემართანეს ძალიან ლაკონიურად აქვს გადმოცემული: „...უკეთუ ვინმე გამოჩნდის შეილთა შორის ვახტანგისთა, რომელმაცა ღირს იყოს მეფედ, იქმნის შემცირებულ საოკინოზთაგან“. კაცური კაცი გამოჩნდებოდა თუ არა, ხელადვე მოსპობდნენ და გაანადგურებდნენ. რაღა შორს მივდგავართ ნერსესაც ეს არ მოუვიდა? გამოჩნდა სამშობლო ქვეყნის ბელზე დაფიქრებული ღირსეული მამულმშვილი და მამინვე გაიწიეს, საპყრობილოში უკრეს თავი. აღმათ ხანგრძლივი ტანჯვით სიკვდილს უმზადდებდნენ, მაგრამ ბელზე თვითონ მოკვდა მტარავალი...

ერთი სიტყვით, ისეთ პირობებში, რაიც უცხოელ დამპყრობთაგან განათავისუფლების ასლო პერსპექტივა ბუნდოვნადაც არ ისახებოდა და შორეული მომავალიც კი მეტად ჩამუქებული ჩანდა, ქვეყნის მესვეურების მთავარი საზრუნავი ის იყო, ამ გაურკვეველი და ბუნდოვანი მომავლის მოლოდინში ეროვნული მეობა შეენარჩუნებოდა.

მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო. ქვეყნის ისეთ დაქუცმაცებას როცა გავითვალისწინებთ, თითქმის შეუძლებელიც. საჭირო იყო ამ სამთავროების გაერთიანება, საჭირო იყო მთლიანი საქართველოს აღდგენა.

საიმიქლად ადვილია!

სამთავროების გაერთიანებასა და მთლიანი საქართველოს შექმნას ან ის მომრავლებული მთავრებიც ვის დაენებდნენ ან მტერი როგორ მოითმენდა. ეს ერთბაშად არ გავითვალისწინებოდა და ეს ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ქვეყნის მესვეურებს.

ჯერ საჭირო იყო მტციეც და საიმედო საფუძვლის შექმნა. საჭირო იყო ეროვნული შეგნება აქმაღლებინათ, ენა შეენარჩუნებინათ, განათლება გავრცელებინათ, მწერლობა და ხელოვნება განვითარებინათ, რაც ეროვნული მეომბის შენარჩუნების მტციეც გარანტიაც იქნებოდა და მტერთან ყოველდღიურ ბრძოლაშიც მოქნილი და ეფექტური იარაღი.

საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ნიადაგს მოუზადებდა საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებას.

ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინათ საქართველოს პირველმა მეფემ ფარნაჯაზმა ერთიანი საქართველოს ასეთ საფუძვლადა და ქვეყნობედ აღდ ენა და მწიგნობრება დასაბა. ეს იყო ეროვნული

ვახტანგ მამლიძე

მართლის ცნობრების მრინიამბი

ნიერული გადაწყვეტილება და ბრძენი ადამიანის შორსმჭერტელობამ გაამართლა. ეს მუდამ გაკვეთილად უნდა ჰქონოდეთ ქვეყნის მესვეურებს.

და ახლაც, როცა სხვადასხვა ჯურის მრავალრიცხოვანი მტრისაგან ასეული წლობით ნარბევი ქვეყანა განსაცდელის პირას აღმოჩნდა, როცა იგი დაფიქსირდა, დააქუცმაცეს და აღდგო სათარეშოდ გაიზაღეს, საბოლოოდ მოსპობისა და გადაშენებისაგან მისი ხსნა კვლავ ენითა და მწიგნობრობით უნდა დაეწყოს...

ჩვენ უკვე შევინიშნეთ, არაბთა მთავარ დარტყმებს აღმოსავლეთი საქართველო იგერიებდა. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს დასავლეთ საქართველო უკეთეს დღეში ყოფილიყო. მისი „მშვიდობიანი“ ცხოვრება მოჩვენებითი იყო. იგი „მეგობარი“ მტრის — ბიზანტიის — აფერსიან მარწუხებში აღმოჩნდა. თუ არაბები ჩიქურ უპირისპირდებოდნენ მათთვის მიუღებელ რელიგიურ რწმენას და, ამდენად, მათი მტრობა მუდამ აშკარა იყო, ერთმორწმუნე ბიზანტია ნილბადა ხოლმე თავის უკეთურ ზრახვებს. იდეოლოგიური ცხოვრებისა და ბრძოლის მაშინდელი მთავარი იარაღი — ეკლესია — დასავლეთ საქართველოში მოკლევადი იყო ძირითად ეროვნულ წინაშე — ენას. აქ წირვა-ლოცვა ბერძნულად სრულდებოდა. ამიტომაც აქ თითქოს სრული ნებაყოფლობითა და მშვიდობიანი გზით იღვნებოდა ეროვნული მეობის ეს უპირველესი წინაშე. ამასთან დაკავშირებით კი ფერხდებოდა მწიგნობრობისა და, ამდენად, ხელოვნების სხვა დარგების განვითარებაც

ახლა, ალბათ, ძნელი გასარკვევია „მეგობარი“ ბიზანტიის „ალერსიანი“ მარწუხები უფრო გამანადგურებელი იყო თუ ჩიქურ მომდგარი არაბების ალესილი მახვილი. თანაც, მახვილს ეამიდან ეამად ბიზანტიაც იშოშვლებდა ხოლმე „მეგობრისა“ და მოკავშირის წინააღმდეგ ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ის არის, რომ კარგა დიდი ხნის მანძილზე ერთ ღროს ძლიერსა და აყვავებულ ეგრისის სამეფოში საკუთარ მეფესა და მთავარს ვერა ვხვდებით. ეგრისის ჩრდილოეთით მოსაზღვრე სამთავრო — აფხაზეთი — უფრო დაცული აღმოჩნდა და იქ ამ ღროს საკუთარი მთავრები ჰყავთ.

ეგრისი რაღამ დაასუსტა? რამ გატეხა წელში? საკუთარი მმართველობა რამ დააკარგვინა?

იქნებ არც ამისი ახსნა იყოს ძნელი, თუ შევეცდებით უფრო ცოცხლად წარმოვიდგინოთ ის რეალური ურთიერთობა, რაც მას თავის მეზობელ დიდ სახელმწიფოსთან ჰქონდა. თუ იმასაც გავისწავნებთ, რომ ღრისი მცირე მონაკვეთზე ეს შედარებით პატარა ტერიტორია ორი ერთმანეთის დაუქინებელი მტრის — არა-

ბებისა და ბერძენის — რამდენიმე სისხლიანი შეტაკების ასპარეზად იქცა.

აქვე უნდა შევინიშნოთ: გარკვეულ პერიოდში ეგრისის ქართლის მთავრები განცვლდნენ. სიმონ ჭანაშია წერს: ჯუანშერის გადმოცემით „VIII-ის დამდეგს ეგრისში ადგილობრივი დინასტია სულ არა ჩანს და მთელი ქვეყანა აფხაზეთის სამთავროს საზღვრამდის ქართლის ერისმთავრებს ეკუთვნის“. მაგრამ ისეთ პირობებში, როცა მთავარი იდეოლოგიური იარაღი მტრის ხელში იყო და ქალაქებშიაც მტრის გარნიზონები იდგა, შორი კუთხიდან მოსულ თვისტომ გამგებელს ბევრი ვერაფრის გაკეთება შეეძლო...

ასეთი მდგომარეობა იყო ქვეყნის აღმოსავლეთი და ქვეყნის დასავლეთში.

ქუშმარტი მამულაშვილს, საღად მოაზროვნე ადამიანებს არ შეიძლებოდა ეს არ დაენახათ და ამაზე არ ეზრუნათ.

აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლში, მოქმედება უფრო გაძნელებული იყო. აქ ხმალი-ამოწყვდილი იდგა დამპყრობელი და განძრევის საშუალებას არ იძლეოდა. აქ სხვა რამე უნდა ელენათ, სხვა ხერხი გამოეძებნათ, სხვაგვარად აეხვიათ თვალს მტრისათვის.

დასავლეთში კი უპირველესი ამოცანა იყო, ჭერ მოეშორებინათ „მეგობრის“ მეტისმეტად მაგარდ შემოქმდილი მკლავები, მისი გავლენისაგან განთავისუფლებულიყვნენ, ქართული ენისათვის თავისი დაკარგული ფუნქცია დაებრუნებინათ, ეკლესიაში მშობლიური ენა გაბატონებინათ და, ამრიგად, მთლიანი საქართველოს ეკლესია შეექმნათ... მერე ყველაფერი გაადვილებული იქნებოდა. ესე იგი, გაადვილებული იქნებოდა ერთიანი საქართველოსათვის ზრუნვა.

სამხრეთი საქართველო?

აქ არა მარტო ეკლესია, ლამის მთლიანად ცხოვრება ჩაჰკლა მტერმა. აქ თავიდან უნდა აღმოცენებულიყო ენაც, ეკლესიაც, მწიგნობრობაცა და ცხოვრების სუნთქეაც... აქ თითქოს უნუგეშოდ იყო ყველაფერი ჩამკვდარი და განადგურებული.

და საოცარია, რომ პირველი კვირტები ერთიანი, ფესვმაგარი საქართველოს ხისა სწორედ აქ გაიშალა...

მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ახლა კი კვლავ ის უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთი უნდა ყოფილიყო იმ ადამიანების ფიქრები, ვისაც ქვეყნის ბედი აწუხებდა. აქეთვე უნდა მიმართულიყო ქვეყნის მესვეურთა გულისკუთხედი. ერის ყოფნა-არყოფნის მწვეველ წამოჭრილი პრობლემა მათ უკარანახებდა ყოველგვარ კუთხურ, წოდებრივ და პირადულ ზრახვებს მორეოდნენ და უპირველეს ამოცანად ეს დაესახათ.

ჩვენ რომ შეგვაძლებინა იმ ადამიანთა თო-

“სმენა, რომლებიც ნერსეს კარზე იკრიბებოდნენ, უსათუოდ ასეთი იქნებოდა მათი საუბრის თემაცა და მათგანვე წამოჭრილი კონკრეტული საკითხებიც.

ასეთი საუბარი ექნებოდა ნერსეს საქართველოს სხვა კუთხეების მთავრებთანაც, თუკი იგი მათ შეხვდებოდა და თუკი ეს მთავრებიც ერის ღირსეული შვილები აღმოჩნდებოდნენ.

ამას გვაფიქრებენებს არა მარტო ქვეყნის მაშინდელი მღვდმართვებიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნები, არა მარტო ის ანგარიშგასაწევი ფაქტი, რომ ერის ბედით შეჭუბულ საღად მოაზროვნე ადამიანთა მსჯელობა ალბათ სწორედ ასე წარიმართებოდა, არამედ მომდევნო წლებში მომხდარი ფაქტური ამბებიც, ქვეყნის ცხოვრებაში დატრიალებული დიდი ძვრები, რაც სტიქიურად არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რასაც, — ანალიზს თუ ვაგუქვითებთ, — უსათუოდ წარმართავდა წინასწარ ათასჯერ აწონილ-დაწონილი ბრძნული გეგმა.

აი, ამ სულისკვეთებითა და მიზანსწრაფვით ზრდიდნენ ნერსეს კარზე ახალგაზრდებს.

და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ სამხრეთ საქართველოში ამ დიდი მასშტაბის ეროვნულ საქმეს სათავეში ჩაუდგა სწორედ ნერსეს კარზე აღზრდილი, ამ ისეთის საგანგებოდ მომზადებული ცოდნითაც, განათლებითაც, მორალურადაც, ფსიქოლოგიურადაც — გრიგოლ ხანძთელი.

აქვე შევნიშნათ: მთელი ის დიდი მოძრაობა, დიდი სამზადისი საქართველოს გაერთიანებისათვის სწორედ სამხრეთ საქართველოში უნდა დაწყებულიყო, ანუ იმ ადგილას, სადაც ძველთგანვე ჩქვდა ქართველი ხალხის ცხოვრება, სადაც ამ ცოტა ხნის წინათაც ჰყვოდა ეროვნული კულტურა და მურვან ყრუს ლაშქრობამ და მის შემდეგ გავრცელებულმა ქოლერამ თითქმის სულ მოსპო. აქ ჰოდესდაც ცხოვრება სულდა, ხელოვნების დიდებული ნაშთები იყო აგებულიო“, შენიშნავს ივანე ჯავახიშვილი და გულისხმობს დროს მურვან ყრუს შემოსევამდე. მარტო კლარჯეთში ერთ დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი და საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა... ახლა ამის ნიშანწყალიც აღარ დარჩენილიყო. მურვან ყრუს ლაშქარსა და ქოლერას ერთიანად გაენადგურებინა ყველაფერი, სიცოცხლე ერთიანად ჩაეკლა... და სტიქიურად ამ ძველი დიდების აღდგენა წარმოუდგენელიც იყო. ამის კვლევ გაფორმებისა და აღორძინების საგულდაგულოდ მოფიქრებული, ათასჯერ აწონილ-დაწონილი გეგმა და წარმართველი ძალა სჭირდებოდა.

არადა, სწორედ აქ უნდა აღორძინებულიყო ცხოვრება. აქ, სადაც სარკინოზთაგან შედარებით სიმორისა და გეოგრაფიული სიმ-

ყუდროვის წყალობით უფრო მარჯვედ მოახერხებდნენ თავიანთი საქმიანობის გაშლას, ხელისშემშლელი ნაკლები ეყოლებოდათ; სადაც გონივრული დიპლომატიის წარმართვით, ერთმორაქუნე ბიზანტიის სიახლოვესაც გამოიყენებდნენ მაქსიმალური მტრისაგან თავდასაცავად; და სადაც (ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის) ქართლის ერისმთავართა ახალი დინასტიის — ბაგრატიონების — სამშობლო კუთხე იყო...

ესეც იმ საგარუდებელ გეგმაში იქნებოდა ნაგულისხმევი.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რა განათლება მიიღო გრიგოლ ხანძთელი ქართლის ერისმთავრის კარზე. ამის შემდეგ ვასავეირთ არც არის, რომ მთელი ის დიდი მშენებლობა სამხრეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელის საერთო ხელმძღვანელობით ხდებოდა, თანაც წინასწარად კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

შეცდომაში ნუ შეგვიყვანს მოთხრობის ერთი ეპიზოდი, როცა გრიგოლი სამხრეთ საქართველოში გაპარვას გადაწყვეტს. ამ ეპიზოდის მიხედვით ისე გამოდის, თითქმის იგი შემთხვევით მოხვედრილიყოს სამხრეთ საქართველოში. ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი პასაჟები თვითონ ნაწარმოების ხასიათითა და იდეურა გამიზნულობით არის გაპარობებული.

ვაისხენეთ, ტექსტში რა ასოციაციებზე აგებული ტირადები მოსდევს ამ ადგილს. მწერალმა უნდა ჩაავიწყოს მკითხველს, რომ ამ წმიდა კაცის მოქმედება ღვთის ნებით ხდება, ზეცის იღუმენო კარნახით. ღვთის შთაგონებით წავიდა იგი სამხრეთ საქართველოში...

ასეთი ხასიათის ნაწარმოებში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

გავისხენოთ თუნდა ის ფაქტი, რომ უკვე სამხრეთ საქართველოში ჩასული და ოპიზაში დამკვიდრებული გრიგოლი, ხანძთაშიაც ასევე შემთხვევით მოხვდა. „ვიწმე ბერს“, სახელად ზუგდიდის, „ნეტარი ჩუენებაი“ მოვეყენება „არა თუ ძილში, არამედ ცხადად“, რომ იმ ადგილას, სადაც შემდეგ ხანძთის მონასტერი აშენდა, ცაში თითქმის ეკლესიის მოხაზულობის ნათელი ღრუბელი გამოხატულიყოს, თანაც დიდი ხნით, და ეს ღრუბელი თითქმის საოცარ სურნელებას აფრქვევდა. ბერს მერე ზეციური ხმაც ჩაესმა — ამ წმიდა ადგილს ეკლესია უნდა ააშენოს ღვთის კაცმა გრიგოლ მღვდელმა. და როცა „განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისაი, და ფრიალ შეუყვარდა წმიდისა გრიგოლს“...

ესეც იგი, ხანძთაშიაც შემთხვევით ჩავიდა

ზაზაზაზა ვაჟიძე

პარტულია ცხოვრების ძრონიკები



გრიგოლი და მოიხიბლა („ფრიალ შეუყვარდა“) იმ ადგილათ. ასე შემთხვევით გადაწყდა აქ მონასტრის აგება!

ყველაფერი შეიძლება. სულაც არ არის გასაკვირი, რომ იმ დროში მორწმუნე აღამიანს ლურჯი ცის ფონზე გამოსახული მომადლო ფორმის თეთრი ღრუბელი ეკლესიისთვის მიემგზავებინა და ველური ყვავილების სურნელით გაუღენთილი ჰაერიც იმ ღრუბლიდან მონაბეჭ სურნელად ეგრძენა, ხოლო რელიგიური ექსტაზში მყოფს მღვდარე ტყის შორეული ყრუ გუგუნი ზეციურ მოწოდებად მიეღო. დიახ, ეს იმ დროში სულაც არ არის გასაკვირი.

მაგრამ გაიანია, ვინ შეპყრებს ღრუბლებით მოხატულ ლურჯი ცის ტატნობს და ვის ზავს მისი ტყის შორეული გუგუნი.

გრიგოლ ხანძთელი გულბრწყვილი ფანატრიკოსი არა ყოფილა, რომ ამნაირი ხილვანი გრწმუნა. ის იყო ბრძენი, პრაქტიკოსი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ეროვნულ პოლიტიკას წარმართავდა. შეიძლება ხანძთაში მართლაც შემთხვევით მოხვდა, როცა სამონასტრო აღვლელების შესახებ მოგზაურობდა. მაგრამ აქ ის არის შეუძლებელი, რომ ხანძთა და მისი მიდამოებია აღრევე ჰყოლოდეს „შეყვარებულ“, ნერსეს სასახლეშივე, და ხანძთის მონასტრის ადგილიც აღრევე ჰქონოდას „შეგუბებული, თბილისშივე, ნერსეს კარზე, სადაც მას საგანგებოდ ამზადებდნენ და საიდანაც იგი საგანგებოდ მისიით გაემგზავრა სამხრეთ საქართველოში.

რალა თქმა უნდა, გრიგოლ ხანძთელი დიდი მორწმუნე იყო, ეკლესიის კეთილსინდისიერი მსახური და მთელი თავისი არსებით ამ საქმისათვის შეწირული. მაგრამ, ვიმეორებ, ისე ღრმად განათლებული და განსწავლული იყო, ისეთი ბრძენი, რომ ამნაირ ზღაპრებს არ დაიჯერებდა და არ ირწმუნებდა. თანაც, არ უნდა დავივიწყოთ მისი რელიგიური რწმენა და ქრისტეს სიყვარული შერწყმული იყო სამშობლოს სიყვარულთან, და ქრისტეს სამსახურიც სამშობლოს სამსახურთან იყო გაიგივებული. ივანე ჯავახიშვილს მარჯვე ტერმინი აქვს შერჩეული ასეთი რანგის მოღვაწეზე — „ეროვნულ-საეკლესიო“ მოღვაწე. კარნელი კეკელიძე ხაზს უსვამს, რომ გრიგოლ ხანძთელი „მთელ თავის მოღვაწეობაში გვევლინება თავდადებულ და შეგნებულ მომხრედ ეროვნული მთლიანობისა“.

ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ განასხვავებს წინანდელი დროის ბერებისა და გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობის ხასიათსა და მიმართულებას. ძალიან საგულგნლსმთა დიდი მეცნიერის დავკირებება. აქ მოაქვს მეორე კუბიურებათ.

წინათაც არსებობდნენ საქართველოში მო-

წაზონები; უკვე პროკოპი კესარიელის დროსავე ქართველებს პალესტინაში იოი, ლაზებისა და იბერთა, უდაბნო ჰქონიათ; მაგრამ ძველ დროს გაგრძელებული იყო მართმყოფელობა და მეუღლანობება, როდესაც თითოეული ცალ-ცალკე მოღვაწეობდა... სულ სხვა ხასიათი და მნიშვნელობა ჰქონდა იმ ძლიერს სამონასტრო მოძრაობას, რომელიც დაიწყო უკვე მერვე საუკუნის აღსასრულს და მთელს მეცხრე საუკუნეში და მათშივე გაიცოცხლებული იყო. შავშეთ-კლარჯეთ-ტიონში ამ მოძრაობის მოთავედ და განმამორცილებლად გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი ყოფილა, რომელიც მრავალი მოწაფე და მიმბაძველი ჰყავდა... ამ სამონასტრო მოძრაობის საქართველოსათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა... გასათვარი მოვლენა კი არის, მაგრამ ნამდვილი ამბოვია, რომ სწორედ ეს ქვეყნისაგან ღრუბლივით, ცოდვილი ცხარების უარმყოფელი ბერები „უდაბნოთა ქალაქ მყოფელნი“ იყვნენ ერისკაცთათვის გზის მიჩვენებელნი და ახალ მოშენეთა თევდანიჭრულნი წინამორბედნი“.

რა თქმა უნდა, ეკლესიის მსახური იყო გრიგოლ ხანძთელი, მაგრამ ფანატრიკოსი და ღრუბანტიკოსი არ ყოფილა. თავის რელიგიურ რწმენას იგი კარგად უთავსებდა ეროვნული გათავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის იდეას.

მერჩულენ მოთხრობიდანვე ვიცით რამდენიმე ისეთი ფაქტი, რაც საესეზოთ გამოირჩეხვს გრიგოლ ხანძთელის ფანატრიკოსობასა და ღრუბანტიკოსობას და კლდევ ერისხელ უსვამს ხაზს, რომ მისი საეკლესიო სამსახური სამშობლოს სამსახურთან იყო გაიგივებული.

ამდენად და ამ გავებით, ის ერის კაცი იყო, დიდი ეროვნული მოღვაწე. მაგრამ ნუ შევეცდებით, მისი სამონასტრო-საეკლესიო მოღვაწეობიდან, რაც ასე სრულად არის მოცემული მერჩულეს მოთხრობაში, ეროვნულის გამოყოფას და ცალკე აღნუსხვას. ეს განუყოფელია.

უზრადლებას იქცევს კლდევ ერთი გაიგებება. გრიგოლი გამუდმებით ზრუნავს მომავალი თაობის აღზრდაზე, რომელიც მის საქმეს გააგრძელებს და მასავით ქვეყნის სამსახურში ჩაღებას. ამასთან, ამ საკითხს იგი პირველხარისხიდან მნიშვნელობას აძლევს. მოთხრობის ავტორი თითქმის საგანგებოდ უსვამს ხაზს ამას.

მოთხრობაში არის აღდგომა, როცა გრიგოლს თავისი მოწაფეები პატარა ბავშვს მოუყვანენ აღსაზრდელად. ეტყობა, დიდად ნიჭიერსა და დიდი ძმედების მომცემს. გრიგოლი მონასტერში მიიყვანს ბავშვს (მეორე ასევე ნიჭიერ ბავშვთან ერთად. ბარემ აქვე შევნიშნოთ, რომ შემდეგში ორივე ბავშვი დიდი საეკლესიო

და ეროვნული მოღვაწეები გახდნენ: ქართლის კათალიკოსი არსენ დიდი საფარელი და აწყურის ეპისკოპოსი ფერემი; მონასტერში მიიყვანს, რათა თავიდანვე მტკიცედ განსაზღვრული მიზანდასახულობით აღზარდოს. არა მხოლოდ ერთი მისწრაფებით, როგორც შეიძლება ჰქონდეს მონასტერში აღეზარდეთ ეს ბავშვები; არა როგორც მხოლოდ სასულიერო პირები. არამედ იმ განხრითაც, რა განხრითაც ერთ დროს თვითონ გრიგოლს ზრდიდნენ. ესე იგი, საერთო ეროვნულ მოღვაწეებად.

აქედან, სხვათა შორის, ის დასკვნაც შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ გრიგოლს გაფრთხილებული ჰყავდა თავისი ერთგული და „ერთ-ნაზავად შეკრებილი“ მეგობრები და მოწაფეები: ნიჭიერსა და გამოჩენილ ყმაწვილს თუ შეხვდებოდნენ, მისთვის ეჩვენებინათ და აღსაზრდელად წამოეყვანათ. ისე აბა საიდან მოაფრთხილებოდათ თეოდორესა და ქრისტეფორეს, ექვსი წლის ბავშვი ხანძთელთან მიეყვანათ. მით უმეტეს, კარგად იცოდნენ, რომ სამონასტრო წესდების მიხედვით, ექვსი წლის ბავშვს მონასტერში ვერავინ მიიღებდა.

რაკი სამონასტრო წესდების მიხედვით, ბატარა ბავშვების მონასტერში აღზრდა აკრძალული იყო, მონასტრის ბერები საშინლად აღშფოთდნენ („დრტყენი იყო მათ შორის“), ბავშვების მოყვანა არ შეიძლებოდა.

სამონასტრო წესდება ხომ გრიგოლს იმ ბერებზე ნაკლებად არ ეცოდინებოდა, მაგრამ მას თავისი მიზანი ჰქონდა, თავისი გეგმა, რასაც იგი, ეტყობა, ყოველგვარ სამონასტრო კანონებსა და დოგმებზე მაღლა აყენებდა. ამიტომ ბერების პოტენცის არ შეეხება, აინუშნიაც არ ჩაავდო, დაამოშშინა ისინი. უთხრა, ამ ერთ-ერთ დავალებით წესი, ამის შემდეგ კი თუ ეჩინებოდა ბავშვს მოყვანა მონასტერში, ქრისტეს მერედ მოსვლის დროს საშინლად დაისაჯოსო („პატივებულ იყოს იგი ფრიად დიდებულსა მეორედ მოსვლას“).

თუ დაეკვირდებით, თითქმის ირონიაც კი გამოსჭვივს ამ სიტყვებში მერისმეტად ბედანტი დოგმატიკოსი ბერების მიმართ.

და მეორე ფაქტიც, რომ ხანძთელი ბრძალ არ მიჰყვებოდა სეკულსით. დოგმებს. ესეც, სხვათა შორის იმავე არსებითან არის დავაში-რებული.

გავიდა კარგა დიდი ხანი. არსენი გაიზარდა. ფართო, მრავალმხრივი განათლება მიიღო. სპეტაკი აღმანათნავი, მტკიცე, პრინციპული, ქვეყნის ბედით შეწუხებული და მის საკეთილდღეოდ თავდადებული. ყველაფრით ეტყობა, რომ გრიგოლის ხელმძღვანელობით არის აღზრდილი. გაუმართლა მოძღვარს.

და გრიგოლ ხანძთელი დაღუპვებზე არსენი ქართლის კათალიკოსად იხილეს.

მაგრამ, ეტყობა, ეს ადვილად არ მოხერხ-

დებოდა, რადგან მისი წინააღმდეგი იქნება გუარამ მამფალი, მტკიცე და შეუთოვარი აღმაშენებელი, რომელიც ყველას შიშის ზარსა სცემს.

(ქვემოთ უფრო ახლოს გავიგნებთ ჩვენ ამ ისტორიულ პირს. ახლა ცოტათი წინ გავიჭერით, რათა გრიგოლის სრული დახასიათება მოგვეცეს...).

და რაკი გუარამ მამფალი წინააღმდეგი იქნება, არსენი კათალიკოსად გაყვანაც გაძნელებოდა. ქართლის ეპისკოპოსები არ მისცემენ ხმას. რადგან ქართლის ეპისკოპოსები გუარამის ნებას ვერ გადავლენ, მას ემორჩილებიან, მისი ემინათ. ერთი სიტყვით, მომხრეები დააქლდებოდა არსენს, ხმები არ ეყოფა.

აი, რადგან, გრიგოლ ხანძთელს მტკიცედ იქვს გადაწყვეტილი თავისი აღზრდილი აარჩევინოს, რადგან სჯერა მისი, დარწმუნებულია, რომ ღირსეული ეროვნულ-საეკლესიო მოღვაწე იქნება, დახმარების გაუწყვეს ხანძთელს დიდ ეროვნულ საქმეებში.

ხანძთელი მოერიდა გუარამ მამფალთან დაპირისპირებას, მოერიდა საქმეში უხეშ ჩარევას და ქართლის ეპისკოპოსებზე თავისი გავლენის ტლანქად გამოყენებას. იფიქრა იქნებ უამისოდაც მოგვარდეს ყველაფერით და უფრო ადვილი გამოსავალი იპოვება — მხოლოდ სამცხის ეპისკოპოსს აარჩევინა არსენი ქართლის კათალიკოსად.

ეს კი წესდების დარღვევა იყო. კათალიკოსის არჩევაში უსათუოდ უნდა მიეღოთ მონაწილეობა მთელი ქართლის ეპისკოპოსები.

იქნებ მაინც მშვიდობიანად ჩავვლო ყველაფერს, გუარამ მამფალი რომ არ გაცოფებინა ხანძთელის თვითნებობას. საშინლად აღშფოთდა გუარამი. მოთხორობიდან გვეხურობოთ, რომ იგი გაიჭყრალი იყო არსენის მამაზე და ეკი შეურაცხებლობა ამ ოჯახიდან გამოსული აღამიანის კათალიკოსობას; მაგრამ უნდა ვიფიქროთ მართლაც ეს განაწყენება არ იქნებოდა მამფალის გაცოფების მიზეზი. ალბათ სხვა რამაც აწუხებდა მსხვილ ფეოდალს. თავისი ანგარიშები ექნებოდა, თავისი ახლო თუ შორი გეგმები და თავისი კაცი ენდომებოდა კათალიკოსად, რომელიც მერე დაეხმარებოდა, მხარში ამოუდგებოდა...

ქვემოთ ვნახავთ, რომ ასეთი გეგმები ნამდვილად ჰქონდა გუარამ მამფალს და კათალიკოსის მხარდაჭერაც უსათუოდ დასპირდებოდა.

მაგრამ რაც არ უნდა ბატვიმოყვარე ყოფილიყო ჯავახი ფეოდალი და რა ექსპანსური ზრახვებიც არ უნდა ჰქონოდა, ჯერ მაინც ეყო, რომ ხანძთელთან დაპირისპირებას მორიდებოდა, მიხვდა, რომ ასეთი დაპირისპირება არ გა-

ვხატბანთ მამფაში
მართლმადიდებლის ცხოვრების ძირსა

მოადგებოდა. ამიტომ ისე დაიჭირა თავი, თითქმის არა სცოდნოდეს საქმის ნამდვილი არსი და კათალიკოსის უმართებულოდ არჩევის გამო მთელი გულისწყრომა გადაიტანა სამხელ ეპისკოპოსებსა და არსენისავე მამაზე — მან გააყვანა ძალადობით თავისი შვილიო (განა თვითონვე არ იცოდა, რომ მამა ვერას გახდებოდა, უფრო გაუღენიანი მფარველი და დამხმარე რომ არა ჰყოლოდა!)

ქართლის ეპისკოპოსებიც აამხედრან.

ეპისკოპოსებს სათავეში ჩაუდგა არსენისავე თანამებრძოლი და მეგობარი ეფრემი (ის ეფრემი, რომელიც გრიგოლმა არსენთან ერთად მიიყვანა მონასტერში აღსაზრდელად). ამჟამად უკვე აწყურის ეპისკოპოსი. არსენზე აღრე იმან მიაღწია დაწინაურებას.

ეფრემს უკვე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და რაღაც მისი გადაბრება მოხერხდა, რაღაც ქართლის ეპისკოპოსებიც საშინლად აღშფოთდნენ და აიძირებენ, გუარამმა იფიქრა საქმე უკვე მოგებულაო და საეკლესიო კრება მოიწვია კრებას უნდა გაეუქმებინა არსენის კათალიკოსად არჩევა.

ეს კრება ჭავჭავთში მოიწვიეს და საისტორიო ლიტერატურაში ასევე მოიხსენიება — ჭავჭავთის საეკლესიო კრება ეს იყო 850-იან წლებში.

ისე ცოცხლად აქვს ეს კრება აღწერილი მოთხრობის ავტორს, თითქმის ათას ორასი წლის წინათ მომხდარი ამბავი ავტრ ახლა ზღეზოდეს, შენს თვალწინ და კრების მთელი მსვლელობა გესმოდეს, თითქმის საკუთარი თვალით ზედადვე იმ დაუოკებელ გენათმეცვლას, რასაც კრების მონაწილენი მოეცვა.

გრიგოლ ხანძთელმა დაიგვიანა კრებაზე

იქნებ განგებაც დაიგვიანა — მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად, რათა იმ დღეს, იმ რთულ ბრძოლაში, რაც კრებაზე უსათუოდ გაჩაღდებოდა, უექველ გამარჯვებისათვის მიეღწია. კლარჯეთიდან სხვებიც არ გამოცხადებულან. მაგრამ თავისი ხალხი კანტო-ქნტად მაინც მყავდა ხანძთელს, რომლებიც, თუ საჭირო შეიქნებოდა, წინასწარი დარიგების მიხედვით მოიქცეოდნენ.

როცა ნახეს, ხანძთელი არ მოდისო. მოწინააღმდეგე მხარემ გაიხარა. გაიხსნა კრება, ილაპარაკა გუარამ მამფალმა, ილაპარაკეს სხვებმა. სასტიკად დაჰმეს საეკლესიო წესდების დამახინჯება და საქმე იქითვე ისრებოდა, რომ უნდა გაეუქმებინათ არსენის კათალიკოსობა. გუარამ მამფალი და მისი მომხრეები გულში უკვე ზეიმობდნენ გამარჯვებას.

მაგრამ ავი ითქვა, ხანძთელი აქ თავისი ხალხი ჰყავდაო. წამოდგა ერუშელი ეპისკოპოსი და განცხადდა — საქმის გადაწყვეტას ნუ ვეშურებით, ჭერ ჩვენი ეკლესიის ვარსკვლავი არ მოსულა, როცა მოვა, მამინ გადამწყვეტით

(„ოდეს მოვიდეს ვარსკვლავი უდაბნოში, მაშინ განემართოს საქმე და განზრახავი ყოველთა“)

ვისა გულისხმობო, ჰკითხეს ერუშელ ეპისკოპოსს.

როგორ თუ ვის, გრიგოლს ვგულისხმობ, ხანძთისა და შატერდის ძამეხეკელსო, ძითგო რუშელსა.

ერთმა ეპისკოპოსმა მალაღი რანგის სასულიერო პირისათვის შესაფერი სიღიზიჯე ვერ გამოიჩინა და გესლიანად ჩაიჭირკილა — აჰ, გრიგოლია ვარსკვლავიო!

ვერ მოხობდა, ხალხს გაეცინებო, იფიქრა და მოტყუდა რაღაც თითქმის მთელი კრებული გრიგოლის კანდიდატის წინააღმდეგ გამოდიოდა, იფიქრა ეს ზემო ოხუცობა მოეწონებათო. ამიტომ მთავარი აღამაზის ხასიათია, თორემ წოდება და ეპისკოპოსობა რას უშველის.

ერთი სიტყვით, მოტყუდა, და კრებად ერთხმად გააქუმა ამიტებული ეპისკოპოსი...

და ამ დროს გამოჩნდა კიდევ სახედარზე ამხედრებული გრიგოლი, რომელსაც მოთხრობის ავტორი თუ ვერწყმუნეთ, თავზე ზეკურთხარაჲსი ელგა.

ხანძთელმა ადრევე აღუო ღლო მდგომარეობას მიხედა, რა თანხაში ექვლასე აქტური კვრეში იყო ელგას გაკლესი დიდი ჰქონდა სხვებზე და ახლა ამ ეპისკოპოსის გაჩუქებას უმოახერხებდა, საქმეს ადვილად შემოაბრუნებდა.

ამიტომ მისვლისთანავე გვერდზე გაიხმო თავისი ხამოწაფარი. ეპისკოპოსი და რაღაც ასეთი ახლოიელი იყო, დაღომატური შესავალი აღარ დასჭირვებია. პირობები უთხრა დაფიცოცა გაფიცებ მაგ შენს საეკლესიო ხარისხს, არსენს ზელს ნუ შეუშლიო.

ზუსტად ამ სიტყვებით უთხრა: „ნუ უშლი სულიერად მძისა შენსა არსენისს!“

ეფრემს ეტყობა აქამდე მეგობრები ებრძოლა არსენის კათალიკოსობის წინააღმდეგ და ახლა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. დიდი პატრიარქის მიუხედავად, პირველად მიინც უარი შეჰყარდა თავის მოძღვარს: წმიდოო მამაო, ვერ ვიზამ მაგას, წესდების დარღვევას მხარს ვერ დავუჭერო.

გრიგოლს ეტყობა გაუცვირდა და გაბრაზდა კიდევ. ძალიან საინტერესოა მისი სიტყვები და ტონი ამ სიტყვებისა — შენ რომ ახლა მხარი არ დამიჭირო, მორჩა, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდაო, კატეგორიულად უთხრა („უკეთო ამას იქმ, ეფრემ, მე უფარ მყავ, ეთა არა შენი მოძღუარ ვარს!“).

ამაზე მძაფრი და კატეგორიული რამის თქმა საერთოდ წარმოუდგენელია. და ასევე მხოლოდ კიდევ ეფრემმა. ვაშრა, გოგინდა, ცრემლები მოადგა, ენა დაება, მაგრამ სხვა გზა

“ლარა ჰქონდა და გატყდა: აუციხელ არს ბრძანებათ ესე განმუქეთელ უფროსი მახვილისა. აწ ნებათ იყავნ...”

ამგვარად, ოპოზიციის მთავარი ძალა ჩამოაყალიბდა გრიგოლმა. და ეს მოსვლისთანავე მოხდა. ელვისისწრაფით. გონს ვერც კი მოეგნა.

ხოლო როცა გონს მოეგნა, გუარამ მამფალი მოწიწებით მიეახლა გრიგოლს და „მოიკითხნა სიმდაბლით“.

კრება გაგრძელდა. თავმჯდომარემ ცოტა უკან დაიხია და გრიგოლის გასავლელად ისევ განმარტა საკითხის არსი. კარგა ცხარედაც ილაპარაკა („აუღვისა სიტყუანი განამარჯუნა“). გადაწყვიტა თავიდანვე მოეჭრა სათქმელი გრიგოლისათვის.

მერე ოპოზიციის წევრებს გადახედა. მათგან მოელოდა მხარდამკრას. ერთს შეხედა, მეორეს, მესამეს... მაგრამ ყველა თვალს არიდებდა. შიშით ჩუმ-ჩუმად გახედავდნენ ხოლმე გრიგოლს („თულანი ყოველთანი ხედდენ მამასა გრიგოლს“); ეტყობა გრიგოლიც ცდილობდა მათი შურა დაეჭირა. ბოლოს ეფრემს მიმართა, შენი აზრი მოგეცხსენო. გუარამ მამფალი იმედს არა ჰკარგავდა. როცა ნახა ოპოზიციის წევრები დაფრთხნენ და დაიბნენ, ასეთ დაძაბულ ვითარებაში ეფრემის სიტყვას დიდი ზემოქმედების ძალა ექნებოდა. ეფრემი კი — გუარამ მამფალმა ეს კარგად იცოდა, — წესდების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. ახლა ეფრემს უნდა გაეჩხნევიდნა დამფრთხალი ეპისკოპოსები და საქმე შემოეტრიალებინა.

მაგრამ ეფრემმა მოლოდინი გაუმტყუნა. თუმცა არც თავი ჩაეკლდა უხერხულ მდგომარეობაში: აშკარად მაინც არ დაუჭერია მხარი არსენისათვის. კარგი გამოსავალი იპოვნა — სადაც მამა გრიგოლი ბრძანდებოდა, მე იქ სიტყვის თქმას როგორ გავებდებო, უბასუხა („სადა მამა გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვეადრებ სიტყვად“).

ამან ყველაფერი გადაწყვიტა. ეფრემს თითქოს აქტიურად არ დაუჭერია მხარი გრიგოლისათვის, საკუთარი ღირსების შეზღავნებას მოეკრიბა, მაგრამ ყველასათვის აშკარა გახდა, რომ იგი თავისდაუნებურად ჩამოშორდა (ჩამოაშორეს) ოპოზიციას.

გაშლილებული გუარამი იძულებული გახდა გრიგოლისათვის მიეცა სიტყვა.

ხანძთელი დინჯად წამოდგა და ყველას ერთბაშად მოუჭრა სათქმელი. მისგან არსენის დაცვას, რაღა თქმა უნდა, ყველა მოელოდა, და მათ შორის გუარამ მამფალიც, მაგრამ ასეთ არგუმენტი თუ ექნებოდა გრიგოლს, ეს არავის ეგონა: ღმერთის ნებით არის არსენი კათალიკოსო (ღმერთი გამოგვეცხადა და ასე ბრძანაო), ვინც მხარს არ დაუჭერს და მასზე ძვირს იტყვის, საბოლოოდ შერცხენილი და

წაწყმედილი იქნებაო, დინჯად და აუღელმეზლად განაცხადა მან.

გუარამ მამფალი ისე იყო აღფრთოვებული და გაბრაზებული, რომ მაინც არ გატყდა და დიდი უტაქტობაც გამოიჩინა. შური მოერიო, სიბრძნე გულისწიდილმა დასძლიაო, მოთხრობის ავტორი გადმოგვეცემს. დაერებათ კი ძნელია, ისეთი რამე ჰქადაგა ყველასგან პატივცემულ ღრმად მოხუც მოძღვარს: დიდი ხანია არ მეხილა მამა გრიგოლი და თურმე მართალი ყოფილა, რასაც ამბობდნენ; აგერ, ჩემი თვალით ვხედავ ბრძენთაგან მიუწვდომელი სიბრძნე სიბერეს დაუჩრდილავსო.

თავს ვეღარ მოერიო ვახსლებული ერისკაცო, ვეღარ გაითვალისწინა, რომ ამით უფრო აფუჭებდა საქმეს.

გრიგოლმა თავი შეიკავა და დინჯად უბასუხა: ეპისკოპოსთა და წინამძღვართა ამნაირ შეკრებას სხვა დროსაც დასწრებიან მეფენი, მაგრამ ჰქუთის სწავლებას კი არ მოჰყლიან, ისე კი არ გაკანდილებულან, რომ სხვისთვის დაეწყათ შუღლის მოძღვრების განმარტება, არამედ ყურს უღებდნენ და სხვებისაგან სწავლობდნენო.

მამფალს რომ ზედმეტი გაგულისებისაგან გონება დაბნელებული არა ჰქონდა, უნდა მიხვდარიყო, რომ საქმე წაგებული იყო და უკან უნდა დაეხია. მაგრამ ეტყობა, ისე იყო გამწვარებული, ისე იყო მოწინააღმდეგე თავისი კაცი გაეყვანა, რომ ალღო ვეღარ აუღო მდგომარეობას, მაინც არ გაიტება იხტბარო და კიდევ ერთხელ მიმართა ოპოზიციას: გადამწყვეთი ხმა თქვენ გეკუთვნით, თქვენ რას იტყვითო.

რაღას იტყოდნენ?! რა ნახეს, გრიგოლი ასე იყო მოწინააღმდეგე, ვეღარაფერი გაბედეს. ესლა უთხრეს გუარამ მამფალს — გრიგოლი ღვთის ნებით და სახელით ლაპარაკობს, წელან ყველამ აშკარად დავინახეთ: რომ მოდიოდა, თავზე ზეცის ნათელი აღგაო!

(აი, რატომ დაიგვიანა გრიგოლმა კრებაზე!).

ეს ისეთი არგუმენტი გამოდგა, რომ ვაცოფებული მამფალიც კი ერთბაშად გონს მოიყვანა. თავხარი დეცა გუარამს. ეს გულადი კაცი ღვთის მოშიში გამოდგა. მაშინვე გაქანდა, ფეხებში „შეუფარდა ნეტარსა გრიგოლს“ და პატიება სთხოვა...

როგორც ვხედავთ, არც ახლა მოერიდა გრიგოლ ხანძთელი საეკლესიო წესდების დარღვევას, რადგან დიდად მნიშვნელოვანი ერთეული საქმე წყდებოდა და იცოდა, რომ ამ საქმეს ყველაზე კარგად არსენი გაუძღვებოდა. კათალიკოსზე ზევრი რამ იყო დამოკიდებული. გაეეთებაც შეეძლო დიდი საქმეყნო საქმეებისა და გავუქმებაც.

შახტანგ მელშიძე

მარტოველი ცხოვრების პრონიკაზი



არ უნდა დაგვიწყოთ, რომ ერის ცხოვრებაში ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საბასუხისმგებლო პერიოდი. დასავლეთი საქართველო აღმინისტრატულად უკვე გაერთიანებულია ერთ სამეფოდ. მაგრამ ეს ჯერ ნახევარგამარჯვებასაც არ უდრის, მანამ მთავარი იდეოლოგიური იარაღი ისევ მტერსა აქვს ხელთ, მანამ ეკლესიებში ისევ ბერძნული ენა გავრცელებულია, მანამ ხელდასხმისათვის მიაღწია სამეფლო პირობები ისევ უცხოეთში მემკვიდრეობიან და სხვა ქვეყნის ეკლესიისაგან არაა დამოკიდებული. საჭიროა საქმის ბოლომდე მიყვანა. საჭიროა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან გაერთიანების განდევნა და ამ ეკლესიის მცხეთისათვის დაქვემდებარება. ესე იგი, ერთიანი ქართული ეკლესიის შექმნა, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს, გაერთიანებული საქართველოს წინასაუბერი და მტკიცე საძირკველი იქნება.

აი, რა ამოცანა იდგა.

აი, რატომ იყო საჭირო, ქართლის კათალიკოსად საამისოდ აღზრდილი და მომზადებული პირი გასულიყო. არა მხოლოდ საეკლესიო დოგმების მცოდნე, არამედ, უპირატეს ყოვლისა, ეროვნული მოღვაწე. არა შემთხვევითი პირი, რომელიმე ფეოდალთან დაახლოებული და დაკავშირებული ზუკესი, რომელიც მერე ამ ფეოდალის შეზღუდული ინტერესების დაცვის მოუძღვრებოდა, არამედ ღირსეული მამულიშვილი, რომელიც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზნად ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვას დისახადდა.

(მარამ აქვე შევნიშნათ: სწორედ არსენის კათალიკოსობის წლებს ემთხვევა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთისადმი დაქვემდებარება, რაც თავისთავად გულისხმობდა ბერძნული ენისაგან გათავისუფლებას და ქართულის დამკვიდრებას. ხოლო რა დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოვლენას — ამის განხილვას აღარ მოვწყვეთით).

ეს ერთი მხარე.

ამს გარდა, ამ დამბული ბრძოლების დროს, რაც უკვე ძალიან დიდი ხანია გრძელდებოდა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის და დროდადრო საქმად გამწვავდებოდა, საჭირო იყო ქართლის ეკლესიას სათანადოდ მომზადებული კათალიკოსი ჰყოლოდა, რომელიც ღირსეულად დაიცავდა თავისი სამწყსოება და თავისი ერის ინტერესებს.

(პირველ წიგნში გავკრით ვახსენეთ, შემდგომ კი უფრო დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი: არსენ კათალიკოსმა მართლაც დაწერა ამ თემაზე ტრაქტატი, და ამ ტრაქტატში დიდი როლი შეასრულა ამ ბრძოლაში, რაც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. გვიხსენით ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „რაც განხეთქილების შემდგომაც ამ საგანზე სჯა-

ბაასი და კამათი არ დამცხრალა, რამდენჯერმე საეკლესიო კრებაც კი იყო მოწვეული, რომელსაც ვითომ მოპირდაპირეთა შორის თანხმობა და სიყვარული უნდა დაემყარებინა, ამიტომ საჭირო იყო, რომ ქართველი სამღვდლოება პატივითსათვის მზადა ყოფილიყო, საბუთებით და ცოდნით აღუჭრელიყო. ეს ღანძრულდება ჰქონდა არსენი კათალიკოსის თხზულებას, რომელშიაც საზოგადოდ საგულისხმო ცნობებია შენახული და თვით მოვლენაც თავისებურის თვალსაზრისით არის ახსნილი“).

ყველაფერ ამას რომ გავითვალისწინებთ, უკვე ვასკვირებ აღარ იქნება, რატომ არ მოვირედა გრიგოლ ხანძთელი საეკლესიო წესდების ტლანგსა და უხერხულ ღარღვევას.

ამრიგად, ჯავახიშვილის საეკლესიო კრებაში აღმასტრობა კათალიკოსად არჩევა არსენისა, რომელიც ისტორიაში არსენ დიდი საფარელის სახელით არის ცნობილი და რომლის სახელსაც ბევრი დიდი ეროვნული საქმე უკავშირდება.

ერთი სიტყვით, სხვა მრავალ ფაქტობთან ერთად, ეს ორი მაგალითიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელი თავის საეკლესიო მოღვაწეობაში უპირველეს ყოვლისა ერის ინტერესებიდან გამოდიოდა და როცა დარწმუნებული იყო ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს აფეთებდა, საეკლესიო დოგმების დარღვევასაც არ ერიდებოდა.

ამიტომაც შევანიჭეთ მკითხველის ყურადღება ამ საკითხზე.

ნერსის კარზე საგანგებოდ აზრდებდნენ ახალგაზრდებს.

რეზორც ვნახეთ, გრიგოლ ხანძთელი სამხრეთ საქართველოში სამოღვაწეოდ აღზარდეს და მოამზადეს, და მთელი ის დიდი ეროვნული საქმე, რაც მისი ხელმძღვანელობით ამ მხარეში გაკეთდა, წინასწარ იყო მოფიქრებული და დაგეგმილი. აქ იგულისხმება, არა ის კონკრეტული საკითხები, რასაც წინასწარ ვერც გაითვალისწინებდნენ, რაც გზადგზა წითაობრბოდა, არამედ ამ დიდი საქმის საერთო მიმართულება, მასშტაბი და ბათობა.

ამრიგად, სამხრეთ საქართველოში კვლავ აღორძინდა სიცოცხლე, გახურდა ამ მშვენიერი ქუთხის „ახალი შენება“...

და ამ დროს ჩვენ იმის მოწმენი ვხდებით, რომ ქართლის ერისმთავრის რეზიდენციაც აქ გადმოინაცვლებს, რათა აქედან უფრო ღირსი მასშტაბით დაიწყოს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა. საგულისხმოა, რომ ქართლის საერისმთავრო ამიერიდან ქართველთა სამეფოდ, სოლო ქართლის ერისთავი — „ქართველი“ მეფედ იწოდებოდა.

ქუეშში ვნახეთ, მართლაც რეზორც გავფართოვებს ეს სამეფო საზღვრებს.

შემთხვევითია ყველაფერი ეს?
ასეთი რამე შემთხვევით არა ხდება ხოლმე.
ახლა ისევ დაიბნოთ და ქრონოლოგიური
თანმიმდევრობით მივყვეთ ამბავს.

გადის დრო და ხალიფა ისევ ურისხდება
ნერსეს (აღა იყო დღეთა მათ შინა კუთხლად
განრისხებანი ხელმწიფეთა მათ საჩინოთა
ნერსე ერისთავსა ზედან...) და ნერსე იძულებულ
დასა სამშობლოდან გადაიხვეწოს...

ამას ჩვენ გვაბუღობთ იოანე საბანის ძის
მოთხრობიდან.

იმავე მოთხრობიდან ვიცით, რომ ნერსემ
ჯერ თავისი ოჯახი გახიზნა აფხაზეთში, მერე
კი თვითონ თავისი საკმაოდ დიდი ამალით (სა-
მასიო კაციო) ხაზარეთში გადავიდა.

ქართლში ხალიფამ ერისმთავრად დასვა
სტეფანოზი — დისწული (თუ შვილი?) ნერსე-
სი; ნერსეს გაეხარებდა, რომ „უფლებად იგი
სახლისა მამისაგან არა განაშორა უფალმან“ —
ე. ი. ის გაეხარებდა, რომ ერისმთავრობა ქარ-
თლისა მისივე გვარში დარჩა (ამიტომაც უფ-
რო საარწმუნოა, სტეფანოზი შვილი იყოს ნერ-
სესი!).

ხაზარეთში ნერსე რამდენიმე ხანს დარჩება
და მერე იქიდან აფხაზეთში გადავა, თავის
ოჯახს შეუერთდება. გაივლის კიდევ ცოტა ხანი
და ნერსე აფხაზეთიდან მოიქცეულვს გამო-
გზავნის არაბთა მმართველებთან, რათა უფლ-
და მისცენ თავისივე ოჯახიდან და მხლებლ-
ბიანად უქანვე დაბრუნებისა, ისე რომ გარან-
ტია ჰქონდეს, ხელს არაღენ ახლებს („რათა
უშვიშ-ყონ იგი ბოროტისაგან“).

მართლაც დართავენ ნებს და ნერსე თავისი
ოჯახითა და მხლებლებით, რომელთა შორის
არაბი ჰაბუკი აბოც არის, უკანვე დაბრუნდ-
ება, თბილისში.

ასე მოკლედ არის გადმოცემული ნერსეს
ხაზარეთისა და აფხაზეთში გამგზავრებისა და
იქიდან ქართლში დაბრუნების ამბავი. მო-
თხრობის ავტორისათვის ეს არ იყო მნიშვნე-
ლოვანი, მოთხრობის მიზანდასახულება სულ
სხვაა, იგი აბოს წამების ამბავს გადმოგვცემს,
ესაა მისთვის მთავარი. და ეს ფაქტი ამიტომ
მოკლედ გადმოგვცა.

მაგრამ ჩვენ ავი გადავწყვიტეთ ნერსეს
შესახებ შემორჩენილ მწირ ცნობებს კარგად
ჩაუვყვირდეთ, ზოგი რამ სტრიქონისა და სტრი-
ქონის შორის ამოვიკითხოთ, ზოგ ბუნდოვან გა-
რკვევას ლოგიკური ახსნა მივსცეთ, და რამ-
ღნადაც ეს შესაძლებელია, სურათი გავა-
ცოცხოთ.

მოთხრობის ამ ადგარს რომ გავაანალი-
ზებთ, თითქმის რაღაც უხერხულობა თუ შეუ-
საბამობა მოგვეჩვენება.

აბა კარგად დავაგვირდეთ.

როგორც ითქვა, ტყვეობიდან დაბრუნების
შემდეგაც ერისთავის სასახლეში ძველებური
წესით წარმართა ცხოვრება. ამჟერად ცოტა
უფრო ფრთხილად, მაგრამ მაინც ძველებური
წესით. ეს სავესებით ბუნებრივია. შესანაშნავი
ვაჟეცისა და მამულიშვილის ცხოვრებას რაღა
აზრი ექნებოდა, თუ დაშინდებოდა და და-
პყრობელის მონა-მორჩილი გახდებოდა, თუ
მისთვის ხარაჯის ამკრფელი შეიქნებოდა, თუ
ისევ არ შემოიკრებდა ღირსეულ მამულიშვი-
ლებს, ისევ არ გაუწევდა მზრუნველობას და
ხელმძღვანელობას ახალგაზრდებს, ისევ არ
იქნებოდა მის ოჯახში გულანთებული ფიქრო,
მსჯელობა და კამათი სამშობლოს ბედსა და
მომავალზე, თუ მძიმე დღეში ჩაეარდნელი
ქვეყნის საყეთილდგეოდ ისევ არ იღონებდა
რამეს კონკრეტულად და პრაქტიკულად.

ისიც ბუნებრივია, რომ ხალიფას სახელზე
კვლავ ძველებურადვე დაიწყებოდა ბოროტი
ადამიანების დასმენების გზავნა. სამწუხაროდ,
კეთილ საქმეს ბევრი მტერი ჰყავს.

თუკი ხალიფა მამად ირწმუნებდა ამ დას-
მენებს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ გან-
რისხებულყოს. მას ორმაგი საფუძველი ჰქო-
ნდა ასეთი განრისხებისა: ავი მან გამოუცხადა
ნდობა ლალატში შემჩნეულ უცხოელს, გარდა-
ცვლილი მამის ნება-სურვილის წინააღმდეგ წა-
ვიდა, თავის ვეზირებს ყური არ ათხოვა, და-
პყრობილი ქვეყნის მმართველი, იმ ხალხის მე-
თაური, რომელიც ურჩობითა და შეუბოგრო-
ბით გამოირჩევა, საპყრობილიდან გამოიყვანა
და გაათავისუფლა, სამშობლოში გაგზავნა.
გაისტუმრა არა როგორც უბრალო მოქალაქე,
არამედ როგორც ქვეყნის მმართველი, ერის-
თავი, თავისივე ნაცვალი იმ დაპყრობილ ქვე-
ყანაში.

ამაზე დიდი ნდობა და პატივისცემა რაღა
შეიძლება?

და რა გასაკვირია, ხალიფა განრისხებულ-
ყოს, თუკი იგი დასმენებს ირწმუნებდა.

დამპყრობი ტირანის თვალსაზრისით, ეს
ხოც საშინელი უმადურობა იქნებოდა თავისი
დამონებული ქვეშევრდომისა. ამავე დროს, ეს
იქნებოდა თვითონ ახალგაზრდა ხალიფის პრე-
სტიჟის შელახვა: მან იმდენი უტყურობა და პო-
ლიტიკური სიბეჭე გამოიჩინა, რომ მოღალატეს
გამოუცხადა ნდობა; გვიარგვისონანი მამის ნება
ფეხით გაქლა და მოღალატე გადამთიელს სცა
პატივი!..

მართლაც რომ უხერხული მდგომარეობა შე-
იქნა!

ამიტომაც, ხალიფა დასმენის ლიტონ სიტ-
ყებს ბრმად არ აჰყვებოდა. კარგად გამოიძი-
ებდა საქმეს. მისი პრესტიჟისათვის, რა თქმა

ვახანაშვილი
ქართული ენის ინსტიტუტი



უნდა, ისა სჯობდა, არ დამტკიცებულიყო ბრალდება.

მაგრამ თუკი ერისთავი, კაც და ადამიანად, ხვეწა?

ჩვენ არ ვიცით, საბოლოოდ როგორ ათქვამდა ბრალდება ქართლის ჯიუტი და მოუჩაქრებელი ერისთავის მიმართ და, ამისდა მხოლოდზე, რა სასჯელი ემუქრებოდა მას. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რაკი ასეთი ფაცხაფუცხით, ღედაბუღიანად, გადაიხვეწა ერისთავი უცხო ქვეყანაში, ბრალდებაც სერიოზული იქნებოდა და მოსალოდნელი სასჯელიც ძალიან მკაცრი.

მაგრამ ერისთავმა დააწყო და გაქცა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიცეცხლებოდა ხალიფა ზომებს მიიღებდა, რათა იმ უცხო ქვეყანაში მიწვდომოდა მკვლელებს მიუგზავნიდა. იმ ქვეყნის მმართველის კარისკაცებს მოისყიდა და საწამლას შეაბარებდა. ეს ერთგვარი არაბილიტაცია მაინც იქნებოდა ხალიფისა. ასეთი შემთხვევა რამდენი ვიცით სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიიდან ის, რაც უბრალო მოკვდავს ამორალობად და მიუტევებელ ცოდვად ჩათვლება, გვირგვინოსანისათვის კანონიერიც არის და მშრალურად გამართლებულიც. ხალიფის საქციელი სავსებით ბუნებრივი და გამართლებული იქნებოდა.

ასეთი უნდა ყოფილიყო ლოგიკური შედეგი. ერისთავის მეორე ლიტაცია და მოულოდნელ გაქცევას ეს უნდა მოჰყოლოდა. რაკი ხალიფამ მოლაღატის შეპყრობა ვერ მოასწორო, რაკი იგი უვნებელი გაექცა, თანაც მთელი ოჯახითა და ახლობლებით, ამას ხალიფა კიდევ უფრო უნდა გაეოფებინა.

მაგრამ ასე არ მოხდა.

მოხდა სულ საწინააღმდეგო რამ. მოლაღატე ერისთავის გაქცევის შემდეგ ხალიფა ერისთავად ნიშნავს მოლაღატისავე შეილსა თუ ღისწულს!

ამაზე სასურველი ან იმ მოლაღატე ერისთავს რა უნდა ენატრა! და გაიხარა კიდეც, როგორც მოთხოვნის ავტორი გვაუწყებს, როცა სტეფანოზის დანიშვნის ამბავი გაიგო.

ეს კიდევ არაფერი.

გაიღის ამის შემდეგ მცირე დრო, სულ რაღაც ერთი წელი, და უცხოეთში გადავეწილ მოლაღატეს, რომელმაც გაქცევის დაღწივა თავი სასტიკ და სამართლიან სასჯელს, ისე ნდობას გამოუცხადებს, ისევ შეიგრძნობს განრისხებული და გაწილუებული ხალიფა შეიგრძნობს არა როგორც დამცირებულს, ცოდვამონაჩეხებულს და დარცხენილს, არამედ როგორც საპატიო სტუმარს! მთელი თავისი ოჯახით, მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ამალით უკანვე დააბრუნებს.

ქარგი გასეირნება კი გამოუვიდა მოლაღატეს!

ტეს! დისკენა, აკალს წალი დააღებოდა ერთო. ვახალისდა, და როცა უცხოეთში მოსწყინდა, ხალიფას შეუთვალა — მოვდივარ შემეგებეთ! ხალიფამაც შეესრულა წადილი არც ისა სწყენია, რომ ნერსე თავისი ამალით სახალიფოს დაუტყნებელ მტერს ხაზარეთის ხაყანს ეწვია არც ძველი ცოდვები გაქცენა, არც ახალი, და მეგობრულად მიიღო.

ქარგი დამპყრობელი კი ყოფილა! ან თვითონ ნერსე როგორღა ენლო ასეთი ამბების შემდეგ და როგორ გაბედა სამშობლოში დაბრუნება? თავი თუ გაიმეტა, ოჯახს რაღას ერჩიოდა?

თითქოს ევრატიორ ლოგიკას ვერ უძლებს ეს მით უფრო დამპყრობელი მტარვალის ლოგიკას.

თითქოს მართლაც უხერხულობა გამოდის, არა?

უნებურად მიდიხარ ასეთ დასკვნამდე: ან ნერსე ერისთავი არა ყოფილა მეორედ ღვენილი ხალიფისაგან, და იგი თავისი სურვილით, მშვიდობიანად, სავსებით ნორმალურ ვითარებაში გაემგზავრა ხაზარეთსა და დასავლეთ საქართველოში, მერე კი ასევე მშვიდობიანად დაბრუნდა უკან; ან, თუკი მართლა ღვენილი იყო და ხალიფის საშინელ რისხვას გაექცა, ერთ წელიწადში, იმავე ხალიფის მმართველობის დროს, უკანვე ედღარ დაბრუნდებოდა ისე მშვიდობიანად და ოფიციალურად.

ეს ერთი უხერხულობა არის მეორე უხერხულობაც.

ქართლის ერისთავმა რომ გაიგო, დიდი საშიშროება ემუქრებოდა, უპირველეს ყოვლისა, ოჯახი გაიხიზნა. აფხაზეთს გაისტუმრა მამინე.

ეს სავსებით ბუნებრივია. აქი ზემოთაც აღვნიშნეთ, არაბებისგან ღვენილი ქართლის მოსახლეობა უმთავრესად დასავლეთ საქართველოში იხიზნებოდა, თავისივე ძმებთან პოულობდა მყუდრო თავშესაფარს, დაუყვდრებელ ლუქმას და მშობლიურ აღერსს. მით უმეტეს რომ „კრძალულ იყო ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთისა“ — არაბებს იქამდე ხელი ადვილად ვერ მიუწვდებოდათ, ბიზანტიასთან შეხლას ერიდებოდნენ, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა დასავლეთ საქართველოს.

მაგრამ თვითონ ერისთავი რატომღა არ წავიდა ოჯახთან ერთად აფხაზეთს? თავის გადაჩენა თუ უნდოდა, რალა სხვაგან ეძებდა თავშესაფარს, ოჯახთან ერთად ისიც თავის ძმებს შეიზნებოდა! ხაზარეთში გაქცევა რატომ არჩია?

ამაზე იქნებ ასეთი პასუხი გავვიჩნდეს: იმიტომ, რომ ხაზარებთან სამხედრო კავშირის შეკრა სურდა, ხაყანს ალბათ სამხედრო დანართება სთხოვია.

გაოთქმული კიდეც ასეთი იარაღი ჩვენს საისტორიო მწერლობაში

დაუჭერებელი აქ თითქმის აოფერია მართლაც შეიძლება სამხედრო დახმარებისათვის მიემართა ქართლის ერისმთავარს ხაყანისათვის. თითქმის სიმართლესა ჰგავს.

(ამას, სხვათა შორის, ხალიფაც ასე ივარაუდებდა, რაკი სარკინოთავან დენილმა ერისთავმა ცოლშვილი დასაღვლეო საქართველოში გახიზნა და თვითონ არაბეთის დაუძინებელ მტრებთან — ხაზარებთან გაემგზავრა, ხალიფა, რა თქმა უნდა, იფიქრებდა — ალბათ ჩემს წინააღმდეგ სამხედრო კავშირს კრავნენ. და ამის შემდეგ მით უფრო ალოგიური და დაუჭერებელია ნერსეს კვლავ შევრდომება და ისევ პატივისცემით მიღება).

მაგრამ ამ ვარაუდს მაინც მეტი სიფრთხილით სჭირდება აწონ-დაწონა. მართალია, ხაზარები არაბების მოსისხლე მტრები იყვნენ, და, ამდენად, ადვილად დათანხმდებოდნენ არაბების წინააღმდეგ შეკრულ კავშირში მონაწილეობას, მაგრამ ქართველებს არც ხაზართავან ასოვლად კარგი ღღე. ტყუილად კი არ გვიჩაბეს იგივე იოანე საბანის ძე ხაზარებს იმავე ადგილას, როცა ნერსეს ხაზარეთში გამგზავრებაზეა ლაპარაკი, ასე შემადრწუნებლად: ხაზარნი აბრან კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შუღლი არა აქუს..."

ასეთი ხალხის ნდობა და საკუთარ ქვეყანაში შემოყვანა, თუნდაც სხვა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაინც სარისკო და ძნელად გასაბედი საქმე იყო. ერთი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე თითქმის ასეთივე მოსისხლე მტრის ლაშქარს უნდა დაეპირა მთელი ქვეყანა. ეს „მხეცის ბუნებისა“ და „სისხლის მჭამელი“ ლაშქარი ხეობის არ დაყარდა ამ კონკრეტულ ვითარებაში თავის მოყვარე ქვეყანასაც. და მაინც, ასეთი სამხედრო კავშირები ისტორიაში ცნობილია — როცა ვარკვეულ ვითარებაში ერთი მტრის წინააღმდეგ ქვეყანა მეორე არაკეთილად განწყობილი ქვეყანასთან შეერავს კავშირს. მაგრამ აქ სხვა რამეც უნდა გათვალისწინოთ. ნერსესთან გამოცდილმა კაცმა ისიც კარგად იცოდა, რომ ხაზარებთან ასე სახელდახელოდ შეკრული სამხედრო კავშირით არაბების საბოლოო დამარცხება იმ დროს შეუძლებელი იყო, ხოლო ცალკეულ ბრძოლებში კიდეც რომ მიეღწიათ გამარჯვებისათვის, ეს არაფერს მისცემდა საქართველოს. პირიქით, უარესად გააღიზიანებდა მტერს და ახალი რბევისა და თარეშისათვის გამოიწვევდა, რაც იმ დროს საქართველოს სულაც არა სჭირებოდა. ამას შეიძლება ერის სრული განადგურება მოჰყოლოდა. ამას უსათუოდ გაუწევდა ანგარიშს ისეთი ჰევიანი მოღვაწე, როგორიც ნერსე

იყო ერთი სიტყვით. ასეთი მოქმედება ორ ძველივე კაცებთან თამაშს ემგვანებოდა.

და მაინც ხაზარეთში გაიქცა ნერსე თავისი დიდი ამალით.

რატომ?

რა ახსნა შეიძლება მოუძებნოთ პირველ უხერხულობასაც და მეორესაც?

იქნებ სულ სხვა მისიით გაემგზავრა ხაზარეთში ნერსე?..

დასკვნის გამოტანა, რომ მოთხრობის ეს ადგილი უხერხულია და ლოგიკურად დაუსაბუთებელი, შედარებით ადვილი საქმეა. ხოლო იმის ვარაუდი, რა მოხდა, როგორ შეიძლება და სინამდვილეში მომხდარიყო ყველაფერი, როგორ შეიძლება ავსნათ ეს ილუზიებით მოცული გამოცანა, ძალიან ძნელია. იმიტომ, რომ იქნებ ბევრი ასეთი ვარაუდი გაჩნდეს.

ჩვენ მაინც მივეცეთ მოვლენათა მსგელოებას, იქნებ თავისით მივადგეთ უფრო სარწმუნო დასკვნას. თუ ორივე უხერხულობას ვერ მოუძებნით ახსნას, იქნებ ერისმთავრის ხაზარეთსა და დასაღვლეო საქართველოში გამგზავრების მიზეზი მაინც გამოცინოთ.

აბა, თავლი გვაღვვენოთ ამის მომდევნო მოვლენებს. ვნახოთ ნერსეს გაქცევისა თუ გამგზავრებას რა მოჰყვა.

ხაზარეთიდან ნერსე აფხაზეთში გადავა, სადაც იმ დროს მთავარი ლეონ მეორე, ხაზართა მამონდელი ხაყანის უახლოესი ადამიანი — შვილიშვილი (ქალიშვილის შვილი). რამდენიმე ხანს აქ დაუოჯს ნერსე და, როგორც ვიცით, თბილისში ბრუნდება.

ახლა ჩვენც დაუბრუნდეთ ამ ამბის (ანუ ნერსეს მთელი საიდუმლოებით მოცული მოგზაურობის) დასაწყისს.

როგორც ლოგიკური ანალიზიდან ჩანს, ნერსე ერისთავი ქართლიდან სულაც არ გაქცეულა ხალიფას განრისხების შედეგად, და, მით უმეტეს, თავისივე მოწყობილი ოჯახების დამარცხების შემდეგ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს. ასეთი გაქცევის შემდეგ (რა მიზეზითაც არ უნდა გაქცეულიყო იგი — დასმენების შედეგად ხალიფის განრისხებისა თუ აჯანყების შემდეგ დამარცხების გამო) ძნელად დასაჯერებელია მისი სამშობლოში დაბრუნება სულ რაღაც ერთი წლისა თუ წონახეობის მერე, იმავე ხალიფის დროს. როგორც ცნობილია, ხალიფა მაჰდი (მას დადი, რომელიც 775 წელს გახალიფდა და მაშინვე გაათავისუფლა ნერსე ტყვეობიდან) მხოლოდ 786 წელს შესცვალა თავისმა ძმამ. ნერსე კი თბილისში მობრუნდა 783 წელს და, ეტყობა,

ვახტანგ მაღლიძე

პარტიის ცნობრების მონიშნება

კარგი პატივითაც მიიღეს ისიც, მისი ოჯახიც, მისი ამაღაც.

გამოდის რომ ხალიფის რისხვას არ გაქცე-
ვია ნერსე.

მაშ, რა მოხდა?

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე სიბე-
რეში შესულმა ნერსემ (ამ დროისათვის იგი
უკვე კარავა ხანის ჩანს), სიბერე მოამიჯნა და
გადადგა, ტახტი თავის შვილს — სტეფანოსს
— დაუთმო.

დაუჯერებელი აქ არაფერია. ასეთი რამე
ბევრჯერ მომხდარა. „გეფხისტყაოსანიც“ ასე
არ იწვება! როსტევენი მოხუცდა და ტახტზე
თავისი ასული აიყვანა. ასული მით უფრო და-
საჯერებელია ასეთი გადადგომა, როცა ქვეყნის
გვირგვინისა და ჰყავს. და, ამა, გადადგა ქარ-
თლის ერისთავი ნერსე.

მაშ, მოთხოვნაში ნახსენები „განარსებუ-
ბი ხელმწიფეთა მით სარკინოზთაი“ მოგონილია?
ეს ხომ ლაღუსად არ შეიძლება მივიჩნიოთ?
დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენა მოხდა, რო-
გორც შეიძლება ეს დემონსტრაცია ისეთ
ავტორს, როგორც იოანე სებასტიან ძე იყო —
დიდად განათლებულსა და განსწავლულს, და-
ხელოვნებულ მწერალს, გამოცდილ მოღვაწეს?!
ეს შეუსაბამობანი როგორღა შეუთავსოთ ერ-
თმანეთს?

ამის ახსნაც ვცადოთ. ზემოთაც აღვნიშნეთ,
მტრები ნერსეს (ან იმ კეთილ საქმეს, რასაც
ნერსე ემსახურებოდა) გამოუღეველი ჰყავდა.
და ეს მტრები არა ცხრებოდნენ, ასმენდნენ და
ასმენდნენ მას ხალიფასთან. იმავე მოტივე-
ბით, იმავე კონკრეტული ბრალდებებით, რა-
ზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და ამიტო-
მაც აქ აღარ გავიმეორებთ.

ხალიფაც ამოწმებს ნერსეს — ხან ფარული
აგენტების საშუალებით, ხან აშკარად, ოფიცე-
რულად. ხალიფა მაჰდი, ეტყობა, პატივისმცე-
მელია ნერსესი, როგორც პიროვნებისა. იქნებ
მას თვითონვე ჰქონდა ის ბუნებითი ნიჭი, რა-
მაც ეს ღირსეული კაცი მოაწონა და შეაყვარა.
მისი მომხიბვლელი ბუნებით მოიხიბლა.

ამიტომაც გამოიყვანა მან თავის დროზე
საპყრობილიდან და კვლავ ერისთავობა მიუბო-
ძა.

ამიტომაც არ უნდა ხალიფას, ნერსეს მო-
ღალატეობა დაიჯეროს. როგორც უკვე ვთქვით,
ეს არც მისი პრესტიჟისთვის ვარა. და მართ-
ლაც ბრმად არ დაიჭრა „ბოროტთა კაცთა შე-
სენაში“. პირველად ყურადღებაც არ მიაქცია.
რომ აღარ დაეცნენ, შეამოწმა. მაინც არ და-
ცხრებ და კიდევ შეამოწმა, ფარული აგენტი-
ბიც გაუგზავნა...

და ილაშქრა გაურისხდა კიდევ, როცა ზოგი
რამ ერისთავის მოქმედებისა მართლაც სა-
ეგვოდ მიიჩნია. მაგრამ ერისთავის გადაყენე-

ბამდე და მით უფრო შეპყრობამდე ამჯერად
აღარ მისულა საქმე.

ნერსემ დაასწრო და რაცე მაინც გადაწყვე-
ტილიც ჰქონდა ტახტის შვილისათვის დამო-
ბა, თავის „მეგობარ“ ხალიფაზე განაწყენების
ინსცენირება გაითამაშა, რათა ამითი უფრო
დაეწყვიტა მისთვის გული და მომავლისათვის
მეტი ნდობის გაბიტალი დავებოდა. ეს კი
პიტალი მას მალე დასჭირდებოდა. განაწყენ-
და და მოახსენა: მე მეგობარ პატიოსანად გემსა
ხურებოდით შენც, ჩემს ქვეყანასა და ხალხსაც,
თქვენს ხალხთან და მოხელეებთან ლოიალური
დამოკიდებულება მქონდა. ეტყობა, არ გამო-
დის, ბოროტი ხალხი მომარაგოდა, მათ გემსა
მეგობრობაც შურთ. მაინც დავებოდი, მიჭირს
ამოდენა ქვეყნის მმართვე, რაღა დროს ჩემი
მეგობრია, მალე ჩემი წინაპრები წამოყვანენ...

ეს არც მაჰდის დარჩებოდა საწყენად. ისიც
გაბეზრდა ამდენი დასმენით. თანაც სრული
ნდობა, რა თქმა უნდა, არც მას ექნებოდა
ქართული მმართველის მიმართ. და დათან-
და.

ხალხმა იცის, რომ ნერსეზე ამდენი დასმე-
ნები იგზავნება, რომ ნერსეს ფარული აგენტე-
ბი და ჯაშუშები ჰყავს მიწენილი, რომ ხალიფა
ამდენი დასმენის შემდეგ განრისხებულია ნერ-
სეზე და თავის მხრივ ნერსეც განაწყენებულია
ხალიფაზე. მაშე ლაპარაკობენ, არის მითქმა-
მოთქმა, ზურჩული, ჭორები. ბოროტსა და
უსაქმო ხალხს რა გამოღვეს! ხალიფა რომ გან-
რისხებულია ნერსეზე, ამ ხმებს დიდი გაზეი-
ლებით თვითონ ის მომრავლებული ბოროტი
ენები ავრცელებენ. ამ წვრილ მთავრებს შიშის
კანკალი აქვთ დიდი რეფორმის გამო, რასაც
ნერსე აშხადებს და რაც მათ ყურმოკვრით
გაუგონიოთ...

ერთი სიტყვით, ნერსე ხალიფას შეუთან-
და, ტახტზე სტეფანოზი დასვა და ერისთავ-
ობის უღელმთხსნილი და დაქანული თავისი
დიდი ამალით მეზობელ ქვეყნებს ესტუმრა —
გზაზე იმადირებს კიდევ, დაისვენებს, გაერთო-
ბა... სჯობს რამდენიმე ხნით აქაურობას გაცე-
ლოს, მანამდე ბოროტი ენებიც დაეცრება... ხა-
ლიფისთვისაც ასე უფრო ზელსაყრელია...

მორიდან მართლაც უმძინო, გასართობი
სტუმრობასა ჰგავს ეს გამგზავრება. სინამდვი-
ლეში კი დიდი ეროვნული მისია შეასრულა.
ისეთი მისია, რასაც უსათუოდ დისიდენტობა
აფხაზეთის ჩასვლა სახელმწიფოს მეთაურისა
(სწორედ რომ მეთაურისა) მაგრამ თუ ეს პირი,
ამასთან, არაოფიციალური მეთაური იქნებოდა,
მით უკეთესი), საფუძვლიანი მოლაპარაკება,
საქმის კარგად აწყო-დაწონა, ყველაფრის გა-
თვალისწინება — აწმოსიც, მომავლისაც, სხვა
ქვეყნების ურთიერთობისაც. ამას დროც ბევ-
რი დასჭირდებოდა.

თანაც არაბებს, რომელთაც ფარულად და

„მეტად წინააღმდეგ ეს საქმე ზღბოდა, ემ-
ბარ უნდა აეღოთ. მით თვალში მართლაც სა-
ქმევეო საქმეებით დაქანებული, და აწ ტვირთ-
მოსწილი, დროის სატარებლად გამგზავრებუ-
ლი კაცის გამგზავრებას უნდა დამგვიანებოდა ეს
„ვახერხებმა“.

სინამდვილეში, როგორც ითქვა, სულ სხვა
რამ ზღბოდა.

მაინც რა ზღბოდა?

ჩვენ გიცით, რომ ნერსეს ხაზარეთსა და
აფხაზეთში გამგზავრებას მართლაც მოჰყვა
ჟიღრეთად მწიფენლოვანი აქტი ქვეყნის ცხოვ-
რებაში.

„მატიანე ქართლისაში“ გვითხრობთ: „ხო-
ლო რაჟამს მოუძღვრდეს ბერძენნი, გადგა
მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ,
მძისწული ლეონ ერისთავისა (ლეონ პირველი-
სა), რომლისად მიეცა სამეფიდროდ აფხაზეთი.
ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა
მეფისა, და ძალითა მათათა გაადგა ბერძენთა,
დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამ-
დე, სახელად იდგა მეფე აფხაზთა, რამეთუ მი-
ცვალბულ იყო იოვანს და დაბერებულ იყო
ჯუანშერ (მკითხველს აღბათ ახსოვს, რომ ესე-
ნი არჩილ მეფის შეილები არიან) და შემდგო-
ბელ ამისთა ჟუანშერს მიიცვალა“.

ასე მოკლედ არის გადმოცემული ქვეყნის
ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი მოვლენა.

გადაუდგა ლეონ მეორე ბიზანტიას და და-
მოუცდებლობა მოიბოგა. დაიპყრა აფხაზეთი,
დაიპყრა ეგრისი (ეგრისის! ძველი ლხუთით ჩვენ
გვითხ, რა ტერორით მოიცავს ის), ლიხს
ბაილგა (ესე იგი, არგვეთი თაფის სამფლობე-
ლოში მოაქცია) და მეფის ტიტული მიიღო!

ზოგი თანამედროვე მეცნიერი აქ ამ გრეკ-
ლი ტერორითის ბრძოლით დააყრდნობს გუ-
ლისწმობას. ოღონდ რა ბრძოლაში მოხდა ეს
ბრძოლება, ან უშუალო მიზეზი რა იყო, ან
როგორ წარიმართა, ამისი განმარტება არა
გვაქვს.

მართლაც „დაიპყრა“ რომ გაეფიქრებოთ,
უზნებლად წარმოგვიდგება საშინელი ბრძოლე-
ბი, რბევად ქვეყნის მოთხრება და უცხო, უზნე-
ბის მიერ მშვიდობიანი ქვეყნისა და მოსაზ-
რებითა მონური დამოუკიდებლობა.

ყოველთვის ასე არ არის.

ვახტანგ გორგასალს დამის გარდა, ბერძენი
ცოლისაგან ეიდგე ჰყავდა ორი ძე — ლეონ და
მირდატ. მამის გარდაცვალების შემდეგ ლე-
ონი მალე მოკვდა. ხოლო მირდატთან დანამ
მოლაპარაკება გამართა („ამის მირდატს დაე-
გჭრა მამა მამი დანი“): ქვეყნები ვაცვალეს,
რადგან ასე უფრო ზელსაყრელი იყო მათთვის.
დასავლეთ საქართველოს ერთი ზოლი, „ეგრის-
წყალსა და კლისურას შუა“, რომელიც მირდა-
ტს ღდის, ბერძნის ქალის, მზითვეი იყო, და-
ნამირგუნა, „და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფა-

რავითვან მტკუარამდე. და იპყრა მი-
რდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავითვან და
ტასისკართვან, ვიდრე ზღუამდე სპერისა, და
ერისთავიობა მუნ“.

როგორც ზემოთმოყვანილი ტექსტიდან ძა-
ლიან ნათლად ჩანს, არავითარი ისეთი „და-
პყრობა“, რასაც ჩვენ უზნებლად გვულისხმობთ
ხოლმე ამ სიტყვის გაგონებაზე, აქ არ მომზდა-
რა. იმასთან წინასწარი მოლაპარაკების მიხედ-
ვით მირდატმა სასვებით მშვიდობიანად და
წყარად დაიკავა გარეგნის თანახმად
მიღებული ტერიტორია.

ასეთვე დაიპყრობა უნდა გიგულისხ-
მობთ, როცა ლაპარაკია ლეონ მეორის მიერ
აფხაზეთისა და ეგრისის (ვიდრე ლიხამდე) და-
პყრობაზე. წინასწარი მოლაპარაკე-
ბას მიხედვით, ლეონ მეფემ დაიპყ-
რა მთელი ეს ტერიტორია და მიიღო ტიტუ-
ლი აფხაზთა მეფისა. აქ მომე კუთხის ომითა
და სისხლისღვრით დაიპყრობა, მისი დარბევა არ
იგულისხმება.

ამას მართკი ეს მორალური ფაქტორი კი
არ გავითვალისწინებთ, რომ მამა მძის წინააღმდეგ
მახეილს არ შემართავდა. არ უნდა დავივიწყ-
ოთ, რომ ეს ამბები ფეოდალური ურთიერთ-
ობის დროს ზდება, როცა მძის დანდობა არ
იქნა და არც მორალური კოდექსით იკრძა-
ლებოდა. ჩვენ ქვემოთ ბერძნ ენაზეთ ისეთ შემ-
თხვევას, როცა ძმები ზნობად გაისერაინ ერთ-
მანეთის სისხლით ზღვს და ბიძა-მძისწულიც.
ესე იგი, მართკი ეს მორალური ფაქტორი კი არ
გვაფიქრებინებს, რომ ლეონის მიერ მიიღო
დასავლეთ საქართველოს დაპყრობა ომითა და
ექსპანსიური ფინით დაპყრობას არ ნიშნავს
(თუმცა ამ შემთხვევაში შეგვეძლო ეს ფაქტო-
რილ დაგვესახელებინა, რადგან ამ ორ კუთხის
პაშინად და შემდგომშიაც ქვეშაარტად ძმური
და კეთილშეზამძლური ურთიერთობა ჰქონ-
დით).

მთავარი, რაც ამ გარაუდეს უმაგრებს საფუძ-
ველს, ის არის, რომ არხად, არც ქართულსა და
არც უცხო ქვეყნების ისტორიულ წყაროებში
ასეთი ბრძოლა თუ გალაშქრება ნახსენები არ
არის. იმდროულ ტერიტორიას დაეუფლა ერთ-
ბამად ლეონ მეორე, რომ, ჯერ ერთი, ბრძო-
ლებით მამი დაპყრობა გაუმძლავრებოდა, და
მეორეც, თუკი მართლაც წამოიწყებდა ომს,
ეს მამოა სისხლისმღვრელი ომი ახაზეს პპო-
ებდა ისტორიულ წყაროებში.

რაკი არა პპოა არავითარი ახაზე და რაკი
ლოგიკური ანალიზითაც ასეთ აქტს არა ჰგავს,
მართლაც არა ყოფილა ეს ბრძოლთა და ძა-
ლმომრეობით დაპყრობა.

ბავლე ინგოროყვი წერს: აქ ლეონის მიერ

მანხანგე შემლიმი
მართლმის ცხომრემის ძრონიმემა

ღანავლეთ საქართველოს ბრძოლით დაპყრობა კი არ არის ნაგულისხმევი, აფხაზთა ერის-თავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტი-ელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატო-ნობისაგან. ესე იგი, მათ ბიზანტიელთა უღელ-ლი მოიშორეს, ბიზანტიელდენ განდევნეს და-სავლეთ საქართველოდან, მათ ბატონობას მო-უღეს ბოლო. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ გა-უგებარი იქნებოდა მემბტიანის სიტყვები: ლეონ „...დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლი-ხამდე“. გამოდის, რომ მას საკუთარი სამთავ-როც დაუპყრია, შენიშნავს მეკლდარი.

ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე პროფე-სორი ზურაბ ანჩაბაძე. ეს (ეგრისის სამთავროს შემოერთება) ისეთი სერიოზული აქტია, შენიშ-ნავს ზ. ანჩაბაძე, რომ უნდა ვიფიქროთ, ერთ-ნაშად არ მოხდებოდა, არამედ თანდათანობით მომზადდებოდა ნიადაგი. ამ აზრისა პროფე-სორი მარიამ ლორთქიფანიძეც, რომელმაც სა-განგებო გამოკვლევა უძღვნა საქართველოს ის-ტორიის ამ პერიოდს.

მართლაც ექვს არაფერი იწვევს, რომ ლეონ მეორემ მთელი დასავლეთ საქართველო ნება-ყოფლობით დაიკავა. წინასწარი მოლაპარაკე-ბისა და შეთანხმების მიხედვით. წინასწარ მო-ფიქრებული გეგმისა და შესაბამისად. ათასჯერ აწონ-დაწონისა და განსჯის შემდეგ. ყველაფ-რის გათვალისწინებით — საშინაო საქმეებისა და მდგომარეობისა და საგარეოსიც, აწყოსი და მშვიდობისა. ამავე მომეფეთებისა და მთლიანი საქართველოს საკეთილდღეოდ.

აქ სადავო არაფერია.

კიდევ ერთხელ დავაყრიდეთ მემბტიანის სიტყვებს: „...ლეონ... დაიპყრა აფხაზეთი და ე-გრისი, ვიდრე ლიხამდე, სახელ იღვა მეფე აფხაზთა, რა მეთუ მიცვალბულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჭუანშერი. და შემდგომად ამისა ჭუანშერიც მიიცვალა“.

ეს სიტყვები ორნაირად შეიძლება გავიგოთ: თუ იმას ვირწმუნებთ, რომ ეგრისის შეერ-თება აფხაზეთთან იარაღითა და ძალმომრეო-ბით მოხდა,

1. მაშინ ლეონმა ისარგებლა იოვანეს გარდაცვალებით (ეტყობა, იგი უძეოდ გადაე-გო), ჭუანშერის სიბერით (ისიც ალბათ უმე-კვიდროა), დასძრა თავისი ლაშქარი და იარა-ღით დაიპყრო მთელი დასავლეთი საქართვე-ლო...

მაგრამ აქი ითქვა, და ეს ყველაფრით მტყი-ცდება, საეპოლად აღბრუნებს აქვს, რომ ეგრისის შეერთება ნებაყოფლობით და მშვიდობიანად მოხდა, თუკი ამ ფაქტს ვირწმუნებთ (და სა-ფუძველი არა გვაქვს არ ვირწმუნოთ),

2. მაშინ მემბტიანის ზემოთმოტანილი სიტ-ყვების ქვეტექსტი ძალიან აშკარად გამოჩნდე-

ბა; მაშინ ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა „რამე თუ“ სულ სხვაგვარად აღედგება. თათ-ქის პირიდან გვეუბნება მემბტიანე, რომ ამ საქმეზე — ეგრისის აფხაზეთთან შეერთებაზე, ანუ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაზე — ბევრი უფიქრიათ და შეთანხმებულან. შეთან-ხმებიან მოსულ ჭუანშერს, იქნებ თავის დროზე იოვანესაც: უმთავროდ დარჩენილი ქვეყანა მე-ზობელ სამთავროს შეუერთეს იმ არსებობით მიზნებისა და მიზნების გამო, რაზედაც ზემოთ ითქვა.

ხოლო რაკი შეთანხმება იყო, ამ საქმის სუ-ლისჩამდგმელებიცა და ორგანიზატორებიც იქ-ნებოდნენ. თავისით ხომ არ გაკეთდებოდა ასე-თი საქმე?

ახლა კი ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მემბტიანის მიერ ისე მოკლედ გადმოცე-მული ამბავი ლეონ მეორის მიერ დასავლეთ საქართველოს დაკავების თითქმის მაშინვე მო-პყვა ნერსეს მოგზაურობას ხაზარეთსა და აფ-ხაზეთში!

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ასეთი დიდი აქტი (ლეონ მეორის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება) ხაზარებთან შეუ-თანხმებლად ვერ მოხდებოდა. პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე წერს: „... ამ დროს ხაზარები აქტიურად ერეოდნენ ამიერკავკასიის, კერძოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართვე-ლოს ცხოვრებაში“...

მკითხველს აქვე უნდა შევახსენო, რომ, რო-გორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ დროისთვის ე-გრისის საკუთარი მთავრები არა ჰყოლია, ქართ-ლის მთავრები განაგებდნენ. მემბტიანის მიერ ნახსენები იოვანე და ჭუანშერი ქართლის მეფის არჩილის მოვანე იყვნენ. (საგულისხმოა ისიც, რომ ჭუანშერი ნერსეს სიმე იყო). ასე რომ, ქართლის ერისთავ ნერსეს მორალური უფლებაც ჰქონდა და იურიდიულაც, აქტიურად ჩარეულიყო დასავლეთ საქართველოს ერთ სა-მეფოდ გაერთიანების საქმეში.

ხოლო ეს ერთ-ერთი მთავარი რგოლი, მთა-ვარი შემადგენელი ნაწილი იყო იმ დიდი ეროვნული იდეისა, რაც ნერსის კარზე ყა-ლიბდებოდა და რაზედაც ჩვენ უკვე ვგვჩინა-ლაპარაკი.

ერთი სიტყვით, დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა დიდი სამეფო, რომელიც ისტო-რიულ ლიტერატურაში ეგრის-აფხაზეთის საუ-ფოს სახელით არის ცნობილი.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მთლიანი საქართველოს შექმნის გზაზე.

სახელმძღვრე რომელ წელს მოხდა აფხაზთა მთავრის მიერ ეგრისის სამთავროს შეერთება, დაუსტებელი არ არის. მეკლდვარებს სხვადა-სხვა მოსაზრება აქვთ ამაზე, მაგრამ მათი ვარა-უდები დიდად არ შორდებიან ერთმანეთს. ზუს-ტი თარიღის დადგენა იქნებ შეუძლებელიც

იყოს უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს მოხდა მერვე საუკუნის ოთხმოცდამეორე წლების დასაწყისშივე.

უფრო გადაჭრით იმისი თქმა შეიძლება, რომ ეს უშუალოდ მოჰყვა ხაზარეთ-აფხაზეთში ნერსეს მოგზაურობას.

იქნებ ახლა მიიწი აფხაზეთი ნერსე ერისთავის იმ დიდი მისიის საიდუმლო!

და ისევ იმ კითხვას უნდა დაუბრუნდეთ: შეიძლება-და შემთხვევით მომხდარიყო ქველადგარი ეს?

ზემოთ ჩვენ ერთი ისტორიულ წყარო გავიხსენეთ, სადაც ნერსე ერისთავი ნახსენებია, როგორც ნერსე დიდი („ნერსე დიდი და ძენი მისნი...“), ასევე მოიხსენიებს ნერსეს გიორგი მერჩულე („სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა...“).

ნერსე დიდი!

ახლა, როცა ასე გავშალეთ ნერსე ერისთავის შესახებ ჩვენამდე მოღწეული მწირი ცნობები, ვფიქრობ უკვე გასაგებია აღარ არის, რატომ მინიჭა მადლიერმა ხალხმა თავის შვილს ასეთი მაღალი ტიტული.

* * *

ეს ამბები ძალიან დიდი ზნის წინათ მოხდა ცალკეულ მოვლენებასა და ფაქტებს ჩვენ ვიცნობთ იმ მწირი ცნობებით, რაც ძნელბედობაგამოვლილ ისტორიულ წყაროებს შემოუნახავს. ამიტომ სკეპტიკურად განწყობილ ადამიანს იქნებ მეტისმეტად თამამი მოეჩვენოს ჩვენი ვარაუდი, როცა მაშინდელი ადამიანების ფიქრებისა და საზრუნავის კონკრეტულად ჩა-

მოყალბებასაც კი ვედilloბთ მაგრამ სკეპტიკოსის სიჭაუბრეს თუ მოვიშრობთ და კარგად დავაყვრდებით, დაკრწმუნდებით, რომ ასეთი დაქმნების საფუძველი არ არსებობს.

თანაც, უსამართლოდ მივიწყებული მამულიშვილების აჩრდილები გავაღდეულებენ, უფრო გაბედულად ჩავიხედოთ ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში და მათი მოღვაწეობის ამბავი წაკითხოთ კავშირით ის, რაც ექვს ან აწევს და უსათუოდ ზღულისხმება რისი ვარაუდის ეფუძვასაც ლოგოკრი ანალიზი ვაძლევს.

საბუნდოროდ ბეკრ ვიცით ჩვენს ისტორიაში დიდი ძაძულ მკალურ შემართების მაღალი ზნეობისა და საერთო ეროვნული ინტერესებისადს ეწწრო-პირადული ინტერესების დამორჩილების ფაქტები.

ნერსე ერისთავი ერთი ასეთი მამულიშვილია.

* * *

წიგნის დასაწყისში ვასილ ბარნოვის ერთი რომანი გავიხსენეთ მტრისაგან დამარცხებული და ლამის საბოლოოდ გულგატეხილი ისტორიული პირი ვიხილეთ და მკითხველს აღვუთქვით, რომ ყვლავ დაეუბრუნდებოდით რომანის ამ ეპიზოდს: შეეცდებოდით ახლებურად აგვეხსნა ამ ისტორიული პირის ბედი.

მკითხველს მოტყევა უნდა ვთხოვო მანამ ჩემს დაპირებას შეეასრულებდე, ცოტათი უკან უნდა დაეხიოთ და ჩვენი ისტორიის ერთი პერიოდი მოვიხილოთ, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ზემოთ მოთხრობილ ამბებს.



ქეობის სიძვერეა

ჯაბიკი ნოვარუზი

აზერბაიჯანი

1945 — 5 ივნისი

მშობელი მამის
სიკვდილს ვიხსენებ.
და თვალწინ მიდგას
ის დღე ისევ,

ვერ ამიყვანეს
სახლში ეზოდან,
ახლა ვიხსენებ.
სულ არაფერი
რომ არ მესმოდა
იმას ვიხსენებ.

შავი ღრუბლები
ალაყავით თითქოს მოფრინდნეს
უწყვეტ ნაკადად მოდიოდა
ხალხი სოფლიდან.

იმზირებოდნენ ეჭვიანი
და უცხო მზერით,
მე კი, ეზოში ბურთს დავდედი
ქვევით და ზევით.

რალაც ხდებოდა
ახალი და გაუგებარი
და ყოველივე ჩემს გადაღმა
იყო შეფარვით.

მომიხსლოვდნენ,
უცნაურად ამბავალთვალეს,

რაც მთავარია, სულ ერთ წუთში
კაცად ჩამთვალეს.

მეფერებოდნენ ხგნეშითა და
გულსიტკივილით,
დედამ და დებმა
საშინელი მორთეს კივილი.

სულ სხვა ტკივილით მახსენდება
ის დღე ისევ,
სულ სხვა ტკივილით, სხვა ცრემლებით
ახლა ვიხსენებ.

დედის თვალებში მთლად გამჭრალა
სხივი გაძლების,
მწუხარებისა დროშად იქცნენ
შავი ძაძები.

ამ მწუხრის დროშამ შეიფარა
ჩემი ბავშვობა,
მე ყველაფერი მიჩნდა მღერად
და თამაშობად.

ყველა სარკმელი შავით მორთეს,
დახშეს, ჩაარაგეს
და არაფერი არ მესმოდა
ამ ქვეყანაზე.

ჩინგის ალი-ოლი

აზერბაიჯანი

მწვანე ალერსი

მწვანე ბალახზე წამომაწვინა
და მწვანე ცეცხლის ალზე გამათბო,
გულზე წეროთა ხმები მაწვიმა,
უკაბადონო, უმისამართო,

მწვანე სირუშის სულს შემაერთა,
რომ ბილიკივით ველმა დამკარგოს,
ისე დამრიოს ხელი მწვანე მთამ —
მთელი სხეული მწვანით დაჰქარგოს.

რომ მიწისქვეშა ხმები წყაროთა,
მწვანეთ გაშლილი თმებით მსვდებოდნენ,
რომ ბალახებმა ფესვით წარმოთქვან
სიმღერა ჩემი მწვანე ფერდობის.

რომ მიწისქვეშა მწვანე მდინარე
ჩემში ცხოვრობდეს და მქუხარებდეს,
რომ მითხრას ზეცამ პირმომცინარემ, —
ფეხშეგლა გოგო რას მწუხარებდა.

გამომახედა წყაროს თვალიდან
მწვანე ალერსად ცხელი ხნულების,
ესოდ მაქცია ისევ, თავიდან
ესოდ ხეების ხელისგულების.

ამბავი ვიჟო ლაღი, კეთილი,
ხასხასა მწვანე ხავსი ყორეზე
და გაზაფხულით სახეს წვეთივით
დამკიდა ხეთა მწვანე რტოებზე.

ონა ბალიუკონიჯა

ლიტვა

სიმღერა მათხოვარზე

ლონდონში, რომში და პარიზში,
თითქოს სულს შეაბებს თბილ ხელებს,
ქალაქთა ხმაურში ქარი შლის,
უხელო დამკერულის სიმღერებს.

უფეხო, ის ცეკვავს ყოველგან,
ლონდონში, პარიზში და რომში,

და ვხედავ თოვლიან მოედანს
ნეონის სისხლიან სამოსით.

ხიდს გასდევს სიცილის ზარნიში,
ბრბო, ბრბოა, ყველგან და ყოველთვის,
ლონდონში, რომში და პარიზში,
ქვითინებს ბავშვი და პოეტი!

ნაზან ზოლჰნიკოვი

რუსეთი

დამეს აღვიძებს თოვლის წკრიალი,
და ჩემს სარკმელთან სინათლე მოაქვს,
კვლავ ჩემთანაა ჩემი ტრფიალი,
კვლავ ღონე მერჩის და ბევრი დრო მაქვს.

მიფრინავს სევდა ვით დაზაფრული
და სიხარულად გადადის მარტში.
მე რაც ვიყავი პირს გაზაფხულის
შემოდგომაზეც იგივე დავრჩი.

ღვინო და ტრფობა ჯერ კიდევ მოდის —
არა სიფხიზლედ, არამედ თრობად.
შენ ჩემო სულო, ვით ოქროს ზოდი,
კვლავ გულზე გვაწევს ძმოება და მტრობა.

გვაქვს შავი პური, ბავშვებს არ შიათ,
(რაც გვიწერია იგი გვეწეროს),
კვლავ ერთადა ვართ, ერთ სიზმარში ვართ
და წასულების ვსვამთ სადღეგრძელოს.

ბალებს ჯერ კიდევ თბილად აცვიათ,
თუმცა აპრილის სითბო გამოიჟდა.
სიცოცხლემ შუა დღეს მიაღწია,
ვინ იცის, კიდევ გადააბიჯა.

ერთად ვისხენებ — წასულებს, ცოცხლებს
და ცოცხლებიან თვალწინ ყველანი.

გადაუფრინეს ჩიტებმა ბორცვებს,
მე დაერჩი ისევ ღამის მთევარი.

სულ უფრო ახლო მოცოცავს ხავსი,
მარადი ტვირთით ჰყვავის ბუნება
და თითქოს ახლა გავიგე ფასი
ყველაფრის რაც არ დამიბრუნდება.

თადარიგის სერჟანტი თუ
თადარიგის ოფიცერი,
ბედისწერის წუთამდე
თუმც რალაცას უდრიდა,
ჩვენ ყველანი ერთნაირად,
ერთნაირად მოვიქცევით,
ღმერთმა ნუ ქნას, დაგვიფაროს,
საშინელი წუთისგან.

ქუდზე კაცი, რომ იტყვიან,
სწორედ ისე იქნება.

მარადიულ სიცოცხლეზე
კაცი არ დაფიქრდება,

რომ სამყარო არ გაიქცეს
ფერფლადა და უდაბნოდ,
რომ მამული არ მოექცეს
ცრემლს და სიმწუხარეში,
განშორების ვარსკვლავებო,
სურვილს გზა დაუდაფნოდ,
რომ სიცოცხლემ იხმაუროს,
ჩვენს მშობლიურ მხარეში.

ჰიქსოკო შიკოქოვი

რსფსრ

სსოვრება კახისა

ისე ვით ბაღში ხე ცხოვრობს,
ისე ვით წიგნი წიგნებთან,
როგორც მერცხალი მერცხლებთან,
ვცხოვრებ პოეტის ფიქრებთან.

ბნელში სინათლე იალუმს,
პურსაც გაგიყოფს ძმობილი,
კვლავ მოიშუშებს იარებს,
ქვეყნისგან უარყოფილი.

ჭირშიაც მოინახება
ხელი საშველად გაწვდილი,
სტრიქონი სტრიქონს გაჰყვება,
ყმაწვილს გაჰყვება ყმაწვილი.

ძმას გული უწევს ძმისაკენ,
ხელებს უწვდიან ერთმანეთს.
მაგრამ შენ თავად ვის არგე,
ვის ტყვიას გადაეფარე.

სპატიოსნება

(თბილისური რეგულირება)

აღმა აღმავალ მზესავით
ანთია სვეტიცხოველი!..
მარადი თუა — ესაა, —
წარმავალია ყოველი...

წარმავალია, — ვინათგან
წერა იწვნია ყოველმან...
დაცემულთაგან ვინ ადგა?!
სული კი...

სული, სულ იდგა...
სული დგას სვეტად ცხოველად!..

მკაცრად ნუ განვსჯით გარდასულს, —
აქ ღღეხა სულის სიცივე...


თურმე სხეულის გარდა სულს
სიმაღლეც გერძვის თვისივე.

სიკეთის თესლის დამთესი,
აწმყოზე გადმონასკველი —
სვეტიცხოველის ნათელში
ამოზიდულა წარსული...

სულს ძრავს ციერი ფერებით
ნათება დღეთა უკუნთა,
დაკოჟრებული სელებით
აყვავებულა ჩუქურთმა.

თარგმნა ზვიკო ძეგლაძე.





წინასწარგეტყულებ

რას არ შეზღუდბა კაცი ამჟვეყნად: უცნაურ ადგილებსაც და უცნაურად მოაზროვნე ტვი-
ნებსაც, სულის საოცარ არეებს — ამაღლე-
ბულსაც და უბადრუკსაც. უოველივე ამის ნაზ-
ვის ხურგილი თუ გაგიჩნდებათ, საქმარისია
გაიაროს დიდი ქალაქის გარეუბნებში, სადაც
საცოდავად ბუუტავენ ფარნები და პოლიციე-
ლები წუვილ-წუვილად დაიარებნან, აჰყვეთ

სახლთა კიბებს ბოლომდე, მრუდ-მრუდ მანსარ-
დებამდე, სადაც ახალგაზრდა, ფერმკრთალი გე-
ნიონები, შეპყრობილი დანაშაულობათა სა-
უაროს ოცნებებით, გულბეღდაკრფილი, ფი-
ქრებს მისცემიან, საქმარისია თვალი შეავლოთ
უბრალოდ და მრავალმნიშვნელოვნად მორ-
თულ სახელოსნოებს, სადაც მარტოხელა, მღე-
ღვარე სულის, გულმათბრობილი მზატვრები,

შეირნი და ამაყნი, თამბაქოს კვამლით გარემოცულნი, ებრძვიან თავის უკანასკნელ, თავმარლამხვე იდილებს.

აქ არის დასასრული, უნიული, სიწმინდე და არაფერი. აქ აღვიდა არა აქვს კონტრაქტს, დიდიშობას, მოწყალებას, წმინდანებსა და ღირებულებას. ჰაერი იმდენად გამკვრივად და წმინდაა, რომ ცხოვრების მიახლოება აქ ვერ ხეირობენ. მხოლოდ სიჭიქე, გარეგნული სიკრებე, განწირული კვარცხლბეკზე ამაღლებული მე, უფლებები და სიკვდილი გამოეხატება.

ეს იყო ვნების პარასკევი, საღამოს რვა საათზე. მთი უმრავლესობა, ვინაც დაინიშნა მოიწვია, თავის ღრწზე მოვიდა. მოსაწვევი ბარათები წარმოადგენდა ქალღმრთის მეთხილდ ფორმატს, მათზე გამოსახული იყო არწივი, რომელსაც კლანკებით ეპერა შავილი მახვია, ხოლო ახირებული დაწერი მავანი და მავანი იწვევდა ვნების პარასკევი საღამოს კონვენტში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დანაღების ეპისტოლეებით უნდა წავიკითხათ. სტუმრები დანიშნულ ღრწზე შევირბინენ მიუხეობად და ნახევრად ბნელ, გარეუბნის ქუჩაზე, ამ მანაღობის საშემოსავლო სახლის წინ, სადაც ბანა დღით წინასწარმეტყველდა.

წოგან — ერთმანეთს იცნობდნენ და ესაღმებოდნენ. აქ იყვნენ პოლონელი მხატვარი და გამხდარი გოგონა, მასთან ერთად რომ ცხოვრობდა; ლირიკოსი, გრძელი შავწვერა სემიტა, თავისი ფერმხილობი და განაწმენი სახის მეუღლით, განიერ კაბაში რომ გამოწყობილიყო; წარმოსადგენი და ავადმყოფური შესახვედობის პირადენა, სპირიტო, გადამდგარი რატმისტობა და ერთიც ახალგაზრდა ფილოსოფოსი, გარეგნობით გრძელური რომ წაგავდა. მხოლოდ ნოველისტს, მკიდროდ მორგებული ქუდიითა და მოულოდო უღვაშებით, არავან იცნობდა. ის სულ სხვა გარემოდან მოვიდა და აქ შემთხვევით მოხვდა; უცვლელის ცხოვრების ერთგული იყო და ბიურკრატულ წრეებში მის წიგნსაც იცნობდნენ. მან გადაწყვიტა თავი ღირსეულად დაეცინა, რადგანაც კარვად ესმოდა, რომ მის აქ უოფნას მსოფლიო თავსწილად ითმენდნენ. ამიტომ, სხვების ოდენე მოშორებით მიხვედობდა და ახე შევიდნენ სახლში.

კიბის სათითაოდ აუფნენ, ან თუკის მოაჯირს ეყრდნობოდნენ. უცვლა სდუმდა, რადგან ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც იცნეს სიტყვის ფასი და ფუჭად ვერაფერს წამოაცდნენ.

კიბის ყოველ მოსახვედთან, ფანჯრის რაფეზე ნათის ლამები იდგა, რომელთა მკრქელ შუქიც წინ მისვადილი, სახლის კარებზე მოხანადრთა გვარებს კითხულობდნენ. ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, განრიდებულად, მაგრამ მდუმარედ ჩაუარეს დაწვევის მოხელის, ბეზაქალის, მრეცხავის, კრწმუნებუ-

ლისა“ და მექისის ბინებს, სადაც დარდასა და ურვას დაებულა. ისინი ზევით მიიწვედნენ. და შახტის ნახევრად ბნელ გვირაბში მიმავალ ჯგუფს მოგვაგონებდნენ. და მანაც მიდიოდნენ გულდაჭერებითა და შეუფერხებლად, რადგან სუსტი სინათლე, ბნელ ფონზე ნაწ და მჭრფრინავ ცილადა რომ გამოკრთოდა, თავისკენ იზიდავდა მათ.

დაბოლოს, როცა მონას მიაღწიეს, აღმოჩნდნენ კიბის ბოლოში, პირდაპირ სახურავის ქვეშ. ირვლივ სხვადასხვანაირ შანდლებში ჩადგმული ექვსი სანთელი იღვნებოდა. შანდლები იქვე, გახურებულ უფროადაფარებულ მაგიდაზე დევსოთ. კარზე, უფრო ბელდის შესავალს რომ მავდა, მუყაოს ნაგლეგი იყო მიმარტებული. მასზე ნახშირით გამოყვანილი რომაული ასოებით ეწერა სახელი „დანიელი“. დარტყმ. კარი დიდთავა, მოდიმარი სახის ყმაწვილმა გაღო, მას ახალი ცისფერი კოსტუმში და პრიალა ჩექმები ეცვა. ხელში სანთელი ეჭირა, იბრძოდა რომ ანათებდა დერფანს, რომელსაც შადღერაგუკრები, შავილეკელდობანი, მანარადის მსგავსი გამოკარილდობით ოთახისაკენ მიეყვადით, სადაც ხის გარბადის ვარდა არაფერი იდგა. უსიტყვოდ, რაღაც უცხოებათ, რახაც თან ახლდა ბუბუბუის მსგავსი ზოჩხისმიერი ბერები, ბიჭმა სტუმრები გასაბდელთან მიიყვანა, ხოლო როდესაც ნოველისტმა მას თანაგრძნობით რაღაც მკითხა, გამოირკვა, რომ სტუმრები უცხოელია. შემდეგ ბიჭმა სანთელი ხელში, სტუმრები იმევე დერფნით სხვა კართან მიიყვანა და შინ შეუძღა. ნოველისტმა სულ ბოლოს შევიდა. მას ხერხეული და ბელთათმანი ეცვა, გადაეწვიტა, თავი ისე დაეცინა, როგორც ეკლესიაში. სტუმრები აღმოჩნდნენ არც თუ დიდ ოთახში. ოცდახუთადი სანთელი კაშკაშებდა და იქაურობას საზეიმო მრწყინვალდება დაუფლებოდა. ყმაწვილი ქალი უზრალა კაბაში, თერთა, გადაკეცილი საუბლოთა, ფიჭო, სულელში სახის გამომეტყველებით, დანიელის და გახლდათ. იგი კართან იდგა და უცვლას სათითაოდ უწვდიდა ბელს. ნოველისტი იცნობდა ამ ქალს, რადგან ერთხელ ლიტერატურულ სალონში გამართულ ჩაიზე შეხვედრებოდა. მარია ფოლევა იქ გამართულად იჯდა, ფინანსთ ბელში და ნათელი, გულწრფელი ხმით თავის მწაზე ლაპარაკობდა. იგი აღმერთებდა მას.

ნოველისტმა თვალებით დაუწყო ძებნა დანიელს.

— ის აქ არ გახლდათ, — თქვა მარია ფოლევა, — და არც ვიცი ახლა სად არის. მაგრამ ფიჭო ნუ გაქვთ, მთელი თავისი არსებით

თომაზ მანი

წინასწარმეტყველანი

ჩვენთან იქნება და გულდასმით მოისმენს ეპისტოლეებს, რომლებსაც აქ წავგიჟთხავენ.

— ვინ წაიკითხავს ეპისტოლეებს? — კუშტად და მოყრძალებით იკითხა ნოველისტმა და ეს იყო სრულიად სერიოზულად ნათქვამი. ის იყო კეთილმოსურენი და შენაგანად მოყრძალებული კაცი, ამქვეყნიის მოვლენებისადმი რიდიონად მოწინააღმდეგე გამსკვალული, მზად იყო ესწავლა და დაეფასებია ყოველივე, რასაც კი ღირსად რაცხდა.

— ჩემი ძმის მოწაფე, — უპასუხა მარია უოლფემა, — ვისაც შეეცარებიდან მოველით; ჯერ კიდევ არ მოსულა, მაგრამ საჭიროებისამებრ აქ გაჩნდება.

კარის პირდაპირ, მაგილაზე იდგა დიდი სურათი, რომლის ზემოთა კიდე ჰქერის ღამრეც ზედაპირს ებჯინებოდა. ცარკით შესრულებულ, მკვეთრად დამტარებულ სურათზე, უხეშ და დესპოტურ პოზაში გამოსახული იყო ნაპოლეონი. იმპერატორს ტყავის ბოტფორტები ეცვა და ბუხარს მიფიცებოდა. შემოსასვლელის მარჯვნივ აღმართულიყო საკუთხეველის მსგავსი სახატე, რომელზედაც აღებული იყო წმინდანის ფიგურა, ზეცისკანე აპყრობილი თვალებითა და გავლილი ხელებით. სახატის ორივე მხარეს ვერცხლის შნაღებში ჩადგმული სანთლები ბუტყადნენ, წინ კი ლოცვისათვის განკუთვნილი სკამი იდგა, ხოლო თუ ახლოს მიხვიდოდი, წმინდანის ფეხთან მიყუდებულ პატარა ფოტოსაც შეამჩნევდი, საიდანაც იმპერებოდა ასე, ოცდაათი წლის ახალგაზრდა კაცი, საოცრად მაღალი, დაქანებული და გაცრეცილი შუბლით. უწევრო, გაფთხებული სახე მტკიცებელ ფრინველს მთავადა და თავისებურ ზემოთაგონებულობას გამოხატავდა.

დანელიის სურათთან ნოველისტი ცოტახ დაუფრთხა, მერე ისევ შეძლო რამდენიმე ნაბიჯი გადაედგა ოთახის შუაგულისაკენ. დიდი მაგიდის უკან, რომლის პირადა ზედაპირზე მანხვინდ დაუფლებული არწივის გამოსახულება იყო ამოწმწარი, სწორედ ისეთი, მოსაწვევ ბართებზე რომ ეხატა, ოღონდ მაგილაზე ის დაფნის გვირგვინით იყო შემოვლებული, პატარა, ხის სავარძლებს შორის, აუღებელიყო ტახტის მსგავსი, გოტიკური სტილის მაღალი, ვიწრო და ღირღოვანი სკამი. გრძელი, უხეშად შეტრული და იაფფასიანი ქსოვილგადაკრული მერხი თითქმის ჩრდილვდა სახუარასა და კედელს შორის წარმოქმნილ ნიშს, სადაც ვიწრო სარკმელი დაეტანებინათ. სარკმელი ღია იყო, ალბათ, იმიტომაც, რომ პატარა კაფელის ბუხარში მერხებზედაც გაეხლებინათ და ახლა გარედან იკრებოდა ლურჯი ღამის ნაგლეჯი, რომლის სიღრმეში და უსასრულობაშიც უწესრიგოდ გაფანტული გაზის ფარნები ყვითელ წერტილებად მოჩანდნენ ფანჯრის პირდაპირ ოთახი ვიწროვდებოდა და რაღაც წაღოს მაგვარს

ქმნიდა, რომელიც უფრო ძლიერად გაეშუქებინათ, ვიდრე მთელი მანსარა და კაბინების თუ სამლოცველოს მოვალეობას ასრულებდა. შეგნით დევანი იდგა, რომლისთვისაც სიფრთხანა, ფერწასული ქსოვილი გადაეკრათ. მარჯვნივ შეამჩნევდი მოფარდულ წიგნების კარადას, რომლის თავზეც კანდელობებში ჩაწყობილი სანთლები და ანტიკური სტილის ღამრები კიაფობდნენ. მარცხნივ იდგა თურს სუფრაგადაფარებული მაგიდა. მასზე იდგა ჯვარცმის ხატი, შეიღებუა შნაღლი და თევზი, ღვინით სავსე თასითა და ქიშმიშინი ნამცხვრის ნაქერით. ამ სასუფრელის წინა პლანზე, ფიცარანაზე აღმართულიყო მოოქროვილი თაბაშირის სვეტი, სიმაღლით იქვე მდგარა რკინის შნაღლს რომ ჩრდილვდა. სვეტის თავს მენაშული აბრეშუმის საკურთხეველის ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. მასზე ნაწერებით სავსე ქაღალდები — დანიელის ეპისტოლეები შეეძრნებინათ. ნათელი, ამპირული სტილში მოხატული შპალერი ფარავდა კედლებსა და ჰქერის ირიბად დაქანებულ ნაწილს. კედლებზე ეკიდა თაბაშირის ნიღბები, კრიალოსანი და დიდი დაქანებული ნიღბები. ნაოლეონის დიდი სურათის გარდა, ოთახში თავმოყრილი იყო სხვადასხვა სტილით შესრულებული პორტრეტები: ლუთერის, ნიცეშის, მოლტკესი, ალექსანდრე VI, რობესპიერისა და სავონაროლასი.

— ჩვენ უკვე შევიფიქრეთ ასეთ ცხოვრებას, — თქვა მარია უოლფემა და ამასთან შედეგად ნოველისტის მოწინააღმდეგე, პირქმ სახეზე ამოეკითხა, რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე ამ გარემოში, მაგრამ ამასთან სხვა სტუმრებიც მოვიდნენ; წყნარად და მოწინააღმდეგე სახეებით, დარბაისლურად მოიკალათეს მათ მერხებზე და სკამებზე. აღრე მოსულთა რიცხვს თორმეტიდ კაცი შეემატა, მათ შორის მხატვარი — ფანტასტიკოსი, ბერბიჭული სახით, კოკლი ქალბატონი, რომელსაც ჩვევად ჰქონდა გადაქცეული ყველას „ეროტიკულის“ სახელით წარსდგომოდ, ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალი, თავადაწნაურული ოჯახიდან, თავისი ცოდვების გამო რომ გადამედიდებინათ სახლიდან და თუმცა არავითარი სულიერი მოთხოვნებიდან არ გაიანდა, ამ წრეში მხოლოდ და მხოლოდ თავისი დედობის გამო ჰპოვა თავშესაფარი; მოხუცი მწერალი ქალი და კუწიანი მუსიკოსი, ნოველისტი სარკმლის ნიშთან განმარტოვდა, მარია უოლფემა კი კართან ახლოს სკამზე ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო. ასე ელოდნენ ისინი მოცემული შევიცარიდან, რომელიც საჭიროებისამებრ აქ გაჩნდებოდა.

უცებ კარი შემოაღო მდიდარმა ფრანგმა, ყოველთვის დიდი მსურველი რომ გახლდათ ამგვარ საკრებულოებში მონაწილეობის მიღებისა. ქალაქში იგი ზღაპრული ფუფუნებით მოწყობილ სახლს ფლობდა. გობლენებითა შემკული

იშვიათი სინათლის ოთახებს, Giallo antico*.
თი მოპირკეთებული ჩარჩოვანი კარები ამშვე-
ნებდა. დამა აქ აბრეშუმით გაწყობილი კარე-
ტით მოგრიალდა, კიბე ამოიარა და ოთახში
შემოკედლულდა მშვენიერი, სურნელოვანი და
მომავადობეული, ყვითლად მოჭარბული მაუ-
ლის კაბაში გამოწყობილი, პარიზულ შლასაში
დამალული წაბლისფერი თმით. შემოვიდა და
ტიცანისებური ღიმილი გადმოაღჭკვია. იგი
აქ მოიყვანა ცნობისმოყვარეობამ, მოწყენი-
ლობამ, კონტრასტებისადმი ღტოვლამ, თავა-
ზიანმა ექსტრავაგანტობამ და კეთილმა სურ-
ვილმა, დახმარებოდა ყველას, ვინც ოდნავ
გამორჩეული ეჩვენებოდა. დამა მკერძაღებუ-
ლად მიესალმა დაიწყო დას და ნოველისტმა,
რომელიც მისი სახლის ხშირი სტუმარი გახლ-
დათ. მერე, ვითომც აქ არაფერიო, მოხერხე-
ბულად მოიკალათა ხაშში, „ეროტიკულია“
და კინგლურს გარეგნობის ფილოსოფოსს შო-
რის.

— კინადამ არ დავიგვიანე, — უთხრა მდი-
დარმა ფრანსუაზ მის ზურგს უკან მჯდომ ნოვე-
ლისტს, — სტუმრები შეწვიფენ ჩაიზე და საკ-
მაოდ დიდხანს შეტყვენ. ნოველისტს გული
აურყუდა და ღმერთს მადლობა შესწირა, მოხ-
დენილად ჩაცმული რომ მოვიდა. „როგორი
ლამაზია! — გაიფიქრა თავისთვის, — ნამდვი-
ლად რომ ღირსია იმ ქალშვილის დედობისა“.
ის ქალბატონის უფროსი დაიხარა და ჰკითხა:

— კი, მაგრამ, ფროიდიან სონია? განა,
ფროიდიან სონია არ წამოიყვანეთ? სონია მდი-
დარი ფრანსუაზს ასული იყო და ნოველისტის
თვალში ყოველთვის ჰქმნა იმის ადამიანური
სულის იშვიათი ქმნილებას, ყოველმხრივი გა-
ნათლებლის ეტალონს და ამაღლებული კულტუ-
რული იდეალის სორცისმას განსახიერებ-
და. მან ორჯერ გაიმეორა მისი სახელი, რადგან
ამის წარმოთქმა ენითაუწერელ სიამოვნებას
ჰგვირავდა.

— სონია ავადა, — მიუგო მდიდარმა და-
მამ, — წარმოადგინეთ, ფიქსი აქვს დაშვებუ-
ლი. არა, ისეთი კი არაფერია, რაღაც მუწუქის
მსგავსი სიმსივნე ჰქონდა და გაუტრეს. შესა-
ძლოა, ამის გაკეთება სულ არ იყო საჭირო,
მაგრამ თვითონ დაიფინა.

— თვითონ დაიფინა? — აღტაცების ჩურ-
ჩულით გაიმეორა ნოველისტმა, — სწორედაც
რომ ამაში იცნობა თქვენი ქალი. მაგრამ, მაინც
როგორ შეიძლება მისდამი ჩემი თანავარძლის
გამოხატვა?

— პირადად გადაცემე თქვენს მოკითხვას, —
თქვა ფრანსუაზ, და რადგან ნოველისტი დუმდა,
იქვე დაუმატა: — რაო, განა ეს არ გამაყუთი-
ლებთ?

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ არა! — ჩურ-

ჩულით წარმოთქვა კაცმა, ხოლო ქალბატონმა,
რადგანაც მის წიგნებს აფასებდა, ღიმილით
უთხრა:

— რაკი ასეა, მაშინ ყვავილი გაუგზავნეთ.

— გმადლობთ, — თქვა ნოველისტმა, —
დიდად გმადლობთ. სწორედ ასე მოვიტყევი.
თავისთვის კი გაიფიქრა: „ყვავილი? ყვავილი
კი არა, თაიგულს, მთელ შეყვრა თაიგულს გა-
უგზავნი. ხვალვე, უფინია, მსუბუქი ეტლით
მეყვავილესთან გავეშურებო“. — და მან იგრძ-
ნო, რომ ყოველთვის ცხოვრების ერთგული
არჩებოდა.

წუთიერმა ხმაურმა სიჩუმე დაარღვია. კარი
გაიღო და სანთლების შუქზე, ზღურბლზე გად-
მოაბიჯა მუქ კურტაკსა და შარვალში გამო-
წყობილმა ჯმუხმა, ტანდაბალმა ახალგაზრდა
კაცმა. სტუმრების წინ იდგა შევიცარიელი
მოციკული. მან ოთახს მრისხანე მზერა მოა-
ვლო, ჩტიცე ნაბიჯებით გაემართა სასუფეველის
წინ მდგარი თაბაშირის სვეტისაკენ და მას
უკან, დაბალ ფიცარნაზეც იხე ენერგიულად
დაერქო, თითქმის ზედ შეეზარდაო. მერე პირ-
ველსავე ფურცელს სტაცა ხელი და კითხვას
შეუდგა.

მოციკული ასე, ოცდარვა წლის, კისერმოკ-
ლე, ულახაოთ ყმაწვილი გახლდათ. გახურგნი-
ლი, უჩვეულო სიდიდის თმა უხვად ჩამოშლი-
და ისედაც დაბალ, ნაოკებით დაღარულ შუბლ-
ზე, უწვერულვანო, პირქულ და ტლანქ სახეს
ბულდოგისებრი ცხვირი და მკვრივი ყვრიმა-
ლის ძვლები აჩნდა, ღოყები ჩაცვენოდა, ხოლო
მსუქანი, დაბერილი ტურები მძიმედ, ზიზღითა
და გულბოლწად წარმოთქვამდნენ სიტყვებს.
მრისხანე სახეს ფიქარი მაინც ვერ დაემშალა.
ის მძვინვარე და მყვარალა ხმით კითხულობ-
და, რასაც თან სდევდა შინაგანი ძრწოლა და
მაღიმაღ სულის შეხუთვა. ფართო და წითელ,
აქანალებულ ხელს ჩაემუქა ქაღალდი. ის კაც
წარმოადგენდა უსუსურობისა და მრისხანეობის
შემამარწუნებელ ნარეგს და რასაც კითხულობ-
და, საოცრად ეთანადებოდა მისი სახის გამო-
მეტყველებას. ქადაგებანი, ბიბლიური იგავები,
თეზისები, კანონები, ხილვები, წინასწარმეტყ-
ველება და სამხედრო მოწოდებანი, დავითნი-
დან და სახარებოდან ამოკრეფილი ციტატებით
რომ იყო აქრთლებული და სამხედრო-სტრატე-
გიულ, ფილოსოფიურ ფენომენებში აღრეულ-
ყო, რაღაც ოსმისური აბსურდით ენაცვლებო-
დნენ ერთმანეთს. ავადმყოფობის ციბე-ცხელ-
ბით შეპყრობილი, გამძვინვარებული მე, ყვე-
ლასაგან განდგომილი და დიდების მანიით შე-
პყრობილი, ზორავდა, ხრილებდა და ქვეწი-
რებას ძალმომრეობით ემუქრებოდა. Ghristus

თომას მანი
წინასწარმეტყველთა

* ყვითელი მარმარილო (იტალ.).

imperator maximus* იყო მისი სახელი და მსოფლიოს დასაპყრობად თავგანწირულ გარბის აგროვებდა, ბრძანებებს სცემდა, უღმრთოდეს პირობებს ადგენდა, სივლახაყესა და უბიწოების მოთხოვნა, ხოლო უსასწაღვრო მრისხანებათა და არაბუნებრივი ავტორიტეტით, ისევ და ისევ გააფთრებით ებღალუებოდა უსიტყვო მორჩილების მცნებას. ბუდა, ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი და იესო იყვნენ მისი თავმდაბალი წინამორბედნი, რომელთაც არ ძალუძდათ სულის მპყრობელის ფესხამოსზე თასმების შეხსნა.

მოციქულმა ერთი საათი იკითხა; შემდეგ აჯანყდებოდა ხელით წითელი ღვინით სახსე თასს დასწვდა, ოდნავ მოსვა და დაჩრწინილ ებსტოლეებს მიღებრუნდა. დებალ შუბლზე ოფლია დაახა, გამობერილი ტურნები უთრთოდა, ლაპარაკიას ცხვირიდან ჰერის უშვებდა და რაღაც, სივლიის მსგავს ხმას გამოსცემდა, აგრძნობოდა, რომ ვასავათა, მაგრამ ფარხმალს მაინც არ ურიადა. მარტოხული მე ჰყოლებდა, ბოხოქრობდა და მბრძანებლობდა. ის ჩაინთქა საშინელ მოჩვენებათა წყვედიადში, უღოგიკობის კორიანტელში გაიხვია და უეცრად სრულიად მოულოდნელი ადგილიდან ამოხეთქა, წარმოჩინდა მთელი თავისი სისხარლით: ღვთისგმობა და ოსანა, საკმეველის სუნი და სისხლის ბოლქვები ერთად შეიკრა. მქუხარე ბრძოლაში ჰპოვა ქვეყნიერებამ სხნა და მორჩილება.

ძნელი გასაგებია იყო, რა ზეგავლენა მოახდინა დანიელის ებსტოლეებმა მსმენელებზე: ერთნი, უკან თავგადაწეულნი, უაზროდ აფახულებდნენ თვლებს და სახე ხელებში ჩაემაღლათ. „ეროტიკული“, როგორც კი ხიტყვა „უბიწოების“ გაოგონებდა, საოცარი სიკეთელებით მიღუღავდა თვლებს, ხოლო კენჭურუს გარეგნობის ფილოსოფოსი, თავისი გრძელი და მოკაცული საჩვენებელი თითით, რაღაც გაუგებარს ხატავდა ჰერში ნოველისტი ამოღ ცდილობდა მოხერხებულად დამჯდარიყო, საწყალს წელი ასტიკვმოდა და უშნოდ წრიალებდა. ათ საათზე ეზმანა ფუნთოშა და ღორის მოზრდილი ნაჭერი, მაგრამ შიშმილის მწვავე განცდას ვაუკუსრად სძლია.

თერთმეტის ნახევრისათვის დაინახეს, რომ მოციქულის წითელ, აჯანყებულ ხელს უკანასკნელი ებსტოლე უჭირავს და სადცაა მასაც წირავს გამოუყვანს ქარისკაცები! — საბოლოო ძალღონე მოიკრიფა და მკეპარე ხმით, უკვე რომ ვედარ იმორჩილებდა, დაბოლოვა მოციქულმა, — გადმოიძია თქვენთვის სარბევად საშუარო! შემდეგ ფიცარნადიდან ჩამოვიდა,

იქ ჰყოფთ მრისხანედ გადახედა და კარსკან გაუჩინარდა. მსმენელები ერთ ხანს ისევ უმრავად ისხდნენ, მერე კი, თითქოს პირი შეკრისო, ერთსულფვანდ წამოიშალნენ და დაუფრენებლივ გასასვლელს მიაშურეს. კართან, თავისი თეთრი, გადაცეცილი საყელოთი, მშვიდად და უმანკოდ იდგა მარია ურუფა, სტუმრები წყნარად ემშვიდობებოდნენ მასპინძელს და თბილად აბრძენდნენ ხელს.

ურუ-მუნჯი უმაწვილი გარეთ იცდიდა. იგი სტუმრებს გასახდელისაკენ გაუძღვა, ჩაცმაში მიეხმარა და ვიწრო კბენზე დაეშვა. ისინივე ფესხდევს მიჰყვნენ. სასთლების შუქი, დანიელის მრუმე სამეფოდან რომ იღვრებოდა, მიაცილებდა კბენზე ჩამავალთ. ბიკმა წინაგარი გაალო და სტუმრები სათითაოდ გავიდნენ გარეუბნის უკაცრიელ ქუჩაზე. მდიდარი ქალბატონის ეტლი სახლის წინ იდგა. ფარნებით გაკაშვებულ კოფოზე მჭდარი შეეტლე პატრონის დანახვისთანავე დაფაკურდა. ნოველისტმა მდიდარი ფრავ ეტლის კარამდე მიაცილა.

— ამა, რას იტყვით, მადამ? — ჰკითხა მან ქალს.

— მსგავს საგნებზე ძლიერ მიმიძმის ხოლმე აზრის გამოთქმა, — მიუგო დამამ, — შეხატლთა ეს დასივლი მამდილად გენიოსია, ანდა რაღაც ამის მსგავსი.

— კარგით, მაგრამ გენიოსი რაღაა? — თქვა ჩაფიქრებულმა ნოველისტმა. — ამ დანიელს, ერთი შეხედვით, თითქმის უველა წინასწარი მონაცემი უნდა ჰქონდეს: მარტოება, გაბედულება, სულიერი განცდა, უზარმაზარი კვრეტა, თავისი თავისადმი რწმენა, რაღაც რეციდივისტულიც, უგუნწორობაც. რაღა აკლია? იქნებ ადამიანურობა? იქნებ ცოტა გრძნობა, ლტოლვა, სიუყვარული ადამიანებისადმი? მაგრამ ეს ხომ სავესებით განუსკვლელი ჰაზოთეზაა.

— სონიას მოკითხვა გადაეცით, — წარმოთქვა ნოველისტმა, როცა უკვე ეტლში ჩამჯდარმა ქალბატონმა გამოსამშვიდობებლად ხელი გამოუწოდა, ამასთან დამაბული შემაურება და სახეში მდიდარი ფრალს, უნდოდა გაეყო. ხომ არ იწყინა ქალბატონმა მისი ასულის ახეთი პლემბური ტონით მოხსენიება, მან ხომ უბრალოდ „სონია“ წარმოთქვა და არა „ქალბატონი სონია“.

მაგრამ მდიდარი დამა აფახებდა მის წიგნებს და ამიტომაც ყური მოიყრუა.

— შე მას გადავცემ თქვენს მოკითხვას.

— გმადლობთ! — შეადგება კაცმა და იმედის დამათარბელმა ძალამ შეიპყრო.

— ახლა კი მგელივით დავცხრები ვაშამს.

იგი ყოველთვის ცხოვრების ერთგული რჩებოდა.

* ქრისტე უღიადესი მეფე (ლათ.).

როინ მამრავალი

ხალხის სამსახურით შთაგონებული სისოცხლე

„...მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთან!“
ილია ჭავჭავაძე.

„საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დეპუტატის საპატიო მოვალეობის ასრულების დროს უმთავრესად სწავლა-განათლებისა და კულტურის სფეროსთან დაკავშირებით საქონომდებლო და სხვაგვარი საკითხების განხილვაში ვფიქრობ მსხრავალ მონაწილეობის მიღებას.“

ეს განზრახვა იმ რწმენაზეა დამყარებული, რომ თვითელი დეპუტატი ვალდებულია თავის დარგის ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს თავისი სოციალისტური სამშობლოს აღორძინება-აყვავებისათვის და, რაკი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ვმუშაობდი, მთელი ჩემი მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელს შეეწირე, ბუნებრივია, რომ უმაღლეს საბჭოშიც ყოველი ჩემი ძალ-ღონე მსურს ეიხმარო ამვე საკითხების გასაშუქებლად, როგორც საბჭოთა საქართველოს შეგენის! — ასე აცხადებს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხალხის კემპარიტი მსახური ივანე ჯავახიშვილი. ხალხისა და ერის სამსახური სიკმაუტიდან იყო ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნილება და როცა ამის მოვალეობაც ემატებოდა, ასკეტიზმა მეცნიერის ენერგიის.

ივ. ჯავახიშვილი თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე აგახდა ცენტრალური ფიგურა რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ყველა საკითხში, თვით იქამდე, რომ ქართული აზნანის დამწერლობის დადგენა, სამედიცინო, იურადული და სხვა ტერმინოლოგიის შედგენა, ან უმაღლესი მუსიკალური განათლების რეორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტა და სხვა მისი აუცილებელი მონაწილეობით მიმდინარეობდა.¹

ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ არაერთგზის დაწერა ჩვენს

ხელთ არის აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ჩიტაიას — ივ. ჯავახიშვილის თანამედროვეთა და თანამოსაგრეთა მოვლენებები და წერილები. მეცნიერის ბევრი თანამედროვე დღესდღეობით ცოცხალია და ჯანმრთელად არის. ამდენად, ამოცანა — ვაღმოსცე დიდი მეცნიერისა და საზოგადოებრივი მოღვაწის საქმიანობა, მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. ავტორს მხოლოდ სხივნათელი წინაპრისადმი უდიდესი სიყვარული აკადნიერებს თავს იდოს ივ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი გიგანტური საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის ასახვა.

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ჰყავდა თავისი სულიერი მუღუფი, პიროვნება, რომელმაც ახალი ერა დაიწყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, შემოიტანა ახალი ძალით, ეროვნული თვითშეგნების გამოღვივების იდეით, რომელმაც ხმამაღლა ვარაუდობდა „...ჩვენ უნდა ესდით ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი გზით მყოფობადი, ჩვენ უნდა მივიცეთ მომავალი ხალხს“... ეს იყო ილია ჭავჭავაძე, კემპარიტი მამულოშვილი, ერის მედროშე. მეოცე საუკუნის დასაწყისში ილიას მძიმე ტვირთმა ივანე ჯავახიშვილის მხრებზე გადაინაცვლა. ამ უკანასკნელს წილად ზედა უადრესად საბატო და ამასთან მეტად რთული ზედდრი... ილია ჭავჭავაძეობა ვაიწოა ერისათვის...

აქ უპირაინ იქნება მოვიგონოთ ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვები ივ. ჯავახიშვილის შესახებ: „იშვიათია კაცი, რომელსაც რაიმე ნაკლები არ ჰქონდეს, თუნდ სულ მცირე. ივანე ჯავახიშვილში სანთლით რომ გეძებნაო, ვერავითარ ნაკლებ ვერ აღმოაჩენდიო. ეს სრული უნაკლო აღმიაინ იყო: ზნეობით სპეტაკი, ზრდილო,

ალერსიანი, თავმდაბალი, კაცთმოყვარე და გულშემამტკივარი, ერთ უკადრის სიტყვის მის-
გან ვერ გაიგონებდით, ის შვილი იყო ქართვე-
ლი ინტელიგენტი ოჯახისა, რომელიც გამსჭვალ-
ული იყო ქართული პატრიარქისმით და საქა-
რთველოს კეთილდღეობისათვის მუშაობით...“
სწორედ ასეთ ადამიანს შეეძლო ქვეყნის ქეშ-
მარიტ სამსახურში ჩამდგარიყო, ერის წყლუ-
ლი საკუთარ ტკივილად შეეცნო, საკუთარი სო-
ცოცხლე სამშობლოს საკუთრებვისათვის მიე-
ტანა ზვარჯიად და მისი სიყვარულში ჩაფრფ-
ლილიყო.

ივანე ჯავახიშვილი და ქართუ-
ლი უნივერსიტეტი. ბედნიერება შეი-
ძლება მრავალგვარი იყოს; ერის ისტორიაშიც
მრავალი გზით შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს
სასუფეველი. მაგრამ სულ სხვაა ატარებდე
ეროვნული უნივერსიტეტის დამაარსებლის სა-
ხელს და ამ გზით იმეორე მშობელი ხალხის
უანგარო, გულწრფელ სიყვარულს. ეს უდიდესი
ბედნიერებაა!

განუყოფელია ივანე ჯავახიშვილი და ქარ-
თული უნივერსიტეტი. ადამიანი და ტაძარი...
ადამიანი — შემოქმედი და ტაძარი — სულიერ-
ი საზრდოს უშრეტე წყარო... ივანე ჯავახი-
შვილი და ქართული უნივერსიტეტი. ერის არ-
სებობაში აიის რაღაც ამაღლებული, წმიდა,
რისთვისაც ერისშვილი სულსაც არ იშურებს.
კონსტანტინე გამსახურდიას გმირი დიდოსტა-
ტი კონსტანტინე არსაკიძე ავებს სვეტიცხო-
ველს და თავის სულს სდებს შიგ... აძლევს
ყველაფერს და ყველაზე დიდს, რაც კი მას
გააჩნდა (მკლავსაც კი სჭრიან: რატომ კარგი
აგვიღიაო), აძლევს და მალღდება თვითონ. დიდ-
ოსტატის ძლიერი იყო მაშინაც კი, როცა მისი
საბრძოლო შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატა-
ური ფარჩის კაბა ეცვა, შავი, ოქროსფერი თმე-
ბი გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყა-
ყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ეს-
როდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თავე-
ლებს.

დაუნოქა სამეზის სანატრელმა, სთხოვა
დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან,
მაგრამ ვერც საყვარელს მისიც მან სთქო, რად-
გან სვეტიცხოვლისათვის შეეწირა იგი.

დიახ, ასეთია ხვედრი ქვეშაირიტი შემოქმე-
დისა. ივანე ჯავახიშვილის სვეტიცხოველიც და
სამეზის სანატრელიც ქართული უნივერსიტეტი
იყო. და სწორედ მისი დაარსებისათვის დაშვრა
მეცნიერი.

უნივერსიტეტის, როგორც პროგრესული
იდეების ცენტრის დაარსება ქართველი ხალხის
იდეო ბნის ოცნება იყო, ჭერ კიდევ გასული
საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მოყოლებული
ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მო-
ძრაობის თავკაცები უნივერსიტეტის გახსნას

მოითხოვდნენ. ამ იდეას წინ ელობებოდა ცა-
რიზმი თავისი დამყაყებული იდეოლოგიური
არსენალით, რომელიც უნივერსიტეტის დაარ-
სებისადმი თავის წინააღმდეგობას „ასაბუთებ-
და“ ხალხის ინტელექტუალური მოუშნადებ-
ლობით.

ქართველი ახალგაზრდობა, მიუხედავად
მრავალი წინააღმდეგობა-დაბრკოლებისა, მაინც
აებრებდა ევროპისა და რუსეთის სხვადასხვა
სასწავლებლებში სასწავლებლად გამგზავრე-
ბას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში
არაერთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი
ამკობდა რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასწავ-
ლებლების პროფესორას.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული
უნივერსიტეტის შექმნის საკითხი მთელი სიგრ-
ძე-სიგანით დისცა. ამ საქმის თაოსანი იყო
ივ. ჯავახიშვილი, რომელიც იმეამად პეტერ-
ბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად
მუშაობდა. იგი სწორედ პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღ-
ვაწეობის დროს აანალიზებს იმ უშედეგო
ბრძოლის გამოცდილებას, რომელიც უნივერსი-
ტეტის დაარსებისთვის წარმოშობდა და თავს
უყრის ამ დიდი საქმისათვის დასაყრდენ სა-
მეცნიერო-საზოგადოებრივ ძალეებს. ივ. ჯავა-
ხიშვილმა პრაქტიკულად შეიმუშავა ეროვნუ-
ლი უნივერსიტეტის დაარსების გეგმა (ეს გეგ-
მა სრულიად განსხვავებული იყო როგორც
კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე სამეცნიერო
აკადემიის დაარსების იდეისაგან). მას კარგად
ესმოდა, რომ საქმე სწორედ ეროვნული უნი-
ვერსიტეტის შექმნით უნდა დაწყებულიყო. სა-
ამისოდ კი პირობები ძალზე მწირი იყო. არც
მაშინდელი მთავრობისგან იყო მხარდაჭერა.

1907 წლის ბოლოს ივ. ჯავახიშვილის უშუ-
ალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით პე-
ტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართ-
ველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელმაც
გააერთიანა უნივერსიტეტის გარდა, სხვა ინს-
ტიტუტების სტუდენტები და ბესტუფევის ქალ-
თა უმაღლესი კურსების მსმენელი ქართველი
ქალები. ამ „წრემ“ უღირესად კეთილწავდიე-
რი გავლენა მოახდინა რუსეთში, კერძოდ პე-
ტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდობაზე.
ნაყოფიერი შემოთხება გაჩაღდა — საქართვე-
ლოს წარსულის, ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და
ენის შესასწავლად. სწორედ პეტერბურგის
სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო ანეკ-
დით გამოკითხვა (1911-12 წწ.) რუსეთისა და
დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების
სტუდენტებისა. ანეკთა ივ. ჯავახიშვილის მიერ
იყო შედგენილი და ბევრ საინტერესო კითხვას
ითვალისწინებდა. როგორც ჩანს, ამ წამოწყე-
ბას მებრძო სერიოზულად მოეკიდნენ ქართვე-
ლები და პასუხებმაც არ დააყვნა. რუსეთისა
და ევროპის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებ-

ლებიდან იმედისმოგვრელი ცნობები მოდიოდა, გამაზნდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში ცოდნის დიდუღვლების წყურველი მტრად დიდი იყო.

იმედის ნაბერწყლები გააღვივა იმ ღრიალ მნიშვნელოვანმა მოვლენამ, რომ 1914 წელს მეფის მთავრობამ იძულებით შეასრულა მისთვის მტრად მძიმე აქტი — გამოსცა კანონი რუსეთის იმპერიაში არარუსულ ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ. ეს კანონი ხელფეხს უხსნიდა ივ. ჯავახიშვილისა და მისი თანამოაზრეების საქმიანობას უნივერსიტეტის დაარსებისათვის. დაბრკოლებები მაინც დიდი იყო, თანაც წინააღმდეგობას ქართველი პატრიოტები სწორედ კანონის გამოცემელთა მხრიდან წააწყდნენ. მეფის მთავრობის სიტყვა და საქმე არ თანხედებოდა ერთმანეთს.

ჟამთასვლა თავისი აკეთებდა... ქვეყანაში რევოლუციური გადატრიალებები ხდებოდა... 1917 წლის თებერვალში ახალი ძვრებით აღიწინა... საზოგადოების განვითარებას ახალი მიმართულებები, ახალი გზები უჩნდება. უკვე შესაძლებელი ხდება ქართული უნივერსიტეტის დაარსებაზე ხმაჟალი ლაპარაკი და აშკარა საქმიანობა. ივ. ჯავახიშვილმაც არ დააყოვნა და თებერვლის რევოლუციის პირველივე დღეებში დიდი პრაქტიკული საქმიანობა გააჩაღა. მან თავის ბინაზე (პეტერბურგში, ლახტინის ქუჩაზე) შეკრიბა უნივერსიტეტის დაარსებით დაინტერესებული ქართველი მეცნიერები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვ. მოითხობირეს უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, საჭიროდ ჩათვალეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა უნივერსიტეტის სასარგებლოდ. საჭირო იყო პეტერბურგში მეოთხე ქართველების ჩამომა ამ საქმიანობაში. საყთხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნული კომიტეტის მიერ მოწვეულმა კრებამ (კინოთეატრ „ელიტში“) იმსჯელა მის შესახებ. კრებაზე, რომელსაც ზურაბ ავალიშვილი თავმჯდომარეობდა, უნივერსიტეტის დაარსების შესახებ მოხსენება ივ. ჯავახიშვილმა გააკეთა. კრების მონაწილეთა გარკვეულმა ნაწილმა (შ. ნუცუბიძე და სხვ.) ივ. ჯავახიშვილს (ე. ო. უნივერსიტეტის შექმნას) დაუჭირა მხარი. ერთი ჩგუფი (ნ. ნიკოლაძე და სხვ.) პოლიტექნიკუმის დაარსებას მოითხოვდა.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის 1917 წლის გაზაფხულზე და იწყებს პირველი ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებას. ამ მიმართულებით გადამდგმული იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი — 1917 წლის 12 მაისს თბილისში ჩატარდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დაესწრ-

ნენ. მათ შორის იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიაშვილი, აკაკი შანიძე, კორნელო კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, გრიგოლ გეშაძე, ილია ზურაბიშვილი და სხვ.

დამფუძნებელი კრება გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მანვე გააკეთა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ (ეს მოხსენება იმათივე დიაბეჟდა გაზეთში „სახალხო საქმე“, 1917 წ., № № 62, 63, 66, 68). მოხსენება მოაგონებდა ქართველ ხალხს საქართველოს უძველეს კულტურულ სიმდიერეს, ხალხს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ჩვენი ხალხი მეზობელ დაწინაურებულ დიდ სახელმწიფოებსა და ერებს, ბერძენ-ბიზანტიულებსა, სპარსელებსა და არაბებს, განათლებითა და შემოქმედებითი სამწერლობო მოღვაწეობით კვალდაკვალ მისდევდა. იყო დრო მეთორმეტე საუკუნეში, მაგალითად, როდესაც ჩვენმა წინაპრებმა მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ამ მხრივ უმაღლეს ხარისხს მიაღწიეს.³ მეცნიერი აცხადებდა: „ჩვენ წინაპართა დაუცხრომელმა მხენობამ და სულიერ განვითარებამ და ცოდნისმოყვარეობისადმი შეუფერხებელმა მისწრაფებამ ქართველობას საზღვარგარეთაც ისეთი დაწესებულებანი შეუქმნა, რომელთა წყალობით საქართველოს საშუალება ჰქონდა მეზობელთა სამეცნიერო, სამწერლობო და საკულტურო წარმატებისათვის თვალუფრი ედევნებინა და რაც მისთვის საჭირო იყო დროზე შეეთვისებინა კიდეც.“⁴ ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა, რომ მომდევნო საუკუნეებშიც იყო მცდელობა საქართველოში სასწავლო ცენტრების შექმნისა. „...ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიულად მეცნიერების წარმატებასა და აღორძინებაზე დამოკიდებული... ამიტომ ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გაუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალდონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევეწყუთოთ.“⁵ ივ. ჯავახიშვილი დაწვრილებით მიმოიხილავდა იმ გზებს, რომლითაც შეიძლებოდა ამ ამოცანის შესრულება, თანაც მოითხოვდა, რომ დაარსებულყო სწორედ უნივერსიტეტი და არა სამეცნიერო აკადემია, ან პოლიტექნიკუმი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ამგვარად მოხდა: ჯერ უნივერსიტეტები დაარსდა, ხოლო შემდეგ აკადემიები შეიქმნა. სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთდროულად შენახვა იმდროინდელ საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ივ. ჯავახიშვილს ნათლად ესახებოდა, რომ

არიონ მამრამული
ხალხის სამსახურით შთაბრძნაული
სიცოცხლე



უნივერსიტეტთან შემდგომში შესაძლებელი გადებოდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური ინსტიტუტების დაარსება. მეცნიერის აზრით, ქართული უნივერსიტეტი ერთსა და იმავე დროს სამეცნიერო ცენტრ-მაგიბის და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა და სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება.⁶

კრებაზე (ივ. ჯავახიშვილის წინადადებით) კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილი, მდივნად ილია ზურაბიშვილი) ხანგრძლივად კამათის შემდეგ (ერთი ნაწილი ცვლელ საეციალური უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას უჭერდა მხარს) გადაწყდა, რომ დაარსებულიყო ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი. პირველად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უნდა გახსნილიყო. ივ. ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა კომისია (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. აფხაზი, ე. ყიფიანი, ი. ლორთქიფანიძე, გ. ყურული), რომელსაც დაეგეგმა საჭირო სახლების გამოჩენა-შეგროვება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. აღნიშნულ კრებაზე დაუდგინდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება.

ფართო ხასიათის მუშაობა გაიშალა ქუთაისშიც. 1917 წლის 17 მაისს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ქუთაისში ტარდება კულტურულ და საკრედიტო დაწესებულებათა და პერსონალურ გამოცემათა წარმომადგენლების კრება (ესწრებოდნენ ი. ოცხელი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ბაქრაძე, მ. თაყაიშვილი, ვ. გველსიანი, ი. პურადაშვილი, მ. ფალავა, ს. წერეთელი, ვ. ქილაძე, ი. ქუთათელიძე, ი. ჩიქოვანი, დ. ნიკიფორაძე, გ. ურატაძე, ო. შუშინია, პ. ჯაფარიძე, ა. გორგაძე, კ. ვაზარაშვილი, გ. ბერიძე, ა. წერეთელი, ვ. იმნაძე, ვ. ყიფიანი, მ. ყაუხჩიშვილი, თ. აბაშიძისა, მ. გველსიანისა, ალ. ჭანელიძე),⁷ რომელიც ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს იხილავს (კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ოცხელი, მდივნად — ალ. ჯავახიშვილი). კრებამ მხარი დაუჭირა (ორი მონაწილის გარდა) ივ. ჯავახიშვილის წინადადებებს უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა კრებას გააცნო უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. აირჩიეს კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თბილისში არსებულ კომიტეტთან ერთად უნდა გაეტარებინა სხვადასხვა ღონისძიებები უნივერსიტეტის დაარსების მიზნით.

როგორც ჩანს, ბევრს აბრეკლურად მოიწონა უნივერსიტეტის გახსნა თბილისში და შეიძლება ღონისძიებები კმაყოფილებას გამოიხატავენ მისი დაარსებისათვის სამზადისით,

თუმცა ფაქტობრივად განზე იდგნენ. 1917 წლის 24 მაისს და შემდეგ 28 მაისს დანიშნული უნივერსიტეტის დამსმარე საზოგადოების საორგანიზაციო კომისიის სხდომები დამსწრე წევრთა მცირერიცხოვნების გამო ჩაიშალა.

1917 წლის 3 ივნისს შედგა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოების კრება (დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. ყიფიანი, გ. ყურული, გ. აბაშიძე, ფ. გოგიჩაიშვილი). ამ პატარა ამონაწერი კრების ოქმიდან:

„თავ. კნ. აფხაზმა აღწერა კრებას, რომ ეს შესამე კრება კომისიის საერთო სხდომის შემდეგ, მაგრამ არც ერთხელ სათანადო კვრუმი არ ყოფილა და ამიტომ საქმე კერძო თათბირით თავდებოდა ხოლმე. თათბირი, რასაკვირველია, ენებოდა მთავარ საგანს ფულის შეგნისას, მაგრამ ჭკრჭკრობით არავითარი თვალსაზრისი საშუალება არ არის ნაჩვენებია.⁸ კ. აფხაზი ასახელებს იმ გზებს, რომლითაც შესაძლო იყო ფულის შეგნა. ესაა: საჯარო მომგზიანი ლოტარეის გამართვა (ამას მთავრობის ნება სჭირებოდა და მიიღებდნენ თუ არა ამ უფლებას ეს გაურკვეველი იყო), ან ქართულთა შორის „უწყებულ გარდასახდის გაცემა შემოსავლის კვალობაზე“. ან კიდევ კომპერატორებისგან (საქართველოში კომპერატორები მრავლად იყო) დახმარების მიღების მიღწევა.

ამ კიდევ ერთი ამონაწერი იმავე კრების ოქმიდან:

„თავ. ივ. ჯავახიშვილი. ამ საქმის დახანება მეტი არ შეიძლება. საჭიროა გამოკვეთილი იქნას საბოლოოდ, შეიძლება თუ არა მომავალი წლიდან უნივერსიტეტის გახსნა. მხოლოდ წინადადეგ დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ უსასრობის გამო უნივერსიტეტის არსებობა უცბად არ შეწყდება. ამ შემთხვევაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ მოწვეულ პროფესორებს, რომელნიც ახლა უზრუნველყოფილნი არიან რუსეთის უნივერსიტეტში და მხოლოდ ეროვნულ იდეის გამო მზად არიან დასთმონ ახლანდელი თეიანიო ადგილები, ოღონდ კი სამშობლო მეცნიერებას ემსახურონ. ქართველ პროფესორთა კონტაგენტი სრულ საშუალებას გვაძლევს ამთავითვე ორი ფაკულტეტი დავაარსოთ. სიბრძნის მეტყველებისა და საზოგადოებისმეტყველო, ოღონდ ნივთიერა სახსარო იყოს.“⁹ ივ. ჯავახიშვილის გამოცხადებაში ნათლად ჩანს დიდი ოპტიმიზმი და ღრმა რწმენა, რომ მალე უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი. თანაც მეცნიერის კონკრეტული წინადადებები აქვს მთელ რიგ საკითხებზე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ფ. გოგიჩაიშვილი: „ექვე-გარეშე ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ ქართველი საზოგადოება უმეტესად ხელს შეუწყობს მის არსებობას,

ამიტომ ყოველწლიური ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ საქმე დაეწყოს...¹⁰

შემდეგ კრებამ მოისმინა ი. ლორთქიფანიძის წერილობითი მოხსენება გადასახადის შემოღების შესახებ.

ნოეთიერი სახსრის გამოძებნის შესახებ თათბირის დროს აღიჭრა საკითხი იმ თანხის გამოყენებისა, რომელიც შემდგომი იყო თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლების სავალდებულო განაღდების ზედმეტი გადასახადისაგან. გადაწყდა ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დამამარე საზოგადოების პროექტის შემუშავება. ეს პროექტი უნდა წარადგენოდა შემდგომში მთავრობას დასამტკიცებლად. მისი შედგენა-მოწადება იყისრა ივ. ჯავახიშვილმა.

როგორც ჩანს, ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი აზრის შექმნას უნივერსიტეტის სასარგებლოდ და თბილისის ვარდა ქუთაისშიც დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ამ მიმართულებით. 1917 წლის 8 ივნისით დათარიღებულ წერილში ალექსანდრე ჯანელიძე ატყობნებს ივ. ჯავახიშვილს, რომ ქუთაისში ჩასულა პრივატ-დოცენტი რაზმაძე, შეუკრებია: შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, ლ. შუკლაძე და ალ. ჯანელიძე და გაუცენია უნივერსიტეტის საქმის მდგომარეობა, გადაუცია თუ რა კეთდება ამ მხრივ თბილისში და ზოგიერთ საკითხზე აზრი უკითხავს. ალ. ჯანელიძე კრების სახელით — წერს თავიანთ მოსაზრებებსაც ტერმინოლოგიის დადგენისა, უცხო მეცნიერების მოწვევისა და ქართული პროფესორისათვის პარობების შექმნის შესახებ.¹¹

ივ. ჯავახიშვილი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისას ითვალისწინებდა ამგვარად მოწოდებულ წინადადებებსა და მოსაზრებებს. 1917 წლის 15 ივნისს კომისიამ განიხილა ივ. ჯავახიშვილის მიერ მომზადებული პროექტი. გარკვეული შენიშვნების გამოთქმის შემდეგ სხდომა 22 ივნისს დაინიშნა წესდების პროექტის საბოლოოდ მისაღებად. ამ დღეს ივ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა წესდების შესწორებული პროექტი, რომელიც მოიწონეს და მიიღეს.¹² 3 აგვისტოს წესდების აღნიშნული პროექტი ნოტარიალური გაფორმების შემდეგ გადაეგზავნა მთავრობას დასამტკიცებლად. ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომელსაც იმხანად ხარლამოვი თავმჯდომარეობდა, უარყო წარმოდგენილი დოკუმენტიდან ძირითადი დებულებანი და იგი დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს გადაუგზავნა, ხოლო წესდება (აქედან ლატარიის მოწყობის შესახებ მუხლი უნდა ამოშლილიყო) თბილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა რეგისტრაციისათვის.¹³

დღივ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომ ქართული უნივერსიტეტის ბედი გარკვეული იყო — მისი გა-

ხსნა უზრუნველყოფილ იქნა. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უნივერსიტეტის პატრონობა არ შეეძლო და ამიტომ იგი ქართველი პატრონობის შენაწირი სახსრებით უნდა შენახულიყო.¹⁴

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი კრება; გახსნა ივ. ჯავახიშვილმა. მისივე წინადადებით თავმჯდომარედ აირჩიეს ექვთიმე თაყაიშვილი, საპატიო თავმჯდომარედ დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი. დამსწრე საზოგადოებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა ივ. ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობისა და იმ მუშაობის შესახებ, რაც გაწეული იყო მისი გახსნისათვის. ამის შემდეგ მოხდა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ახალი წევრებით შევსება (საზოგადოებრივ შედეგად: შ. დიდიანი, კ. გამსახურდია, ნ. ლომოური, ს. კლდიაშვილი, გ. ლამბარაშვილი, პ. ვარსაძე, ზ. ყანაშვილი, ნ. აკვხერელი-კობაძე, გ. მუხაძე, შ. მესხიშვილი, პ. კოთუა, გ. თარხნიშვილი, ა. სოლოლაშვილი, ა. თიანძე, თ. ჯავახიშვილი, ი. მერკვილაძე, ნ. ნაკაშიძე, ა. ელიაშვილი და სხვ.). კრებამ ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრის მექი ფაღავას განცხადების საფუძველზე წევრებად მიიღო ქუთაისის წარმომადგენლებიც. საერთო კრება გაიმართა 1917 წლის 8 ოქტომბერს. დაესწრო 200-ზე მეტი წევრი და გარეშე პირი. კრების საპატიო თავმჯდომარე იყო პეტრე მელიქიშვილი, თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, მდივანი ილ. ზურაბიშვილი. ამ კრების ოქმი გვაუწყებს: „პრ.-დოქ. ივ. ჯავახიშვილმა წარმოიტანა სიტყვა სამოქმედო გეგმის შესახებ. უწინარეს ყოვლისა ივ. ჯავახიშვილი შეეხო უნივერსიტეტის ნოეთიერ მხარეს“.¹⁵ ბუნებრივია, ეს არსებითი საკითხი იყო და სათანადო ღონისძიებების გატარებას მოითხოვდა. „მოხსენების მეორე ნაწილში ივ. ჯავახიშვილი შეეხო სამოსწავლო საქმის დაყენებას. მისის აზრით, ამ თავითვე შეიძლება დაარსდეს ფაკულტეტი სიბრძნისმეტყველებისა. ეს ფაკულტეტი შეიცავს ჰუმანიტარ სამეცნიერო საგნებს — როგორც, მაგალითად, ფილოსოფიას, საისტორიო, საფილოლოგიო და სპეციალურ საგნებს — ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკისა... თუ ამ თავითვე საბუნებისმეტყველო განყოფილების გახსნა შევიძლიოთ, მაშინ რაჟი სამკურნალო ფაკულტეტის პირველი ორი კურსი იგვეყვას, რაც საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მოეწყოს სამკურნალო ფაკულტეტი...“¹⁶

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა განუმარტა

როინ მებრძვლი

ხალხის სამსახურით მთავრონებში
სიცოცხლე



კრებას, თუ როგორ იქნება მოწყობილი უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილება, რომ აქ ისწავლიან არაბულ და სპარსულ ენებსაც და უნივერსიტეტი გაზაფხულის ამ ქვეყნებში თვალსაჩინო მოწაფეთ მეცნიერებაში გასაწერონელა და მერე მათვე გამოიყენებს თავისთვის¹⁷.

ივ. ჯავახიშვილის საქმიანი და შთამბეჭდავი მოხსენება ყურადღებით იქნა მოსმენილი. მომხსენებელს მადლობა გადაუხადეს.

უნივერსიტეტის დაარსებისათვის გაშლილი მუშაობა მეტად მიმზიდველი გამოდგა. ქართველი ხალხი სხვადასხვა კუთხიდან დიდი კმაყოფილებით გამოეხმაურა ამ მოვლენას. შესაწირვის სახით დიდი რაოდენობით შემოდიოდა თანხა, თანაც თავის მორალურ მხარდაჭერას უცხადებდნენ, ივ. ჯავახიშვილს. მეცნიერის არქივში დაცულია რამდენიმე ასეთი წერილი. იო, ზოგი მათგანი:

„მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს.

ღრმად პატივცემულ ბატონო ივანე! ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრმა უზომოდ გამაზარა, ვინაიდან გვძრნობ, რომ ამ აზრის განხორციელებით ჩვენს ქვეყანას ალორძინების ახალი ხანა უდგება.

ნება მიბოძეთ, მე, როგორც ჩვენი ერის წინ მსვლელობის მონატრე ერთმა ქართველთაგანმა, ერთდროულ დახმარებად ჩერ-ჩერობით მოვაროვებ ასი თუმანი (ათასი მანეთი) ქართული უნივერსიტეტის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად.

იმედია, თქვენის ჩვეულებრივი მუყაითობით ჩვენს სამშობლოს მალე ედრისება საკუთარი შეძლების სასწავლებელი, ჩვენს დედუქალაქ თბილისში.

დავთემა მარადის თქვენი ღრმად პატივისცემული ყარამან სიმონის ძე კიკნაველიძე¹⁸.

ამ ბარათში, გარდა უნივერსიტეტის დაარსების მოლოდინით გამოწვეული სიხარულისა, აშკარად ჩანს ის დიდი სიყვარული და ავტორიტეტი, რომლითაც ივ. ჯავახიშვილი უკვე სარგებლობდა. ამგვარი ბარათები ბევრი მოვიდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან. უნივერსიტეტის დაარსებისთვის საქმიანობას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებიც გამოეხმაურნენ. ისინი თავიანთ მორალურ მხარდაჭერასთან ერთად მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ იდეის განხორციელებას. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა ოვანეს თუმანიანი უნივერსიტეტს შესწირა 100 მანეთი ოქროთი, თანაც სწერდა: „მხოლოდ მეცნიერებს, ლიტერატურასა და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავლის უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი...“

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალხიდან და

კეთილშობილ ქართველს, რომელიც მომადრეკენაზე იღებს უმაღლეს განათლებას“ (1917 წლის 25 ოქტომბერი).

როგორც ჩანს, სომეხი ხალხის კუთვნილი შვილის ამ მისაღმებას დიდი გამაზნეველი გავლენა მოუხდენია ქართველებზე. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგებამ მაშალლობელი წერილით უპასუხა ოვანეს თუმანიანს: „თქვენს ღრმად მგრძნობიარე სიტყვებში, როგორც თავისი სამშობლოს საუკეთესო შვილისა და მისი ფიჭვების ნიჭიერად გამომახადელებისა, ჩვენ ვხედავთ ალერსსა და მისაღმებას მთელი სომეხი ხალხისა“—ო. მადლობის წერილს ხელს აწერდა კ. აფხაზი¹⁹.

საუნივერსიტეტო ფონდის შექმნაში ცალკეულ პიროვნებათა გარდა, მონაწილეობდნენ სხვადასხვა საზოგადოებები. ამგვარად, თანდათან იზრდებოდა თანხა და მიზანიც რეალური ხდებოდა. დღის წესრიგში დადგა პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის საქმე. 1917 წლის 9 ოქტომბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული კრება, რომელმაც სწორედ ეს საკითხი განიხილა და წერილით მიმართა ივ. ჯავახიშვილს:

„დიდად პატივცემულ ბატონო ივანე ალექსანდრეს ძე! ამა წლის 9 ოქტომბერს ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ და საფინანსო კომისიამ თავის პირველ შეერთებულ კრებაზე, ხსენებულ უნივერსიტეტის წესდების ძირითად დებულებათა თანხმად დაადგინა: ქართულ უნივერსიტეტისათვის პროფესორების მოწვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა მოგედლოთ თქვენ, ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს ბნ პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილს და მისკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია მიხეილის ძე კრაშაძეს.

განსაკუთრებულ სიახლოვებად მივითვლი გაუწყობთ ეს დადგენილება და გაზოგოთ კეთილინებოთ იკისროთ ეს საქმე და შედეგი თქვენს შეთანხმებულ მოქმედებისა ზემოხსენებულ პირებთან აცნობით გამგეობას.

გამგეობის თავმჯდომარე (ხელრთვა)²⁰

1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე შედგა საზოგადოების მეორე გამოყოფილი აკადემიური კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიანიშვილი, დ. უზნაძე, ა. შანიძე. სხდომის თავმჯდომარე იყო ივ. ჯავახიშვილი, მდივანი — ა. შანიძე. მიღებული იქნა დადგენილება, რომ დაარსებულყო ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც 3 განყოფილება: 1) ჰუმანტარულ მეცნიერებათა (ფილოსოფია, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, სოციალური მეცნიერებანი, პედაგოგია), 2) სამათემატიკო, 3) საბუნების-

მეტყველო. პირველ რიგში ჰუმანიტარული მეცნიერებთა განყოფილება უნდა გახსნილიყო. ფ. გოგიაშვილის დავიდა უნივერსიტეტისათვის ქართული გიმნაზიის შენობის მიღების საკითხის მოგვარება.²¹

1917 წლის 8 დეკემბერს უნივერსიტეტის მომავალ პროფესორებს (ფ. გოგიაშვილი, კ. კეკელიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე) ივ. ჭავჭავაძე აღუწა, რომ უნივერსიტეტის ძირითადი დღეულობა დამტკიცებული იყო. ამასთან, განიხილა ფ. გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

დეკემბრის დამლევს პრესაში გამოქვეყნდა განცხადება, ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ. ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა 1918 წლის 13 იანვარს შედგა. პ. მელიქიშვილი, ივ. ჭავჭავაძე, ა. შანიძე, ფ. გოგიაშვილი, ე. თაყაიშვილი, შ. ნუტუბიძე, ი. ყიფშიძე). სხდომას თავმჯდომარეობდა პ. მელიქიშვილი, მდივანი იყო ა. შანიძე. აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობა და ივ. ჭავჭავაძის მიმართეს თხოვნით თავს ელო უნივერსიტეტის რექტორობა. ამ წინადადებაზე ივ. ჭავჭავაძე იმდენივე კატეგორიული უარი განაცხადა და თავის მხრივ სხდომას მოუწოდა რექტორად პეტრე მელიქიშვილი აერჩიათ, რომელიც, როგორც თვით ივ. ჭავჭავაძე იღონა, „დიდელ ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუტანს ჩვენს უნივერსიტეტს“-ო... პროფესორთა კოლეგიამ მიიღო ეს წინადადება და პეტრე მელიქიშვილი აირჩია უნივერსიტეტის რექტორად. სიმბრძნისმეტყველების ფაქტუალური დეკლარაცია არჩეულ იქნა ივანე ჭავჭავაძე; პროფესორთა საბჭოს სწავლულ მდივანად — იოსებ ყიფშიძე.

დგება ქართველი ხალხის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მომენტი... ახლოდგება უნივერსიტეტის გახსნის დღე... გადაწყდა უნივერსიტეტი გაიხსნას 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობის 1918 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„...ივ. ჭავჭავაძე — აღუწა კრებას, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნა, — პროფესორთა კოლეგიის თაოსნობით, განზრახულა 26 ამა იანვრისათვის. 27 — კი დაიწყო ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს უნივერსიტეტის გახსნის ზეიმში, როგორც მასპინძელმა.

საღმრთაო საზოგადოებას კრებას გახსნის საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მერე სიტყვას წარმოუტყვამს უნივერსიტეტის რექტორი — პროფ.

პეტრე მელიქიშვილი. შემდეგ წაითხუილი იქნება უნივერსიტეტის საბჭოს მდივნის ლექცია. იოსებ ყიფშიძის მიერ მოკლე ისტორია უნივერსიტეტის დაარსებისა და დასასრულ ივანე ჭავჭავაძის წარუდგენს კრებას მოხსენებას უნივერსიტეტის მომავალ მოქმედებებს.

ამის შემდეგ ივანე ჭავჭავაძე წაიკითხა დღესასწაულზე მოწვეულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, თანამდებობის პირთა და სხვათა სია, რომელიც შეესებოდა შემდეგ დამტკიცებული იქნა.²² უნივერსიტეტის გახსნის მოლოდინში აღფრთოვანებული მოსე ჭანაშვილი 1918 წლის 23 იანვარს, გახუტ „საქართველო“-ში (№ 23) წერდა: „ივ. ჭავჭავაძე იყისრა ყველაზე დიდი ტვირთი — გუთნისდებოდა თვით ქართული მძიმე ღრმადმხვენილი გუთნის... ჭავჭავაძის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარა აგვინათო. ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად, მისი პირველი უნივერსიტეტი საგანგებო“.

დაღდა 26 იანვარი 1918 წლისა... ამ დღეს წყნეთის ქუჩაზე № 41-ში, გიმნაზიის შენობაში გაიხსნა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი — ქართული უნივერსიტეტი.

უმაღლესი ხალხმა მოიყარა თავი. ზეიმი შესაღილი სიტყვით გახსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი. შემდეგ სიტყვა წარმოუტყა უნივერსიტეტის რექტორმა პ. მელიქიშვილმა. ი. ყიფშიძემ წაიკითხა მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების ისტორიის შესახებ (მან გააკრიტიკა დროებითი მთავრობის შოვინისტური პოლიტიკა). ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს შეესაბამებოდა სხვადასხვა (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, პოლონური და სხვ.) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მოვიდა ბევრი მისალოცი დეპუტატი. სრულდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კიორხი მეორემ ამ დღეს საგანგებო პარაკლის გადაიხადა.

ზეიმის დასასრულს გათვალისწინებული იყო ივ. ჭავჭავაძის ლექცია, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ეს ვერ მოხერხდა. ქართული უნივერსიტეტში პირველი ლექცია წაიკითხა ივ. ჭავჭავაძე 1918 წლის 30 იანვარს.²³ ლექციის თემა ასეთი იყო: „აღამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობაში“.

ასე დაიწყო ქართული უნივერსიტეტის მუქიცვა.

გახსნისას უნივერსიტეტში 369 სტუდენტი

როინ მებრძოლი

ხალხის სამსახურით შთაბრძნავს
სიცოცხლეს

იყო. 89 — თავისუფალი მსმენელი. 1920 წლისთვის სტუდენტთა რიცხმა 2.500-ს გადაჭარბა.

უნივერსიტეტის შესვეურები ცდილობდნენ პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ავტორიტეტის გაზრდა-გაფართოებაზე. პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის წარდგინებით პროფესორთა საბჭომ 1918 წლის 15 მარტს თავის საბატო წევრად აირჩია გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე აკადემიკოსი ნიკოლოზ პავლეს ძე კონდაკოვი (1844-1925).

აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის მცდელობა უნივერსიტეტის წიგნადი ფონდის გაზრდის მიზნით. საარქივო მასალებში შემორჩენილია ივ. ჯავახიშვილის მიმართუა კიათულის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსადმი უნივერსიტეტის წიგნთსაცავისათვის ზოგიერთი წიგნის შეწირვის შესახებ. შემოწირულებები დაიწყო ფართოდ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა მრავალი ძვირფასი წიგნი. ამ წიგნებს შორის არის დავით სარაჯიშვილის მთელი ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტისადმი უდიდესი სიყვარულითაა გამთზარი ცნობილი ისტორიკოსის გიორგი ყორღანაის წერილი ივ. ჯავახიშვილისადმი, მისი მამის თეოდ ყორღანაის ბიბლიოთეკის უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ:

„დიდად პატივცემული ივანე ალექსანდრეს ძე! ამასთანვე გაახლებთ თქვენსეტ ცალს განსვენებულის მამის ჩემის „ქრონიკის“ I ტომისა, რომლებიც გათხოვთ გადასცეთ ჩემნის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას... კიდევ რამდენიმე ცალი დამჩნა სოფელში და თუ არეულობამ არ დამიშალა მათი ჩამოტანა, იმასაც ჩვენს ნორჩ Alma mater-ს მივუძღვნი. „ქრონიკების“ გარდა გაახლებთ სხენებულსავე მიზნით სხვადასხვა წაწერებს მაშინვემისა.

განზრახვა მაქვს — უნივერსიტეტსავე გადამოცე ყველა წიგნები, რაც კი დარჩა განსვენებულს, მისი მცირე ბიბლიოთეკა...

მარადის თქვენი პატივისმცემელი გ. ყორღანაი.“²⁴

ეს წერილი 1918 წლის 10 მაისითაა დათარიღებული. 5 ივნისს ივ. ჯავახიშვილს მადლობის ბარათი გაუგზავნია გიორგი ყორღანაისთვის. „...ჩვენი უნივერსიტეტის გამგეობა და პროფესორთა საბჭო დიდი მადლობელი იქმნება, თუ თქვენს სურვილს განაზოცილებთ და განსვენებულ მამის თქვენის წიგნთსაცავს უნივერსიტეტს შემოსწირავთ“-ო. გ. ყორღანაიამ უნივერსიტეტს გადასცა 282 სახელწოდების 460 ტომი და ხელნაწერები. ასე მდიდრდებოდა თანდათან უნივერსიტეტის წიგნთსაცავი.

ივ. ჯავახიშვილის დიდმა დაუღალავმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. უნივერსიტეტი აღმავლობის გზას დაადგა. თვითონ მეცნიერი გადამდილობას უჩიოდა და 1919 წლის 11 დე-

კემბერს ფაქტულტეტს მიმართავდა: „თქვენს წიგნთსაცავსა და ნახევრის განუწყვეტელი მუშაობისაგან უნივერსიტეტის გამგეობაში და ფაქტულტეტში მეტად დავიდალე და ამიტომ დეკანოზისათვის ვანებებ. გთხოვთ ახალი დეკანის არჩენვები დაუყოვნებლივ მოხდეს“-ო.²⁵ ამავე წლის 17 დეკემბერს მეცნიერი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარეს:

„ბატონო თავმჯდომარე! თუ ვინიცოხა პროფესორთა საბჭოს კრებაზე ჩემი კანდიდატურა წამოყენებული იქნა უნივერსიტეტის რექტორობის თანამდებობაზე არჩევის დროს, ვთხოვთ ამ ჩემი წერილობითი განცხადებით აუწყოთ საბჭოს, რომ მე უარს ვამბობ მეტისმეტი დადილობის გამო კანდიდატობაზე და თანაც ვთხოვთ იმ პირთა სიდიდან, რომელთაც რექტორობაზე ყენი ვყრებთ, ჩემი გვარი ამოშალოთ“.²⁶

პროფესორთა საბჭომ ვერ გაითვალისწინა მეცნიერის ეს თხოვნა, რადგან იმხანად, როცა შენსევეყური მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწყევდა უნივერსიტეტს, თუ ივ. ჯავახიშვილი თავისი ჩვეული ენერგიულობით არ ჩაუღებოდა სათავეში უნივერსიტეტს, შეიძლებოდა ეს დიდი წამოწყება ჩასაშლელად განწირულიყო...

1919 წლის 24 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილი არჩეული იქნა რექტორად. ამ თანამდებობაზე იგი 1926 წლის 24 იანვრამდე მუშაობდა. ეს დრო ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის შემდგომ კეთილდღეობას მოახმარა. მისი საზრუნავი და სამოქმედო არე მრავალმხრივი იყო. იგი ცდილობს გაზარდოს და აამაღლოს უნივერსიტეტის პროფესორის დონე, იზრტვის პროფესორ-მასწავლებელთა პირობების გაუმჯობესებისათვის, იწვევს საეციალისტებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, აუენებს საციხის უნივერსიტეტისთვის სტამბის გადაცემის თაობაზე და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფართო გასაქანი შეუქმნა უნივერსიტეტს, მისმა აღმშენებლობამ ფართო მასშტაბები მიიღო. ისინება ახალი ფაქტულტეტები, იხრდება კონტინგენტი, მძლავრდება პროფესორთა შემადგენლობა.

ივ. ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის რექტორი, სიტყვით გამოვიდა 1925 წლის მარტში სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე სესიაზე (თბილისში) და ხაზი გაუსვა ამ წარმატებებს, რაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველმა ხალხმა მოიპოვა სახელმწიფოებრივი და კულტურული აღორძინების საქმეში. „...თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — განაცხადა რექტორმა. — გარდა თავისი უშუალო ამოცანის საშისახურისა, იღებდა, იღებს და ყოველ-

თვის მიიღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მთავრობის კულტურულ ამბუნებლობაში, ხალხის ასაყვავებლად და საკეთილდღეობად.²⁷

ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი თანდათან იზრდებოდა, მძლავრდებოდა, იფურჩქნებოდა და საუკველთაო აღიარებას პოულობდა. თვით პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი ხმამაღლა აცხადებდა: «ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულიწამდგემელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერაფერ შეეცდებოდა და შეეზიარება».

1923 წელს გაზეთი „ლომისი“ წერდა: «მხოლოდ ერთი ადამიანი ჩასწვდა გულის სიღრმეში საქართველოს სინამდვილეს და განცხადება მშვენიერი ტრადიციები ქართული ისტორიული მეცნიერებისა. ეს ადამიანია ივანე ჯავახიშვილი».

ივანე ჯავახიშვილი მშროა მეცნიერი თეორეტიკოსი კი არ არის, იგი ამასთანავე ერთად არის პრაქტიკული მოღვაწე-ენათუხიასტი, რომელიც თავის კეთილშობილ სულში ატარებს საქართველოსა და მეცნიერებისადმი ჩაუქრო-

ბელ ცეცხლს სიყვარულისა, მხოლოდ ამ სიყვარულში შეაძლებინა ივანე ჯავახიშვილს ყოველგვარი დაბრკოლებანი გადაეღაზა და საფუძველი ჩაეყარა ქართული უნივერსიტეტის იტეტიკოსათვის. ქართული უნივერსიტეტი უდიდესი კულტურული შენაძნია, და საქართველოს ისტორიაშიც პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის სახელი ოქროს ასოებით იქნა აღბეჭდილი».²⁸

1938 წლის 25 მაისს უნივერსიტეტის ოცეწლისთავისადმი მიძღვნილი სესია სავანგებოდ მიესალმა უნივერსიტეტის დამაარსებელს — ივანე ჯავახიშვილს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ივ. ჯავახიშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ეს უნივერსიტეტის დამაარსებლის ღვაწლის დიდი აღიარება იყო.


ქართველმა ხალხმა მეცნიერის დამოიდებულება ცოდნის უკედავ ტაძართან იმით გამოხატა, რომ ივ. ჯავახიშვილის ნეშტი უნივერსიტეტის გზოში დაკრძალა... დიდი შემოქმედი მისივე ხელთ შექმნილმა ტაძარმა ჩაიკრა გულში, თავისი კალთა გადააფარა და არც დღეს აკლავს სიყვარულის უკედავ სითბოს.

შენიშვნები:

- 1 გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ., 9 ივლისი.
- 2 გ. ჩუბინაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, „მნათობი“, 1943, № 11-12, გვ. 209.
- 3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, მოხსენება წაკითხულია ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე 1917 წლის 12 მაისს თბილისში და 17 მაისს ქუთაისში, თსუ შრომები, XXXIII, თბ., 1948, გვ. 1.
- 4 იქვე.
- 5 იქვე, გვ. 7.
- 6 იქვე, გვ. 11.
- 7 ს. ჯორბენაძე, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება, კრებ. თბილისის უნივერსიტეტი (1918-1968), თბ., 1968, გვ. 16.
- 8 ცსა (თბ.), ფონდი რ. — 471, საქ. 1, ფურ. 7-8; საისტორიო მოამბე 21-22, თბ., 1967, გვ. 331.
- 9 იქვე.
- 10 იქვე.
- 11 ალექსანდრე ჯანელიძის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, ცსა (თბ.), ფონდი რ. — 471, საქ. 27, ფურ. 30-31; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 333-334.
- 12 იხ. ქართული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი ღებულებანი, შედგენილი ივანე ჯავახიშვილის მიერ, ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 27, ფურ. 33-35, საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 336-339.
- 13 ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 17.
- 14 დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1968, გვ. 199.
- 15 იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 3-ა, ფურ. 3-4, საისტორიო მოამბე, 21-22, 1967,

- გვ. 334-335.
- 16 იქვე.
- 17 იქვე.
- 18 იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 27, ფურ. 28; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 335-336.
- 19 ს. ჯორბენაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21.
- 20 იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 27; ფურ. 25; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 336.
- 21 ეს ის შენობაა, სადაც ამჟამად უნივერსიტეტი მოთავსებულია. აგებულია ზღოთმომღვარე სიმონ კლდიაშვილის პროექტით. იხ. ვახტანგ ბერიძე, ზღოთმომღვარე სიმონ კლდიაშვილი, თსუ შრომები, XXXIII, თბ., 1948, გვ. 35-71.
- 22 იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 3-ა, ფურ. 12; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1947, გვ. 339.
- 23 ს. ჯორბენაძე, პირველი ლექცია თბილისის უნივერსიტეტში (წაკითხული ივანე ჯავახიშვილის მიერ), გაზ. თბილისის უნივერსიტეტი, 1966 წ., 18 თებერვალი.
- 24 იხ. ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 3, ფურ. 20; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 342.
- 25 ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 26, ფურ. 113; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 369.
- 26 ცსა (თბ.), ფონ. რ. — 471, საქ. 24, ფურ. 69-70; საისტორიო მოამბე, 21-22, თბ., 1967, გვ. 374.
- 27 გაზ. „კომუნისტი“, 1925 წ., 10 მარტი.
- 28 გაზ. „ლომისი“, 1923 წ., 21 იანვარი, № 21.

ქიქოშვილი ნაფიჩაძე



ვლადიმერ ჯიბუში

გამხალღილი ფიქრები

ზნირად გყოფილვარ გამიჩენილი ქართული პოეტის კოლხ ნადირაძის სტუმარი, ბევრ-ჯერ გვისაუბრია ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებზე, თანამედროვე მწერლების შემოქმედებაზე; ამ საუბრებიდან ზოგი რამ ღრმად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში და, ვფიქრობ, მისი გამხელის დრო დადგა.

კ. ნადირაძე სამწერლო ასპარეზზე რევოლუციამდე გამოვიდა და ცხოველი მონაწილეობა მიიღო „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ჩამოყალიბებაში, იზიარებდა ამ ორდენის ესთეტიკურ შეხედულებებს და მხატვრული სახეებით განყენებულ ცნებებს გამოხატავდა. მისი აზრით, საგნები, მატერია, ბუნება, ყოფიერება მხოლოდ ადამიანის ცნობიერებასა და წარმოდგენაში არსებობს, იდეების უხეში ანარეკლია. მაგრამ შემდეგ დაწერა „წითელი მოედანი“ (1924) და სავალდებულო წესად მიიჩნევს მძაფრი მხატვრული ფორმის შემოქმედებით შერწყმას თანამედროვე რეალურ სინამდვილესთან.

დღეს კოლხ ნადირაძე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

რამ შეუწყო ხელი ამ გარემოებას?

მრავალმა პირობამ... მაგრამ უმჯობესია მოვეუსმინოთ თავად პოეტს:

— ჩემი სკოლის მეგობრები იყვნენ ბესო ლომინაძე, ვალდია ჯიქია, ახლო ვიცნობდი ვალია ბახტაძეს და ბევრ სხვა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს. ერთმა მათგანმა 1921 წელს მითხრა: „ჩვენ მოვედით არა მარტო იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება სამუდამოდ დაგვამყიდროთ, არამედ აგრეთვე მოვიტანოთ სიყვარული და პატრიუტისემა ყოველივე იმისა, რითაც კაცობრიობას შეუძლია იამაყოს. ეს არის ჩვენი მიზანი“. ამ სიტყვებმა დამაფიქრა და თვალის გამოცვლაში დამეხმარა. ეს ერთი. მეორე, და მთავარი:

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩვენში უჩვეულო ტემპით განვითარდა ცხოვრება, ყოფაში დამაჩერებლად შემოიჭრა ის, რაც ერთ დროს განუხორციელებელი გვეჩვენებოდა, საოცრად გაფართოვდა ადამიანის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობა. პოეტსაც მეტი გასაქანი მიეცა. აი, ეს გახლდათ მთავარი მომენტები ჩემ შემოქმედებითი განახლებისა“.

მ. ჯავახიშვილს ალბათ კ. ნადირაძის პოეზიაც ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა, ოქტომბრის შემდეგ ლექსი ძირიან-ფესვიანად გადასალისდა, ენა ლექსიკურად გამდიდრდა, სტილი დაიხვეწა.

ხელოვნების მიზანია ზნეობრივად აღამაღლოს ადამიანი, გააუმჯობესოს ცხოვრება, მშვენიერება მისაწვდომი გახადოს ყველასათვის. თუ ნაწარმოები ამ დიდსა და საპატიო საქმეს სათანადოდ ვერ ემსახურება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალს თავისი სამუშაო არსებობის წყაროდ გაუხდია. ხოლო პირადი ხეირის მიზნად დასახვა, როგორც სტენდალი ამბობს, კლავს ხელოვნების ყოველგვარ ნაწარმოებს. კ. ნადირაძე მათი ანტიპოდი, ფულისათვის არასოდეს არაფერი დებუწერია. მისი ლირიკული და მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული პოეზია ნამდვილად ეხმარება ადამიანს მატერიალური სამყაროს შეცნობასა და ცოცხლად აღქმას.

მიანც ვერ შეებდეს. სამაგიეროდ, მისი საფლავი დიდ ხანს იყო სავალალო მდგომარეობაში. მთაწმინდის ღორღი დღითი-ღღე წალცევის უქადად უყურადღებოდ მიტოვებულ სამარეს და ეხლა შეიძლება მოვიგონოთ, რომ იოსებ იმედაშვილის კერძო ინიციატივით, მისი დაუცხრომელი ცდისა და თავგაიოღების წყალობით გაეთდა პირველი საყრდენი კედელი აკაცის საფლავთან მთის შესავებელად. მისი მოვლა-პატრონობისათვის სპეციალური კომიტეტი იყო დაარსებული „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციასთან.

აკაკი რომ გარდაიცვალა, მამაჩემი, როგორც დამკრძალავი კომისიის წევრი და „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორი, სანხერგოში გაემგზავრა ჩამოსვენებაში მონაწილეობის მისაღებად, რამაც უფრო გააძლიერა ჩემი ყურადღება ამ ისტორიული სიკვდილისა და დამარხვის დღეებისადმი. მთელი ქართული ერი იყო ამ ამბით ეგზალტირებული. ხალხის სავარაუდო მგოსნის დამარხვა უფრო დიად ზეიმს ჰვადდა. ისიც იგრძნობოდა, რომ ასეთი საერთო სახალხო გლოვით ჩვენს ხსოვნაში არც ერთი პოეტა აღარ დაიმარხებოდა.

მასისთვის, აკაკი ქაშვეთის ეკლესიაში იყო დასვენებული, თუთიის კუბოში, რომელსაც ზემოდან პატარა შუშა ჰქონდა ჩატანებული, რომ მნახველთ შეძლებოდათ მისი სახის დანახვა. მე კუბოშიაც დიდი მენვენა მისი სახე, თუმცა ფერმკრთალი იყო ქანდაკებით.

აკაკი რომა საუკუნეში ერთად დაიბარა — ჯერ კიდევ შემორჩენილმა მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციამ, თავდაზნაურობამ, სამღვდელოებამ, ამქრებამ, ქარხანა-ფაბრიკების მშენებმა, ხელოსნებმა, გლეხებმა, ვაჭრებმა და მოწაფე ახალგაზრდობამ. ქართველი ერის გლოვა მხოლოდ თანაგრძნობით გაიწაწა კავკასიის ხალხთა წარმომადგენლებამ — ქრისტიანებმა, მამამლიანებმა თუ ებრაელებმა.

განუყოფრებელი იყო ვასევენება ქაშვეთის ეკლესიიდან მთაწმინდის პანთეონისაკენ. მგალობელთა რამდენიმე გუნდი მიაცილებდა ცხედარს — ეროვნულ ტანისმოსში გამოწყობილნი ქართლ-კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი. ერთი გუნდი რომ დაამთავრებდა გალობას, მეორე იწყებდა და ყველას ახსოვს ერთადერთი დადნის გვირგვინი მეტად მოკლე, მაგრამ უაღრესად შთამბავინებელი წარწერით: „აკაკის — საქართველო“. აკაკის სიკვდილი დიდი რაღაცის თქმა იყო ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისათვის მრავალმნიშვნელოვანად საგულისხმებელი.

1915 წელი დიდი აღამიანების სიკვდილის წელი იყო ჩვენში. ცოტა ხნის შემდეგ ხომ ვეცად გარდაიცვალა და ამ წლით და ამ ორი სიკვდილით თითქმის გათავდა ერთი დიდი მიჯნა ქართული პოეზიისა. ვინდა რჩებოდა საქარ-

თველოს, — პოეზიის ქვეყანას, აკაკისა და ვასას სანაცვლოდ? ერის გულში ვინ დაიკავებდა იმ აღვალს, რაც ამ სიკვდილით დაცარიელდა? ვინ უნდა ყოფილიყო ერის პოეტ-მოძღვარი, ხალხის მამად აღიარებული მოჭირნახული, მესაიდუმლე — ეს არავინ იცოდა, თუმცა რევოლუციური მოძრაობით გამხმენებული ახალი თაობის წარმომადგენელიც მერტ გაბედულებით ისწრაფოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი ადგილის დასაკავებლად და ლექსის მწერალიც ბევრი იყო, — ამაზე გარკვეული მასუბის გაცივას ათამდე წელი მიანც დასჭირდა.

ვაჟა-ფშაველა დიდებუში დაიკრძალა, ისიც მთელი ქართული ერის დიდი გლოვა-თანაგრძნობით, მაგრამ არა ისეთი მწყნრეველ პოეტით, როგორც აკაკი. თან ვეფას მაშინ მიაწმინდა რომ არ აღირსეს, იმიტომ ხომ არა, რომ მაშინ ვაჟა აკაკის რანგისა და მნიშვნელობის პოეტად არ მიიჩნიეს. ყოველ შემთხვევაში ორი ათეული წელი იყო საჭირო, რომ „გველის მშაშელის“ ავტორისათვის მთაწმინდაზე კუთვნილი ადგილი დაეთმოთ, რითაც ღირსეულად შეივსო ქართული მწერლობის შემოკრძალ სთაყვანებელ სახელთა სამეული — ილიისი, აკაკის, ვასის.

ვაჟა-ფშაველას ჯეროვანი დაუფსებლობა იყო საუკუნეობრივი უსამართლობა, რასაც თავის ღრუზე ბარათაშვილიც ვერ ასცდა. აქ ისიცა გასასტუმრებული, რომ როგორც ფირისმანს დიდხანს ვერ აშწნევენ და ვერა ხვდებოდნენ, რომ ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო, როცა მას უბრალო მღვდლავად თვლიდა. იყო ღრუ, რომ ვაჟა-ფშაველას ფშაველი მეღვწესე ეკონათ და ზოგიერთ კრიტიკოსს პრიტიკავდაც მიანდა. სხვებზე რალა ეთქვათ, როდესაც მე თვითონ არაერთხელ შევკამათებარ ბაჩანას, რომელსაც ამოად ვუმტყეებდო, რომ ვაჟა დიდი რანგის შემოქმედია.

არანაულეხ სამწუხარო ვაუგებობა და ცილისწამება იყო თითქმის ვეფას ხალხური პოეზიისა და ქართული მწერლობის იქით სხვა არავერი არა სიოდნოდეს. სინამდვილეში, როგორც მაშაქმის დაბეჭთებული მტკიცებით მასისთვის, ვაჟა-ფშაველა ფილოსოფიის ეტანებოდა, განსაკუთრებით ჰეგელს და ლესინგის „ლაოკონს“ ხშირად კითხულობდა. ეს ღრმა განათლება, ფართო ინტერესები, ქართული ენის დიდი ცოდნა და გემოვნება ვაჟამ ხომ თავისი შესანიშნავი პროზითა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებითაც კარგად დამტკიცა. ის კი რამდენს ნიშნავს, ილია ვეფას რომ გასცნობია, თუქვამს — ისეთი დიდი პოეტი მოვიდა, მე კალამი უნდა დადგო...

ჩარკვულ რაზიკაშვილთაგან გამოსული ვაჟა უბრალო ფშაველი გლეხაკი იყო, ბოლომდე ღარიბი, თუმცა ამაყი, ამასთან უბრეტენ-

ზოო და თავისი სიღარიბით არასოდეს არავის არ აწუხებდა. ცხოვრობდა ფშველად, საყუთარი ხელით გომურსავეთ აგებულ ბინაში. კრატზე წერდა. თვითონ ხნავდა, თესდა, ნადირობდა. ცოლ-შვილს ვაინანრობით ინახავდა. ურბანის პალატი და ნატურალური მტერი, ყოფილი და გარეგნობითაც ფშველ სოფელად ღარბა, გლეხური ჩოხა, ქალაქები არსოდეს მოუწირებია და მუდმივად მწყემსურ-მონადირულ გარემოში ტრიალებდა.

ვაჟი ქალაქს მხოლოდ სტუმრად ეწვეოდა ხოლმე, ისე რომ ნარკადიდან თბილისში ჩამოსულს, ღამის გასათევი ადგილი ზმირად საძებარიც ჰქონდა და ზოგი მასპინძელიც ყოველთვის გერა ფარავდა უსიამოვნო გამოშვებულებას მისი მტერიანი ფშველური ტანისამოსისა და ტალახიანი წინდების შევლევას.

ვაჟა-ფშაველას სტუმრობა ყოველი ქართული ოჯახისათვის პატივი და სახარული იყო. მით უმეტეს, მამაჩემის ოჯახისათვის, სადაც, საერთოდ, კულტურის მოღვაწეთათვის პურის ქამა, ნუგეშის ცემა, ღამის გათენება თუ დამკვირვება ხშირი იყო. ბევრ მწერალსა და მოღვაწეს დამშვეულს და უბინაოდ დარჩენილს ჩვენ ღარიბულ ოჯახში საიმედო თავშესაფარი უნახავს. ზ. კიკინიძის და პაჩიასაგან დაწყებული გალაკტიონ ტაბიძემდე თუ ტერენტი ვრანელამდე. თავის დროზე ჩვენ სახლში, მოაწმინდაზე, სადილად ყოფილა მაშინ ვინმე პეშკოვი, ჭარ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მწერალი, მომავალ მაქსიმ გორკი, რომლის მოთხრობათი პირველი ქართული გამოცემა გაბედილი ხასიათის წინასიტყვაობით მაიმე 1902 წელს განხორციელა.

ვაჟს ჩვენს სახლში ერთ-ერთი ვახშობობის კურობი მომხდარა — პოეტის ლეონი რომ გადაუტარავს, სახე დამანკვია და მამაჩემი მიმხედარა, რომ ლეონი დამძარბულიყო... მაშინვე წასულა და ახალი ლეონი მოუტანია. ვაჟს არაფერი უთქვამს, ის დამძარბული ბოთლი მაინც ბოლომდე დაუღუვია, ახალიც დაუყოლებია, მერე კი ბევრი უცინიათ და უხუმრიათ — ფშაველისათვის ესეც კარგი ღვინოა.

ვაჟს და მამას ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ერთმანეთის ნდობისა, გულთბილობისა და უზრალეობისათვის, თავი ერთი კუთხისანებად მიიწინათ და ალბათ ამიტომაც ერთხელ ვაჟს ისიც უთქვამს მამისჩემისათვის — თქვენ ფშველ იმედს ჩამომგლეხა ბართო. მათი მთავრობა ცხრასიან წლებამდე დაწყებული, როდესაც ფშველი პოეტი ის იყო თავისი დიდების მწვერვალსაყენ გზას მიიკვლევდა, მამაჩემი კი რევოლუციონერ მოძრაობაში იყო ჩაბმული და თუ ჭარ ამ მიზნით ქაშვეთის ქუჩაზე პუტინისტური საეპრო ჰქონდა მოწყობილი, შემდეგ სახალხო წიგნების გამოცემას, მუშათა თეატრის ხელმძღვანელობასა და პროპა-

განდისტობას მისდევდა XIX საუკუნის ბოლოს 1897 წელს მამამ ვაჟა-ფშაველას „ბატარიონს“ პირველი გამოცემა განხორციელა. სიველისხმოა, რომ იმავე წელს გამოსცა ისევე თბილისის „დღემოურავიანი“, შემდეგ კი პეტეინის (1899), გორკის (1902), ბანანის (1902), თუ სხვების თხზულებანი.

წიგნების ასეთ თემატურ შერჩევაში ღარიბი მკითხველი საზოგადოებისათვის, თვითონ ვაჟასადმი მიდგომაზე ჩანს. მისი ცნობილი პოემა „ბატარიონი“ სახალხო წიგნების საგამომცემლო გეგმაში კარგად უბასუხებდა ცარბსტული თვითმპყრობელობის დროს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეალებს, რომელთა პროპაგანდაშიც ისტორიულ-გმირული წარსულის ეპიზოდები ბევრით ცენზურის უზრალეობასაც თვალს უხვავდა და იმავე დროს ხალხში აღვიგებდა ყოველგვარი დამპყრობეობის, მოძალადეობისა და სამშობლო ქვეყნის მტრებისა და მოღალატეობის წინააღმდეგ შუარისძიებისათვის მზადყოფნის განწყობილებას. ეს თემა თავისი შინაგანი აზრითა და მნიშვნელობით ერთნაირად ესმოდათ პოემის ავტორსაცა და მის გამომცემელსაც და ისიც კარგად იცოდნენ, რომ „ბატარიონში“ თთრებთან ბრძოლა და მთავან ქართული მიწის გათავისუფლება ეხმარებოდა ახლო მომავლის სულისკვეთებას.

* * *

მაშინდელ ჩემ ბავშვურ წარმოსახვაში, ახლა რომ მაგონდება, ვაჟი ჩამოვარდნილი თვალის უპეით და მეტად გახდარი, როგორც მინახავს ის ჩვენ სახლში მოსული, თუ ხცენაზე ღვქით გამოსული, რაღაცნაირად მესმის თუ რატომ კერ ჰქმნიდა ის უცხად აკაცისეით გარეგან საერთო მოუგერიებელ ეფექტს. თუმცა, ტანით ალბათ აკაცზე მალაღიკ იყო, ცალკე მღვარი აკაცი მაინც დიდი ჩანდა. ვაჟს სახეს თანდათან ამოკითხვა უნდოდა, ჩაეჭებოდა სიღრმეში. პოეზიაში კი ერთმანეთის ღირსები რომ იყვნენ, ეს მხოლოდ მომავალმა გამოაშკარავა და აღიარა ჩვენს დროში, და ამ შხრავს, გასახსენებელია ოსებ იმედმშვილის წინასწარმეტყველრად ნათქვამი საყურადღებო სიტყვები წერალში „ბუენების მესაიდუმლო“, „ვაჟის ღირსეული დავისება მომავლის საქმეა“ („თეატრი და ცხოვრება“, 1915, 2 აგვისტო, № 31, გვ. 5).

ვაჟა-ფშაველა ავიდ რომ განდა და სიმკრნალოდ თბილისში ჩამოიყვანეს, სათავადანაურო ვიმნახის შერობაში განლაგებულ სამხედრო ლაზარეთში მოათავსეს, რომელიც მაშინ,

ბაიოზ იმადუშვილი

ზოგი ბახანინება და ფიქრი

ბატაქიში, მამაში, გალაკტიონში



ომიანობის პირობებში საუკეთესო ექიმებით, მედიკამენტებითა და კარგი მოვლით იყო ცნობილი.

სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე ვაჟი-ფშველას ერთი თქმა გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში, რომლის წარმოშობის მომსწრე და ერთგვარი უშუალო მონაწილე მეც ვიყავი. ერთხელ მამამ ვაჟს სანახაოდ მე და ჩემი უფროსი ძმა შალვა წაგვიყვანა. ვარდები მივუტანეთ, ძალიან გაიხარა, აწრიალდა და მამა-ჩემს უთხრა — სადა გვეყვართ გამოძწყვდეული, ოჯახბოროტო, ეს ბალები მიხვდნენ, რაც მიიდა, თქვენ რატომ არ გვსმით, ჩარგალში წამიყვანეთ, ბალებებში გავგორდეთ.

ავადმყოფი ვაჟს რამდენჯერმე ნახვის დროიდან მესსიერებაში ყველაზე მეტად ჩამჩხა შემავლთებელი მოლოდინის გრძნობა იმისა, რომ დიდი პოეტის ავადმყოფობა შეიძლებოდა სახელისწიროდ დამთავრებულიყო. ამ განწყობილებას აძლიერებდა ომის ფსიქოზში ყოველგვარ გაჭირვებასა და უხედურობასთან, ცრემლის, შიმშილის, სისხლის, დიდი მსხვერპლის გაღების აუცილებლობასთან ერთგვარი შეჩვევა.

ვაჟ-ფშველა თანდათან უფრო ცუდად რომ ხდებოდა და მორჩენის იმედი აღარ იყო, მამაჩემმა თავისი ჟურნალისათვის სპეციალურად ფოტოგრაფი ევანია მოიყვანა, ლოგინში მყოფი პოეტის სურათი გადააღებინა, რომელიც მორიგე ნომერშივე დაბეჭდა შემდეგი წარწერით: „ავადმყოფი მგოსანი ვაჟა-ფშველა წმ. ნინოს ქართველთა ლაზარეთში და მისი მომვლელი მოწყალების დანი“ („თეატრი და ცხოვრება“, 1915, 12 ივლისი, № 28, გვ. 9. იგივე სურათი მეორედაც დაბეჭდა ვაჟს 27 ივლისს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, იქვე, 2 ავგისტო, № 31, გვ. 3). ამ სურათში ვაჟს სასთუმალთან ოთხი მოწყალების და ზის.

სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშველას უკანასკნელი გამოსახულების ეს ღირსსასწოვარი ფოტოგრაფიული დოკუმენტი, მისი გადღების თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ჩანს იმის იმედით, რომ ამ აშბის მომსწრე სხვა ცოცხალი მოწმე აღარ არსებობსო, ერთმა მოწყალების დათვანმა, მარტო გამოეჩინა ხალხის საყვარელ მგოსანთან გადღებული, — გასაყალბებლად გაიმეტა. მან ვაჟს სურათს, საწოლთან მდგომი სამი მოწყალების და ჩამოაჭრა და მათთან ერთად თვითონ პოეტის მთელი ტანი ლოგინიანად კისრამდე ისე მოპკვეთა, რომ სურათზე ვაჟის მხოლოდ თავია დარჩენილი. დიდ პოეტთან სურათის გადღებით დაუმასხარებელი პატივის მქონელობა მოახერხა ისტორიული სურათის ამ დამახინჯებელი რეკონსტრუქციით შეცდომაში შეყვანა ჟურნალ-გაზეთების რედაქციები (საბჭოთა ქალი“, „მნათობი“, „დროშა“, „სოფლის ცხოვრება“) და ეს ნივთები არა ერთხელ წარუდგენია ჩვენ საზოგადოებას სხვადასხვა პუბლიკაციებში ერთმანეთის შეუთავსებელი და საწინააღმდეგო, გამოჩენილი „მოგონებების“ დართვით. ვაჟა (მოგონება), ჟურნ. „საბჭოთა ქალი“, 1960, № 7, გვ. 12; ვაჟს სასთუმალთან, ჟურნ. „მნათობი“, 1961, № 5, გვ. 172-174; მგოსნის სასთუმალთან, ჟურნ. „დროშა“, 1961, № 7, გვ. 11; დიდი მგოსნის სასთუმალთან, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1971, 27 ივლისი.

თუ ვაჟს სურათის პირველი პუბლიკაცია 1915 წელს „თეატრი და ცხოვრებაში“ ეხლა შეიძლება დაიწყებული იყოს და რედაქციების ახალი თაობის მუშაებს ამ სურათის ნამდვილი პუბლიკაცია არც 1937 წელს სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული მცირე-ტირაჟიანი წიგნის მიხედვით ეცოდინებოდათ „ვაჟა-ფშველა. დოკუმენტები და მასალები“ (480-481 გვერდებს შორის), ყოველ შემთხვევაში მათ უნდა სცოდნოდათ 1940 წლის გაზ. „კომუნისტის“ პუბლიკაცია მაინც (9 ავგისტო № 183, გვ. 4), რომელიც დართული აქვს იოსებ მედამეშვილის სტატიას „ვაჟას ავადმყოფობა და გარდაცვალება“.

უფრო სამწუხაროა ისიც, რომ ვახტანგ რაზიკაშვილმა თავის წიგნში „მამაჩემი ვაჟა ფშველა“ (1961, 202-ე გვ.), რომელიც საერთოდაც არ არის დაზღვეული დასაწინააღმდეგებებისაგან, ეს ნაყალები სურათი გამოაქვეყნა. ასევე სამწუხაროა, რომ რაღაც გაუგებრობით, ეს ნაყალები სურათი უფრო გადიდებული ფორმატით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი კორპუსში „ამშვენებს“ ვაჟა-ფშველას კაბინეტის მუდმივ გამოფენას.

* * *

აკაკის განუსაზღვრელ ავტორიტეტსა და გავლენას, მისი შთაგონების ძალასა და ყოვლისმოდუნე ბიზნესის უფლებას არა მხოლოდ ლექსის საქმეში, მთელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერაფერს გაეცეოდა. ვანა შეგძლო ვინმეს არ დამორჩილებოდა პოეზიის მსაჯულად აკაკის აღიარების საერთო ტრადიციას? მით უმეტეს მაშინ, ჯერ კიდევ საესე-ბით უცნობს, დაუბეჭდავი ლექსების ახალგაზრდა ავტორის, როგორც იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც 1907 წელს საკუთარი ლექსების მოზრდილი ზელანური კრებული საჩხერეს მიამწერა, რომ დიდი პოეტის მსგავსი საკუთარი პოეტური ნიჭის დადასტურება მოესმინა.

ეს შეხვედრა ზამთარში მომხდარა, ისე რომ როდესაც გალაკტიონი დიდის რიდიდან და შიშით აკაკის სახლში შესულა, მოხუცი პოეტი ბუხართან ცეცხლის პირას დახვედრია. აკაკის შეკითხვაზე, თბილისიდან რა საქმეზე ჩამოსულხარო, გალაკტიონის ზელანური უჩვენებია, —

ჩემი ლექსები უნდა გავაცნოთ, თქვენი აზრი მაინტერესებსო და კითხვა დაუწყია. აკაკი თავიდანვე ლიბერალთა შეხედობა გალაკტიონს, ლექსების ყურისგდებაში კი ერთხელაც შესამჩნევად ჩაუტყინა, რასაც თავზარი დაუტია მეტად თავმოყვარე და ეგვიანი გალაკტიონისათვის. თავისი ლექსების მღელვარე კითხვაში იგი ძლიერ უძლებდა აკაკის აღმაციერ ლიბერალს, ამ უცებ ჩაყინებაში კი დაკინდა დაუნახსოვ. უფიქრია — ჩემი ლექსები არ მოსწონსო, მით უმეტეს, რომ აკაკის რამდენჯერმე შეუნიშნავს, „ეს ვიციო“. ხომ არ პკონია, ეს მისი ლექსის მიბაძვა, ხომ არ მეუბნება, ეს მეც მაქვს დაწერილიო, ეს მოტივები ჩემგან ავიღაო. თან მოხუცი პოეტის იდემალებით მოსილი ჩაცივნება რა იყო? „დამცინის, ლექსები დამიწუნა“, — ელვის სისწრაფით უფიქრია გალაკტიონს, და უცებ გონება ისე ამღვრევია, თვალწინ მხოლოდ ცეცხლსა და თავის დაწვნიებულ ლექსებსა ხედავდა, რომელიც ერთ წამს შესაჯავრებლად, როგორც დიდი თავშერცხვინის მიზნები. რა ექნა? — ერთადღისათვის სტრვილი იყო, ეს საშინელი წამები ჩქარა გათავებულყო. აქამდე აღფრთოვანებულ ახალგაზრდას ეხლა ყველაფერი სიკვდა და მწვევე ფიქრი ელვისებურად დაპატრონებია მის გონებას — გათავისუფლდეს ამ სირცხვილისაგან და კარგად მოფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ლექსების მთელი ხელნაწერი აკაკის თვალწინ სასწრაფოდ ბუხარში შეაგდო. ისტყე მღუმარებაში ლექსები იწოდა და მშველელი არავინ იყო, გალაკტიონი ეცეცხლისაგან ვეღარ გადაარჩენდა ლექსებს, აკაკის კი რიგიანად არც უცდია დაემშვიდებინა გაწილიებული ახალგაზრდა.

ყველაფერი ეს ერთ-ერთი გულგახსნილი საუბრის დროს წყნეთში მის აგარაკზე გასვინებისას თვითონ გალაკტიონმა მიაშპო. სულგანებული გუგდებდი ყურს პოეტის ამ მოულოდნელად დაწყებულ საინტერესო მოგონებას და ჩანდა, რომ აკაკისთან ამ სტუმრობას მის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საკვირველი ის იყო, რომ ამდენი ხნის — მთელი ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგაც, მაინც ცხოვლად ანდა გალაკტიონს — უკვე პოეტური დიდების მქონე, — ამ ღირსსახსოვარი, მაგრამ იმედგამაცრუებელი შეხვედრის შთაბეჭდილება. ეს ჩემთვის მოულოდნელი აღსარება მით უფრო უჩვეულო იყო, რომ გალაკტიონი საერთოდ, დახურული პიროვნება იყო, ჩვეულებრივად უმნიშვნელო წყარომანებზე ბაასობდა და ისიც იგრანობდა ხოლმე, რომ სხვა რამეზე ფიქრობდა და სულ სხვა რამეზე კი ლაპარაკობდა, თითქმის მიაშტადიც, ნამდვილად კი ეს შეიძლება გოროზობითა და ამპარტავნობით მოსდიოდა. ამიტომ იყო, რომ გალაკტიონი ჩვეულებრივ არაფერს იტყოდა საკუთარი შემოქმედებითი განზრახვის

მართლაც საინტერესო საშყაროზე. ერთი სიტყვით, ეს ბაასი უჩვეულო იყო კაცისაგან, რომელშიაც საკუთარი ღირსებისა და სიამაყის შეგნება ზშირად მედიდღერობასა და მიუჯარებლობაშიც გადადიოდა. მისივე ამ მოგონებით კი, თითქმის საკუთარი პოეტური თავმოყვარეობაც იყო შესახელი, პოეზიის მაშინდელი დიდი არაბიტრის მიერ მისი პოეტური მომავალი ემეძვეუ იყო დაყენებული. არ შეიძლება აუარადლება არ მიმეჭეა იმისთვისაც, რომ გალაკტიონი დაინებით იმეორებდა „აკაკიმ ჩაიციანო“, „აკაკიმ თქვა, ეს ვიციო“.

საჩხერის ამ ეპიზოდის განცდა და გახსენება, ჩანს, პოეტის შთაგონებაში მუდმივად ცოცხლობდა, რასაც ეხმაურება აკაკის ხსოვნისადმი გალაკტიონის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულება. დიდი პოეტის გარდაცვალების პირველსავე დღეებში გალაკტიონმა დაწერა ლექსი „აკაკის ლანდი“ (გაზ. „ახალი კალი“, 1916, № 1), შემდეგ კი უძღვნა ნაზი განცდებითა და ქვეტექსტებით აღსავსე პოემა „აკაკი წერეთელი“ (1940). ყოველივე ეს იმასაც ნიშნავს, რომ გალაკტიონს მთელი ცხოვრების განმავლობაში იმპიტომაც ეზმანებოდა აკაკის შთამაგონებელი ლანდი, რომ მის განცდაში არასოდეს შენელებულა აკაკის პოეტური სიტყვის ის ამაღლებული წარმოდგენა, რითაც ის ახალგაზრდობიდანვე იყო დატყვევებული. ეს იყო სავსებით გარკვეული დამოკიდებულება აკაკისადმი, როგორც პოეზიის საზოგადოებაში, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში სიღედა გალაკტიონს და რაც მისდამი მოძღვნილ პოემაში ასევე გამოხატა:

...ვინმე მსგავსი აკაკისა,
არ ყოფილა და არ არის.

აკაკის სილიადის რალაც ფანატური განცდა გალაკტიონმა იმაშიც გამოხატა, რომ მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აკაკისავით გრძელი წვერით შეიმოსა სახე, რადგან ფიქრობდა, რომ ერის ხსოვნაში დიდი პოეტის აკაკის წვერით უნდა იყოს დამშვენებული. ეს მით უფრო საგულისხმოა და ჩანს, არაა შემთხვევითი, რომ ასეთი განზრახვის შესახებ აღდგენილ მანამდის ჩემთვის, თუ სხვებისთვისაც. არა ერთხელ უთქვამს, — აკაკისავით წვერი უნდა მოვეშვაო. აკაკის გარეგნული დამსგავსების განზრახვა გალაკტიონმა მაშინ შეასრულა, როდესაც მისი დიდი ადგილი ქართული პოეზიის ისტორიაში უკვე საერთოდ იყო აღიარებული და ასაკაც შეეფერებოდა.

სამწუხაროდ, წყნეთში ერთად გატარებული იმ ერთი დღის, და საერთოდაც სხვა მსგავსი

გაიოზ იმედაშვილი
ზომი ბახსენება და ფიქრი
ბაბაჩიში, მამაში, ბალახტონში



შეხვედრების საუბრებისაგან ყველაფერს ვეღარ ვიკონებ, იმდენი იყო საუბრადღებო დასამახსოვრებელი რამ, სახეს შთაგონებით, პოეზიით, აზრების განდობითა და მრავალი შინაარსიანი მოგონებებით. ჩვენი საუბრის თემები ხომ სწორედ იცვლებოდა, შთაბეჭდილებები ერთმანეთს ფარავდა, რასაც გულწრფელს ხდიდა ჩვენი დიდი და მამაცობით მოპოვებული ნდობა და სიყვარული, დაწყებული ჭარ კიდევ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციიდან, თუ საერთოდაც ჩვენი ოჯახიდან, იმ დროებაში, როდესაც პოეტის მართლაც საჭიროებად თანაგრძნობასა და ყურადღებას, რაც პირადად ჩემგან თუ ჩემი ძმის შალვასაგან, მამაჩემზე რომ აღარაფერი ვთქვა, შეძლებისდაგვარად არ აცლდა ჩვენ ხანგრძლივ ურთიერთობაში, მით უმეტეს სარედაქციო სამუშაოების დროს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გალაკტიონი იოსებ იმედაშვილისადმი თუ ყოველთვის დიდ სიყვარულს და განსაკუთრებულ მაღღიერებას ამჟღავნებდა ხოლმე, მან ეს უსახლგროდ დიდად და უთქმელად გამოხატა ჩვენი ოჯახის უხედიერების დროს, როდესაც 1952 წლის 5 მაისის ღამეს მამა გარდაიცვალა. გალაკტიონი უკვე 6 მაისის დილითვე ამოვიდა ჩვენთან მოქმინდაზე და თავისი ძველი, კეთილმოყვებული რედაქტორის ნეშტის წინაშე მღუმარემ დაიჩოქა და შესტირა. ამ სანახევით გოგონებულმა კიდევ ერთხელ ვიწამე გალაკტიონის სუფთა, თბილი გული.

გალაკტიონთან სიახლოვე და მეგობრობა თავიდანვე ჩვენი რედაქციის გარეშეც იყო განმტკიცებული ოჯახების ოჯახში შეხვედრებითა და საუბრებით, რომლებშიც მხურავლედ მონაწილეობდა ხოლმე მისი მეუღლე ოლია ოუჯავა — გალაკტიონის მფარველი ანგელოზი, ჰეშმარტი მეგობარი მის ცხოვრებასა და შემოქმედებაშიც, მეტად განათლებული პიროვნება, ნაზი სულის ქმნილება, ხელოვნებისა და პოეზიის მცოდნე და დამფასებელი. აქ ყველაზე მეტად გასასხენებელია ის მრავალმხრივი და უანგარო მეგობრობა და დანახარება, რასაც რევოლუციის დღეების აბოზოქრებულ პეტერბურგში ყოფნის დროს ოლია ოუჯავა გალაკტიონის უყვედა და შეიძლება ითქვას, რომ პოეტის იმ პერიოდის შემოქმედებაში, რევოლუციური მოტივების შთაგონება, სწორედ ოლიას მგზნებარების კეთილმოყვანილი გავლენაც იყო.

თავისი ნაზი დამოკიდებულება ერთგული მეუღლისა და შთაგონებული მეგობრისადმი გალაკტიონმა გამოხატა მისდამი მიძღვნილ არა ერთ ლექსში: „ცამეტი წლის ხარ“ (1916), „ძღვანდ ოლ-ოლს“ (1917), „საქართველოში შენ ერთი მაინც“ (1918) და სხვ.

იმ ხანებში ოუჯავების ოჯახთან იმიტომ ვიყავი დაახლოებული, რომ გალაკტიონის მე-

უღლის ოლიას უმცროსი ძმა ვასო პარკუნაშვილი ჩემი კლასის ამხანაგი იყო, ისიც მეტად განათლებული პიროვნება, ფილოსოფიით გატაცებული, უანგარობისა და სიკეთის განსახიერება. ეს იყო დრო, როდესაც გალაკტიონმა დაწერა პოემა „მოგონებები იმ დღეების როცა ივლია“ (ეჟურნ. „მნათობა“, 1924 წ., № 5), რამაც მთელი საქართველო შეაზნაურა. ეს პოემა, როგორც იტყვიან, წასაკითხად ხელიდან ხელში გადადიოდა.

აღსანიშნავია, რომ ოუჯავების ოჯახში ცხოვრების დრო გალაკტიონისთვის ალბათ ყველაზე უზრუნველყოფილი ხანა იყო — სათუთი მოკლა არ აცლდა, დროზე სასმელ-საჭმელი, დასვენება და სამუშაო პირობები ცალკე ოთახით. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ გალაკტიონის მთელი ცხოვრება გაუთავებელ წვალბად იყო ქვეული სწორედ იმიტომ, რომ ვერასოდეს მოქალაქეობითი ცხოვრება ვერ ააწყო. მისი პოეტური შთაგონება ისე ძლიერი და სავსე იყო, რომ დანარჩენს ყველაფერს ჩრდილავდა, მისი მდიდარი შემოქმედებითი წარმოსახვა ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებისათვის ადგილს არა სტოვებდა. რაოდენ უხერხულობას, ვასკირს და ხიფათასაც გადაპყრია გალაკტიონი ქუჩაში, სახლსა, კრებასა თუ სუფრაზე ამ მოუწყობლობის გამო, უფრო ზუსტი იქნება თუ იტყვი — სინამდვილესთან ხასიათის მოურიგებლობით, გადაჭარბებული მორცხვობითა და, იმავე დროს, უკადრისობითა და უადგილო მედიდურობით, უსაფუძვლო ეჭვიანობით. უაღრესად ნაზი, მეგრძნობიარე და კეთილი, თან დაფარული და შეუცნობელი, ის ზოგჯერ თითქმის უგრძნობელი, უხეში და ცინიკური ჩანდა. ეს დანგრეული ხასიათი მას ხელს უშლიდა ყოველთვის ნორმალური კონტაქტი ჰქონოდა გარემო სინამდვილესთან, ახლო ნათესავებთან, მეგობრებთან თუ გარეშე თაყვანისმცემლებთანაც კი, რაც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ხოლმე სხვებთან ერთად თავის თავსაც ყოველად გაუმართლებელი წვრილმანი გაუგებრობებით, ხან გადამეტებული თავის დამდაბლებით, ხანაც უსახლდრო ამპარტყნობითა და უკადრისობით.

გალაკტიონის მთელი ცხოვრებისა და შემოქმედების თვალსაზრისით კი იქნებ სწორედ ეს ელემენტარულ ლოგიკას მოკლებული სურვილები, განზრახვები, გამოსვლები თუ სხვა რამ ჩვეულებანი არსებითად გვახედებდნენ მისი სულის უსახლგრო ზმანებათა მდიდარ საწყისებს, რომ აქადის ერთი უცნობი ასპექტიაც აიხსნას საოცარი ჰარმონიით აღსავსე მისი შემოქმედება?..

* * *

ერთხელ ვერის ხილზე ჯავიარეთ. ვისაც აწსოვს, სახელგამის შენობის წინ კოოსთან დი-

დი, უცნაურად დატოვებული ზე იდგა, რომლის განიერი ტანი და ტოტები მტკვრისაკენ თავდა-
ყირა იყო ჩაიდებული. გალავტონმა იმ ხეს-
თან მძიმეყვანა და მითხრა — შეხედე, როგორ
დგას, ტანი სადა აქვს, ტოტები როგორ შორს
აქვს დაშვებული! რომ დავავიკრდი, მართლაც
არაჩვეულებრივად იყო ჩაერხილი, ტოტები
ტანზე უფრო ქვემოთ ჰქონდა, ჩაშვებული,
მტკვრისაკენ ისე იყო ჩახბილი, ტანისა და
ფესვებიც ციკაბო ნაპირზე ზემოთ იყო დარ-
ჩენილი, რომ ერთბაშად ვერც კი შეიმჩნეოდა,
თუ როგორ იდგა ხე, დეკორატიული გეგონე-
ლით.

ვერეს ახალი ხიდის აგების შემდეგ ხომ აქ
ველეფერი შეიცვალა, ის ხეც გაქრა და აღსა-
ნიშნავია, რომ გალავტონმა მგონია სწორედ
ამ ხეს უძღვდა ელქის: „მტკვარს ვერის პირად
ხე დაჰყურებდა“.

ვერის ხიდთან რომ მტკვარს დაჰყურებდა,
იყო ერთი ხე და აღბრ არის...

იმ ადგილს ბუჩქი სხვაგვარი დარგეს,
ხიდი ასწიეს, ტყერი მოჰარვეს,
და სანაპირო უღამაზესი,
დაცურის ახალ მდინარის სარკეს.

გალავტონის მიერ ამ ხის აღმოჩენა მავო-
ნებს კიდევ ერთ შემთხვევას, რაშიაც შედარე-
დებდა პოეტის ინტერესი და უნარი საერთოდ
უცნაურობათა შემჩნევაში. წყნეთში რომ მივ-
დიოდით, ვერეს ზემო ჩამახდა — შეხედე,
როგორი ჩაქალაქილი კალაპოტია, ბუნებამ რა
საკვირველად გააკეთაო. მართლა ისე უცნაუ-
რადაა ის ადგილი წყლისაგან ოკრობოცრად
ჩაზრამული, თითქმის განვცდ მთუწყევით. მა-
შინ მხოლოდ ის აზრი დამებადა, თუ მანამდე
რატომ არა მქონდა თვითონ შემჩნეული ვერეს
წყლის ეს უცნაური ნამოქმედარი, რომელზე-
დაც გალავტონმა წყნეთიდან უკან მობრუნე-
ბისას მეორეჯერად ჩამახდა.

მსგავს უცნაურობათა შემჩნევა, რომელთაც
ჩვეულებრივ სხვები ვერ ამჩნევდნენ, გალავ-
ტონისათვის, როგორცა ჩანდა, შემთხვევითი
და უმნიშვნელო არა ყოფილა პოეტის შემოქ-
მედებითი იმპულსებისათვისაც, რამდენადაც
მისი პოეზია საესეა ისეთი მოულოდნელი და
უცნაური მხატვრული ხერხების, სიმბოლოე-
ბის, თემების, მოტივებისა თუ რითმების გამო-
ყენებაში, რომელნიც უმანად შემჩნეულნი
არა ყოფილან. ასეთ უცნაურობათა შემჩნევის
თვალსაზრისით საინტერესოდ მეჩვენება გა-
ლავტონის ერთი პოლინდრომი, რომელიც ჩემი
მოწაფეობის დროს თავისი ხელით უბის წიგ-
ნაკში ჩამიწერა:

აი რა მზის სიზმარია, აირევი ივერია,
აი დროშა აშორდა, აერებს სიხვერია.

— აბა გამოიყანი რა არისო! თან ღიმილით

შემომაჩერდა. მომაგონდა ჩვენში გავრცელებული „აბაში ითესა ასეთი იმატა“. მაგრამ ჩამაფიქრა გამოთქმამ: „აირევი ივერია“ და მეგონა, რომ ეს იყო გამოცანის საგანი. მაინც რატომ უნდა აირიოს ივერია, მიტრიალებდა თავში და აზრის ჩამოყალიბება რომ ვერ მოეცაწარა, გალავტონმა ჩაიცინა და მითხრა — აბა ბოლოდაც წაიფიქრეთ, ეგონა. ვერ მივხვდით რომ ეს იყო პოლინდრომის ნიმუში.

მტკვარზე ჩაიდებული ხის თვალყურებაში რომ ვიყავით, ჩვენთან ახლოს, ბულვარზე ვილაც ახალგაზრდა შედგა, შეკაცნალა, გაოშლა-
რთა და ფართალი დიქსო... ჩქარა ხალხი შემოხვია, მივხვდი, რომ ეპილეფსია დაემართა და მოვიწოდე გალავტონი იმ არასასიამოვნო სანახავისათვის მომეცილებინა, მაგრამ ვერა და იქაურობას ვერ მოვატოვე. გალავტონი დაბინებოდა შეცქეროდა იმ ახალგაზრდას და ტირიდა... სწული დაინათნა გონს რომ მოვიდა, ხალხიც დაიშალა და მარტო ჩვენად დავრჩით... გალავტონი მასთან ახლოს მივიდა, მოეფერა და დამშვიდდა. დაუწყო, თან ეტუნებოდა — ძამკო, არაფერი არ მოგსვლია, შენ ბნელიანი არა ხარ, შემთხვევით ფეხი წაგიცდა და ისე წაიქცეო... ის ახალგაზრდა თანდათან დგებოდა, სწორდებოდა, ტანისამოსი ისუფთავებდა, გალავტონი კი სულ ერთსა და იმავეს უმოვრებდა — აჟად არა ხარ, ბნელიანი არა ხარო!.

ეს იყო დიდი ადამიანური სიკეთის ტრანსი, რომლის გარეშე გალავტონი სხვას ვეღვრას ამჩნევდა. ასეთ დროს გალავტონი მხოლოდ პოეტი იყო და სხვა არაფერი. ის სინამდვილეს ისე ხელოვდა, რასაც მისი საკუთარი, ცალკვრივად დამახული წარმოსახვა ჰვრეტდა და ეს აზსოლოდ უტრავა საკუთარი ჰერტა უპირველესად მისი პოეზიის საკუთარ ფერებსა და ხმებში იხატებოდა და, რა თქმა უნდა, ამ შემოქმედებით ტყიველებს თავის მხრივ პირდაპირი გავლენა ჰქონდა. მასი ცხოვრების ყოველდღიურობაზედაც კერძოდ კი მისი არსებობის დასასრულის ტრაგიკულ გამოსავალზედაც. მაგრამ იმიტომ ხომ არა, რომ რაღაც ერთ მომენტში ის ტრანსიდან გამოვიდა, თავისი თავი შეეცდოდა და საკუთარ თავში დამცირდა? ...ეს საბედისწერო წუთები იყო, მაგრამ ჩანს, არც ისე ნაჩქარევი აზრისა და გადაწყვეტის შედეგი, რომ ის ხანგრძლივად მტანჯველი დროის განმავლობაში არ მომწიფებელიყო... ვეღაფრიდან ჩანდა, რომ ის სიკვდილამდე დიდი ხნის წინათვე ეთხოვებოდა ქვეყანას და საგანგებოდაც ეძებდა შემთხვევასა და გარემოს, რომ თავისი ტანჯული ცხოვრება დაემთავრებინა.

გაიოზ იმადაშვილი

ზოგი ბახსამება და შიქრი

აპაჩო, მამაზე, გალავტონი

* * *

ოკუპაციების ბინაზე გალაკტიონის ცხოვრების პერიოდიდან მასხოვს, რომ როცა კი მის ოთახში შევსულვარ, მაგიდაზე ხშირად მინახავს ფრანგი პოეტების წიგნები ფრანგულად, მათივე კიდევანზე ქართული მინაწერებით, ცალკეული სიტყვებით. თქმებითა თუ რითმითა სტუმრებით, რაც საექვროს არ ხდოდა, რომ გალაკტიონმა იცოდა ფრანგული ენა. უამისოდაც ისიც არ არის საექვო, რომ გალაკტიონი შთაგონებული იყო ფრანგი პოეტების ბოლერის, რემპის, მაღარმეს, ვერპარნის მოტივებით, სახეებითა თუ თავისებური თქმებით, რომელთაც მის პოეზიაში განაპირობებს მეტყველების ევროპული მანერა, რაშიც გამოხატვის მათი ფრანგულ დედანში ცოდნის კვალიც. ამაში ფელანსმობ პოეტური თქმის სუფთა წიგნურ ნაკადს, ის რაც არც ერთ ქართველ პოეტში ასე ძლიერად არ არის საგრძნობი და რითაც ქართული პოეზია დავალებულია თავისთავად გალაკტიონით. ესაა ქართულისთვის უცნაური შესიტყვებანი, ცალკეული უცხო სიტყვები და თქმები, პიროვნული თუ გეოგრაფიული სახელები, ხელოვნების ქმნილებანი — მუსიკის, პოეზიის, ქანდაკების, ფერწერის შედეგები. ამ მხრივ ისიც დიდად მეტყველავ, რომ თავის მეორე წიგნს გალაკტიონმა „არტისტული ყვავილები“ უწოდა. ეს წიგნური მანერისში აშკარადაა საგრძნობი ლექსებში: თოვლი, მარმარილო, ვარდები, ყორანი, მწოლარე, გოტიეს, „ჩვენი ქუჩა“, მუსიკალური ფანტაზია, ატმის ყვავილები, ვინ არის ეს ქალი, მას გახეილი დარჩა თვალეზი, ლურჯი ხომალდი, მისტერია წვიმამ და მთლიანად ეფემერების ციკლი (ეფემერა, ისევ ეფემერა, საახალწლო ეფემერა, მშობლიური ეფემერა, ზღვის ეფემერა.

წყნერში გამგზავრების იმ საუბრებიდან მოსაგონარია ისიც, რომ რაღაც სიტყვამ მოიტანა და გალაკტიონის ნაკლებად ცნობილი ერთი ლექსის ფრაგმენტი ვიძვი:

წმინდაო დამიყვებ!

სურათში საშინაოდ მივარდნილ კედლებით,
ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს,
ამ მკვდრები დაჰქრან ზღაბილი რაშებით
და ბედის ეტლებით,
რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს...

გალაკტიონს საოცრად გაუყვირდა და გაეხარა, რომ ეს ლექსი ვიცოდი, რომელიც იშვიათად ახსოვთ, რამდენადაც ტაბიქისათვის საშინელების ასეთი მოტივები არაა დამბასათიებული და გახარებულმა თვითონაც ზეპირად განავრძო ჩვეული ღელვით, რიტმითა და მანერულობით.

ისევე შთამბეჭდავი იყო გახსენება სტრიქონების:

აჰყე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვეშ
და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა
ბედნიერება...

გრძნობდე, რომ ისევ უკვდავია თქვენი
მსგავსება:

ერთიანი სულში ერთიანია მზის მოთახსენება,
ერთგვარი სახე, ერთი ცეცხლი და სითამამე,
ოჰ, რამდენია, რამდენია ასეთი რამე.

ეს ლექსი, ისე როგორც ბევრი სხვა, რომელიც ჩვენ საუბრებში მოვგონეთ, შეიცავს რაიმე მოტივს, რომელიც ჩვენ მაშინდელ განწყობილებას უპასუხებდა: „კაცი, რომელმაც გაბედა“, „იარე, კაცი შენ აღარ გქვია“, „რომელი საითა“, „ჩვენი ღრთ ისევ რუსთაველის ელის“... მაგრამ როგორ უფრო გავიდა გალაკტიონი, როდესაც ეთქვა უცნაური დისაწყისი უცნაური პოემისა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“:

100% აღნობს და დავგეს
ღრუბლების ტივი,
გარდამავალი მზე აჩრდილს ავადს
რეტროსპექტივი...

* * *

აქაც, ვაჟს და გალაკტიონის ერთად ხსენებისა და მოგონების ერთი ძირი გალაკტიონის პოეზიაა, რომელშიაც ამ ორი დიდი პოეტის მოტივები, სახეები და სტილისტური თავისებურებანი რამდენადმე შეზავებულია. მართლაც, გალაკტიონის აღრინდელ ფრაზაში მათგან არის ზოგი რამ ლექსიკისა და რითმისაც კი და თუ უფრო უკანაც გავიხედოთ, ნათლად დავინახავთ, რომ ახალი ქართული პოეზიის მაგისტრალური ხაზი ბარათაშვილიდან დაწყებული სწორედ აკაკისა და ვაჟასაგან გალაკტიონით მიემართება.

ესადაა, მათში საერთო და უფრო არსებითია ერთგონილი ხატის გრძნობა, ვიდრე უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი პოეტური გამოხატვის ტექნიკური ელემენტი ლექსის აგებულებით, სახომითა და რიტმით. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი აკაკის ტყვეობისაგან საბოლოოდ მეორე წიგნში (1919) გათავისუფლდა, მანამდე აკაკისებურად წერა ერთგვარი ნორმა იყო და გალაკტიონის პირველი წიგნი (1914) აკაკის თვისადაც ალიარებად გვაგრძნობინებს, რასაც თვითონაც აღიარებდა.

მაგრამ გალაკტიონის ნოვატორობა ქართულ პოეზიაში სწორედ მხატვრული ხერხების გამრავალფეროვნებაა, ლექსის აგებულების გადახალისება — ცნობილი საზომებისათვის უჩვეულო რიტმის მინიჭება, რითმის დახვეწა, ლექსიკის გამდიდრება და სიტყვის ფუნქციის გაფართოება, საერთოდაც პოეტური მეტყვე-

ლებს კულტურის ამაღლება, რამაც ქართული ლექსი უფრო მომხიბლავი გახადა, თქმა ექსპრესიული, ხშიერება უფრო მედერი და ლექსის ესთეტიკაში პოეტური ოსტატობის ზღვარად აქცია. გალაკტიონ ტაბიძემ ბუნების უცნობი ფერებისა და ხმების შეგრძნებაში პოეტური მერყევლება გაამდიდრა ახალი სტილისტური, მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებებით, მევეთრი ფოკალიზმით, რითაც მისი ლექსის რიტმი ორკესტრულ მუსიკალობაში გადადის.

ყველაფერ ამასთან ერთად, გალაკტიონის შესამჩნევი თავისებურება ისაა, რომ მის ლექსში ხმა და იდეა ერთმანეთს ენაცვლება, სიტყვა უტოლდება აზრს. მისი პოეზია კარგად გვიჩვენებს, რომ პოეტური სიტყვა და საგანი კვშიარტი ხელოვნებაში ორგანული მთლიანობაა. ფოკალისა და ხატის შერწყმით გალაკტიონი ჰქმნის მერყევლების თავისებურ ნაყადს და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თქმის ნიუანსებით პოეტური სტრიქონის გამომხატველობას ზრდის.

გალაკტიონი თითქმის ყოველ ლექსს უტოვებს რაღაც საიდუმლოს და საქართველოში არ არის პოეტი, რომლის სტრიქონები ასე იყოს სავსე ქვეტექსტებით. გალაკტიონი პოეტურ სახეს, შედარებას, შესიტყვებას თუ ცალკე სიტყვას მოულოდნელი სემასიური შინაარსით ავებს. ამიტომაც, რომ მისი პოეზია თვითოეული მკითხველისათვის გასაგებია მხოლოდ საკუთარი ერუდიციის მიხედვით და გალაკტიონის კვშიარტი კითხვა პოეტის განათლების დონეს გულისხმობს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ბოლომდე გასაგები პოეზია პროზაული მეღექსეობაა და არ შეიძლება დიდი შთაბრძნების ნაყოფი იყოს. მთლიანად გასაგები პოეზია მოკლებულია მთავარს — საკუთარ პოეტურ ასპექტს — სინამდვილის ასახვაში უცნობის გამოვლენას, უცნობი მხატვრული საშუალებების გამოყენებას.

თქმა არ უნდა, გალაკტიონ ტაბიძე შეუდარებლად მდიდარი პოეტური მემკვიდრეობით თავის თანამედროვეთა შორის ყველა ძიებათა მწვერვალზე დგას და ექვი აღარ არის, რომ გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვისა და აზრის პირველი მესიტყვეა, აკაცისა და ვეფხის შემდეგ ერთადერთი დიდი პოეტური სახელი. ამ მხრივ ისიც საგულსნაზია, რომ აკაცისა და ვეფხის სიცოცხლის უანასკნელ, 1915 წელს დაიბეჭდა „პატმის ყვავილები“, „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „მარმარილო“, „მერი“, რომელთაც ქართულ პოეტურ სიტყვას სავსებით ახალი ჟღერადობა მიანიჭეს. ეხლა ყველამ ვიცით, რომ გალაკტიონი პოეზიაში აკაცის შემცვლელად მოვიდა და თუ აკაკი იყო არსებითად მცხრაბეჭდ საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ

ლი პოეზია, გალაკტიონი მთელი ჩვენი მეოცე საუკუნეა. ახალი ქართული პოეზიის ბუნდოვან ისტორიაში აკაციანი წლების გარდამავალ დროს პოეტური სიტყვის განახლების პრიორიტეტი თუ ვის ეკუთვნის, საკამათო არ არის. გალაკტიონის ლექსი ახალი ერას დასაწყისია ქართულ პოეზიაში.

მაგრამ, ქართული პოეზიის ისტორიაში გალაკტიონის ასეთი განსაკუთრებული დანიშნულების შემჩნევას დიდი ხანი დასჭირდა, მით უმეტეს, რომ საჩხერეში აკაცისა და გალაკტიონის ისტორიული შეხვედრის დროს ამ როლს ვერც ერთი მთავანი რომ ვერ მიხვდა, ჩანს თავისთავად იმ ფაქტით, რომ ხელნაწერი ლექსების დაწვა არც ავტორის დაენახა, არც აკაცის, თუმცა, ვინ იცის, იმ დამწვარ ლექსებშიც იქნებ უკვე იყო მისი პოეტური სახის მარცვლები, რომელთა ფესვებზეც შემდგომ „პარტისტული ყვავილები“ უნდა აღმოცენებულიყო.

ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონის პირველი წიგნის გამოცემაზე გვიჩვენებს, რომ დამწვარი ლექსებისადმი აკაცის პოზიცია თუ ნაწილობრივ მაინც იყო სწორი, 1916 წელს ლექსში „წელიწადები წარლანძმე ძველი“ გალაკტიონს საჩხერის ტრაგედიასთან გათავისუფლებულს თამადა შეეძლო ეთქვა:

„ჩემთვის დღესათვის არის ნათელი,
რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“...
რომ: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი“.

მანამდე კი, აკაცის სიცოცხლეში, 1913 წელს გალაკტიონი ისევ ყრულ, მერყევად და გაუბედავად იტყოდა:

რას მომცემს ისეთს მე საქართველო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი“.

ვერც მაშინდელი თაობა ზღვებოდა ბოლომდე გალაკტიონის მოვლინების დიდ როლს, ალბათ იმიტომაც, რომ მისი დროის ძველი ინტელაგენცია — მწერლები თუ ეროვნული კულტურის სხვა დამსახურებული მოღვაწენი, ვერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და საზოგადოებრივი აზრისა და გემოვნების ფორმირებაზე ავტორიტეტულ გავლენას ახდენდნენ. ქართული პოეზიაში ბატონობდა აკაცის სტილის ტრადიცია, რომლის გვერდით სხვა ყველაფერი ოდნეულად მიჩენილი, თითქმის ცხოვრებასა და ხალხის ინტერესებს მოწყვეტილი ყალბად გავებული სიმბოლოზმის სახელით ინათლებოდა. ასეთ გარემოში შესაძლებელი კი იყო, მომავლის პოეზიის რომელიმე ქურუმს მაშინვე და დაუბრკოლებლად მოეპოვებინა აღიარება, თუ

გაიოზ იმედაშვილი
ზოზი ბახსმინაძე და შიქარი
აბაშიძე, ვაძაშვი, ბალაბერიძე



ნდაც ის გალაკტიონი ყოფილიყო? ეს იყო ალბათ ახლოს ძიების ლოგიკური გაუგებრობაც, მით უმეტეს, რომ ლექსის ეს რეფორმა ცოცხალი კლასიკოსების გარეშე და არსებობდა მათთან ლიტერატურულ დაპირისპირებაში ხორციელდებოდა.

მე ერთერთი მრავალთაგანი ვიყავი, რომელთათვისაც გალაკტიონ ტაბიძის პოეზია უმაღლესი პოეტური სიტყვის ზიარება იყო. ამიტომ 1927 წელს გაზეთ „გალაქტიონ ტაბიძეში“ კიბუხის პელების ფსევდონიმით დაბეჭდილი ჩემი წერილის „გალაქტიონ ტაბიძე — პოეტი საქართველოსა“ უკვე სათაურშიც გამოხატულია ის ამაღლებული განწყობილება და შეფასება, რაც მაშინ ობიექტურად ყოველგვარი დასაბუთებისა და ოფიციალური დადგენილების გარეშე საერთოდ სუფევდა.

მაგრამ მოხდა ასეც, რომ იმავე ხანებში გალაკტიონ ტაბიძის ცალკე გამოცემულ პოემას „ჯონ რიდს“ ერთგვარი პროტესტით შეხვდნენ. წიგნი პირადად გალაკტიონმა მიძღვნა, შესაძლოა იმიტომაც, რომ მაშინ საერო-საღვთისმეტყველო და რეცენზიებს ვწერდი. მინდა გულწრფელად ვიყო და ვთქვა, — „ჯონ რიდი“ არ მომეწონა და მივიღე როგორც დიდი იმედგაცრუება. მაშინ ასე შეჩვენა, რომ არ იყო დაწერილი გალაკტიონისათვის ჩვეული სტილითა და განწყობილებით, ესთეტიზმის განცდილ, იქ უფრო მეტი იყო პუბლიცისტური და პოლიტიკური, ვიდრე პოეტური და რომანტიკული და სინამდვილე ვარჩიე, რასაც გალაკტიონი მიმინვდა და არ დამემდურა.

• • •

ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძის მოვლინებაში ეხლაც ბევრი რამ რჩება აუხსნელი. ქართული ლექსის ეს ხანა მღელვარე სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებით, გარდამავალი იყო და იდეოლოგიის ყოველ სფეროში ძიებებით ხასიათდებოდა. 1914-1920 წლების რევოლუციური ეპოქის ცვალებად ლიტერატურულ გამოხატულებში, რომელნიც გალაკტიონის შემოქმედებას უკვლავ დიდი მოზღვაობის საფუძვრს ემთხვეოდნენ, ერთადერთ პერსპექტიულ ლიტერატურულ დაჯგუფებას „ცისფერი“ განწყობის „სახეობი ცნობილი გაერთიანება წარმოადგენდა, რომელთანაც ერთ დროს თითქმის გალაკტიონ ტაბიძეც ახლოს იდგა, თუნდაც იმ ფაქტით, რომ „მთაწმინდის მთვარე“, და „ლურჯი ცხენები“ პირველად ეუბნა „ცისფერი“ განწყობის დაიბეჭდა (1916, № 1), რამაც თავის დროზე ჩვენ ლიტერატურულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში, „ცისფერი“ განწყობი“ ჩვენ სინამდვილეში ობიექტურად მაინც მწერალთა პირველი გაერთიანება იყო გარკვეული ლიტერატურული იდეალებითა და შემოქმედებით პროგრამით, რომელაც ბევრს იღვწოდა ქართული პოეტუ-

რი კულტურის პროგრესისათვის, საზოგადოებაში მწერლობის როლის ამაღლების, მისი უკეთესი ორგანიზაციისათვის და თავის პოზიციებზე თეორიულად ასაბუთებდა უმთავრესად ვალერიან გაფრინდაშვილისა და ტიციან ტაბიძის წერილებში.

ახალ ლიტერატურულ სწრაფებში ზოგ რამ და ე. წ. სიმბოლიზმით გატაცებაც ემიგრანტი იყო. ამასთან ერთად, თუ ეს მართლაც სიმბოლიზმი იყო, რომელიც მაშინ ვსმოულაო როგორც უპირატესად ფორმის მოყვენა, მხატვრული საშუალებების წამოწევით, სიტყვის ელერადობისა და რიტმის გაძლიერებით, შინაარსის სიმბოლოებში გადატანითა და გაბუნდოვანებით, ეს რუსეთისათვისაც დაგვიანებული აღმოჩნდა და უკვე წარსულს ბარდებოდა. მიუხედავად ამისა, ამ მოძრაობამ საქართველოში გარკვეული როლი შეასრულა ლიტერატურული ინტერესებისა და პოეტური გემოვნების ევოლუციაში, საერთოდაც ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებაში.

მაგრამ გალაკტიონი ამ მოძრაობაშიც განმარტოებული იყო თავისი სულისკვეთებით, იდეალებითა და მოტივებით. ის არსებითად მართო იყო თუნდაც იმიტომ, რომ თავისი ხასიათის კონსტიტუციით არ შეეძლო გავზარდებინა წინასწარ განსაზღვრული ლიტერატურული კრედიტ და რაიმე ჯგუფის აქტუური წევრი ყოფილიყო, მით უმეტეს, გალაკტიონი-შემოქმედი მართოდ იკვლევდა გზას საკუთარი პოეტური ხილვებითა და ოსტატობით.

ასეთ საოცარ პიროვნულ სიმარტოვეში გალაკტიონი მაინც არა ყოფილა მოწყვეტილი არც ხალხის ცხოვრებისა და არც ლიტერატურული საქმიანობის მთავარ მოვლენებს. ის ბევრს კითხულობდა. იყო სამაგალითოდ განათლებული პიროვნება. ბევრს მუშაობდა თავის თავზე და ეხლა უფრო კარგადაც გამოჩნდა, რომ მან უკვლავ მეტი მხატვრული სრულყოფილებითა და გულისყურით ასახა ჩვენს თაობის სოციალურ-პოლიტიკური მსაწარფებანი, ლიტერატურული იდეალები თუ სულიერი განწყობილება. გამოჩნდა ისიც, რომ გალაკტიონმა კარგად იცოდა ქართველი ერის ისტორია და კულტურა მისი უკვლავ დიდად მოვლენებით. სამაჟო ქველგებით, სასიქაფულო პიროვნებებითა და ტრადიციებით.

ამიტომაც, რომ თუ ახლოს ძიებებში თაობებს შორის დამოკიდებულება ზოგჯერაც გამოწვევულ კრიტიკულ მითითებაში იხატებოდა, უმთავრესად ძველისადმი დაპირისპირებაში, გალაკტიონი უარყოფის ყოველგვარი პოზიციისაგან შორს იდგა. ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონი არასოდეს არავინ არ გაუწირავს, არავინ არ გაუთელია, არაფერი არ შეუბღალა და წარსულის ცოდნა, სიყვარული და პატივისცემა კარგად იგრძნობა მის შემოქმედებაშიც.

გალაქტიონი წარსულის მოღვაწეთა მიმართ, ერბოდ კი უფროსი თაობის მწერალთა მიმართ, რომელთაც ის თავის წინამორბედებად თვლიდა, მაგ., 1916 წელს მხოლოდ მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობას გამოხატავდა და სათქმელსაც მისთვის უჩვეულო მორიდებით ამბობდა ლექსში „ძველი ჟურნალები“:

მას ახსოვს აყავის კრებული...
აღღებებული, დაფიქრებული.
შლიდა ჟურნალებს დღის მყუდროება.
მას ახსოვს გაზეთი „დროება“,
მას ახსოვს ცაზე მნათობი ბაღარი
ვასო აბაშიძის გაზეთი „თეატრი“
და მთელი რიგი, მთელი სერია:
„იმედი“, „ავალი“ „ოქერია“,
„ცისკარი“, „მომავლ“, „მნათობი“, —
მაგრამ მოვიდა უფრო სხვა მყუდრო,
და გვესმის ძველების მედგარი ძახილი:
ახალი, ახალი, მოგვეცით ახალი

ძველი მოღვაწეებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით გასაჩვენებელია, რომ გალაქტიონის ექვსწინის ზაქარია კივიჩიძის ბიოგრაფიული ესკიზი, დაწერილი და გამოცემული 1922 წელს საეკლესიო ნაამადგარი მოხუცი მწიგნობრის იუბილისათვის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს იყო საერთოდ პირველი თუბილისი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩატარდა. ეს წიგნი ფირცხალავას პატარა სტამბაში დაბეჭდა. აქ, სადაც ჩვენი „თეატრი“ და ცხოვრება“ იბეჭდებოდა, და მის კორექტურასაც ჩვენს რედაქციაში ასწორებდა. ეს ამბავი უფრო კარგად იმეორდება მახსოვს, რომ კორექტურის შედარებაში გალაქტიონი მიშველებდა. ისიც მახსოვს, რომ მაშინაც უცნაურად მეჩვენებოდა, რომ გალაქტიონ ტაბიჭ ლექსის გარდა პროზაულ სამუშაოსაც ასრულებდა და, ცხადია, ამის ახსნა მხოლოდ იმითაც არ შეიძლება, რომ გაქირავებულ პოეტს რაღაც ჰონორარიც უნდა მიეღო.

გალაქტიონს არავისთან არაფერი არა ჰქონდა სადავო, არავის არ ეკამათებოდა და არ ეგვიბრუნებოდა, შესაძლოა იმიტომაც, რომ შინაგანი რწმენით, თავის ტოლსა და დიდსეულ მეტოქეს არავის და არაფერში არა ზედადედა. მაგრამ თავისი სიდიადით და სიმარტოვით ის მაინც გორიზონ და ამპარტავანი არ გამხდარა, არც ხელოვნების ცალკეულ მსახურთა და არც საზოგადოებრივი გარემოს მიმართ. მაგრამ ქართული პოეზიის იმ შესანიშნავ დროს, როდესაც გალაქტიონის საუკეთესო მარგალიტები იქმნებოდა, ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა ერთი ლიტერატურული გაუგებრობა.

ეს იყო პოეზიისა და საერთოდ ხელოვნების ისტორიაში თითქმის ახალი სიტყვის თქმა რევოლუციური პროპაგანდითა თუ ახალი სო-

ციალურ-კულტურული იდეალებით ნაკვები, ეველადერ ძეგლის უარყოფის სული პროგრესის ექსტად რომ მიიჩნის და სხვადასხვა „იზმით“ მონათლული ლიტერატურული მოდერნებით მოვლენიან გავერცხვებულ საზოგადოებას, რაც რუსეთში უფრო მტკიცე ელფი იყო. საქართველოში წარსული კულტურის, და საერთოდ ისტორიული ტრადიციების თავყანისცემა ისე დიდი და შეუღახავი იყო, რომ ჩვენში არ შეიძლება ისეთი პრეტენციული გამოსვლა, როგორიც ბირლიუკმა, კრუჩონიხმა და მათმა მიმდევრებმა განახორციელეს. ჯერ კიდევ 1912 წელს ლიტერატურულ მანიფესტში „Пощечина обществуному акту“ მათ განაცხადეს, პუშკინი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვ. ვადასჯრელია თანამედროვეობის გემიდანო. ბალმონტი, ბრიუსოვი, კუბრინი, ბლოკი, სოლოგუბი, ბუნინი მათ არაზოგად მიიჩნიეს და საქმე იქამდისაც მივიდა, რომ კრუჩონიხმა თქვა — ჩემ ვრთ სტრაფში უფრო მეტია რუსული ეროვნული, ვიდრე პუშკინის მთელ პოეზიაში.

მსგავსი რაღაც, მხოლოდ უფრო კურიოზულა, უფრო უნიკო დაგვიანებული გამოჩახილი, 1924 წელს საქართველოშიაც ვაისმა ქართველი ფურტურისტების ორგანოს H_2SO_4 -ის ფურცლებზე. აქაც ითქვა, რომ „ამიერიდან ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნების ანტი-სანიტარულ მდგომარეობას და დაწყებული გალტაბ ტიტტაბიდან კასრატეი გათავებული გარეკილ იქნენ შემოქმედების არენიდან“ (გვ. 40). გატანაც კონტენციულის გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ გროვდება საქართველოს მთელი საზოგადოების (იქვე). აქ გალაქტიონი პარალიტიკების რიგშიცაა მოხსენიებული, „გაფრინდამული გავეს ციკვს, რომელიც სარკეში ზისო“, „ცისფერი ყანწები“, მასხრული სკოლა, პოლო გამოდის დამცველათ. ჯველ ნავაის, რომელიც დარჩენილია საქართველოში სიცარიელის ამოსავსებით“ (გვ. 40) და სხვ. მისთ. მაგრამ მათ ენერგია მხოლოდ უარყოფითა და ლანდელისათვის ეყოთ და საკუთარი ლიტერატურული შემოქმედება არანაკლებად აღორძინებდა ქართულ სიტყვას უწმინდეს უაზრობით, ვიდრე ლიტერატურულ საღამოებს ვოკირდის კვამლი, რითაც ისინი თავის გამოცხვებს იწყებდნენ, რომ ამით მაინც მიეპყროთ მათდამი გულგრილი საზოგადოების ყურადღება. აბაღბდით ფირტოდნენ ისინი შექმნათ „განცდის მრეწველობა“, „სიტყვის ქიმიური ლაბორატორია“ და „მეზა შეეცვალათ ტექნიკით“, რისთვისაც გულისამრევად ვარჯიშობდნენ ქართული ენისა და პოეზიის შეუ-

გაიონი იმადაშვილი

ზომი ბახსანიზა და ფიჩიბი

ბაბაჩიზი, მამაზი, გალაქტიონიზი



ქართველთა
წერა-ბეჭდის
კავშირის
კავშირის
კავშირის

რაცსაუფაში ჩვენი დაგვიანებული ფუტურის-
ტები და ყოვლად გაუგებარ რაშვის დი-
დი აზრისა და გემოვნების გამოხატულებად
ასაღებდნენ. ნამდვილი პოეზია კი სწორედ ამ
დროს ქართული მწერლობის კეშმარიტი გზით
მიდიოდა და იქმნებოდა გალაკტიონის „ჩვენი
პოეტები საქართველოსი“, „ასი ლექსი“, „პოე-
მა ვეფხისა“, „მოგონებები იმ დღეების, როცა
იღვავ“ და სხვ. მისთ.

* * *

სამი დიდი ეროვნული პოეტის — აკაკის,
ფეას და გალაკტიონის გოლიათური ნიჭის ბე-
დისწერა მძიმე ჭაბანის ზიდვა იყო — პატარა
ერის შესილობითა და მის ჭირთა თმინით ყო-
ველ საზღვისწერო განსაცდელის ქამს სამშობ-
ლო კვეყნის მესიტყვეობა, ქართული სულის
გაცოცხლება და ქართული პოეტური დიდების
ამაღლება მსოფლიოში გასატანად.

აკაკის ლექსი გვიპყრობს თემატური სი-
ცხადით, სინათლით, თქმის უშუალოებით და
გვხიბლავს მსუბუქე რიტმით. ამიტომაც იყო
ის ყველაზე გასაგები და პოპულარული პოეტი
საქართველოში.

ფეას პოეზია შეგინდან მოდის, მისი ფორმა
გენციფერებს არა ბრწყინვალეებით, არამედ
დიადი უბრალოებით, თქმის ლაკონიზმითა და
სიღრმეში უფრო გვახედებს, ვიდრე ზედაპირ-
ზე. ამიტომ მისი სიდიადე თანდათან უფრო
ცნაურდება.

გალაკტიონი ისე წერდა ეროვნულ მოტი-
ვებზე, რომ საქართველოს ხშირად არც ახსენ-
ებდა, რადგან მისთვის პატრიოტიზმი არ
იყო ლოზუნგის საქმე და არ შეეძლო სიტყვა
„საქართველო“ იაფი დევეტის მასალად გამოე-
ყენებინა. მაგრამ მისი პოეზიის ერთი თემა
არსებითად ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ყაზ-
ბეგის, ფეას საქართველო იყო, რომელიც გან-

ცდილი უფრო აქვს, ვიდრე ნათქვამს შეტყუა-
რული, ლექსის შიდა სიტყვაში გადატანილი.

აკაკიმ, ფეამ, გალაკტიონმა მსგავსად გაინა-
წილეს ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულთა
ტკბილ-მწარე ხვედრი — სიცოცხლეში ძნელ-
ბედობა გამოვლილთ, შთამომავლობის ხსოვ-
ნაში ღირსეულად მიეზღოთ სიყვარული და
უკვდავება. დრო და დროება ვერაფერს აკ-
ლებს მათ. პირიქით, რაც დრო გადის, მით
უფრო იზრდება და მაღლდება ჩვენ შემეცნე-
ბაში მათი სახელი ეროვნულთან ერთად, საკა-
ცობრიო ღირებულებამაც.

ამ სამი გოლიათის წინაპართა სიღრმეში ბა-
რათაშვილთან ერთად რუსთაველიც დგას. მათი
შთავონებისა და მშვენიერი ქართულის ძირი
რუსთაველის სული და ოსტატობა იღო, ეროვ-
ნული კმუნისა — ბარათაშვილის „ბედი ქარ-
თლისა“, რასაც სამივემ შეაღია სიყვარული,
ოცნება და იშვია. მხოლოდ ეს ყველაზე დახვე-
წილი რიტმით და არტისტიზმით ახალ სტილსა
და სიტყვაში გალაკტიონმა გამოხატა, რომელ-
შიაც საოცარი პარაფრაზობით შეერთდა ყო-
ველივე ამაღლებული და მიღწეული, რაც
ნამდგ რუსთაველიდან მოცილებული დღემდე
ქართულ პოეტურ გენიას გააჩნდა.

გალაკტიონის სიყვდილმა და დასაფლავებამ
აკაკისა და ფეაზე მთელი საქართველოს ტირი-
ლი გამახსენა. მართლაც, ეს იყო ჭეშმარი-
ტად სახალხო მოსწონის გამოვლოვება იმ აზრი-
თა და განცდით, რომ ქართული პოეზიის ერ-
თი დიდი მზეც ჩაესვენა.

ხალხი რომ დაიშალა, მთაწმინდის კალთაზე
გოგლა ლეონიძესთან ერთად ვეშვებოდი და
ჩემი აღტყევა და მაღლობა ეუთხარი გალაკ-
ტიონის საფლავზე პატარა, მაგრამ ბევრის-
მთქმელი სამართლიანი და გულთამხილავი სიტ-
ყვისათვის, რომელიც პოეტს პოეტისაგან შეჰ-
ფეროდა.

გარეკანის მე-3 გვერდზე — ნახ. დ. ერისთავისა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საფტკორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყო-
ფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები —
99-75-69. „ნობათი“ — 98-17-63.

გადაეცა ასაწყობად 24/IV-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VI-75 წ., ქალაქის ზომა
70×108 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ
თაბახი 14,5. შეკვეთა № 1774 უე 01944. ტირაჟი 30.550.

საქ კ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



6 58/118

ფანტ 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236